Nestan Elisabeth Kirtadze

EUROPE AND THE INDEPENDENT GEORGIA

(1919-1923)

Institute for European and American Studies

T b i l i s i
1 9 9 7

ნესტან (ელისაბედ) კირთაძე

ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919–1923 წწ)

ევროპისა და ამერიკის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

თბილისი
1997

რედაქტორი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი
ილია ტაბაღუა

რეცენზენტები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

უშანგი სიდამონიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი
შოთა ბადრიძე

წიგნის გამოცემისთვის უღრმეს მადლობას ვწირავ ევროპის ქვეყნების სამედიცინო განათლების ასოციაციის წევრს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის „Vita"-ს რექტორს, ნიუ-იორკის აკადემიის წევრს, აკადემიკოსს

ქალბატონ
თამარ გელიაშვილს

აგრეთვე, ბატონებს
თამაზ რეხვიაშვილს, შოთა მიქიაშვილს
და
კახაბერ შანგანს

© ნ. კირთაძე 1997

„და მოშვებულნი აბოსავალს
ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ.
ამ ლტოლვილებით არის დაღარული ყოველი ხვეული ჩვენი
ისტორიის. ამ ლტოლვილებით არის ყვითურად დადღმული ყოველი
მოქნევა ჩვენი შემოქმედების...
მაგრამ ჩვენ მუდამ გვჭირდა ტრაგედია გეოგრაფიის...“

გრიგოლ რობაქიძე

შესავალი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ევროპა-აზიის გზაკვანძზე — ათასწლეულთა მანძილზე იყო მიზეზი განუწყვეტელი შემოსევებისა ყოველის მხრიდან; ოდითგან იყო და არის ისტორიული ბედისწერა თუ ბედი ქართველთა.

არსებითად კი, საქართველო, რომაულ-ბიზანტიური ევროპის კულტურულ-პოლიტიკურ ფარვატერში იმყოფებოდა, ვიდრე 1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემით არ ჩაიხერგა ევროპასთან დამაკავშირებელი ბუნებრივი გზა. მას აქეთ ქართველი მეფეები, პოლიტიკოსები, მოღვაწეები მუდამ მიელტვოდნენ ევროპულ ცივილიზაციასთან კავშირის აღდგენას. მათი მრავალსაუკუნოვანი ნაფიქრი ერთ ტევად ფრაზაში გამოხატა გრიგოლ რობაქიძემ 1920 წლის ენკენისთვეს, საქართველოში სტუმრად ჩამოსული ევროპული დელეგაციის წინაშე: „ორი ათასი წელი ქართველნი... გელოდებოდათ თქვენ!“.

მაგრამ მანამდე, ქრისტიანულ დასავლეთთან გზაჩახერგილი და კავშირგაწყვეტილი, აზიური ბარბაროსობითა და რელიგიური ფანატიზმით გარშემორტყმული და ევროპისაგან იმედგაცუდებული საქართველო დახმარებისთვის რუსეთს მიმართავს. ეს ცდები დასრულდება 1783 წელს იმპერატორ ეკატერინე II და ერეკლე II შორის ტრაქტატის ხელმოწერით. და ამით იწყება კიდეც ახალი უღელტეხილი ქართველთა ისტორიისა.

ვაივლის 18 წელიწადი და ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ქვეშევრდომობაში მყოფი პატარა ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას, ცალმხრივად დაირღვევა. რუსეთის იმპერია საქართველოს იერთებს ვითარცა რიგით გუბერნიას და ამ ვერაგული აქტით საუკუნეზე მეტი

ხნით (ზუსტად 117 წლით) შეწყვეტს კიდეც თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიც არსებობას.

მთელი XIX ს-ის მანძილზე ევროპაში ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ საქართველო რუსეთის მიერ დაპყრობილ-დამორჩილებული ქვეყანა იყო. რუსეთის იმპერიამ საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიურ წრეებსა და, მით უფრო, საზოგადოებრიობაში დაამკვიდრა აზრი, რომ საქართველო რუსეთთან „ნებაყოფლობით" შეერთებული ქვეყანა იყო. ამ აზრს რუსული ბიუროკრატია დაჟინებით ნერგავდა ევროპაშიც, რუსეთშიც, საქართველოშიც.

იმპერიის ხელისუფლება ყველა საშუალებით ცდილობდა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ხმას ევროპამდე არ მიეღწია.

წინა ასწლეული ისე გასრულდა, ქართველი ხალხის პოლიტიკური თავისუფლების სურვილი საქართველოს ვერ გასცდა. თითო-ოროლა ქართველი ემიგრანტის ეროვნულ-პროტესტანტული მოღვაწეობა ევროპაში, რა თქმა უნდა, ამინდს ვერ შექმნიდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნიკო ნიკოლაძის პატრიოტული ორგანიზაცია „ულელი"-ს და მისი წევრების ხანმოკლე საქმიანობა ევროპულ ემიგრაციაში, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი არ მიუღია და უფრო კულტურულ-ეროვნული ჩარჩოებით იფარგლებოდა.

XIX ს-ის 80-90-იან წლებში ევროპულ ემიგრაციაში ენერგიულად მოღვაწეობდა ცნობილი პატრიოტი, ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. მისი წერილები საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ იბეჭდებოდა დასავლეთ ევროპის სოციალისტური და დემოკრატიული მიმართულების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გამოდიოდა ბროშურებად. ქართული საკითხის ამგვარი პოპულარიზაცია და პროპაგანდა ჰქონდა მხედველობაში არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც წერდა, რომ მძიმე საცენზურო პირობების გამო, საქართველოში შეუძლებელი იყო ეროვნული პრობლემების შესახებ წერა და შენიშნავდა: „ისევ საზღვარ-გარეთ, ინგლისურ პრესაში თუ იწერებოდა განმარტოებულ და გარიყულ ემიგრანტ ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ."[1]

ევროპული საზოგადოების წინაშე ქართველი ხალხის პოლიტიკური თავისუფლების საკითხის დასმის თვალსაზრისით, ეტაპი შექმნეს სოციალისტ-ფედერალისტებმა. 1903 წლის პირველ მაისს პარიზში გამოვიდა ქართული თავისუფალი გაზეთი „საქართველო“, რომელმაც პოლიტიკურ ლოზუნგად პირველად წამოაყენა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა. იმავდროულად გამოიცა გაზეთის ფრანგული დამატება „La Géorgie“. მასში ქართულიდან თარგმნილ მასალებთან ერთად იბეჭდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთ-ევროპელ პოლიტიკურ მოღვაწეთა წერილები, რომელნიც მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას. ფრანგული დამატების რედაქტორი იყო ქ-ნი რენო.

ევროპელები ქართულ-ფრანგული გაზეთების გამოცემას და საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას თანაგრძნობით გამოეხმაურნენ.

პიერ კიაროლ ფრანგულ გაზეთ „ეროპენ“-ში გამოაქვეყნა წერილი „ცარიზმი და საქართველო“.

სახელგანთქმული დანიელი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე გეორგ ბრანდესი, წერილში „ქართველი ერი“, ევროპელთა გასაგონად წერდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარმა მოტყუებით და ძალით ჩაიგდო ხელში საქართველო.

შესანიშნავი ფრანგი გეოგრაფი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე ელიზე რეკლიუ „საქართველოს“ რედაქციას სწერდა: „დიდი ხანი გავიდა უკვე, რაც ერთმა თქვენმა თანამემამულემ და ჩემმა მეგობარმა გამაცნო ქართველი ხალხის მდგომარეობა... ყოველ ღონისძიებას ვიხმარ და ჩემს ხმას თქვენს პროტესტს შემოვუერთებ“. ე. რეკლიუ „თავის მეგობარში“ გულისხმობდა ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელთან ერთადაც იგი საერთაშორისო ანარქიზმის ერთ-ერთ თავკაცად ითვლებოდა.

„საქართველოს“ წამოყენებულ ეროვნულ-პოლიტიკურ მოთხოვნებს თანაგრძნობით გამოეხმაურნენ: საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი ანტიდ ბოერი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ანატოლი ლერუა-ბოლიე, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი იორკ პაუელი, ინგლისური გაზეთი „თაიმსი“.

„საქართველოს“ დიდი დამსახურება იყო, რომ მან პირველად გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი.[2] სამწუხაროდ, ქართული პროტესტის ხმა ევროპის მოწინავე საზოგადოებრიობის მხოლოდ ერთ ნაწილს მისწვდა და მისი „თანაგრძნობით“ შემოიფარგლა.

1907 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილის ინიციატივით, ჰააგაში საერთაშორისო კონფერენციას წარედგინა საქართველოს პეტიცია სახელწოდებით: „ქართველი ხალხის პეტიცია მსოფლიოს ცივილიზებულ სახელმწიფოებს, შეკრებილთ კონფერენციაზე ჰააგაში“ (შედგენილი ფრანგულ ენაზე).[3]

პეტიციაში მოყვანილი იყო რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულებისა და რუსეთის იმპერატორის პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტის ძირითადი პარაგრაფების ტექსტი. „ერეკლე II-ის ხელშეკრულება გულისხმობდა საქართველოზე რუსეთის პროტექტორატს მხოლოდ, გიორგი XII-ის სათხოვარი მუხლები კი მართალია საქართველოს უერთებდნენ რუსეთს, მაგრამ სრული ავტონომიის საფუძველზედ. საქართველოს უნდა ჰქონოდა თავისი ფული, სასამართლო, თავისი სისტემა. სამხედრო ბეგარისა ეროვნული შეიარაღების სახით (Nationе armée) და ავტოკეფალური ეკლესია... ყველა ამის თავმდებად იყო მანიფესტი „ჩვენის იმპერატორებითი სიტყვით“. პეტიცია ამტკიცებდა, თუ როგორ თანდათანობით რუსის მთავრობამ დაარღვია ხელშეკრულების ყველა მუხლი: გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია, ჩამოართვა მას ქონება, გამოდევნა ქართული ენა ეკლესიიდან, ძალით შემოიღო რუსის ფული, მიითვისა ერის მიწები, ტყეები და მინერალური სიმდიდრენი, მოსპო სასამართლო ქართულ ენაზე, გამოდევნა დედაენა სახალხო სკოლებიდანაც კი. და ბოლოს, შემოიღო სავაალდებულო სამხედრო ბეგარა და ჩვენი ახალგაზრდობა ჩრდილოეთში გარეკა, სადაც დიდი ნაწილი ამ ახალგაზრდებისა სასტიკი პავის გამო იღუპებოდა“.[4] პეტიცია სრულდებოდა იმ სისასტიკისა და ძალმომრეობის მოკლე მიმოხილვით, რომელსაც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება ახორციელებდა ეკონომიკურად განადგურებულ და პოლიტიკურად უფლებააყრილ საქართველოზე.

როდესაც იმჟამინდელ საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს ვეხებით, მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის პატრიოტ ქართველთა საზღვარგარეთულ ორგანიზაციას სახელწოდებით — „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელიც დაარსდა შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში, მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს. მისი პირველი წევრები იყვნენ: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი. კომიტეტს თავმჯდომარეობდა პეტრე სურგულაძე, წევრი იმ დამოუკიდებლობის ჯგუფისა, რომელიც არსებობდა საქართველოში 1909-1910 წლებში და რომელშიც შედიოდნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვანი.

1910 წელს, იმის გამო, რომ ქართველი ნაციონალისტები დიდ დევნას განიცდიდნენ, პეტრე სურგულაძე გადასახლდა ჟენევაში და ძმებ კერესელიძეებთან ერთად დაარსა გაზეთი სახელწოდებით „თავისუფალი საქართველო". ჟენევის ჯგუფს აქტიური შემოქმედებითი და პოლიტიკური მოღვაწეობით ჯერ ლონდონიდან, ხოლო მოგვიანებით ჰაიდელბერგიდან დაუკავშირდა მიხეილ წერეთელი და გერმანიასა და ბელგიაში მოღვაწე გიორგი მაჩაბელი.

მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჟენევის დამოუკიდებლობის კომიტეტი დაუკავშირდა გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლობას და კომიტეტის საქმიანობის მთელი შინაარსი დაამტკიცა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის.

ქართული საქმის მთავარი მწარმოებელნი ოფიციალური გერმანიის მხრიდან იყვნენ: რუდოლფ ნადოლნი და ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკი.

აღსანიშნავია, რომ ბერლინში ამ დროს მოღვაწეობდა მრავალი კომიტეტი არა მარტო რუსეთის, არამედ ანტანტის მიერ უფლებააყრილ ყველა ერისა. სახელდობრ: აქ იყვნენ პოლონელები (პილსუდსკის ლეგიონი) და მათი კომიტეტის თავმჯდომარე ლემპინსკი; ფინელებისა, რომელთა კომიტეტი სტოკჰოლმში

არსებობდა, ხოლო განყოფილება — ბერლინში. კომიტეტს თავმჯდომარეობდა ევროპაში დიდად ცნობილი მოღვაწე კონი ცილიაკუსი, რომელთანაც ქართველთა მხრიდან მეგობრობდა და აქტიურად თანამშრომლობდა გიორგი დეკანოზიშვილი; არსებობდა აგრეთვე უკრაინელთა და ბელორუსთა კომიტეტები; აზერბაიჯანელები და მთიელები მუშაობდნენ ქართულ კომიტეტთან ერთად.

1916 წელს ლოზანაში „ერთა კავშირის" სახელწოდებით გაიმართა მესამე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად და თავიანთ ეროვნულ მოთხოვნილებათა გასაცხადებლად სხვა ზემოაღნიშნულ კომიტეტებთან ერთად წარსდგა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტიც. განსაკუთრებული შთაბეჭდილება კონგრესზე მოახდინა მიხეილ წერეთლის სიტყვამ, რომელმაც დოკუმენტურად გააცნო შეკრებილთ: „რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილნი დანაშაულებანი ვახტანგ მეექვსედან დაწყებული უკანასკნელ დღემდე; საქართველოს მრავალჯერ განადგურება თურქთა და სპარსთა მიერ რუსეთის პროვოკაციის და მოტყუების შედეგად; ერეკლე მეფისა და ეკატერინე მეორეს 1783 წელს შეკრული ტრაქტატის დარღვევა რუსეთის მიერ; აქაც მოტყუება და მით გამოწვეული განადგურება საქართველოსი აღა-მაჰმად-ხანის მიერ და შემდეგ სრული მოსპობა საქართველოს სახელმწიფოსი, მისი დინასტიისა, ეკლესიისა და ყველა ეროვნულ დაწესებულებათა; ქართველთა აჯანყებანი და სისხლში ჩახრჩობა ამ აჯანყებათა გამხეცებული რუსის ჯარების მიერ და ბოლოს გარუსების პოლიტიკა და დევნა ქართული ეროვნებისა მთელი 116 წლის განმავლობაში"[5] და სხვა.

1917 წლის დასაწყისში სოციალისტურმა ინტერნაციონალმა დაგეგმა კონგრესის მოწვევა სტოკჰოლმში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები შეიკრიბნენ, კონგრესი არ შედგა. მაგრამ ამ პოლიტიკურ აქციას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია, ვინაიდან შეკრებილებმა მაინც ითათბირეს და შეხვედრის შესახებ ცალკე წიგნიც კი გამოსცეს. მიხეილ წერეთელი და გიორგი მაჩაბელი ამ დროს სტოკჰოლმში იყვნენ და მიუხედავად მათი არასოცია-

ლისტური პარტიული კუთვნილებისა, კონგრესს წარუდგნენ სათანადო მოხსენებით საქართველოს შესახებ. მემორანდუმის გადაცემისას ბელგიელმა ჰიუსმანსმა ჰკითხა მიხეილ წერეთელს: რომელი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი ბრძანდებითო? მ. წერეთელმა უპასუხა: არც სოციალ-დემოკრატი გახლავართ, არც სოციალისტ-ფედერალისტი, მაგრამ რადგანაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს და ფედერალისტებს არ შეუძლიათ აქ წარმომადგენლები გამოგზავნონ, ამიტომ მე, ქართველმა ნაციონალისტმა დავწერე ეს მოხსენება ქართული საკითხის შესახებ და გაახლებთ გამოსაქვეყნებლად, თუ ინებებთო. ჰიუსმანსმა გულიანად გაიცინა და უპასუხა: ამას მნიშვნელობა არა აქვს, თავი და ბოლო მემორანდუმია, სადაც თქვენი საკითხია გაშუქებული და ამას სიამოვნებით დავბეჭდავო. და მართლაც, მის მიერ გამოცემულ წიგნში ეს მემორანდუმი სრულიად უც-ვლელად არის დაბეჭდილი".[6]

შემდგომ ამისა იგივე მიხეილ წერეთელი წარუდგა გერმანელ სოციალ-დემოკრატთა დელეგაციას მოხსენებით საქართველოს შესახებ. დელეგაციის თავმჯდომარე ებერტი თავის მხრივ დახმარებას შეჰპირდა ქართველებს და ეს დანაპირები მან მართლაც პირნათლად შეასრულა მაშინ, როდესაც გერმანიაში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი იხილებოდა.

1917 წელს თებერვლის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაემხო და საქართველო გათავისუფლდა რუსეთის 117-წლიანი ბატონობისაგან და 1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიები დამოუკიდებლობა.

სწორედ 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს თაოსნობით და საგანგებო პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

და პირველი დემოკრატიული მთავრობა იმთავითვე იწყებს დიპლომატიურ სვლებს მსოფლიოს, უპირველესად, ევროპის ქვეყნებში, ანუ რეალურ ზრუნვას დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო ფაქტობრივი და იურიდიული აღიარების მისაღწევად...

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება მძიმედ, მაგრამ მაინც

ხდებოდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი, უდავოდ, რუსეთის დამოკიდებულების განსაზღვრა იძენდა.

და 1920 წლის 7 მაისს საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დამოუკიდებელ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

ბოლშევიკურმა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტო და დე-იურე. და ხელშეკრულების განსაკუთრებული მუხლებით უარი თქვა რუსეთის ყველა უფლებაზე საქართველოს მიმართ იმ პოლიტიკური პირობის ხაზგასმითაც, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებში. რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება და ელჩების გაცვლა ორ ქვეყანას შორის. იმავე წლის 14 ნოემბერს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელი მოეწერა კიდევ ერთ ხელშეკრულებას — „სატრანზიტო და სავაჭრო ურთიერთობების" შესახებ.

ეს ურთიერთობები ევროპის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. სწორედ ამ ვითარების გამო, 1920 წლის დეკემბერს, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს — გიორგი ჩიჩერინს საგანგებო ოფიციალური წერილით მიმართავს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, რაზეც მას ჩიჩერინი ტელეგრამით შემდეგი შინაარსის პასუხს ატყობინებს: „რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა... რუსეთის მთელი პოლიტიკა ხორციელდება პატარა ერების თვითგამორკვევის სასარგებლოდ და არავითარი საკითხი არ დასმულა საქართველოს მიმართ, გარდა ბათუმისა, რომლის ძალით დაპყრობა არ უნდა მოხდეს. საბჭოთა რუსეთს არ დაუწყია და არც დაიწყებს სამხედრო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის ოკუპაციის ან სხვა მხრივ".[7]

ასეთი იყო ბოლშევიკური რუსეთის საერთაშორისო დაპირება საქართველოს მიმართ 1920 წლის 3 დეკემბერს, ანუ შეიარაღებული აგრესიის დაწყებამდე თითქმის ორიოდე თვით ადრე.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვეული რუსული ჟესტით, ანუ რუსული ტრადიციულობით ცალმხრივად დაირღვა აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებანიც და საჯარო ვალდებულებანიც. და-

ირღვა ყველაზე მაქსიმალისტური გამოხატულებით — შეიარაღებული აგრესიის გზით (1921 წლის თებერვალ-მარტის რუსეთ-საქართველოს ომი) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობით, მთელი ტერიტორიის ოკუპაციითა და ანექსიით.

ამით დასრულდა კიდეც რუსეთის მეორედ შემოსვლა კავკასიაში და საქართველო კვლავ რუსული ჩექმის ქვეშ მოექცა...

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეროვნული თავისუფლება ა მ ჯ ე რ ა დ ბოლშევიკურმა რუსეთმა წარიტაცა.

თავისუფლებასთან ერთად წარიტაცა ქართული მიწები და გულუხვად გააბოძა მარჯვნივ და მარცხნივ.

ქრისტიან მართლმადიდებელ ერს დაუნგრია და დაულეწა ეკლესია-მონასტრები და მ ი ს ე ბ რ შეურყვნა რწმენა და საუკუნის უამრავი დანაშაული ჩაიდინა.

და ასე, ათეული წლებით ჩამოაშორა საქართველო ევროპასაც და, საერთოდ, ამოაგდო ცივილიზებული ისტორიის მსვლელობიდან.

საქართველოსთვის, კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ), თითქოს დრო გაჩერდა...

ახლა ქართველთა ისტორიის ამ მონაკვეთს გთავაზობთ გასაცნობადაც და განსასჯელადაც.

ნესტან კირთაძე
29 მარტი 1997 წლისა
დედაქალაქი

Introduction

It was the Georgians' fate to be perched at the junction of Europe and Asia, and therefore to endure numerous raids and onslaughts.

Georgia was the vanguard of cultural and political life in Roman-Byzantine Europe until 1453. After the fall of Constantinople, however, the natural road connecting the country with Europe was blocked. Since then, Georgian Kings, politicians and public figures have constantly aspired to reviving relations with the European civilisation. The 20th Century Georgian writer Grigol Robakidze expressed the feelings and thoughts accumulated by his ancestors throughout the centuries in a condensed way, when in September, 1920, he addressed the European Delegation, visiting Georgia: "It is for two thousand years that the Georgians have been longing for your return".

Before then, Georgia, cut off from Western Civilisation, surrounded by Asian barbarity and religious fanaticism, disillusioned by Europe, appealed to Russia for help. These efforts were concluded in 1783 by signing a treaty between the Empress Ekaterina of Russia and Georgian King Erekle II; this was the starting point of a new series of crucial events in Georgia's history.

Eighteen years later, Russia rudely violated the Treaty which had outlined complete independence for a small country as a protectorate, joining it to the Russian Empire. This treach

erous act put an end to independence and sovereign statehood of Georgia for almost 117 years.

Throughout the entire 19th century, few people in Europe knew that Georgia was occupied by and subject to Russia. The Russian Empire spread the idea of "voluntary" union of Georgia with Russia among the community and in the international political and diplomatic circles. The Russian bureaucracy insisted on implementing this idea in Europe, Russia and Georgia.

The authorities of the Empire tried their best to see that Europe would know nothing about the fight for national and political independence underway in Georgia.

The previous century finished, but the wish of the Georgian people to be politically independent failed to spill beyond its borders. A mere handful of Georgian emigrants and their national-Protestant activities in Europe could hardly set the standard. We imply here the patriotic organisation "Ugely" (Yoke), founded by Niko Nikoladze and brief-time activities of the members of this group in European emigration. It was not of political, but more of cultural character, limited by narrow national interests.

In the 1880s and 90s, Varlam Cherkezishvili, a well-known patriot and anarchist, was most active in the European emigration. His letters on the national and political situation in Georgia were published in the socialist and democratic journals and newspapers of Western Europe; they came out as booklets as well. It was in view of this sort of popularisation and propaganda of the Georgian problem that Archil Jorjadze wrote his articles, asserting that due to censorship difficulties, it was impossible to write about national issues in Georgia, that *"It was only abroad, in the English press that as a lone hermit, he dared to write and publish something".*

Regarding the exposure of the question of political freedom of the Georgian people to the European community, the Social-Federalists took an important step forward. On May 1,1903, a free Georgian newspaper "Sakartvelo" ("Georgia") was published in Paris. It was this newspaper that first called

for restoring the Georgian statehood in the form of a National-Territorial Autonomy, this demand being of a political motto character. At the same time, a French supplement copy of the newspaper under the title of "La Georgie" was published. Along with the materials translated from Georgian, it contained the articles of French and West-European politicians. They expressed their support and solidarity to the fight of the Georgian people for their national and political independence. Mrs. Renault was the editor of the French supplement.

The Europeans sympathised with the fight of the Georgian people for political freedom and the publishing the Georgian-French newspapers was well received.

Pierre Ciarrot published his article "Tsarism and Georgia" in the French newspaper "Europeen".

The well-known Danish expert in criticism and literary studies, George Brandes in his article *The Georgian Nation* wrote for the whole of Europe to know that the Russian Imperial Court annexed Georgia by deceit and treachery.

The famous French geographer, politician, and scholar Elisee Reclus wrote to the editorial staff of *Sakartvelo*, "It has been long since one of your compatriots and a friend of mine acquainted me with the situation the Georgian people were in... I will try to do all within my power to join you in your protest". Reclus had Varlam Cherkezishvili on his mind when he spoke of " a friend of mine". Together with him he was considered to be one of the leaders of international anarchism.

The national-political demands of "Sakartvelo" were supported by a French MP Antide Bohier, a member of Academy of France Anatole Leroi-Bolier, a professor of Oxford University York Howell and by the "Times" newspaper.

Sakartvelo largely contributed to spreading news of the problems of Georgian national independence throughout Europe. Unfortunately, the protest of the Georgians reached only a part of the leading European community and recieved only their "sympathy".

In 1907, Varlam Cherkezishvili initiated the submitting of Georgia's petition titled "The Petition of the Georgian People to the Hague Conference of the Civilised States of the World" to the Hague International Conference (Compiled in French).

The Petition contained the text of the major paragraphs from the January 18, 1801 Manifesto of the Russian Emperor Pavel I, and of the Russia-Georgia agreement of 1783. "The agreement signed by Erekle II implied only Russia's protectorate over Georgia; the appeal of Giorgi XII joined Georgia to Russia, but only on the basis of full autonomy. Georgia preserved the right of maintaining its own currency, judiciary, its own system of military duties in the form of a national army and the Autochepalic Church. All this was promised under the firm guarantee of "The Emperor's *Word of Honor*". The Petition illustrated how the Russian government gradually violated all the clauses of the agreement, depriving the Church of Georgia of its autochepaly, appropriating its property, banning the Georgian language from the Church, forcibly introducing Russian money, appropriating the land, forests, and mineral resources of Georgia, refusing to allow the Georgian language in court proceedings and in public schools, and finally, imposing compulsory military service and deploying our young people to the North, where due to the bitter climate, the major part of them died".

The Petition ended in brief review of brutality and violence exercised in economically devastated Georgia, which was deprived of all political rights by the Russian Imperial authorities.

Dealing with the problem of Georgia's independence within the framework of international policy of that time, a scientist could not ignore the organisation of Georgian patriots abroad, under the name of "The Committee for Georgia's Independence", founded in Geneva, Switzerland, in 1914, just before the beginning of World War I. The first members were Petre Surguladze, Leo and Giorgi Kereselidze and Nestor Magalashvili. Surguladze was the Chairman of the Committee who was also a member of the Independence Group, functioning in Georgia in 1909-1910. Jakob Gogebashvili, Philipe

Gogichaishvili, Svimon Kipiani, Alexandre Kipshidze, Mikheil Tsereteli, Giorgi Gvazava, Valerian Gunia, Niko Lordkipanidze and others were involved as members of this Group.

In 1910, in the course of persecution of the Georgian Nationalists, Petre Surguladze left for Geneva, and there, together with the Kereselidze brothers founded a newspaper "Tavisupali Sakartvelo" ("Free Georgia"). Mikheil Tsereteli joined the Group after active political and creative work in London and in Heidelberg, and Giorgi Machabeli who had worked in Germany and Belgium joined them later.

At the beginning of World War I, the Geneva Committee of Independence established relations with the political representation of Germany and gained the approval of the entire plan of Committee activities at the Ministry of Foreign Affairs of Germany, where a bilateral agreement between the German government and the Georgian Committee was concluded.

The main official representatives of Germany, supervising the Georgian question were Rudolph Nadoln and Otto Gunter von Vetsendonk.

It should be noted that at that time in Berlin, there functioned several Committees representing suppressed nations who had been deprived of their rights not only by Russia but by the Antanta Union as well, namely, the Poles (Pilsudski Legion) with the Chairman of their Committee Lempinski; the Finns, with the Committee operating in Stockholm and a branch in Berlin. Their Committee was chaired by a well-known public figure in Europe Koni Tsiliakus, whose friend and active supporter was Giorgi Dekanozishvili; the Ukrainian and Belorussian Committees also functioned in Berlin; the Committees of the Azerbaijanians and Mountainous People worked in close collaboration with the Georgian Committee.

The Third International Congress, - "The Union of Nations" was held in 1916 in Lozanne. The "Committee of Georgia's Independence" participated in the work of the Congress and together with the other committees, submitted its own demands to the Congress. The speech delivered by Mikhail

Tsereteli had a special impact on the participants. In his report he touched upon documentary evidence "of the crimes committed by Russia against Georgia starting from King Vakhtang VI times coming down to the current period". He mentioned numerous destructive raids of the Turks and the Persians provoked by Russia, drawing attention to the violation of the 1783 agreement signed by King Erekle II and Ekaterina II of Russia. Again, treachery was involved which brought about Aga Mohammed-Khan's devastating raid in Georgia, which resulted in the total destruction of Georgia's statehood, the fall of its royal dynasty, the ruining of the Church and in fact, elimination of all national institutions. He recalled numerous revolts of the Georgians, which had been brutally suppressed by the Russian army. He tried to outline the entire story of a 116-year policy of Russification and persecution of the Georgian Nation, touching upon many other tragic facts of Georgia's recent history.

In the beginning of 1917, *Socialist International* planned a Congress in Stockholm. Delegates from many countries gathered there, but the Congress failed to actually do any work. Nevertheless, this political act yielded certain results, for the participants had a chance for personal meetings and in the course of these gatherings they came to certain conclusions, which later were published in a book. Mikhail Tsereteli and Giorgi Machabeli were in Stockholm at that time and though they did not belong to the Socialist Party, they delivered speeches concerning Georgia. While handing a memorandum, Mikhail Tsereteli was asked by a Belgian delegate, Hugsmans, "Which Socialist Party do you belong to?" Tsereteli answered, "I am neither a Social-Democrat nor a Social-Federalist, but as the Georgian Social-Democrats and Federalists were not in position of sending their representatives here, I, a Georgian Nationalist prepared the report on the Georgian problem and I am ready to deliver it to you for publication, if you will." Hugsmans laughed and responded: "Your party belonging does not matter whatsoever; it is the Memorandum that matters, for it covers your problem and I am going to publish it for sure!" He kept his promise and published the complete text of the memorandum in the book.

Later, it was Mikheil Tsereteli again who delivered a report on Georgia to the delegation of German Social-Democrats. The Chairman of the delegation, - Ebert promised support and assistance to Georgia and he honestly fulfilled his promise, when the question of recognition of Georgia's independence was discussed in Germany.

After the 1917 February revolution, the Russian Empire collapsed and Georgia was set free from its 117-year-long domination. On May 26, 1918 State Independence of Georgia was restored.

It was just on May 26, 1918, that Georgia's independence was declared through the initiative of the National Council of Georgia on the basis of a special political and legislative Act. Thus Georgia politically became a democratic country with "all sovereign rights" enjoying "full-scale independence".

Together with other vitally important principles, the Act of Independence declared the following: "In an international war situation Georgia shall be a permanent neutral country" and "The Democratic Republic of Georgia is willing to establish good-neighbourly relations with the world community, especially with the states and nations bordering it"; and the first democratic government began to make diplomatic steps towards the world and especially in the direction of European countries, thus starting a real action for *de facto* and *de jure* recognition of Georgia's independence.

International recognition of the Georgian Democratic Republic proceeded with certain difficulties; it is no surprise that special attention was attached to forming relations with Russia.

Finally, on May 7, 1920, Georgia and Russia signed an agreement between independent Georgia and Soviet Russia.

Bolshevik Russia both *de facto* and *de jure* recognized independence of Georgia and in special clauses of the agreement considered all the rights on Georgia null and void, especially emphasising the provision of non-interference in home, as

well as foreign affairs of Georgia. This act naturally was followed by establishing diplomatic relations and the exchange of ambassadors between the two countries. On November 14 of the same year, one more agreement was concluded between Georgia and Soviet Russia on "Transit and Trade relations".

The relations sparked special attention in Europe. In December of 1920, the Minister of Foreign Affairs of Great Britain, Lord Carson, sent a special official letter to G.Chicherin, Commissar of Foreign Affairs of Soviet Russia. Chicherin responded by telegram: "Russia has recognized the independence of Georgia. Russia will develop a foreign policy in favour of self-determination of minor nations and no question has been put forward before Georgia, except that of Batumi, which should by no means be occupied by force. Soviet Russia has never initiated military activities against Georgia and is not planning any in future, neither concerning Batumi nor any other place."

Such was the international promise of Bolshevik Russia to Georgia on December 3, 1920, i.e. two months before commencing armed aggression.

As it was expected, Russia in its traditional way unilaterally denounced the treaty mentioned above along with other public obligations. This violation was manifested in the maximalist form, through military aggression followed by overthrowing of the democratic government of Georgia and occupying and annexing the entire territory of the country (Russian-Georgian War of February-March, 1921).

Thus, the second coming of Russia to the Caucasus was completed and Georgia once more was forcibly subdued by the alien regime.

This time Georgia's state independence and national liberty was trampled down by Bolshevik Russia.

Along with its freedom, Georgia was deprived of its land too, which was plundered ruthlessly by the invaders.

Russia destroyed churches and monasteries of this devoted orthodox nation, committing numberless atrocities and corruptions.

Thus Georgia was purposely cut from Europe for many decades, isolated from a natural course of history.

Time has once again stopped for Georgia...

Now, we are presenting this crucial period of history of Georgia to your judgement and consideration.

NESTAN KIRTADZE

March 29, 1997
Tbilisi, Capital of Georgia

თავი პირველი

დამოუკიდებელი საქართველოს ბრძოლა საერთაშორისო აღიარებისათვის

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს თაოსნობით და საგანგებო პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტით გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაც თავისი კანონიერი დასტური მისცა 1919 წლის 19 მარტს საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით მოსულმა უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ — დამფუძნებელმა კრებამ.

ამ აქტით საყოველთაოდ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ანუ, პოლიტიკური ფორმით — დემოკრატიული, შინაარსით კი — „სუვერენულ უფლებათა მატარებელი“ და „სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო.“

დამოუკიდებლობის აქტის სხვა უმნიშვნელოვანეს პრინციპებთან ერთად გაცხადდა შემდეგიც: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“; „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.“

თუ როგორ განხორციელდა დამოუკიდებელი საქართველოს აწ უკვე საყოველთაოდ აღიარებული ეს პრინციპები, ცხადია, ამ მონოგრაფიის მთავარი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. სწორედ რომ ერთ-ერთი, რადგან ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ეს საკითხი იმდენად რთულია და ტევადი, რომ ამას არა ერთი და ორი შრომა მიეძღვნება უდავოდ, თანაც, უცილობლივ, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით და გათვალისწინებით. ამჯერად კი მხოლოდ არსებულის, ანუ ჩვენთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტების მიხედვით და, ვფიქრობთ, ზოგად შტრიხებში წარმოგიდგინოთ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ურთულესი ნაბიჯები საერთაშორისო აღიარების, ანუ სახელმწიფოებ-

რივი სუვერენიტეტის განმტკიცების გარანტიის მიღწევის უმძიმეს გზაზე.*

და საუბარი მაინც იმით უნდა დავიწყოთ, რომ მსოფლიო დიდი ომი, მიუხედავად მრავალ ხელშეკრულებათა დადებისა, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. დამარცხებულ ქვეყნებში დაწყებული რევოლუციური მოძრაობები კი, რომელიც ზოგან სამოქალაქო ომით სრულდებოდა (რუსეთი), კიდევ უფრო აფერხებდა საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას, რაც, თავისთავად ცხადია, მძიმე გაულენას ახდენდა დამოუკიდებელი საქართველოს მომავალზეც, სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ ომის საშიშროება არამცთუ შორდებოდა, არამედ კიდევ უფრო უახლოვდებოდა მას. და ასე, დიდ სახელმწიფოთა ურთიერთქიშპობით და ინტერესთა წინააღმდეგობებით, უკვე დამოუკიდებლად გამოცხადებული საქართველოს ტერიტორია მონაცვლეობით ხდებოდა ფარული თუ ღია პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებების ასპარეზი. ასე ერთმანეთს ენაცვლებოდა გერმანიის, ინგლისის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ოსმალეთის და რუსეთის ინტერესები საქართველოზე.

1919 წელი იდგა და მართალია აწ დამოუკიდებელი, მაგრამ მაინც ყოველის მხრივ ომის ჩრდილით იყო გარშეგარშემორტყმული საქართველო, რის გამოც მთავრობა საგანგებო მოხსენებით წარსდგება კიდეც დამფუძნებელი კრების წინაშე და მსჯელობის საგნად აქცევს, ამ თვალსაზრისით, ქვეყნის მომავალს. და ყველა ორატორის, ყველა მიმართულების პარტიის ლიდერის გამოსვლებში ხაზგასმულ იქნება ერთი, რომ „დღევანდელი მდგომარეობა

* ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი ღვაწლი დასდო პროფესორმა ილია ტაბაღუამ, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უაღრესად საინტერესო და ქართველ მკვლევართათვის მანამდე ხელმიუწვდომელი არა ერთი ბიბლიოთეკა და არქივ-საცავი შეისწავლა. მოიძია უმდიდრესი დოკუმენტური მასალა, რომელიც თარგმნა და მეცნიერული ნარკვევების სახით, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ფართოდ გააცნო მკითხველს სხვადასხვა საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციებით. რამაც, ერთის მხრივ, შეავსო ჩვენი ისტორიის თეთრი ლაქები და, რაც მთავარია, ჩვენი თაობის ისტორიკოსებისათვის, უდავოდ, დიდი შესაძლებლობა შექმნა, უფრო გაბედულად და სრულყოფილად შეგვესწავლა მოხსენიებული პრობლემა. (ნ.კ.)

ჩვენი ქვეყნისა განსაკუთრებით მწვავე არის და, შეიძლება, ხიფათითაც სავსე. სწორედ ბუნებრივად არის დამფუძნებელ კრების და მთელი ქართველი ხალხის აზრი და გონება ამ გარემოებით მოცული და ჩაფიქრებული. ეს მომენტი უცბად და ერთბაშად არ ჩამოშვებულა ზეციდან, იგი ხანგრძლივად იკვანძებოდა, ერთის მხრივ, ჩვენი მთავრობის პოლიტიკის მიმართულებით, და მეორეს მხრივ, საერთაშორისო მიმდინარეობით. ამ ორი ძალის შეწყობა თუ შეუწყობლობა, ბოლოს ჰქმნის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. ამიტომაც, თუ ჩვენ გვსურს მდგომარეობის შეგნება, მდგომარეობის გაგება და სამერმისოდ სწორი გზის აღება, რომ დღევანდელი ვითარება კვლავ არ განმეორდეს, ჩვენ გვმართებს, გარეშე რევოლუციური ფრაზებისა, და მეტ შემთხვევაში, არა საჭირო მუქარისა, — უფრო ჩაფიქრებული და სწორი ანალიზი შინაურ და გარემომცველ მოვლენებისა. მე ვფიქრობ, მიუდგომელი ანალიზი ჩვენი მდგომარეობისა, ჩვენი საკუთარი ძალისა, ჩვენი საკუთარი პოლიტიკისა ერთის მხრივ, და მეორეს მხრით გაგება იმ ხალხთა და სახელმწიფოთა ნამდვილი სულისკვეთებისა და პოლიტიკისა, რომლებიც დღეს თითქმის მთელ ქვეყნიერებას განაგებენ, მოგვცემდა იმის შეგნებას, თუ რას უნდა ვშვრებოდეთ და რას არა. და ეს ორი მხარე ჩვენი დღევანდელი მომენტის შემქმნელი, არ არის თქვენ მიერ წესიერად აწონილი."[1] — იტყვის საგანგებოდ მოწვეულ დამფუძნებელ კრებაზე ეროვნულ-დემოკრატი სპირიდონ კედია.

აქ არის მთავარი საკითხი იმისა, უნდა იარსებოს დემოკრატიულმა საქართველომ, თუ ის უნდა გახდეს უბრალო კოლონია რომელიმე დიდი სახელმწიფოსი?! — არცთუ მთლად რიტორიკულად იკითხავს პოლიტიკოსთა იმავე თაყვრილობაზე სოციალ-დემოკრატი რაჟდენ არსენიძე.

იმავ პერიოდში, სათანადო მოწოდებით ქართველი ხალხისადმი, მთავრობა წამოჭრის და შემდგომ ენერგიულად შეუდგება თავდაცვის ფონდის შექმნის საკითხს.[2] მაგრამ ეს თითქოს თვითდაზღვევა იყო მოახლოებული ომის აჩრდილის მოსახსნელად, თუ მოსაგერიებლად, თორემ საქართველოს სუვერენიტეტის გარანტიის მიღწევა მხოლოდ ფონდების შექმნის, იარაღის შეძენის და მის ხელთ იმჟამად არსებულ

ტერიტორიებზე ჯავშნიანი ბადის შემოქსოვაც კი რომ ვერაფერს უშველიდა, კარგად უწყოდა, როგორც იტყვიან, საქმეში, ანუ მსოფლიო დიდი პოლიტიკის ლაბირინთებში ასე თუ ისე ჩახედულმა ქართველობამ და ახლა სწორედ იმ გზებს ეძებდა, რას გადაწყვეტდნენ მოკავშირეები, ანუ ვის მანდატს აიღებდა კავკასია, ამიერკავკასია და საკუთრივ საქართველოც, მათ შორის.

და ევროპაში, ფრანგულ ჟურნალ „La Revue de Paris"-ში მწიფობისთვის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი წერილი, მთელს ევროპაში კარგად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილისა, ანუ ხმა მაღალი საქართველოსი. წერილი სახელწოდებით – „საქართველო, მისი წარსული და მისი პოლიტიკური უფლებები".

და მიმართავდა ევროპას ჩერქეზიშვილი: „უცხოეთის დელეგატთა შორის, რომელნიც პარიზში იმყოფებიან, არის საქართველოს დელეგაციაც. ეს დელეგაცია გამოგზავნილ იქმნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, რათა დაიცვას კონფერენციის წინაშე საქართველოს უფლება. აღიარებულ იქმნას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მიღებული ერთა საზოგადოებაში. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საქართველოს აქვს უდავო უფლება იყოს დამოუკიდებელი, რადგან შეუერთდა რა რუსეთს თავისუფლად, პროტექტორატის ხელშეკრულებით, ის იძულებული გახდა, და როდესაც რუსეთის იმპერია დაინგრა, აღიდგინა თავისი განკერძოებული არსებობაც.

ამ ერთი წლის თავისუფალი არსებობის განმავლობაში, საქართველოს რესპუბლიკამ თავისი კონსტიტუციით, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მოწყობით, აშკარად დაანახვა მთელს ქვეყნიერებას, რომ ის ღირსია მიღებულ იქმნას განათლებულ და დემოკრატიულ ერთა დიდი ოჯახის წევრად... დღევანდელი თაობა განათლებული კაცობრიობისა საქართველოს ცნობს, როგორც რუსეთის იმპერიის ერთ პროვინციას..."[3] – და შემდგომ ამისა მოკლედ, მაგრამ მეტად მკაფიოდ აღუწერს ევროპას საქართველოს პოლიტიკისა და კულტურის ისტორიას და აღნიშნავს რა, გააფთრებული ბრძოლის მთელს ეპოპეას არსებობისათვის, დაკარგული სამშობლოს სუვერენობის

მოსაპოვებლად, ვარლამ ჩერქეზიშვილი სამართლიანად დაასკვნის: „კანონიერი და სამართლიანი იქნება, 1919 წელს, ევროპამ გაიგონოს, თუ რა დიდი სამსახური გაუწია საქართველომ ევროპას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, როცა მან მსხვერპლად შესწირა საუკეთესო შვილები დასავლეთის ცივილიზაციის დასაცველად... არაფერს ვამბობ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ (სამრეწველო და სავაჭრო წრეებმა ეს კარგად იციან). ამ სიმდიდრეთა გასავითარებლად საქართველო საჭიროებს უფრო დაწინაურებულ ქვეყანათა თანამშრომლობას, მაგრამ რომ ეს შესძლოს... საჭიროა ყოველ უწინარესი მისი პოლიტიკური ბედი უზრუნველყოფილ იქმნას. სწორედ, ამ აზრით გაგზავნა საქართველომ პარიზში ოფიციალური დელეგაცია, რათა მიაპყროს ევროპის ყურადღება საქართველოს პოლიტიკურ უფლებებზე და იმ პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციაზე, რომლის განხორციელება ქართველმა ერმა შესძლო თავისი ერთი წლის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში. მართლაც, ეს ორგანიზაცია არის მისი სიცოცხლის ძალის საუკეთესო გამოცდა და გარანტია.

ახალგაზრდა რესპუბლიკა სთხოვს დღეს მოკავშირეთ იცნონ მისი დამოუკიდებლობა და მიიღონ ის ერთა საზოგადოებაში. ის მით უფრო იმედოვნებს ამ აღიარებას, რომ ჯერ კიდევ 1855 წელს, ყირიმის ომის დროს, საფრანგეთმა, ინგლისმა და მათმა მოკავშირე ოსმალეთმა აღუთქვეს საქართველოს: – თუ ის რუსეთს არავითარ დახმარებას არ გაუწევდა, აღადგენდნენ მის დამოუკიდებლობას. სახელდობრ, 25 ნოემბერს, 1855 წელს საფრანგეთის წარმომადგენელი გრაფი მეფრაი წერდა: „ჩვენ თქვენთვის მოგვაქვს დამოუკიდებლობა; ევროპას სურს, თქვენ შეხვიდეთ განათლებულ ერთა დიდ ოჯახში.“ მიუხედავად ასეთი დაპირებისა, საქართველომ არ ისურვა მაშინ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევა და დღეს რომანოვთა იმპერიის დანგრევით, ის სრულიად თავისუფალია ყველა წინანდელი კავშირისაგან, და მთელი ქართველი ერი მოითხოვს პოლიტიკურ და მორალურ უფლებას, ხელახლა დაიჭიროს თავისი ადგილი დამოუკიდებელ ერთა შორის.“[4]

როგორც ვხედავთ, ნაშრომის ამ ნაწილში ხშირად გაჟღერდება სახელწოდება – პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენცია, რომელსაც მოგვიანებით უბრალოდ, ვერსალის კონფერენციასაც უწოდებენ ისტორიკოსნი. მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარი სწორედ ის იყო და არის, რომ 1919 წლიდან პარიზს შეიყარნენ გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც, ანუ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები. სწორედ აქ უნდა დასმოდა წერტილი დიდ ომს, ანუ დადებულიყო ზავი; აქ უნდა ჩაჰყროდა საფუძველი საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველყოფის მომავალ ორგანიზაციას – ერთა ლიგას; აქ უნდა გადანაწილებულიყო „შავი“ და „თეთრი“ მანდატები, ანუ, აქ უნდა გადაწყვეტილიყო პოლიტიკური ბედი ქვეყანათა თუ სახელმწიფოთა – ვინ როგორ ცხოვრებას გააგრძელებდა შემდგომ?! ვინმესთან ერთად, თუ ცალკე, მაგრამ არა იზოლირებულად?! და სწორედ ამ საკითხის გასარკვევად, ანუ სუვერენული სახელმწიფოს ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად მზისქვეშეთში, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ, 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დეკემბრამდე, პარიზს მიავლინა სამთავრობო დელეგაცია კარლო ჩხეიძის, ირაკლი წერეთლის და სხვათა შემადგენლობით.[5]

რასაკვირველია, არ ვშორდებით მთავარ სათქმელს, მაგრამ აქ საჭირო ხდება მცირე ისტორიული გადახვევა, სწორედ იმის ხაზგასასმელად, რომ თავისი „ინიციატივით“ იქ არავინ იწვევდა ჩვენს ქვეყანას. ეს, დამოუკიდებელი საქართველო იბრძოდა (სიტყვის სრული მნიშვნელობით), არ გამორჩენოდა და არ დაეტოვებინა არც ერთი საერთაშორისო თავყრილობა, სადაც კი რაიმე შედეგის მიღწევა შეიძლებოდა. ამ მხრივ, დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მთავრობის მიერ გაგზავნილი დელეგაცია კარლო ჩხეიძის და ირაკლი წერეთლისა და სხვათა შემადგენლობით, ორ თვეზე მეტი აყურყუტეს კონსტანტინოპოლში,[6] და ალბათ კიდევ დიდხანს გასტანდა მათი ეს გაურკვეველი მდგომარეობა, ევროპის სოციალისტებს რომ არ აეტეხათ განგაში.

როგორც შენიშნეთ, საქართველოს მთავრობისაგან პარიზს გაგზავნილ დელეგაციაში საბოლოოდ აქ მხოლოდ

ორი წევრია გამწესებული, თანამდებობრივად ორივე მაღალნი, და რაც მთავარია, საყოველთაოდ ცნობილნიც. მაგრამ ევროპაში ამ დროს მყოფი ქართული დელეგაცია რაოდენობრივადაც უფრო ფართოდ, და არანაკლები პოლიტიკური სიდიდის ფიგურებით იყო წარმოდგენილი. საქმე ის იყო, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აკაკი ჩხენკელი ჩავიდა ბერლინს, როგორც სრულუფლებიანი მინისტრი დამოუკიდებელ საქართველოსი, ნიკო ნიკოლაძისა და ზურაბ ავალიშვილის თანხლებით.[7]

1919 წლის 14 მარტს დელეგაციამ პარიზის (ვერსალის) კონფერენციას გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დაასაბუთა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ: „...საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას აქვს პატივი, სთხოვოს დიდ სახელმწიფოებს, რომელთა წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციაზე, ცნონ ეს დამოუკიდებლობა. საქართველოს დელეგაცია ამ სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევს თხოვნის ღრმა სახალხო ხასიათს. საქართველოს დამოუკიდებლობა – ეს არის ცოცხალი რეალობა, რომელიც ელის მხოლოდ დიდი სახელმწიფოების მიერ ცნობას. საქართველოს თავისუფალი დემოკრატია აღადგენს თავისი ეროვნული ცხოვრების ძაფს, რომლის დასაწყისი შორეული წარსულიდან მოდის. მან გაიარა როგორც აყვავება და ძლიერება, ისე დაცემა და დაშლა. ძაფი გაწყდა საქართველოში რუსეთის ბატონობის დამყარების შედეგად, მაგრამ იგი კვლავ შეკრა დღევანდელმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ.“[8]

ევროპის პოლიტიკური და სამხედრო მაღალჩინოსანნი დიდხანს განიხილავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარების საკითხს და ბჭობდნენ მათის მხრიდან: ჟორჟ კლემანსო, მარშალი ფოში, ჟიულ კამბონი, გენერალი ბერტელო (საფრანგეთი); ლოიდ ჯორჯი, ლორდ კერზონი, უინსტონ ჩერჩილი, გენერალი ჰენრი ვილსონი (ინგლისი); ფრანჩესკო ნიტი და სკიალოჯა (იტალია) და სხვანი.

მარტოოდენ ქართული დემოკრატია და მისი მომავალი არ იყო ევროპისათვის მთავარი ხიბლი. ეს კარგად უწყოდა ქართულმა დიპლომატიურმა მისიამ და დრო-

დადრო სხვა კოზირსაც ათამაშებდა: — „მიუხედავად საქართველოს არც ისე დიდი ტერიტორიისა, მისი ეკონომიკური რესურსები მეტად მნიშვნელოვანია... საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობა, მდიდარი ტყეებით, მადნეულებით, წყლის ენერგიის სიუხვით, ხელსაყრელი კლიმატით. ნავსადგურები ფოთი და ბათუმი შავ ზღვას აკავშირებენ სპარსეთთან და ცენტრალურ აზიასთან.“[9] — ამცნობდნენ ევროპას.

ევროპული სახელმწიფოები კვლავ დიდხანს ბჭობდნენ და სხვა გარემოებებთან ერთად წონიდნენ უფრო მთავარსაც, — კერძოდ, ბოლშევიკების ინტერესებისა და ძალების მდგომარეობას ამ მიმართულებით...

ამავე პერიოდში, პოლკოვნიკი შარდინი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი საქართველოში, ერთ მნიშვნელოვან ცნობასაც აწვდის თავის მთავრობას: — „იმ დიდ მისიაში, რომელიც ეკუთვნის ამიერკავკასიას მისი გეოგრაფიული მდებარეობით — ღია ეკონომიური და კულტურული ურთიერთობისათვის იყოს გზა ევროპასა და ცენტრალურ და წინა აზიას შორის — საქართველოს რესპუბლიკას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს.“[10]

საქართველოს ბუნებრივმა გეოგრაფიულმა დერეფანმა ახლაც მიიქცია ევროპელთა ყურადღება და აქტიურად გაირბინა ევრაზიული დერეფნის ლანდმა...

იმავე წელს, ანუ 1919 წლის 6 სექტემბერს, ფრანგულ „ჟურნალ ოფისიელ“-ში გამოქვეყნდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის შემდეგი პასუხი საქართველოს დელეგაციის მემორანდუმზე: „საფრანგეთის მთავრობას ჯერ არ უცვნია ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. მდგომარეობა ამიერკავკასიაში არეულია და დაუდგრომელი. ამდენად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების არსებობა მერყეულად გვეჩვენება. რაც შეეხება საქართველოს, იგი რუსებთან და სომხებთან საომარ მდგომარეობაშია. საფრანგეთის მთავრობა ყოველთვის სიმპათიურად იყო განწყობილი ამიერკავკასიის ხალხებისადმი. ამ ხალხების დელეგატებს ნება აქვთ ჩამოვიდნენ პარიზში. საფრანგეთს ჰყავს თავისი წარმომადგენელი ბაქოში, თბილისსა და ბათუმში. თბილისში არის აგრეთვე

საფრანგეთის სამხედრო მისია. საფრანგეთის მთავრობა მზად არის ხელი შეუწყოს ვაჭრობის განვითარებას საფრანგეთსა და საქართველოს შორის.“[11]

ეს იყო და ეს.

დაახლოებით ასეთივე შინაარსისა იყო იტალიის იმჟამინდელი დამოკიდებულებაც საქართველოს მიმართ (განწყობილება ქვეყანაში არსებული ვითარების გამო).

როცა საფრანგეთისა და იტალიის ოფიციალურ აზრთა მსგავსებაზე ვლაპარაკობთ (ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ), აქაც მხედველობაში გვაქვს იტალიის სამხედრო მისიის ხელმძღვანელის, პოლკოვნიკ მელიკიადე გაბას საგანგებო ცნობა, წარგზავნილი პარიზს, ვერსალის საზავო კონფერენციაზე, საკუთარი მთავრობისადმი. კერძოდ, თავის ვრცელ დეპეშაში გაბა აღნიშნავდა, რომ „აქ პოლიტიკური ვითარება მერყეევია, არეულ-დარეულია, ნერვულია. საზოგადოებრივი უშიშროება არ დგას სათანადო დონეზე, ბანდიტიზმი თბილისსაც მოედო, ინგლისელები დაინტერესებულნი არ არიან ქვეყნის პოლიტიკური კეთილდღეობით, ისინი ამჟღავნებენ მეტისმეტ კეთილგანწყობას დენიკინისა და თურქების მიმართ. ბათუმს არ შეუძლია არსებობა საქართველოს გარეშე... ბოლშევიკებმა აიღეს ჩორნი რინოკი და ყიზლარისაკენ მიიწევენ... ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა; მუშების უმრავლესობა ან სრულებით არ ღებულობს ხელფასს, ან ღებულობს ცოტას... არ არის პური, ვინაიდან ვოლგისა და კასპიის ზღვის რაიონებიდან უკვე აღარ შემოდის იგი. ხუთი წლის ომისა და რევოლუციის შედეგად რკინიგზა მოშლილია და ასე შემდეგ“[12], და ასე ამგვარად.

საფრანგეთისა და იტალიის ოფიციალური ინფორმაციები პრინციპულად ჰგვანან ერთმანეთს და ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, თითქოს, ფაქტობრივად, ამგვარი რთული საშინაო ვითარება აიძულებდა მოკავშირე სახელმწიფოებს, თავი შეეკავებინათ საქართველოს ფაქტობრივი და იურიდიული აღიარებისაგან. ვიმეორებ, ეს ერთი შეხედვით მხოლოდ. თორემ მაშინდელი ფარული პოლიტიკა, რომლის დეტალები (თუ მთლიანად

არა) მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდგომ გახდა ცნობილი. კერძოდ ის, რომ პარიზის საზავო კონფერენციაზე დიდ სახელმწიფოებს მანდატებს აძლევდნენ გერმანიის ყოფილ კოლონიებსა და ოსმანთა იმპერიის ყოფილ სამფლობელოებზე, აგრეთვე, ზოგიერთ ქვეყანაზე თანამშრომლობა-მზრუნველობის უფლებით. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასია და საკუთრივ საქართველო საჯილდაო ქვად იქცა დიდ სახელმწიფოთა შორის, ანუ დიდხანს და მონაცვლეობით ბჭობდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ვინ აიღებდა საქართველოს მანდატს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლოიდ ჯორჯმა საქართველო იოლად „დაუთმო“ იტალიას და იტალიის პრემიერი ორლანდო თავგამოდებით იცავდა საქართველოში ჯარების გაგზავნის გეგმას, მაგრამ მრავალ გარემოებათა გამო და მრავალ მოსალოდნელ მიზეზთა გათვალისწინებით, იტალიამ ეს მანდატი ვერ მიიღო.*[13]

როგორც იტყვიან — თავს ზემოთ ძალა არ არისო, და მარადჟამს ასე სჭირდა ჩვენს ქვეყანასაც. მისი განსაკუთრებული გეო-სტრატეგიული მდებარეობით იყო და არის „ორ ხიდს შუა“ გაბიდული მუდამ და ამისთვის წარმოებდა განუწყვეტელი შეხლა-შემოხლა ძლიერ მეზობლებსა და იმპერიებს შორის. „ჩვენს ქვეყანაში კენჭი არ არის, რომელიც ათასჯერ არ გადატრიალ-გადმოტრიალებულიყოს და ისე არ ეპოვოს მისი ახლანდელი ეკილიბრი. საუკუნეთა ბრძოლით და მუშაობით არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორია და საზღვარი დადგენილი და როდესაც, უცებ შემოსული ჩვენს

---

* ამის თაობაზე პროფესორი ილია ტაბაღუა გვაწვდის ასეთ ცნობას: „იმის შესახებ, თუ როგორ წამოიჭრა საქართველოს მანდატის საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე, ზუსტად არ არის მოთხრობილი იმ დროის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაშრომებში თუ მემუარებში.“[14]

ამგვარი შინაარსის მასალებისათვის პროფესორ ტაბაღუას მიუკლესია რომის არქივებში (იტალიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორიული არქივი, იტალიის არმიის გენერალური შტაბის ისტორიული არქივი), აგრეთვე: იტალიის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის პირად არქივში (პრემიერ-მინისტრ ორლანდოს არქივი); საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (პარიზის საზავო კონფერენციის მასალები). და ერთიც, 1945 წელს, რომში გამოქვეყნებულა ცნობილი იტალიელი მოღვაწის კარლო სფორცას წიგნი “ჩემს მიერ ნახული იტალია 1914-1944 წლებში“, სადაც ბევრ სხვა ისტორიულ ძეირფას მასალასთან ერთად, იგი მოგვითხრობს, თუ როგორ წარმოიშვა ერთა ლიგაში საქართველოს და აზერბაიჯანის სამანდატო ქვეყნებად გამოცხადების და ამ ქვეყნების მანდატების იტალიისათვის გადაცემის ისტორია და შემდგომი „პერსპექტივები“. (ნ.ჯ.)

ტერიტორიას ასე ადვილად მოეპყრობა და ჩვენთვის გაუგებარის ხალვათობით მას აქეთ-იქით გაბოძებას დაუწყებს“[15] – სწორედ ეს დრო დაუდგა ახლა(ც) საქართველოს, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ ქართველმა პოლიტიკოსებმა მარჯვნივაც და მარცხნივაც, ნაციონალისტებმაც და კოსმოპოლიტებმაც, რომ ფიცილისა და ხმალზე ხელის შევლების დრო არ იყო ახლა. ახლა მხოლოდ პრაგმატული აზროვნების დრო დადგა და თანახმად ამისა, ჩვენც თვალი მივადევნოთ საქართველოს მთავრობის დელეგაციას პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციაზე და მთელს ევროპაში, ანუ რა ნაბიჯები გადაიდგა დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო აღიარებისათვის?!

ზემოთ უკვე ითქვა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ საგარეო საქმეთა სამინისტროს პორტფელი აკაკი ჩხენკელს ჩააბარეს, რომელიც მიავლინეს ბერლინს და, იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო პოლიტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია 1918 წლის 7 ნოემბერს განცხადებით შეუდა საქართველოს პარლამენტში:

„ბატონებო, მე მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი:

თქვენ ალბათ იცით, ისე როგორც ჩვენ ვიცით, რომ საქმეები ჩვენი უფრო და უფრო რთულდება და მრავლდება. მაშინ, როდესაც სრული კომპლექტი მინისტრებისა არა გვყავს, ერთი მინისტრი არის ბერლინში, ამიტომ ჩვენ ვიყავით იძულებულნი, ორი უწყება ჩაგვებარებინა ერთი მინისტრისათვის. როგორც იცით, საგარეო სამინისტროს მართავს შინაგან საქმეთა მინისტრი, მაშინ როდესაც, იმავე დროს საგარეო საქმის მინისტრს აქ ჰყავს ამხანაგი. ეს ამხანაგი დღეს აქ არ არის, წავიდა, მაგრამ რადგანაც საგარეო საქმეები უფრო მრავლდება და რთულდება, ჩვენ განზრახული გვაქვს, რომ იქნეს სპეციალური კაცი მოწვეული, რომელიც საგარეო საქმეს მართავდეს და აგრეთვე სხვა საქმეებს, რომელსაც მთავრობა მას მიანდობს.

ამიტომ მე ვთხოვე ევგენი გეგეჭკორს შემოსულიყო ეხლა, როგორც მინისტრი უპორთფელო და მიეღო თავის თავზე საგარეო საქმეები. ის დამეთანხმა და დღეს ჩვენ

მთავრობაში ითვლება ევგენი გეგეჭკორი, როგორც მინისტრი უპორთფელო და მმართველი საგარეო საქმეებისა.

უნდა ვთქვა ისიც, რომ დღეს ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს, ვინაიდან დღეს ბევრი რთული საგარეო საქმეები არის, ჩვენ ვთელით საჭიროთ, რომ თვით საგარეო მინისტრი იყოს აქ, მაგრამ ვინაიდან იქიდან, ბერლინიდან ჩხენკელის ჩამოსვლა არ შეიძლება, ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, — ჩხენკელი დავტოვოთ იქ, როგორც საგარეო მინისტრად და ელჩად, მხოლოდ გეგეჭკორი დავტოვოთ აქ, როგორც საგარეო მინისტრად უპორთფელოთ, დროებით.“ 16

და დაიწყო საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის სამუშაო ვიზიტები ევროპაში. 1920 წლის სექტემბრის 31-ს, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ლეიგმა სადარბაზოდ მიიღო გეგეჭკორი: „ე. პ. გეგეჭკორმა გადასცა ლეიგს წერილი ნოე ჟორდანიასი — ქართველი ერის მეგობრული გრძნობები საფრანგეთის რესპუბლიკისადმი და გამოსთქვა მტკიცე იმედი, რომ საფრანგეთის მთავრობა დაეხმარება საქართველოს მის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებელ არსებობისათვის წარმოებულ მძიმე ბრძოლაში.

ბ-ნმა ლეიგმა უპასუხა, რომ ის დიდად მოხარულია, რადგან მას საშუალება ეძლევა, კავშირი იქონიოს საფრანგეთის მთავრობის სახელით საქართველოს ნორჩ რესპუბლიკასთან, მით უმეტეს, რომ საფრანგეთი დიდის ინტერესითა და ცხოველი თანაგრძნობით ადევნებს თვალყურს იმ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეს, რომელიც ასეთი ჩინებული წარმატებით მოჰყავს სისრულეში ქართველ ხალხსა და მის ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა პირადი დამოკიდებულების დამყარება ე. პ. გეგეჭკორთან, რომლის შესახებაც მას დიდი ხანია სასიამოვნო ცნობები აქვს, როგორც მისი მოღვაწეობიდან საქართველოს კეთილდღეობისათვის, აგრეთვე იმ თანაგრძნობიდან, რომელსაც ე. პ. გეგეჭკორი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს რესპუბლიკისა, იჩენდა ფრანგ მოქალაქეთა მიმართ.

ე. პ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს დახმარებისა საფრანგეთის მთავრობის მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის საქმეში, ვინაიდან გარეშე ამ აქტისა წარმოუდგენელია სასურველი კავშირის აღდგენა დასავლეთ ევროპასა და საქართველოს შორის.

ბ-ნმა ლეიგმა განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის de iure ცნობის საკითხი მასში არავითარ რყევასა და ეჭვს არ იწვევს. მიზანი, დასახული საქართველოს რესპუბლიკის მიერ, უნდა მიღწეულ იქნას და ამ საქმეში საფრანგეთის მთავრობა გაუწევს მას სრულ დახმარებას. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა ყველა დიდ სახელმწიფოთა მიერ დააგვირგვინებს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას საქართველოს საკითხში.

ე. პ. გეგეჭკორმა გულითადი მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც ის იჩენს საქართველოსადმი."[17]

მეორე დღეს ევგენი გეგეჭკორი მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ბ-ნმა ბერტელომ, რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორის სამუშაო ვიზიტი საფრანგეთში ამით არ დასრულებულა და, როგორც მაშინვე საფრანგეთის ოფიციალურმა ორგანომ „Temps"-მა გააკრცელა: „რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი ევ. პ. გეგეჭკორი, რომელმაც განაცხადა: ქართველი ხალხი ენდობა საფრანგეთის ისტორიულ ტრადიციას და იმედიც აქვს, რომ საფრანგეთში საქართველო ჰპოვებს თავის დამოუკიდებლობის მტკიცე დამცველსო. მრავალი საუკუნის განმავლობაში, საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის იდგა აზიის კარების წინ და თავისუფლად გადაჰქონდა ყოველი მტრის შემოსევა და ამით საქართველო წარმოადგენდა მტკიცე სიმაგრეს დასავლეთის ცივილიზაციისათვის. საქართველოს თავისი თვალი ყოველ-

თვის ევროპისკენ ეჭირა და მისი სურვილი იყო ევროპის კულტურასთან შეერთება. ამ მიზნით საქართველომ ამ ერთი საუკუნის წინად თავისი ბედ-იღბალი დაუკავშირა რუსეთს.

უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა, საქართველოს საშუალება მისცა ევროპასთან დაახლოების. დაიბრუნა რა თავისი თავისუფლება, ჩვენმა ხალხმა არამც თუ მარტო დამოუკიდებლობა აღიარა, რომელიც მხოლოდ თავის საკუთარ ძალაზე დაეყრდნო, არამედ ფაქტიურად განახორციელა და შექმნა დემოკრატიული სახელმწიფო სოლიდარულ და კანონიერ უფლებაზე დამყარებული. საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობა არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს იმ მეზობელ ხალხისათვის, რომელთანაც უნდა საუკეთესო განწყობილება შექმნას. ასეთი მიზანი საფრანგეთის ინტერესებისათვის არავითარ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს. თუმც საქართველო ცნობილია დე ფაქტო, მაგრამ საერთაშორისო ინდივიდუალობის სისრულისათვის მას აკლია დე იურე ცნობა. ეს გარემოება ჩვენ სახელმწიფო ორგანიზმისთვის საგრძნობელია და ხელს უშლის ევროპასთან ეკონომიურ სოლიდარულ კავშირის დამყარებას.

ჩვენს ხალხს მტკიცეთ სწამს, რომ საფრანგეთი დე - იურე-ს საკითხში საქართველოს დაიცავს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა დაარწმუნა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომ საფრანგეთი საქართველოს დიდი სიმპატიით უყურებს და იგი ყოველმხრივად ეცდება საქართველოს გაუწიოს დახმარება. პრეზიდენტმა დაუმატა, რომ საფრანგეთის მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს იმ აღმშენებლობით მუშაობას, რომელიც ამჟამად სწარმოებს ამ ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოს განსამტკიცებლად. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას, რესპუბლიკის პრეზიდენტი ამ საკითხს სიმპატიით უყურებს და მისი დადებითად გადაწყვეტის იმედი საქართველოს უნდა ჰქონდეს-ო".[18]

პარიზიდან ლონდონს გადაინაცვლა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მაძიებელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და 7 ოქტომბრამდე დაჰყო იქ. მან ინახულა ყველა პარტიის გავლენიანი მოღვაწენი და ინგლისის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელნი.

ე. გეგეჭკორი მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს რესპუბლიკის დე იურე ცნობის შესახებ.

„სექტემბრის 18-ს ე. პ. გეგეჭკორმა ინახულა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი. ამ შეხვედრისას განხილულ იქნა ძირითადად საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობასთან დაკავშირებული საკითხები. საუბარმა საათ ნახევარს გასტანა.

სექტემბრის 29-ს ე. პ. გეგეჭკორი თემთა პალატაში მიიწვია დეპუტატმა ვილიამსმა (ლიბერალი). თემთა პალატაში გეგეჭკორს გაუმართეს საუზმე, რომელზედაც დაესწრნენ როგორც ლიბერალურ, აგრეთვე კონსერვატიულ პარტიების წარმომადგენლები. აქ ე. გეგეჭკორმა დეპუტატებს გააცნო საქართველოს მდგომარეობა, გადასცა მათ სათანადო მემორანდუმი და სთხოვა მათ საქართველოს საკითხი განეხილათ თემთა პალატაში. დეპუტატები დიდის ინტერესით შეხვდნენ მის მოხსენებას და დაჰპირდნენ პალატაში საქართველოს რესპუბლიკის საკითხის აღძრას. საქართველოს მდგომარეობისა და მისი იურიდიულად ცნობის შესახებ ე. გეგეჭკორი მოლაპარაკებას აწარმოებდა, აგრეთვე ლორდთა პალატის წარმომადგენელ ლორდ რობერტ სესილთან (ინგლისის დელეგატი ერთა ლიგაში) და ლორდ ბრაისთან.

ე. პ. გეგეჭკორს რამდენიმე საქმიანი შეხვედრა ჰქონდა ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელ ჰენდერსონთან, თომას შოუსა და მაკდონალდთან.“[19]

ლონდონის გაზეთმა „დეილი-ტელეგრაფ“-მა გააერცელა იმჟამად ლონდონს მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის — ევგენი გეგეჭკორის საუბარი კორესპონდენტთან, სადაც გეგეჭკორმა „დაუფარავად გამოთქვა თავისი მწუხარება მოკავშირეთა მიერ დაჭერილი პოზიციის გამო, რომელნიც დღემდე უარს აცხადებენ საქართველოს იურიდიულად ცნობაზე. გერმანიამ კი დიდი ხანია უკვე საქართველო იურიდიულად აღიარა. გეგეჭკორმა აღნიშნა ისიც, რომ როდესაც მე ვინახულე ანტანტის წარმომადგენლები, მათ მითხრეს, რომ ისინი თანაგრძნობით უცქერიან საქართველოს, მაგრამ მე ვერ ვიხილე ამის დამამტკიცებე-

ლი საქმე. საქართველო მომავალშიც დაიცავს თავის თავს საკუთარ ძალებით... მაგრამ საქართველოს დატოვება თავის ბედის ანაბარა ხელს არ შეუწყობს აღმოსავლეთში ანტანტის პრესტიჟის გაძლიერებას."[20]

ასეთი იყო, მოკლედ, ვერსალის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ღია და ფარული, ანუ ხილული და კულუარული პოლიტიკა, რასაკვირველია, უზოგადეს ხაზებში. მაგრამ 1920 წლის ბოლო იყო ახლა და მოსალოდნელ საფრთხეზე საქართველოს და ევროპის მმართველნი კი არა, თვით ევროპის თავისუფალი პრესაც კი ხმაურობდა უკვე.

ასე, მაგალითად, ჟენევაში გამომავალმა „ჟურნალ დე ჟენევ"-მა მოახლოებული საფრთხის ზარი შემოჰკრა:

„ევროპის პრესას არა ერთხელ აღუნიშნავს ევროპის დიპლომატიის შეცდომები აღმოსავლეთში. სამწუხაროდ, პარიზსა და ლონდონში სხვა გვარი ფსიხოლოგია არსებობს, ვიდრე სტამბოლსა და ტფილისში. ევროპაში სახელმწიფო პირნი, რომელნიც შეჩვეულნი არიან სხვა და სხვა ხალხის მართვა-გამგეობას, ძლივს გებულობენ ერთი მეორისას. ამის დასამტკიცებელ მაგალითს წარმოადგენს სომხეთი. ინგლისი და საფრანგეთი, რომელნიც ქმნიან მომავლის პოლიტიკას, ფიქრობდნენ, რომ საკმარისია სტამბოლის ინტერვენცია ან სამხედრო მოქმედებანი მცირე აზიაში, რომ უზრუნველვყოთ თუნდაც შედარებითი მშვიდობიანობაო. ეს პოლიტიკა კიდევ ერთხელ ამტკიცებს ევროპის თვალსაზრისის უვარგისობას. ამჟამად ერთა ლიგა და მოკავშირე სახელმწიფონი ზრუნაენ სომხეთის ბედზე, მაგრამ მისი გადარჩენა ქემალისტებისა და ბოლშევიკებისაგან უკვე შეუძლებელია. ევროპამ ამის გამო საჩქაროდ უნდა გადასინჯოს თავისი პოლიტიკა, და დაკარგა რა სომხეთი, სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს. საქართველო იცავს თავის საზღვრებს და შინაურ წესრიგს თავისივე ძალ-ღონით.

ამ რესპუბლიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის ცივილიზაციის დაცვის საქმეში. მას არ ესაჭიროება გარეშე ძალის დახმარება, მაგრამ უფლება აქვს, ზნეობრივი დახმარება მოითხოვოს ევროპისა და ერთა ლიგისაგან."[21]

და ასე, კვლავ დიდხანს ბჭობდნენ ევროპის სახელმწიფოები და კვლავ დიდხანს, გადაჭარბებული „სიფრ-

თხილით“ წონიდნენ ყველაფერს, თუმცა მოახლობულ ბოლშევიკურ ქარტეხილს უკვე ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა.

აქამდე ჯერ კიდევ ცოტა დრო იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც შორს იყო, რადგან ახალგაზრდა რესპუბლიკის ყოველი პოლიტიკური დღე თავისი შინაარსით, გაწეული ღვაწლით, შედეგით თუ უშედეგობით, საუკუნის დროის ტევადი ხდებოდა ახლა.

1920 წლის 22 დეკემბერს პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციას მივლინებული საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე თბილისს დაბრუნდა თავისი შთაბეჭდილებებით — უიმედოც, მაგრამ არც მთლად იმედგაცრუებულიც. [22]

ეს ზოგადად. ახლა კი უფრო ზედმიწევნით გავუყვეთ ქართული ისტორიის ამ ახალ უღელტეხილს.

თავი მეორე

ევროპელთა პირველი დელეგაცია დემოკრატიულ საქართველოში ანუ „ორი ათასი წელი ქართველნი გელოდებოდათ თქვენ!“

§1

დამფუძნებელი კრების საგანგებო სესია

1920 წლის ენკენისთვეს გამორჩეულად ჩათვლიან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალნი (ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის აღმწერნიც) და არცთუ მთლად უსაფუძვლოდ, სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი ოფიციალური ცნობის თანახმად, დამოუკიდებელ საქართველოს ევროპელთა პირველი დელეგაცია უნდა სწვეოდა, უფრო ზუსტად, ევროპის სოციალისტთა დელეგაცია. მაგრამ არც მაშინ და არც ახლა, მნიშვნელობა დელეგაციის მსოფლმხედველობრივ მიმართულებებს და პარტიულ კუთვნილებას კი არ ეძლეოდა, არამედ უფრო მთავარს: საქართველო ეძებდა მეგობრებს და მხარდამჭერთ ყველგან, რადგან ახალფეხადგმულ და უაღრესად საშიშ გარემოცვაში (აგრესიის საფრთხის ქვეშ) მყოფ დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა და აღიარება, ანუ მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარანტი სჭირდებოდა. ამიტომაც იყო ევროპელთა ეს ვიზიტი ერთნაირად სასიხარულო ქართველთათვის და, ალბათ, ასჯერ მეტად ხელისუფლების სათავეში მყოფ სოციალ-დემოკრატებისათვის. თუმცა ჩვენ მათი გრძნობადი ემოცია ნაკლებად გვაინტერესებს და მონოგრაფიის ამ ნაკვეთშიც აქცენტირებას ევროპელი სოციალისტებისაგან სოციალისტური საქართველოსი და მისი ხელისუფლების მხარდაჭერაზე კი არ გავაკეთებთ (რაც ბევრჯერ გამოითქმება კიდეც ამ ვიზიტის დროს), არამედ ევროპელთა მაღალავტორიტეტული დელე-

გაციის დემოკრატიულ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკურ ცხოვრების შეფასებაზე, რაც შესაფერი დასკვნით უნდა დასრულებულიყო და ეს დასკვნა კი დემოკრატიული საქართველოს ცნობა-აღიარებას უნდა დასდებოდა საფუძვლად. აკი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე იტყვის კიდეც რამზეი მაკდონალდი (დიდი ბრიტანეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი) – „თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს ეკუთვნის თავისუფლება, ეს არის ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში.“[1]

ეს ცოტა მოგვიანებით იქნება. ამჯერად კი, შეძლებისდაგვარად გავყვეთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ამ ეპიზოდებს.

მთავრობის თავმჯდომარემ რომიდან კონსტანტინე გვარჯალაძისაგან მიიღო ასეთი შინაარსის რადიოტელეგრამა: „სექტემბრის 4-ს გამოვედით ტორენტოდან. სექტემბრის 14-ს ბათომს ვიქნებით. საქართველოში მოდიან კარლ კაუტსკი, ლუიზა კაუტსკისა; ინგლისიდან: მაკდონალდი, ტომას შოუ და ქ-ნი სნოუდენი; საფრანგეთიდან: რენოდელი, ინგელსი და მარკე; ბელგიიდან: ვანდერველდე, ჰიუსმანი, ჰიუსმანის მეუღლე და დე ბრიუკერი. სულ 15 კაცი.“[2]

ტრადიციისამებრ, შედგა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა შეხვედრის პროგრამის შედგენა და მაღალ სტუმართა მასპინძლობა. გაირკვა, რომ ევროპელთა მაღალი დელეგაცია საქართველოში ათ დღეს დარჩებოდა.

როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული, დელეგაცია ბათუმს ჩამოვიდა 14 სექტემბერს, ქალაქის დათვალიერებისა და სხვადასხვა შეხვედრების შემდგომ, თბილისს გამოემგზავრა. საქართველოს მთავრობამ სექტემბრის 15 უქმე დღედ გამოაცხადა. თბილისშიც პროტოკოლით გათვალისწინებული ცერემონიალის შემდგომ გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, მათ შორის, დამფუძნებელი კრების სადღესასწა-

ულო სხდომაც, რომელშიც მონაწილეობდა ყველა პოლიტიკური პარტია და ფრაქცია.[3]

მაშ, თბილისში 1920 წლის სექტემბრის 15-ს გაიმართა დამფუძნებელი კრების რიგით 51-ე (საგანგებო) სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე. პრეზიდიუმში არიან ს. მდივანი, ექვთ. თაყაიშვილი, კონ. ჯაფარიძე, ქრ. შარაშიძის ასული. დარბაზი საზეიმოდ არის მოწყობილი. 10 საათსა და 15 წუთზე დეპუტატები იკავებენ თავიანთ ადგილებს. ლოჟებს იკავებს სოციალისტების დელეგაცია, რომელსაც მთელი დარბაზი ოვაციებს უმართავს. ამჯერად, ჩვენს ხელთ არის საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული დოკუმენტი და ისტორიის გასაცოცხლებლად, ამ დოკუმენტის მეშვეობით, სესიის სხდომათა დარბაზიდან თვალყური მივადევნოთ იქ ნათქვამსა და განცდილს. კერძოდ, პირველ სიტყვას თავმჯდომარისა.

თავმჯდომარე: „მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! არაჩვეულებრივ დღეებს განიცდის დღეს ჩვენი ხალხი და ეს განცდა დამფუძნებელი კრების დარბაზშიც უნდა შემოჭრილიყო. ამიტომაა, რომ თქვენმა პრეზიდიუმმა დღეს არაჩვეულებრივი სხდომა შეკრიბა.

მოქალაქენო, მე მსურს ერთი მომენტი მოგაგონოთ ჩვენი ახლო წარსულიდან. თქვენ გახსოვთ, როგორი თავგანწირვით იბრძოდა ჩვენი ხალხი უამრავ მტრების წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენს ქვეყანას გასრესას უპირებდნენ, სისხლისაგან იცლებოდა იარაღში ჩამჯდარი დემოკრატია, საკუთარი ძალების ანაბრად მიტოვებული. დამხმარე, გამამხნევებელი მას არავინ ყავდა. ახლო იყო წუთი სასოწარკვეთილებისა, მაგრამ გაისმა მედგარი და ფრიად ავტორიტეტული ხმა ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცველად, ჩვენი ხალხიც წელში გასწორდა, გაასკეცებული ენერგიით განაგრძო ბრძოლა და გამარჯვებაც მას დარჩა.

ვისი იყო ეს ხმა, ვინ იყო ის, ვინც ჩვენი თავისუფლების გადარჩენის საქმე საკუთარ საქმედ მიიჩნია?

ეს იყო ხმა სოციალისტურ ევროპისა, ესენი იყვნენ ევროპის სოციალისტური პარტიები. ბერნში, ამსტერდამში, ლიუცერნში — ევროპის სოციალისტთა კრებების დადგენი-

ლებში საქართველოს სუვერენობის დაცვის საქმე საერთაშორისო მუშათა კლასის მორიგ საქმედ აღიარეს.

დიადი იყო ეს დახმარება ჩვენთვის. უდიდესი გავლენა იქონია მათმა ხმამ ჩვენთვის.

მაგრამ სოციალისტური ევროპა ამას არ დასჯერდა, ის მიხვდა ჩვენი დემოკრატიის სულისკვეთებას და, რომ უფრო გაგვაძლიერონ და ნებისყოფა გაგვიკაჟონ, ევროპის მუშათა კლასმა თავისი საუკეთესო წარმომადგენლები გვაწვია.

დღეს ისინი აქ ბრძანდებიან, მოქალაქენო, ჩვენი სხდომის სტუმრები არიან და ესაა მიზეზი დღევანდელი საზეიმო კრებისა.

აქ არიან დიდი ბრიტანეთის ძლიერი მუშათა კლასის წარმომადგენელნი ბ.ბ. მაკდონალდი, შოუ და სნოუდენის ასული, აქ არიან თავისუფლების აკვნის, საფრანგეთის მუშათა კლასის წარმომადგენელნი ბ.ბ. რენოდელი, ინგელსი და მარკე, აქ არიან გმირული ბელგიის მუშათა კლასის წარმომადგენელნი ვანდერველდე და ჰიუსმანი. გულითადი ძმური სალამი ძვირფასს სტუმრებს. მივესალმოთ მათი სახით ევროპის დელეგაციას (მხურვალე ტაში. დეპუტატები ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ სტუმრებს).

მე მსურს, მოქალაქენო, და დარწმუნებული ვარ ეს საერთო სურვილია დამფუძნებელი კრებისა — ჩვენმა პატივცემულმა სტუმრებმა შემდეგი გაიგონ დღეს ამ მაღალი ტრიბუნიდან:

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა, ურყევი ნების ყოფაა მთელი ჩვენი ერისა.

1918 წლის 26 მაისის აღმოფხვრას ჩვენი დემოკრატიის გულიდან მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ ჩვენს ხალხს ფიზიკურად მოსპობენ და მის საყვარელ სამშობლოს ნაპარტახევად აქცევენ.

დამოუკიდებლობას ჩვენი ხალხი იმიტომ აფასებს, მის დასაცავად სისხლს იმიტომ ღვრის, რომ მან იგი გაჟლეტისაგან იხსნა, მან ხელახლა გააღვიძა ოდესღაც ძლიერი, მაგრამ მუხანათი მტრების წყალობით მიმქრალი კერა ჩვენი კულტურული შემოქმედებისა, მანვე მისცა ჩვენ მუშათა კლასს სუ-

კეთესო ნიადაგი და საშუალება საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად.

შავბნელითაა მოცული ჩვენი ხალხის ისტორიის დიდი მანძილი. აზიური დესპოტიზმით იყო ის გარშემორტყმული. შავი იმპერიალიზმის ბრჭყალებში იღრჩობოდა ის. მაგრამ მას მაღლა ეჭირა წმინდა დროშა თავისუფლებისათვის ბრძოლისა, მუდამ წინა პოზიცია ეჭირა მას ამ ბრძოლაში.

თითქოს ბოლო მოეღო ასეთ მდგომარეობას, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი იყო. შავი იმპერიალიზმის ადგილი წითელმა იმპერიალიზმმა დაიკავა. არც მისი ეშინია ჩვენს დემოკრატიას, არც შეშინებია და არც შეეშინდება.

ჩვენ ჩვენს თავს ვიცავთ, ჩვენი დემოკრატიის სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწა-წყალს ვერავის დავუთმობთ, ისაა აკვანი ჩვენი კულტურისა, ისაა საფუძველი, რაზედაც ჩვენს ბრწყინვალე მომავალს ვაშენებთ.

ბევრი რამ გავაკეთეთ ამ საერთო საშინელებისა და აოხრების დროს. მოვმაგრდით კიდეც. მაგრამ ჯერ კიდევ ვერა ვართ საკმარისად მაგრები. უდიდეს შრომას ეწევა ჩვენი ხალხი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის, მაგრამ აუარებელი დაბრკოლებანი გველობება წინ და ერთი ამათგანი ისაა, რომ დღემდე იურიდიულად არ ვუცნივართ. ეს იციან ჩვენმა სტუმრებმა, მაგრამ მე მსურს ამ ტრიბუნიდან აღინიშნოს ეს. და გადაჭრით ითქვას, რომ ჩვენი იურიდიული ცნობა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე. ამას მოითხოვს ჩვენი ხალხისა და მისი დემოკრატიული რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესები.

ერთი გარემოებაც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს. ამ რამდენიმე დღის წინათ პრესამ ვაშინგტონიდან მოსული ცნობა გაავრცელა — ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის ძველს, რევოლუციის წინა საზღვრებში აღდგენას უჭერენ მხარსო. თუ ეს დიპლომატიური ენის წანაცდენი, ლაპსუსი არაა, მოქალაქენო, თუ ასეთია მართლა აზრი ჩრდილო-ამერიკისა, უნდა საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ ეს დაცინვა, უდიდესი შეურაცხყოფაა მთელი საქართველოსი. დეე, იცოდეს ყველამ და, უპირველეს

ყოვლისა, მთელმა საერთაშორისო დემოკრატიამ, მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება, რომ დემოკრატიული საქართველო თავის ღირსების ახდის ნებას, სანამ ცოცხალი იქნება, არავის არ მისცემს (ტაში).

მოქალაქენო! ევროპის მუშათა კლასი დიდს ძალას წარმოადგენს. ამ ძლიერი მუშათა კლასის დახმარებას მოითხოვს პატარა საქართველოს მცირერიცხოვანი, მაგრამ სულითა და შეგნებით მტკიცე მუშათა კლასი, რომლის დემოკრატიული შემოქმედებითი მუშაობა საერთაშორისო დემოკრატიის საერთო საქმეა.

დიდი იყო წარსულში თქვენი დახმარება, ძვირფასო მეგობრებო, გვწამს, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტს დაგვეხმარებით. ჩვენზე მეტი გამოცდილება გაქვთ, გაგვაცანით, შეგვასწავლეთ, განგვსაჯეთ, პირდაპირ გვითხარით, რა არის ცუდი ჩვენს საქმიანობაში, რა არის კარგი. საერთაშორისო დემოკრატიის საქმის გაკეთებაში, გწამდეთ, საქართველოს დემოკრატია თავის როლს პირნათლად შეასრულებს.

მე ვფიქრობ, მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო, რომ მე თუმცა ლა მოკლედ, მაგრამ სისწორით აღვნიშნე ის მთავარი რამ, რაც მთავარი საზრუნავი საქმეა დღეს ჩვენი ხალხისა და მისი დამფუძნებელი კრებისა. დამეთანხმებით, რომ ჩვენ მოვიპოვეთ უფლება, მოვითხოვოთ მეგობრული და სამართლიანი დახმარება ამ საქმეში. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ძვირფასი სტუმრები, ეს სახელოვანი ბელადნი სოციალისტური ევროპისა, ჩვენთან იყვნენ და ჩვენთანვე იქნებიან ერთად ჭირშიცა და ლხინშიც.

გულწრფელი მადლობა მათ ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვაში დახმარებისათვის.

ღრმა რწმენას გამოვსთქვამთ, რომ ჩვენს სტუმრებს არასოდეს დააკლდებათ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო და მისი ხალხის თავგანწირული ბრძოლა საკაცობრიო იდეალებისათვისაც (მქუხარე ტაში).“[4]

თავმჯდომარის დასტურით სიტყვა აიღო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელმა გრიგოლ გიორგაძემ.

ბრ. ბილრაბაძე: „მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ნება მიბოძეთ ევროპის მუშათა კლასის სინდისს და ბელადებს გულწრფელი სალამი მივუძღვნა.

მოქალაქენო! თითქმის ორი წლინახევრის უმაგალითო თავდაცვამ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მშრომელი ხალხის ინტერესებისა უნაყოფოდ არ ჩაიარა. ძლიერ ხშირად აუწერელი იყო ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, განსაცდელი მოელოდა არა თუ ჩვენს თავისუფლებას, ფიზიკურ არსებობასაც.

საქართველოს ორი დიდი გამანადგურებელი ტალღა — ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან — ემუქრებოდა. მაგრამ საქართველოს მშრომელი მასის გულ-მკერდმა და მარჯვენამ უკუაქცია ეს ტალღები და მისმა აზროვნებამ გადაჭრით უარჰყო გზა ანარქიისა, ფანატიზმისა და ავანტიურისა — გზა აზიისა, და შეურყევლად შესდგა იმ პოლიტიკურ-სოციალურ გზაზე, რომელზედაც მსვლელობს ევროპის მუშათა კლასი.

ამ საერთო გზამ მოიყვანა საქართველოში ევროპის მუშათა კლასის ხელმძღვანელნი.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენ სააღმშენებლო მუშაობაში, თავისუფლების დაცვის საქმეში, საბოლოო მიზნების მიღწევაში მარტონი არა ვართ, ჩვენთანაა უფროსი ძმა და მასწავლებელი — ევროპის მუშათა კლასი.

ეს მარტოობის უარყოფა ასულდგმულებდა ჩვენ მებრძოლ მშრომელ მასას — ჩვენ ამომრჩეველს — ყველა თავის გამოსვლებში აღდგენილ დამოუკიდებლობის და მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად; თუმცა ბრძოლის ველზე ის ფიზიკურად მარტო იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ თუმცა შორს, ზღვებს იქეთ, მაგრამ მაინც არსებობს ძალა, — მძლავრი, შეკავშირებული, გავლენიანი — თავისუფლების და მშრომელი კლასის ინტერესების დამცველი, რომელიც არავის მისცემს უფლებას, გასთელოს მშრომელი მასის ინტერესები და გადაეღობოს წინ ერის თავისუფალ ნების-ყოფას.

და ასეთ პირობებში არ არსებობს არავითარი ძალა და გარემოებანი, რომელსაც შეეძლოს ჩვენი საკანონმდებლო შემოქმედების დროს გაგვაღუნიოს არჩეული გზა და პრინციპები...

და თქვენი სახით, ევროპის მუშათა კლასის ბელადნო, ჩვენ მივესალმებით ამ კლასს და მათ ფრაქციებს საკანონმდებლო დაწესებულებაში, და გთხოვთ, გადასცეთ მათ, რომ ძველი კოლხიდა და იბერია, ეხლა საქართველო, სადაც ძალა-უფლება მშრომელი მასის ხელშია, რომელსაც ხელთ უპყრია სამფეროვანი — სახელმწიფოებრივი და წითელი — სოციალისტური დროშა, მოელის თავის იურიდიულ ცნობას და არ დააგდებს ამ დემოკრატიულ გზას იმ რწმენით, რომ დადგა დრო: ევროპაში ბუნებრივად დაჰკრავს ზარი ახალი ხანისა და ახალი გზა ევროპისა იქნება გზა საქართველოს მებრძოლი დემოკრატიისაც." (ტაში).[5]

და კვლავ სოციალისტები იკავებენ ტრიბუნას. ამჯერად სოციალისტ-ფედერალისტები, კიდევ უფრო კონკრეტულად — ევროპული სოციალიზმის მიმდევარნი საქართველოში, ვისთვისაც მთავარი და განმსაზღვრელი კლასი კი არ იყო, არამედ ერი და სახელმწიფო.

მაშ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფრაქციის სახელით სიტყვას იღებს შალვა მესხიშვილი.

შ. მესხიშვილი: „მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! საქართველოს დემოკრატიას უფლება აქვს დღეს იამაყოს.

მას სტუმრად ეწვივნენ გამოჩენილნი მეთაურნი საერთაშორისო დემოკრატიისა, წინამძღოლნი მუშათა კლასის თავდადებულ ბრძოლისა სოციალიზმის განსახორციელებლად.

ვის არ გაუგონია მაგათი სახელი? ვინ არ მოსულა აღტაცებაში მათი დაუღალავი ბრძოლით? ვის არ უხელმძღვანელია მაგათი მეცნიერული შრომით, ზოგს, როგორც მიმდევრებს, ზოგს კი როგორც თანამებრძოლებს, სხვა გზით იგივე დიადი მიზნისაკენ მიმავალს.

და ეს სტუმრობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დღევანდელ მომენტში.

საქართველოს დემოკრატიამ საერთაშორისო ომით გამოწვეულ ქარტეხილებში, დიდი რევოლუციის საშუალებით, დაამსხვრია რუსეთის თვითმპყრობელობის ბორკილები, მოიპოვა ეროვნული თავისუფლება და შეუდგა ხალხოსნური რესპუბლიკის შექმნას, რომელშიაც დღესვე უნდა ჩაეყაროს საძირკველი მომავალ სოციალისტურ წყობილებას.

ეროვნული თავისუფლების მოპოვება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიისათვის არ არის არც გარდამავალი პოლიტიკური კომბინაცია, არც ობიექტური პირობებით გამოწვეული შემთხვევა. არა — მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია. ეროვნული თავისუფლება აუცილებელი პირობაა მშრომელთა კლასის სოციალიზმის მისაღწევად. ამ პოზიციაზედ იდგა ჩვენი პარტია დღიდან მისი დაარსებისა და მის სოციალისტურ დროშაზედ ყოველთვის ეწერა განთავისუფლებული პიროვნება თავისუფალ ერში და მომავალი წარმოდგენილი გექონდა, როგორც თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი.

იყო დრო, როცა სოციალისტურ ბანაკში ასე კითხვის დაყენება ბევრს არ მოსწონდა, მაგრამ ეროვნულ ნიღილიზმს სოციალისტ-ფედერალისტებმა დიდი ხანია რაც დაუპირისპირეს ბრძოლა სოციალიზმისათვის განთავისუფლებულ ერთა, მშრომელთა კლასის საშუალებით.

და ეს სოციალისტური შედეგება კლასთა ბრძოლის პრინციპისა ეროვნულ პრობლემებთან, ყოველთვის იყო დამახასიათებელი თვისება სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიისა და დღესაც ისე, როგორც წინად, ჩვენ მტკიცედა ვდგევართ ამ პოზიციაზედ. მეორე მომენტი, რომელსაც მე მსურს მიუთითო, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ მომხრენი ვიყავით და ვართ სოციალისტურ შემოქმედების შემოტანისა უკვე კაპიტალისტურ ეპოქაში.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დღევანდელ გარდამავალ ხანაში არის სუბიექტური და ობიექტური პირობები ასეთი პოლიტიკის წარმოებისათვის.

ამიტომ, თანახმად ჩვენის მსოფლმხედველობისა, რომ ყველაფერს ისტორიულ აუცილებლობას ვერ მივანდობთ და

დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ადამიანთა მიზანშეწონილ მოქმედებას, დღევანდელს პირობებში გვსურს შევქმნათ დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ არა ისეთი, რომელიც ახალი იარაღი იქნება მშრომელთა კლასის დაბეჩავებისა, არამედ წმინდა ხალხოსნური რესპუბლიკა და დღესვე ჩაუყაროთ მასში საძირკველი მომავალ სოციალისტურ წყობილებას. ჯგუფობრივ დიქტატურით და დეკრეტებით მოქმედებას ჩვენ ვამჯობინებთ მიზანშეწონილ სოციალისტურ შემოქმედებას.

ჩვენი მსოფლმხედველობა და გეგმა მართალია გვანსხვავებს საქართველოს სხვა სოციალისტურ პარტიებისაგან, მაგრამ არის ერთი კითხვა, რომელშიაც დღეს ჩვენ ყველანი ერთად ვართ. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა. ადვილად გასაგებია, რომ ამ პოზიციას ჩვენი პარტია არასოდეს გადაუხვევს, რადგანაც განვლილი გზა ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლისა მორწყულია მის გულიდან წვეთ-წვეთ ნადენი სისხლით.

ჩვენ არ მოვითმენთ ეროვნულ თავისუფლების დაჩაგვრას, საიდანაც არ უნდა გველოდეს ეს საფრთხე.

ჩვენთვის სულერთია, მოისურვებს ამას რომელიმე იმპერიალისტური სახელმწიფო, თუ ბოლშევიკური რუსეთი. ყველას შეძლებისდაგვარ პასუხს გავცემთ.

ჩვენ ვიცით, რომ შეიძლება ბევრი მტერი გვყავდეს, რადგანაც დღევანდელ პოლიტიკას სამართლიანობა და უფლება კი არ ქმნის, არამედ სახელმწიფოებრივი და ეკონომიური ინტერესები. მაგრამ საქართველოს დემოკრატია დამშვიდებით, სრულის იმედით უცქერის მომავალს. მას ჰყავს ერთი, მაგრამ საიმედო მეგობარი. ეს არის საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატია, ნამდვილი ბატონი მომავლის...

დიაღ, ჩვენი მეგობარი საერთაშორისო სოციალისტური პარტიაა და ეს მეგობარი უანგაროა.

ნამდვილი სიყვარული შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ერთმანეთის პატივისცემა ერთმანეთის უფლების აღიარებაზედ არის დამყარებული და არა ანგარებაზედ..."[6]

თავმჯდომარის დასტურით ახლა სიტყვა ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლებს გადაეცა. სახელ-

დობრ კი, სიტყვა აიღო ეროვნულ-დემოკრატმა გიორგი გვა-ზავამ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲐᲖᲐᲕᲐ: „მოქალაქენო! თქვენ გესმით ის ხმაურობა, რომელიც ისმის ქუჩიდან, იგი ხალხით გაჭედილია და, მეორე მხრით, თქვენ ხედავთ ახლად ჩამოსულ ჩვენ ძვირფას სტუმრებს. ეს ორი ფაქტი დიდმნიშვნელოვანია, განსაკუთრებით უკანასკნელი. ჩვენთან მოვიდნენ სტუმრები ბელგიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან... სჩანს, რომ ეს ქვეყნები, რომლებიც არიან ცენტრები საკაცობრიო კულტურისა, ძალიან ახლოს არიან ჩვენ ქვეყანასთან.

საუკუნის განმავლობაში ჩვენ მოვწყდით მსოფლიო კულტურას და ზოგი კიდეც მიეჩვია იმ აზრს, რომ საქართველო უსათუოდ უნდა იყოს რუსეთის ფარგლებში. თქვენ ხედავთ, რომ საქართველოსთან უფრო ახლოა ინგლისი და საფრანგეთი, ვიდრე რუსეთი. საქართველომ დაიწყო ცხოვრება მაშინ, როდესაც ღვიოდა ხმელთა-შუა ზღვის კულტურა. დროთა უკუღმართობამ საშუალო საუკუნეებში საქართველო მოსწყვიტა ამ ბუნებრივ გზას. უკანასკნელმა ხალხთა შორის შეტაკებამ და ომმა ისევ აღადგინა ეს ძველი ბუნებრივი მიმართულება. საქართველო ბუნებრივად მოსწყდა რუსეთს და უნდა მომწყდარიყო. მან მოიპოვა ისევ ძველი გზა, რომელიც გვაახლოებს და გვაერთებს დასავლეთ ევროპასთან. ჩვენ დაუახლოვდით ბელგიას, საფრანგეთს, ინგლისს და იმ ქვეყნებს, სადაც ღვივის ეხლანდელი საკაცობრიო კულტურა.

ჩვენ რუსეთთან არავითარი კავშირი არა გვაქვს, არც რასსობრივი, არც ისტორიული. ჩვენ შეგვიძლიან დავამყაროთ იმასთან მხოლოდ საერთაშორისო ხასიათის ურთიერთობა, დამყარებული უფლებაზე და თანასწორობაზე. საქართველოს აქვს ეს უფლება. იგი მეთვრამეტე საუკუნის დამლევს თავის ნებით, ხელშეკრულებით შეუერთდა რუსეთს. მხოლოდ საქართველოს ეროვნული მთავრობის ბრძანებით იქნა გაღებული დარიალის კარები და შემოშვებულ იქნა რუსეთის ჯარი.

მაშასადამე, ჩვენ გვქონდა რუსეთთან ხელშეკრულება, რომლის უარყოფა არავის არ შეუძლიან, და ამის შემდეგ,

მე, რასაკვირველია, დიდის მწუხარებით უნდა მოვიხსენიო ის ნოტა, რომლითაც მიმართა ჩრდილო-ამერიკამ ქვეყნებს.

ნოტა უარყოფს არა მარტო ბოლშევიკურ რუსეთს, არამედ უარყოფს საქართველოს თავისუფლებასაც. როდესაც მე ეს წავიკითხე, მე ვეკითხებოდი ჩემს თავს: რაშია საქმე? რა იქნა ის დიადი პრინციპები ვილსონისა, რომელიც ცნობილია თოთხმეტი მუხლის სახელით? რა იქნა ის პრინციპები, რომელიც უდევს საფუძვლად ვერსალის ხელშეკრულებას? რა იქნა ის დიადი აზრი, რომელზედაც არის აშენებული დებულება ერთა ლიგაში?!

ამერიკის ნოტა არის უარყოფა მთელი ისტორიულ ევოლუციის და უმთავრესად ომის და რევოლუციის იმ მონაპოვართა, რომლებზედაც უნდა აშენდეს ახალი ევროპა, ახალი საერთაშორისო განწყობილება, დამყარებული უფლებასა და სინდისზე.

ის კაცი, რომელიც იბრძოდა და იბრძვის ამ თავისუფლებისათვის, გამოდის და ამბობს, რომ საქართველოს არ აქვს უფლება დამოუკიდებელ არსებობისაო.

რათა? რომელი სამართალი მოითხოვს ამას?

საქართველო არის ერთი მთლიანი ერი, მას უჭირავს ბუნებით შემოხაზული ერთი მთლიანი ტერიტორია, აქვს ოცი საუკუნის ისტორია და კულტურა...

ამერიკის ნოტით დარღვეულია და შელახული, ნება მიბოძეთ ვთქვა, უხეშად შელახული და უარყოფილი საქართველოს ეროვნული უფლება. მის მაგივრად, რომ დამყარდეს უფლება და მოისპოს უხეში ძალმომრეობა ერთა შორის, ამერიკა მოითხოვს რუსეთის აღდგენას ძველ საზღვრებში. მაშ, სად არის პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა, ან პატივისცემა ხელშეკრულებისა?

გერმანიას აგინებდნენ იმიტომ, რომ მან დაარღვია საერთაშორისო უფლება ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევით. აქ, სტუმართა შორის, გახლავთ ბელგიის წარმომადგენელი, მინისტრი ბ. ვანდერველდე. კითხეთ მას, რას შვრებოდა მაშინ, როგორ იცავდა იგი ეროვნულ თავისუფლებას, როცა გერმანიამ ქაღალდის ნაგლეჯად გამოაცხადა „Chitfun de papier“ ეს საერთაშორისო ხელშეკრულება?

ხელშეკრულების დაცვა არის სამართლიანობა და თუ იგი უარყოფილია — უარყოფილია უფლებაც და სამართლიანობაც.

საქართველოს ხელშეკრულება ამტკიცებს, რომ იგი იყო თავისუფალი სახელმწიფო და ეხლა, რუსეთის დანგრევის შემდეგ, იგი თავის-თავად თავისუფალია და დამოუკიდებელი.

ეს ფაქტია დღეს და მოზღვავებული ხალხი, რომლის შხუილი მოისმის ქუჩიდან, განა არ ამტკიცებს მის პოლიტიკურ სიმწიფეს და შეგნებას? თქვენ ხედავთ, რომ ქართველ ერს და განსაკუთრებით დამფუძნებელ კრებას, არ შეუძლიან არ აღიმაღლოს ხმა ამერიკის გამოსვლის წინააღმდეგ.

მე ვეგებები ჩამოსულ სტუმრებს და იმედს გამოვთქვამ, რომ ისინი, როგორც აქამდე, დაიცავენ საზოგადო უფლებრივ პრინციპებს. ისინი ადგილობრივ გაეცნობიან დღეს, თუ რა არის საქართველო, ეს თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო და არავის მისცემენ ნებას, რამდენად შესაძლებელია, რომ ერთი კალმის მოსმით წაშალონ საქართველოს ეროვნული თავისუფლება. საკითხი ეხება საერთაშორისო უფლებას და საკაცობრიო სინიდისსა!

გაუმარჯოს ჩვენს სტუმრებს!

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!" (ტაში).[7]

და კვლავ სიტყვა ნაციონალისტისა. ამჯერად გრიგოლ ვეშაპელი ესალმება ევროპელთ.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲔᲨᲐᲞᲔᲚᲘ: „ბატონებო! ნაციონალისტთა პარტიას არ მიაჩნია აუცილებელ საჭიროებად დამფუძნებელ კრების ოფიციალური სხდომის მოწვევა ინტერნაციონალის დელეგაციის დასახვედრად. მაგრამ ეს დახვედრა ფაქტია და ჩვენც მაინც მონაწილეობას ვიღებთ ამ დახვედრაში შემდეგი მოსაზრებით. ინტერნაციონალის დელეგატები არიან ჩვენთვის თავდაპირველად ევროპის წარმომადგენლები, იმ ევროპისა, რომლისაკენ ყოველთვის მიიილტვოდა საქართველო, მაშინაც კი, როდესაც იყო რუსეთის ბატონობის ქვეშ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის ევროპის წარმომადგენელთა წვეულება, როდესაც მათ შორის

გახლავთ ოფიციალური პირი, ბელგიის იუსტიციის მინისტრი, რომელსაც ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღვის თავის ქვეყნის ნაციონალურ დაცვაში. მე მოგახსენებთ ბატონ ვანდერველდეზე.

ბატონებო! მე მინდა ვუთხრა ევროპის სოციალისტებს შემდეგი: თქვენ ალბათ გიკვირთ, უნდა გიკვირდეთ, რომ მიწად-მოქმედების, სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში ხედავთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მმართველ პარტიად. ჩვენი აზრით, ეს იმის შედეგია, რომ მას შემდეგ, რაც თქვენმა კოლეგებმა რევოლუციის სახელით ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში, ავად თუ კარგად, ძალაუნებურად, ეს ძალა-უფლება მოახმარეს ქართველი ერის დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის შექმნასა და განმტკიცებას.

ამ დამოუკიდებლობის პოლიტიკის შედეგია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არის თუნდაც მშვიდობიანი დიქტატურა ერთი პარტიისა — სოციალ-დემოკრატიისა (სიცილი), საქართველოში არიან კიდევ სხვა კლასები და პარტიები, რომელთათვისაც არ არის მისაღები პროლეტარიატის იდეოლოგია. მიუხედავად ამისა, ეს კლასები, გლეხობა და ინტელიგენცია ითმენენ იმ მოვლენებს, რომლებიც სდევს თან მენშევიკების წარმოებულ პოლიტიკას, განსაკუთრებულ ეკონომიკურ სფეროში.

მაგრამ დამოუკიდებლობის პოლიტიკის დაცვაში საქართველოში მოქმედ პარტიათა შორის მაინც არის განსხვავება.

სოციალ-დემოკრატებისათვის ეს დამოუკიდებლობა, ასე თუ ისე, იყო და, სამწუხაროდ, დღესაც არის შემთხვევითი ფაქტი, ობიექტურ პირობით შექმნილი. ჩვენთვის კი, ნაციონალისტებისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო და არის აქტი ისტორიულ აუცილებლობისა, აქტი ნაკარნახევი იმით, რომ ქართველ ხალხს აქვს სახელმწიფოებრივი ტრადიცია და ამ ტრადიციას იგი ატარებდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში.

ჩვენ, ნაციონალისტებს გვწამს, რომ ამ აღდგენილ სახელმწიფოს ტრადიციის განმტკიცების დროს უნდა ველოდოთ დახმარებას მხოლოდ და მხოლოდ ევროპიდან და არას გზით ჩრდილოეთ აღმოსავლეთიდან, რუსეთიდან, იმ

რუსეთიდან, რომლის ასი წლის ბატონობას ამ ორი წლის წინედ ძლივს დავაღწიეთ თავი. ჩვენ ვესალმებით ინტერნაციონალურ დელეგაციის სახით ევროპას და ვუსურვებთ სტუმრებს კეთილ მოგზაურობას (სიცილი), რათა ის მოგონებები, რომლებსაც ისინი საქართველოდან წაიღებენ, შეადგენდნენ მათი ცხოვრების თუ საუკეთესოს არა, ერთ კარგ ფურცელს მაინც." (ტაში).[8]

ნაციონალისტების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ტრიბუნას კვლავ სოციალისტებს უთმობს. და თავმომწონედ აგრძელებენ ორატორობას სოციალისტები. ამჯერად, სოციალისტ-რევოლუციონერების, ქართველ ესერთა სახელით სიტყვა ითხოვა ლეო შენგელაიამ, რომელიც სავსე იყო ხოტბით სტუმრებისა და სოციალიზმისადმი, საერთოდ. თუმცაღა, სავსე ქილიკით მმართველი სოციალ-დემოკრატებისადმი. კერძოდ:

„ჩვენ პატივცემულ სტუმრებს უთუოდ აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, მათ სურთ გაიგონ, რა გაკეთდა ჩვენში რევოლუციის ხანაში, როგორია მმართველი წრეების სოციალისტური შემოქმედება.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენი პატივცემული სტუმრები ჩვენში ახალს ბევრს ვერაფერს ნახავენ. ჩვენი ქვეყანა არის ტიპიური ბურჟუაზიული ქვეყანა. მისი დღევანდელი მდგომარეობა მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს:

ბურჟუაზია კარგად არის.

პროლეტარები ცოტა გეყავს. ისინი ჯერ-ჯერობით ითმენენ.

გლეხობას რევოლუციისაგან არაფერი მიულია, გარდა ახალი გადასახადებისა, გარდა თვითნება და მექრთამე კომისრებისა..

მმართველი პარტიის მიერ დაკანონებულია ჩვენში სიკვდილით დასჯა, მისი ლოცვა-კურთხევით დათარეშობენ ჩვენში საგანგებო რაზმები და საგანგებო სასამართლოები.

დემოკრატიზმი, დემოკრატიული პრინციპები ჩვენ ისე გავაღრმავეთ, რომ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს გაცილებით უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ბურჟუაზიული საფრანგეთის პრეზიდენტს, ვიდრე მონარქიული ინგლისის კაროლს! ჩვენი ქვეყანა, როგორც

მოგეხსენებათ, გლეხური ქვეყანაა, მაშასადამე, ჩვენთვის ერთი უდიდესი საკითხი არის მიწის საკითხი. მაგრამ ეს საკითხი ჩვენში ისეა გადაჭრილი, როგორც თითქმის არსად."[9]

როგორც ხედავთ, ევროპელმა სოციალ-დემოკრატებმა ქართული სოციალიზმის სამგვარი ვარიანტი მოისმინეს სოციალიზმის სახელით და ეს ურთიერთგანსხვავება-დაპირისპირება არც მაღალი სტუმრების წინაშე დაუმალავთ. მაგრამ ამჯერად ეს სულაც არ იყო მთავარი. ახლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და ცნობისადმი მხარდაჭერის თხოვნა გაისმოდა ყველა პოლიტიკური მიმართულების ორატორის გამოსვლაში და ამ მხრივ, არც აწ უკვე ხსენებული ესერები ჩამორჩნენ ვინმეს და ლ. მენგელაიამ ასე დაასრულა თავისი სოციალისტური მიმართვა:

„ბატონებო! ოფიციალურმა ევროპამ ჯერ-ჯერობით იცნო ჩვენი ფაქტიური დამოუკიდებლობა, იურიდიულად ჩვენ არა ვართ ჯერ ცნობილი. ჩვენს დამოუკიდებლობას ყავს მრავალი მტერი, როგორც აზიაში, ისე ევროპაში. ამიტომ, ჩვენ ვთხოვთ ჩვენ პატივცემულ სტუმრებს, გადასცენ თავიანთ პოლიტიკურ მეგობრებს და მთელს ევროპას შემდეგი: საქართველოს სოციალისტებს ბევრი რამ აქვთ ურთიერთ-შორის სადაო, ბევრი რამ იწვევს მათ შორის შეხლა-შემოხლას, უთანხმოებას, მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელიც დავას არ იწვევს. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი დაცვა. მთელის ჩვენის ძალ-ღონით ჩვენ ვიბრძოლებთ ამ დამოუკიდებლობისათვის და გვწამს, ამ ბრძოლაში ჩვენთან იქნება მთელი სოციალისტური და მოწინავე ევროპა!..

ჩვენ, ბატონებო, კარგად გვესმის, თუ რამდენად ძნელი არის დღევანდელ პირობებში პატარა ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ჩვენ ვხედავთ, რომ მტრები მეტი გვყავს, ვიდრე მეგობრები. მაგრამ ჩვენ გვწამს, შორს არ არის ის დრო, როდესაც ევროპის მშრომელი ხალხი დაამსხვრევს მონობის ბორკილებს, როცა ის ააფრიალებს სოციალისტური რევოლუციის დროშას. ეს იქნება საუკეთესო გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა და ჩვენი

ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ აღორძინებისა. მოქალაქენო! დღეს ჩვენ სალამს ვუძღვნით ევროპიდან ჩამოსულ სოციალისტებს. ისინი ალბათ, მალე წავლენ აქედან, მაგრამ ჩვენ გვწამს, ახლო მომავალში სოციალისტური ევროპის გამარჯვებული მუშათა კლასი ჩვენ გამოგვიგზავნის ახალ დელეგაციას, რომელიც გვახარებს, რომელიც გვეტყვის ჩვენ, რომ ამ ქვეყნად სინამდვილედ იქცა თავისუფალი შრომა და ბედნიერი ადამიანი!“10

თავმჯდომარემ შემდგომ სიტყვა დაშნაკცუთუნის წარმომადგენელს — ტერ-სტეპანიანს მიაკუთვნა.

„...ერთის ნებით და მიზნით აღჭურვილი საქართველოს მუშათა კლასი და მასთან ერთად პ. დაშ. — ესე იგი, სომხეთის მშრომელი მასა საქართველოში, — თავის პოლიტიკურ მუშაობის საფუძვლად სდებენ დამოუკიდებელ საქართველოს, რომლის დასაცავად მათ მიერ იქნება მიტანილი ყველაფერი და ყოველივე ჰლამობას იმპერიალისტებისა მარცხნივ თუ მარჯვნივ, აღმოსავლეთით თუ სამხრეთით, ჯეროვანი ძალა შეხვდებათ, ეკონომიურ მუშაობის ფარგლებში, დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ, ძმობისაკენ და ერთობისაკენ.

სულით და აზროვნებით საღი მშრომელი მასა პ. დაშნ. საქართველოში, კეთილშობილი ნაციონალური ღირსებისანი, სალამს უძღვნიან თავიანთ ამხანაგებს — ევროპის წარმომადგენლებს.“11

და ბოლოს, დამფუძნებელი კრების ამ საგანგებო სხდომას შემდეგი სიტყვებით კვლავ ალექსანდრე ლომთათიძე დაასრულებს:

ალ. ლომთათიძე: „მოქალაქენო! ამრიგად, ორატორთა სია ამოწურული გახლავთ. მე მგონია, რომ საერთო აზრს გამოვსთქვამ, თუ ვიტყვი შემდეგს: საქართველოს მთელი ხალხი და მისი დამფუძნებელი კრება ერთ რამეს დასტრიალებენ დღეს თავს: ეს არის უზრუნველყოფა მისი დამოუკიდებლობისა და თავდაცვის საქმისა. ჩვენ უაღრესად, რაც შეიძლება ჩქარა გვესაჭიროება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილ იქნას იურიდიულად. ამაში მთელი დამფუძნებელი კრება ერთად არის.

საერთო არის ის აზრიც, რომ როგორც წარსულში ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა და იმ წრეებმა, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, პირველად აღიმაღლეს ხმა ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად, ისე მომავალშიაც მათი მედგარი ხმა არ შეწყდება და ყოველთვის, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობას, მის ხალხს რაიმე საფრთხე მოელინება, ისინი ჩვენი დამცველების პირველ რაზმში იქნებიან..."[12]

დამფუძნებელი კრების 51-ე საგანგებო სხდომა ზუსტად 11 საათსა და 10 წუთზე დაიხურა. დახურვას კი წინ უძღოდა ეროვნულ-დემოკრატ გიორგი გვაზავას ომახიანი შეძახილი – „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

ასე გასრულდა დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების კიდევ ერთი, უაღრესად სოციალისტური (თანაც ვარიაციებით), მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი დღე.

დღე უცხოთა მოიმედეობის, ლოზუნგების, აპლოდისმენტების, საკაცობრიო იდეალებისადმი ზრუნვის (შიგადაშიგ ეროვნულიც), მაგრამ მაინც განსაკუთრებული პოლიტიკური დღე.

§2
ევროპელ სოციალისტთა მოგზაურობა საქართველოში და პირველი შთაბეჭდილებები

როგორც უკვე ვაუწყებდი მკითხველს, ევროპელ სოციალისტთა ვიზიტი დემოკრატიულ საქართველოში მაშინდელი ქართული პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მრავალ გარემოებათა გამო. ვიზიტის უმთავრესი მიზეზი კი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მიზნით, ქართველთა სამთავრობო დელეგაციის დასახმარებლად, 1920 წელს ჟენევის სოციალისტურ კონგრესზე ოფიციალური დელეგაციის შედგენა და საკუთარი თვალით ნანახისა და განცდილის შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო აღიარების დაჩქარება.

ევროპელ სოციალისტთა თავყრილობის ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა კიდევ ერთი საყურადღებო პოლიტიკური აქცია. კერძოდ, 1919 წელს ბერნში, საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციას საქართველოს დელეგაციამ წარუდგინა რეზოლუცია (სხვათა შორის, ეს რეზოლუცია შედგენილი და შეთანხმებული იყო რუსეთის დელეგაციასთან, რაც შესაბამისი ხელმოწერებით დასტურდებოდა კიდეც, ანუ რეზოლუციას ხელს აწერდნენ „ამხანაგი აქსელროდი და გავრონსკი“; აგრეთვე კონფერენციის პრეზიდენტი ბრანტინგი, კონფერენციის მდივანი ჰიუსმანსი და სხვა წევრნი თავყრილობისა — ჰენდერსონი, უსტო, რენოდელი, ალბერ ტომა და სხვანი). რეზოლუცია კი ზუსტად შემდეგი შინაარსისა იყო:

„საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდების საპასუხოდ, რომელიც მიმართული იყო ინტერნაციონალისადმი, ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია აცხადებს, რომ ის სთვლის საქართველოს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებად მის ნაციონალურ დამოუკიდებლობას, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლების უმთავრეს დებულებას, თვითგამორკვევას, რომელიც დიდი ხანია რაც გამოაქვეყნა ინტერნაციონალმა, და რომელიც მიღებულია პრეზიდენტ ვილსონის პროგრამაში, როგორც საფუძველი ზავისა. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა უდავო პოლიტიკური შეგნება, როდესაც შეჰქმნა, მიუხედავად ყვე-

ლაზე მძიმე პირობებისა, დემოკრატიული და რესპუბლიკანური წესწყობილება და დამოუკიდებელი სცხოვრობდა უკვე რვა თვის განმავლობაში. ამიტომ, საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მოითხოვს საზავო კონფერენციისაგან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნეს ცნობილი, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარ ოპეკას, როგორიც არ უნდა იყვეს ის, ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოების მხრივ და რომელიც აგრეთვე უარჰყოფს ყოველგვარ თვალყურის დევნებას მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე.“[13]

ასე რომ, ევროპელმა სოციალისტებმა დაიცვეს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და ახლა საქართველოში მოგზაურობდნენ. შეხვედრები ეწყობოდა პარტიებთან, მუშათა საზეიმო კრებებზე, ახალგაზრდობასთან, ქუჩებში და, რასაკვირველია, სტუმრები მოატარეს მთელს საქართველოში. იმდროინდელი ქართული პრესა დაწვრილებით აღწერს ამ მოგზაურობებისა და შეხვედრების დეტალებს, რომელიც, გარდა ტრადიციული სტუმარ-მასპინძლური დატვირთვისა, თამამად შეიძლება ითქვას, სამუშაო ხასიათსაც ატარებდა, ვინაიდან ყოველი შეხვედრა ტრადიციული მისალმებების შემდეგ გრძელდებოდა ადგილებზე ვითარების ზედმიწევნით გაცნობით, აზრთა გაცვლა-გამოცვლით და საჭირო რჩევა-დარიგების გაზიარებით.

ასე რომ, ევროპელ სოციალისტთა მოგზაურობა საქართველოში, როგორც უკვე ითქვა, უნდა ყოფილიყო მრავალმხრივ საინტერესოც და მრავალმხრივ სასარგებლოც.

ამ შთაბეჭდილებებს ისინი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში ფართოდ მოჰფენენ ევროპას, რაზედაც დაწვრილებით ცოტა ქვემოთ შევჩერდებით. ამჯერად კი, ჩემის ღრმა რწმენით, კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან დეტალზე მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას.

კერძოდ იმაზედ, რომ თავმომწონე მასპინძლებმა ასასურველ სტუმრებს ქართული მოდგმის ერთ-ერთი საუკეთესო ინტელექტი — გრიგოლ რობაქიძე მიაგებეს, რომლის მიერ წარმოთქმული სიტყვა იქვე მოექცა პოლიტიკური

ყურადღების ცენტრში. ახლა ამ სიტყვას გთავაზობთ მცირედი შემოკლებით, ხოლო შეფასება და დაფასება ამ დოკუმენტისა სხვა და განსაკუთრებულ ადგილს მოითხოვს უდავოდ.

„მაღალნო სტუმარნო!

ჩვენი შეხვედრა არ არის შემთხვევით მოვლენილი.

ჩვენ ვცხოვრობდით მცირე აზიის გახურებულს შუაგულ'ში და მზით მოთენთილნი ვგრძნობდით ჩვენ მთვლემარე ღმერთებს გადარუჯულს ქვებში.

ჩვენ'ში იყო ანთებული ხილვა აღმოსავლური.

მაგრამ ჩვენ ვერ გავუძელით აღმოსავლეთის დიდი შუადღის ავხორცობას და გამოვეშურეთ ჩრდილოეთისაკენ. ჩვენ მოვიარეთ ცხელი ველები ქალდეასი და კავკასიონის მანელებელ კალთებს შევაფარეთ თავი.

იყო იმთავითვე ჩვენს რასისტულ ტემპერამენტში რაღაც უცნაური, რომელიც ვერ ეგუება აღმოსავლურს მოდუნებას. ფიქრმორეულ თვლემასთან ერთად ჩვენს ხასიათში იწვოდა თესლი დასავლური ნების ამახვილებისა.

ჩვენ ვიყავით პირველნი მომგონნი ფოლადისა და ჩვენი ხასიათის რკინეული ელემენტი ვერ ეთვისა საბოლოოდ მოთენთას თუ გინდ ღმერთების ძილში გადასულს.

და მოშვებულნი ამოსავალს ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ.

ამ ლტოლვილებით არის დაღარული ყოველი ხვეული ჩვენი ისტორიის: ამ ლტოლვილებით არის ყვითურად დადაღული ყოველი მოქნევა ჩვენი შემოქმედებისა. ახლაც გაისმის ყიჟინი და როკვა — გარდასული ნადიმის. სრული ხელმწიფება პიროვნების და სოციალურ სიცოცხლეში რჩეულობა, სხეულის სილამაზის კულტი მარადი ქალურის სიყვარულით აშარავანდებული. თაყვანი უზომო მეგობრების: რაინდის ხმალზე ათამაშებული. ყველა ის მოტივი, რომლებიც შემდეგ იტალიურმა რენესანსმა მაგარ სურნელოვან ყვავილებით გაახმაურა.

მაგრამ ჩვენ მუდამ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიის, — არა საშიშარი მისტიური საშინელებით, არამედ საზარე-

ლი მაღალი პათოსის არქონებით, — და ვერც მომწიფებაში ავსცილდით ჩვენ მას.

მონგოლურმა ურდოებმა აღმოსავლეთით მოვარდნილმა სასტიკი მახვილით გასწყვიტეს ლხინით გადაზნექილი წელი წითელი ქორწილის, და ჩვენ შეჩერდით შუა გზაზე:

აღმოსავლეთსაც მოვსცილდით და ვერც დასავლეთს ვეზიარეთ.

მრავალი საუკუნე ვიტანჯეთ ჩვენ შუა გზაზე ყოფით.

მაგრამ ჩვენ მეომარნი ვართ დაბადებით და ესპანელებსავით გვიყვარს შეუძლებელის გადალახვა. ჩვენ მეოცნებენი ვართ გაუსწორებელნი და გვესმის ღიმილი პარიზის ქიმერებისა ნოტრდამის კათედრალს რომ დასევიან.

ჩვენ მოვინდომეთ ორი ქვეყნის შეუღლება და რასაკვირველია ხალხთა შეერთებას უფრო მოვისურვებდით. ეს არის, ალბად, მიზეზი იმისა, რომ „ინტერნაციონალის“ ხმა არსად ისე სიხარულით არ გავარდნილა, როგორც ჩვენში.

ჩვენ ჯერ მანქანებიც არ აგვიმოძრავებია, მაგრამ სოციალური სამართლიანობისათვის მაინც ვიბრძვით. ეს პარადოქსია ისტორიული, მაგრამ ჩვენი ისტორიაც უცნაურობითაა ხომ დაგრეხილი.

ბუნებით მეომარნი ჩვენ გადავიქეცით რევოლუციონერებათ. რუსეთის რევოლუცია ჩვენმა შვილებმა გაიტანეს — და როცა სპარსეთს დასჭირდა აოხრება, სათავეში მას ჩვენი გადავარდნილი გმირები მოექცნენ.

... დღეს შევხვდით ჩვენ ერთმანეთს და ამიერიდან ამ შეხვედრით დაიწყება ახალი უღელტეხილი ქართული ისტორიის.

ჩვენ ვიცით სადავეს მოშვება, მაგრამ გვეძნელება თავშეკავება: — თქვენგან უნდა ვისწავლოთ იგი.

ჩვენ ვიცით მზით დადაღული ხილვა, მაგრამ არ გვესმის მაგარი სილლოგიზმი: — თქვენგან უნდა შევითვისოთ იგი.

ჩვენ ვიცით ლხენა და უდარდელობა, მაგრამ შორს არის ჩვენგან რკინისა და ჯავშანის ორგია: — თქვენგან უნდა მივიღოთ იგი.

თქვენ მოგვცემთ ჩვენ უძლეველობით გაჭედილსა და გამართულს ნებას, — ჩვენ მას გავაცხელებთ ცეცხლეული ტემპერამენტით.

თქვენ შემოიტანთ ჩვენში ცივსა და მძიმე სისტემებს, — ჩვენ მათ შევსვამთ მზეზე აპრიალებული აზარფეშებით.

თაყვანი თქვენ, მაღალნო და ძვირფასნო სტუმარნო, ქართველ მწერალთაგან თქვენი მოსვლა ამღერდება ზომაგადასულ შაირებში.“[14]

ამჯერად კი, შევჩერდეთ იმ კონკრეტულ შთაბეჭდილებებსა და ევროპელ სოციალისტთა დაუღალავ და დამსახურებულ ღვაწლზე, რომელმაც უდავოდ, არათუ წინ წასწია, არამედ დააჩქარა და სისრულეში მოიყვანა დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო აღიარების საკითხი. და ვიდრე ევროპელთ მოვუსმენდეთ, ვიქტორ ნოზაძის წერილის ერთ მონაკვეთსაც გავეცნოთ, რომელიც მან 1920 წლის ნოემბრის ბოლოს ლონდონიდან მოსწერა გაზეთ „ერთობას“:

„ინგლისელი სოციალისტები ამბობენ: საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი ჩვენი საკითხი არის; ჩვენ უნდა მოვითხოვოთ საქართველოს იურიდიულათ ცნობა და ვიმუშაოთ ამ მიმართულებითო. და მართლაც მუშაობდნენ ისინი ამ მიმართულებით და ევგენი გეგეჭკორს, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება, დიდ დახმარებას უწევენ. მეორე მხრივ, ბელგიელი სოციალისტებიც აღფრთოვანებულნი არიან საქართველოს რესპ.; არ ჩამორჩნენ ისინი ინგლისელ სოციალისტებს და, როგორც ნამდვილი წყაროდან ვიცით, ისინიც ფართო მუშაობას ეწევიან. ვანდერველდე და ჰიუსმანი არ კმაყოფილდებიან მით, რომ საქართველოს შესახებ ჰოლანდიურ და ბელგიის გაზეთებში წერილებს ათავსებენ. ამას გარდა, ისინი დადიან ბელგიის სხვადასხვა პროვინციებში და საქართველოს შესახებ მოხსენებებს კითხულობენ. როგორც გადმოგვცემენ, მათ უკვე ჰქონიათ მოლაპარაკება ბელგიის მთავრობასთან საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ.

ფრანგი სოციალისტებიც ასეთივე აზრისანი არიან საქართველოს შესახებ. დღევანდელ გაზეთში (29 ოქტომბერი) მოთავსებულია შემდეგი ამბავი. „სოციალისტური ცხოვრების“ ჯგუფმა განიხილა საქართველოს დამოუკიდე-

ბლობის საკითხი. ბ-ნ რენოდელის წინადადებით გადაწყდა: მიღებულ იქნას ყოველი ზომა საქართველოს დასაცავად როგორც ბოლშევიკების, ისე ოსმალო ნაციონალისტებისაგან. ამასთანავე, აღძრულ იქნას შუამდგომლობა ანტანტის წინაშე საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ.“

ასეთი არის, მოკლედ, ზემოაღნიშნული ქვეყნების სოციალისტების დამოკიდებულება საქართველოსადმი — ახლა უკვე თავის აზრს აგრძელებს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“:

„ხალხი, რომელიც სავსებით არ იცნობდა საქართველოს, რომელსაც მხოლოდ „რაღაც“ გაეგონა საქართველოს შესახებ, დღეს თავგამოდებით იცავს მას, ლაპარაკობს მის შესახებ და ცდილობს სხვებსაც გააცნოს იგი.

საქართველოში სოციალისტების ჩასვლას ჩვენ პირადათ დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით, მაგრამ თუ ეს ჩასვლა ასეთ უდიდეს ნაყოფს გამოიღებდა, ეს მაინც საეჭვოდ გვეგონა. ვერავითარი სხვა ორგანიზაცია ვერ მოუწყობდა საქართველოს იმ პროპაგანდას, რომელიც დღეს სოციალისტების მეოხებით სწარმოებს.

საქართველომ, მისმა ხალხმა, მისმა კულტურამ, რომელიც მათ ნახეს საქართველოში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე; მაგრამ ამასთანავე მათ ნახეს ჩვენი სილარიბეც. მართალი არის მათი საყვედური ამის გამო. და მართალი არის მათი შენიშვნაც იმის შესახებ, რომ ჩვენ რვა საათის მაგივრათ თექვსმეტი საათი უნდა ვიმუშაოთ, რათა ეს წარმტაცი ქვეყანა და ხალხი დიდებულ მომავალს დაუახლოვდეს. ამ შენიშვნას ანგარიში უნდა გაუწიოს თვითეულმა მოქალაქემ.

... ინგლისმა, გარდა იმისა, რომ „საქართველოში ლამაზი ხალხია“, სხვა არაფერი იცოდა საქართველოს ყოფაცხოვრების შესახებ. ეხლა კი, ევროპის საზოგადოებრივი აზრი შეიცვალა... საქართველოს დემოკრატია საბოლოოდ უმეგობრდება ევროპის დემოკრატიას, და რაც უფრო ძლიერი და მჭიდრო იქნება ამ დემოკრატიას შორის კავშირი, მით უფრო იმედიანის თვალით შეგვიძლია უყუროთ ჩვენი რესპუბლიკის პერსპექტივებს.“[15]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროპის ჟურნალ-გაზეთები, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, ფართოდ გამოეხმაურნენ ევროპის სოციალისტური დელეგაციის მოგზაურობას საქართველოში. მაგალითად, ინგლისურ გაზეთ „თაიმს“-ში დაიბეჭდა ვრცელი ინტერვიუ ქალბატონ სნოუდენთან; ლონდონის ყოველკვირეულ „დე მატენ“-ში გამოქვეყნდა ასევე ვრცელი სტატია რამზეი მაკდონალდისა, სახელწოდებით – „სოციალისტური სახელმწიფო კავკასიაში.“ ბრიუსელის გაზეთ „ლე სეირ“-ში დაიბეჭდა საუბარი ვანდერველდესთან, სადაც იგი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნასთან ერთად აღნიშნავდა იმ შესაძლებლობებსა და საჭიროებას, რომელიც საქართველო-ბელგიის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების დამყარების ურთიერთობას ეხებოდა.

ევროპელთა დელეგაციის საქართველოში მოგზაურობის შესახებ განსაკუთრებით მრავალი ცნობა დაიბეჭდა ფრანგულ პრესაში ავტორობით ა. ინგელსისა, რომელმაც „ლე კრიდუ ნორე“-ში მოათავსა მთელი სერიალი მოგზაურობისა და აღმატებული შთაბეჭდილებების შესახებ; აგრეთვე, „ლე ბრიტ პოპულე“-ში წერილების დასტამბვა დაიწყო ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ადრიენ მარკემ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხარდაჭერის და დაუყოვნებლივი აღიარების ენერგიული კამპანია წამოიწყო ცნობილმა პიერ რენოდელმა, მისი რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „ლე ეი სოციალისტ“-ში.[16]

ფაქტობრივი მასალით ვრცელი, შინაარსობრივად მრავალფეროვანი და პოლიტიკური მნიშვნელობით უაღრესად განსაკუთრებული ამ პოლიტიკური აქციის შესახებ თხრობა, სწორედ რომ ცნობილი სოციალ-დემოკრატის და მოღვაწის ემილ ვანდერველდეს ბრიუსელის გაზეთ „ლე პოპლ“-ში 21 ოქტომბრის საქართველოსადმი მიძღვნილი ვრცელი წერილის პასაჟით მინდა დავასრულო:

„... საჭიროა, რომ საქართველოს ჰქონდეს განსაზღვრული საერთაშორისო მდგომარეობა: საქართველოს მთავრობამ, დე ფაქტო უკვე ცნობილმა, მალე უნდა მიიღოს დე იურე ცნობაც.

თუ ქვეყნად არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც ღირსია თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლისა და თავისი მთლიანობის სრულის შეგნების აღიარებისა, — ეს არის საქართველოს რესპუბლიკა.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში მისი უფლებები აღიარებული იქნება.“[17]

თავი მესამე

საქართველოს დამოუკიდებლობა და ამერიკის შეერთებული შტატები

§1
აშშ-ს პირველი მისიები საქართველოში

დემოკრატიული საქართველოს საერთაშორისო აღიარების ქართულ-ევროპულ ურთიერთობათა კონტექსტში განვიხილოთ ეს საინტერესო საკითხიც.

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ნავსადგურში ხელი მოეწერა დროებით ზავს. ხელმომწერნი იყვნენ: ერთის მხრივ — ოსმალეთი, მეორეს მხრივ — ინგლისი. დროებითი ზავი ავალებდა დამარცხებულ მხარეს, ანუ ოსმალეთს, გამოეყვანა თავისი ჯარები ომის დროს დაპყრობილი ტერიტორიებიდან. უკეთ რომ ვთქვათ, ოსმალეთი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველოს კუთვნილი ბათუმის ოლქი.

1918 წლის მიწურულიდან, ერთის მხრივ, გერმანიამ უკვე ცნო თავი დამარცხებულად, მეორეს მხრივ კი, ანტანტის სახელმწიფოთა პოლიტიკა გააქტიურდა კავკასიაში. მაგრამ კავკასიის ახლებურად მოწყობის პრინციპთა შემუშავებისას, აწ გამარჯვებულნი თავიანთი ინტერესებიდან განიხილავდნენ მას. კერძოდ, სავარაუდოა, რომ ინგლისის პოლიტიკურ წრეებში გამოიკვეთა ორი პოზიცია: შეთანხმებულად და გარიგებულად გავლენის სფეროები გაყოფილიყო რუსეთსა და ინგლისს შორის (ცხადია, ამიერკავკასია რუსეთის სამფლობელოდ უნდა ჩათელილიყო), მაგრამ რას მიიღებდა ამ დროს ინგლისი?! მიიღებდა ყველაზე მთავარს — ამ რეგიონში დამყარდებოდა ინგლისის პროტექტორატი. თუ მთლიანად არა, დაახლოებით ამდაგვარადვე ფიქრობდა ამერიკის შეერთებული შტატებიც, ოღონდ სომხეთზე დაყრდნობით.

და საქართველოს ამგვარი, ერთის მხრივ — მძიმე, მეორეს მხრივ კი — მარადიულად „საინტერესო“ გეოპოლიტიკური მდგომარეობით იძულებული, დაინტერესებული მხარეები თავიანთ პოლიტიკურ ჩანაფიქრს ხან ღიად, ხან ფარულად გამოხატავდნენ.

გერმანიის დამარცხებას მოჰყვა საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ჯარების შეცვლა ინგლისის ჯარებით. 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში ინგლისელებმა დაიკავეს ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი პუნქტები: ბაქო, თბილისი და ბათუმი. ანტანტა უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ამიერკავკასიას. მას განზრახული ჰქონდა არა მარტო ამ რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და აზიის სიღრმეში მიმავალი სტრატეგიული გზების დაუფლება, არამედ ამიერკავკასიის გადაქცევაც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

1918 წლის 6 დეკემბერს ბათუმში ჩავიდა კაპიტანი ვებსტერი, ბაქოში ბრიტანეთის ჯარების სარდლის გენერალ ტომსონის წარმომადგენელი. იმავე დღეს ესაუბრა იგი საქართველოს მთავრობის რწმუნებულს ბათუმის ოლქში დიომიდე თოფურიძეს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბათუმში ჩამოსულია ნავთობსადენის მდგომარეობის გამოსარკვევად.

7 დეკემბერს თოფურიძემ მთავრობას მოახსენა: „ვებსტერმა თანდათანობით ამიხსნა ინგლისელების მიზნები და პროგრამა... მიუხედავად ინგლისს, საფრანგეთსა და ამერიკას შორის სამოკავშირეო და მეგობრული ურთიერთობისა, მათ თავიანთი ინტერესებიც აქვთ და რომ ინგლისი განუხრელად ესწრაფვის საკუთარი მიზნების განხორციელებას. დიდია ინგლისის დაინტერესება სამხრეთ აზიით, იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფოს ჰქონდეს გავლენა კავკასიაში. ინგლისს არ უნდა, რომ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, რუსეთი რამე როლს ასრულებდეს“[1]

საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა აზრით, ინგლისი კავკასიაში ორმაგ პოლიტიკას ახორციელებ-

და: ერთის მხრივ, მხარს უჭერდა დენიკინის ბრძოლას ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ „ერთიანი და განუყოფელი“ რუსეთის აღსადგენად, ხოლო, მეორეს მხრივ, ხელს უწყობდა ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლო თხოვნით ინგლისს განემტკიცებინა თავისი პოზიციები კავკასიაში, საერთოდ, და საქართველოშიც.

ამ თვალსაზრისით კი, სწორედ რომ მართებულად აქვს მოხმობილი პროფესორ ავთანდილ მენთეშაშვილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის — ნოე ჟორდანიას მემუარის ზემოაღნიშნული შინაარსის ის ნაწილი, რომ „იმ დროს მტრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ერთის მხრივ, წასული თურქების ადგილი ინგლისელებმა დაიკავეს, მეორეს მხრივ — მათმა მოკავშირეებმა, მოხალისეთა არმიამ. მუსლიმანური საქართველო ინგლისელთა ინტრიგების ასპარეზად იქცა, შავი ზღვის სანაპირო კი — დენიკინისა. ინგლისელთა სარდლობა ჩვენში არა მარტო ინგლისის, არამედ დენიკინის ინტერესებსაც წარმოადგენდა. მათი მთავარი მისია საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება იყო.. ისინი გვთავაზობდნენ კავშირსა და დენიკინისადმი დაქვემდებარებას იმ პირობით, რომ ბოლშევიკებზე გამარჯვების შემდეგ თეთრი არმია მოგვცემდა ავტონომიას. ასეთი წინადადებებით მომართა გენერალმა ბიჩმა. რასაკვირველია, ...ჩვენ არ დავთანხმდით. სამაგიეროდ, ინგლისელებმა ბლოკადა მოგვიწყვეს: არ გაგვაჩნდა სურსათის მარაგი და, საერთოდ, ევროპასთან ყოველგვარი კავშირი აღკვეთილი გვქონდა. ამ ღონისძიების მიზანი იყო ჩვენი დაშინება, მაგრამ ჩვენ არ შევშინდით! არაფერი არ გვქონდა, მაგრამ გაჭირვებას მედგრად ვიტანდით. აქ გამოვლინდა ჩვენი ხალხის ნება, ხასიათის სიმტკიცე და სიდინჯე. ხალხი საკვებით გვიჭერდა მხარს ჩვენ და ჩვენს მთავრობას. ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლას ვაწარმოებდით ორ ფრონტზე: დიპლომატიურ სფეროში ვერსალის კონფერენციაზე, ხოლო,

მეორე მხრივ, აქტიურს – თვით საქართველოში. მეორე ფრონტი მეტად სახიფათო იყო და უკიდურეს წინდახედულებას საჭიროებდა. ეს ბრძოლა ისე უნდა გვეწარმოებინა, რომ უკიდურესობაში არ გადავევარდნილიყავით, რათა საბოლოოდ ჩვენს საწინააღმდეგოდ არ აგვემხედრებინა ინგლისელთა მთავრობა, ამასთანავე – მიზნისთვის მიგვეღწია. მიზანი კი ერთი გვქონდა – მუსლიმანური საქართველოს შემოერთება, ჩვენი დამოუკიდებლობის „დე იურე“ აღიარება, ერთა ლიგაში შესვლა და მის მფარველობის მოპოვება....“[2]

საქართველოს ისტორიული ბედისწერა კი სხვაგვარად განვითარდა. ინგლისელთა სამხედრო კრეისერმა 15000 ჯარისკაცითურთ ბათუმის ოლქის ოკუპაცია მოახდინა, მაგრამ მოვლენათა ეს ისტორიული მსვლელობა და დოკუმენტურ-ისტორიულად აღწერა თხრობის ცალკე თემაა, რომელსაც ბევრჯერ შეხებიან წინა თაობის მკვლევარები და მომავლის ისტორიკოსსაც მრავალგზისს გაექცევა ამ თემისაკენ კალამი. ამჟამად კი, ბათუმს ერთი დეტალის აღსაწერად გავიხსენებ მხოლოდ, იმ მთავარ საკითხთან დაკავშირებით, რასაც დემოკრატიული საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების (არ)შემდგარი ურთიერთობა ჰქვიან.

კერძოდ, უკვე ხსენებულ დროს, 14 დეკემბერს ბათუმს ამერიკელთა მისიის წარმომადგენელი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, საერთაშორისო სამართლის დოქტორი – ჯედსონი ეწვია და საუბარი კვლავ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთან დიომიდე თოფურიძესთან გაიმართა.[3]

„მათი განსჯის თემას წარმოადგენდა საქართველოს შინაგანი მდგომარეობა, ეკონომიკური, პოლიტიკური სტრუქტურები და საგარეო ურთიერთობა. ამერიკელ სტუმარს საქართველოს წარმომადგენელმა განუმარტა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც დამყარებული იყო მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლობასა და მუდმივი ნეიტრალიტეტის მტკიცედ დაცვაზე. მან აღნიშნა,

რომ მხოლოდ საქართველოში არ არის ბოლშევიზმი და მის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს".[4]

ცხადია, დიალოგი ორმხრივი იყო და ამდენად, ამერიკელმა სტუმარმაც დიპლომატიური შეფარვით თუ ღია ტექსტით მოკავშირეთა შემდეგგვარი ჩანაფიქრი აუწყა მასპინძელს: „თქვენ იცით, რომ ინგლისი და ამერიკა მეგობრები არიან ცნობილი პრინციპებისა და წესრიგის დამყარების საქმეში მთელს დედამიწაზე. მათ შორის არსებობს სრული ერთიანობა და სოლიდარობა, ამიტომ ჩვენ გვსურს ვიცოდეთ შეგიძლიათ თუ არა თქვენ, იყოთ ინგლისისათვის სასარგებლო, მაშასადმე, ჩვენთვისაც, ბოლშევიკებთან ბრძოლაში და წესრიგის დამყარებაში?" რაზედაც ამერიკელმა დადებითი პასუხი მიიღო, და რის შემდგომაც ჯედსონმა კიდევ უფრო დააზუსტა მისი მისია, რომ წინადადებას, რომელსაც მე გთავაზობთ ეს არ არის ოფიციალური ხასიათის, არამედ უბრალო ამერიკელი მოქალაქის რჩევაა მხოლოდ და მეტი არაფერიო. ეს „ოფიციალურ-მეგობრულ-მოქალაქეობრივი" რჩევის შინაარსი კი არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად შემდეგი შინაარსისა გახლდათ: „მოკავშირეებს არც შეუძლიათ და არც მიმართავენ საქართველოს დახმარებისათვის, მაგრამ თუკი საქართველოს შეუძლია თვითონ მისცეს ასეთი წინადადება, ეს მეტად სასარგებლო იქნებოდა საქართველოსათვის".[5]

ამ მცირე დიალოგიდან მახვილი გონისა და თვალის გარეშეც შესანიშნავად ჩანს, როგორ უნდა მომხდარიყო სუსტი საქართველოს თხოვნა ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიმართ, რათა სწორედ თხოვნის საფუძველზე აღესრულებინათ მათი შემდგომი დამკვიდრებისა და განმტკიცების პოზიციები. ცხადია, ყოველგვარი მტაცებლური ნიღბის გარეშე „მხსნელთა" და „თანამგრძნობთა" როლში. მაგრამ 1918 წლის 3 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შევიდა ინგლისელთა კრეისერი „ლივერპული" და 30 დეკემბერს

დასრულდა ინგლისელთა ჯარისკაცების შემოსვლა, რომელთა რაოდენობა 15000 კაცს შეადგენდა.

როგორც ითქვა, მსვლელობა ამ ისტორიისა ცალკე განხილვის თემაა და ახლა კვლავ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს მივუბრუნდეთ. კერძოდ:

1919 წლის მარტის შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები სმითი და მური. სმითი კარგად იცნობდა საქართველოს, რადგან 1918 წლის გაზაფხულზე თბილისში ასრულებდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსულის მოვალეობას.

22 მარტს, საღამოს, შედგა ბატონების სმითისა და მურის საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ევგენი გეგეჭკორთან და შინაგან საქმეთა მინისტრთან ნოე რამიშვილთან.[6]

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების, ბატონების სმითისა და მურის შეხვედრა ქართველ მინისტრებთან 1919 წლის 22 მარტს, საღამოს 9 საათზე

ევგენი გეგეჭკორი: პატივცემულო ბატონო სმით, როდესაც ჩვენ დავმარცხდით, თქვენ ძალიან გწადდათ დაგვხმარებოდით, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ბათუმი დაეცა, თურქები შემოიჭრნენ ჩვენს ტერიტორიაზე. ფიზიკური არსებობის გადასარჩენად ჩვენ იძულებულები გავხდით, დავთანხმებულიყავით გერმანელების შემოსვლას. უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველებს ისინი დიდად დაეხმარნენ. ცხადი იყო ისინი თავიანთ პროგრამას ახორციელებდნენ, მაგრამ მათ ხელი შეუშალა უკრაინაში მომხდარმა მოვლენებმა. ჩვენ უკვე ორგანიზებული სახელმწიფო გვაქვს. ხალხი დამფუძნებელ კრებამდე მივიყვანეთ, ჩამოყალიბდა მთავრობა, გვყავს ადმინისტრაცია. მოკლედ, ყველაფერი გვაქვს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. უკვე მოგვიხდა შებრძოლება სომხებთან, სამხედრო მოქმედება ეგრეთ წოდებული სამხრეთ-დასავლეთი სახელმწიფოს წინა-

აღმდეგ, აგრეთვე სოჭში მოხალისეების წინააღმდეგ და ასე შემდეგ.

ამჟამად ძალიან გვაწუხებს ჩვენი ფინანსური ვითარება და სასურსათო საკითხის პერსპექტივა. თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი ბონების გამოშვებაში მონაწილეობდა სამი სახელმწიფო. ასე იყო ინგლისელების მოსვლამდე. შემდეგ კი, უკანასკნელთა მოსვლასთან დაკავშირებით, აზერბაიჯანმა უარი თქვა ბონების გამოშვებაში მონაწილეობაზე. აქედან მომდინარეობს ფინანსური არევ-დარევა. სასურსათო საკითხის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს ქართველებმა მთელი ფართობი დათესეს და კარგი მოსავალი მიიღეს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ჩვენი ქვეყნისათვის. მეორე მხრივ, სოჭის მოვლენებმა კიდევ უფრო გაამწვავა ჩვენი მდგომარეობა. ცხადია, რომ ასეთ პატარა სახელმწიფოს არ ძალუძს მხოლოდ თავისი ძალებით არსებობა. ინგლისელების ჩამოსვლისთანავე მივმართე მათ ჩემი მთავრობის დავალებით, მაგრამ არაფერი არ გამოგვივიდა. ინგლისელები არ გვიცნობდნენ, ხოლო ჩვენმა მეზობლებმა ჩვენზე მიკერძოებული ცნობები მიაწოდეს მათ. ინგლისელებმა ისიც ვერ გაიგეს, თუ რატომ იყვნენ გერმანელები ჩვენთან. ამის გამო თავდაპირველად ჩვენს მიმართ დამოკიდებულებაც არ იყო ნათელი, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, იგი გამოსწორდა. მიუხედავად ამისა, მათი მხრივ საერთო მხარდაჭერა აქამდე არ მოწესრიგდა. ჩვენ მზად ვართ მოკავშირეებთან სამუშაოდ, მაგრამ საამისოდ საჭიროა იცოდნენ ჩვენი ჩვეულებები. მზად ვართ შევასრულოთ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რა უფლებები გვაქვს. თქვენი დახმარება გვჭირდება, დრო აღარ ითმენს, ეს დროულად უნდა გაკეთდეს, შემდეგ გვიან იქნება. ჩვენ შევიცვალეთ რუსეთზე წინანდელი ორიენტაცია, გარემოებამ გვაიძულა.

სმითი: უნდა ვაღიაროთ, რომ მაკვირვებს წარმატება, რომელსაც მიაღწიეთ. მახსოვს, უწინდელი

ორი ორიენტაცია: რუსული და გერმანული. რამდენადმე კიდევაა დარჩენილი ერთიცა და მეორეც. მაგრამ გერმანიას არ ძალუძს თქვენთვის დახმარების გაწევა ახლა და მრავალი წლის მანძილზე მომავალში. საერთოდ მოკაშირეებზე არაფერს ვამბობთ, მაგრამ ჩემს მთავრობას გულწრფელად სურს საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველო პატარა სახელმწიფოა და ამიტომ არ შეუძლია არსებობა გარედან დახმარების გარეშე. თქვენ დახმარება გჭირდებათ... თავად უნდა მიგვითითოთ ფორმა, რომლითაც გამოიხატება დახმარება ჩვენის მხრიდან. ფინანსებს რაც შეეხება, მინისტრისადმი ჩემი თხოვნა იქნება, გამაცნოს ეს საკითხი. რამდენადმე მომიწევს რკინიგზების ვითარების გაკრიტიკება, ვფიქრობ, აუცილებელია ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება. სურსათისა და საქონელგაცვლის თაობაზე უნდა ვთქვა, რომ საჭიროა ექსპორტის ძიება. ამ მხრივ სიამოვნებით დაგეხმარებით, რითაც შევძლებ.

რამიშვილი: თქვენი დახმარება გვესმის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. გვჭირდება დახმარება არმიის ორგანიზაციის საქმეში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეში. გვჭირდება სკოლები, უნივერსიტეტები, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისუფალი გასვლის შესაძლებლობა. თქვენს მიერ დასმული საკითხი კარდინალურია. ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ჩვენ შემოგვრჩა ყველა შესაძლებლობა: კერძო საკუთრება, პიროვნების ხელშეუხებლობა, კერძო ინიციატივა; ბოლშევიზმი ჩვენში საერთოდ არაა. მუშის საკითხი წყდება ავსტრალიურის მსგავსი კანონმდებლობის შემოღებით: მთავრობას შეუძლია გავლენა მოახდინოს მუშათა კავშირებზე და მეტისმეტი მოთხოვნების წამოყენებაზე. ჩვენ გვაქვს კონტაქტის ნორმალურად განვითარების პირობები.

აუცილებელია გარკვეული შეთანხმება თქვენთან. ჩვენ არ გვცნობენ, სომხებს უარეს შემთხვევებშიც კი ცნობენ; ჩვენ ძირეულად არ განვსხვავდებით

სომხებისაგან. მუსლიმანებთან დამოკიდებულებაში უარესი მდგომარეობაა. მათთან საჭიროა კულტურული, ფინანსური და სამხედრო შეთანხმებები. დამოუკიდებელი არსებობა შეფარდებითი აზრით უნდა იქნეს გარანტირებული. თანხმობის სახელმწიფოებს საქართველოში გერმანიის გავლენის შიში არ უნდა ჰქონდეთ. აქ არავის არ ჰქონდა გერმანიის იმედი, ყველა იმედს დიდ ბრიტანეთზე ვამყარებდით. აქ მას ჰყავს ჯარი. საქონელგაცვლისა და კულტურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისათვის ამერიკასთან საქმიანი ურთიერთობის იმედი გვაქვს. კერძოდ, თქვენ უკვე გაგვიწიეთ დახმარება, როგორც კავკასიის მეგობარმა.

სმითი: ერთა ლიგა ითვალისწინებს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს მანდატს კვლავაღმოცენებულ სახელმწიფოზე.

გეგეჭკორი: მანდატი უნდა გავიგოთ როგორც პროტექტორატი? დაგეთანხმებოდით, იგი ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას რომ არ სპობდეს.

სმითი: მანდატი არ არის პროტექტორატი. სახელმწიფოს საქმის სიახლე, სუსტი ეკონომიკური მდგომარეობა — აი, მანდატის მფლობელი ქვეყნის საქმიანობის სარბიელი. ყველას ეძლევა უფლება, გამოაცხადოს სურვილი იმის თაობაზე, თუ ვის შეიძლება მიეცეს ეს მანდატი. მე მიმაჩნია, რომ ამიერკავკასიისათვის აუცილებელია ერთი საერთო მანდატი მისი ეკონომიკური ინტერესების ერთიანობის გამო.

გეგეჭკორი: საქართველოს ეს უკვე მხედველობაში აქვს. მან მოიწვია ამიერკავკასიის სახელმწიფოების კონფერენცია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გაერთიანების საკითხზე და ინგლისელების მოწონებაც კი დავიმსახურეთ.

სმითი: პარიზში ამის შესახებ არ იციან.

გეგეჭკორი: არა, ინსტრუქციები მიეცათ ჩვენს დელეგატებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ხალხის ბედ-იღბალში აქტიური მონაწილეობის გარანტია გვე-

ქნება, დავთანხმდებით მანდატის არსებობას. ჩვენ ხომ პოლიტიკური ანგარიშის ხალხი ვართ და მზად ვართ, საზღაური გავიღოთ, რადგან უამისოდ არავინ არაფერს არ მოგვცემს. ჩვენ კაპიტალისტური წყობილების განვითარების იმედი გვაქვს. უგუნურობა იქნება, ასე თუ არ ვიაზროვნეთ. უნდა გვქონდეს კაპიტალი. ჩვენი მთავრობა კრედიტუნარიანი უნდა იყოს.

რამიშვილი: მანდატის ცნება სხვადასხვაგვარია. ქვეყნებიც სხვადასხვაგვარია. თუნდაც აზერბაიჯანი და საქართველო ავიღოთ. აზერბაიჯანში მემამულეების გამოსვლები იძენს ანტისომხურ ხასიათს, საქართველოში მემამულეების გამოსვლები კი, აგრარული საკითხისათვის ბრძოლის ხასიათს. მანდატი აზერბაიჯანში შეიძლება ერთი ფორმით გამოიხატოს, ხოლო საქართველოში კი — სულ სხვაგვარი ფორმით. ჩვენ ხალხის ნების გამომხატველები ვართ. ჩვენთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს პარიზის კონფერენციის უთანხმოებანი. გაიმარჯვებს ვილსონის თვალსაზრისი? ვილსონის მანდატი გვინდა, თუ — არა ვილსონის მანდატისა გვეშინია, ამ შემთხვევაში მთავრობაში ვერ დავრჩებით.

სმიტი: ნება მომეცით, ამის შესახებ ვუდეპეშო პარიზს. იქ ეს დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს. ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ სურვილებია და არა ვაჭრობა.

რამიშვილი: მაგრამ გავხდებით თუ არა ერთა ლიგის წევრი?

სმიტი: არ ვიცი, შეველენ თუ არა მცირერიცხოვანი ხალხები ერთა ლიგაში.

გეგეჭკორი: სავსებით გეთანხმებით, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა მოვაწესრიგოთ რკინიგზის, სურსათისა და საქონელგაცვლის საკითხები. ჩვენ გვაქვს ხე, ტყე, მატყლი, მანგანუმი, აბრეშუმი და სხვ.

სმითი: წერილი გამოგვიგზავნეთ მატყლის, თამბაქოსა და მანგანუმის თაობაზე, კონსტანტინეპოლში ჩემიანებს მე ვუდეპეშებ.

რამიშვილი: მე საქონლის ნატურალურ გაცვლას გთავაზობთ.

სმითი: თანახმა ვარ. კონფერენცია გაჭიანურდა, ცხოვრება კი არ ითმენს.

რამიშვილი: რეკვიზიციები აღარ გვაქვს, გატანის აკრძალვა გამოიხატება მხოლოდ ეკვივალენტური რაოდენობის საქონლის შემოტანის გარანტიაში, თუ შემოიტანენ, რაღა თქმა უნდა, გაიტანენ კიდევაც...“7

საუბარში სმითმა პირდაპირ განაცხადა, რომ ახლად წარმოქმნილი მცირე სახელმწიფოები ვერ იარსებებენ სხვის დაუხმარებლად და ერთა ლიგას მოუხდება ამ ქვეყნებზე მანდატების განაწილება. აქედან გამომდინარე, სმითი საქართველოს წარმომადგენლებს ურჩევდა, მოეხდინათ არჩევანი, შესაბამისი ნაბიჯები გადაედგათ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, ამასთანავე, ამიერკავკასიაში ეკონომიკური ინტერესების ერთიანობის გამო. მისი აზრით, ამიერკავკასიის მანდატი უნდა გადაეცეს ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს. გეგეჭკორი და რამიშვილი დათანხმდნენ სმითის მოსაზრებებს, ოღონდ დამატებით შენიშნეს, რომ აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება. რამიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო თანახმაა, მიიღოს ვილსონის, ესე იგი, ამერიკის შეერთებული შტატების მანდატი. შეხვედრაზე ილაპარაკეს საქონელგაცვლის საკითხებზეც. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა აღუთქვეს სურსათითა და ფინანსებით დახმარება.

ამ შეხვედრის შემდეგ საქართველოს მთავრობამ მოახერხა შეთანხმება ომისაგან დაზარალებულთა დახმარების ამერიკის კომიტეტის კომისიასთან, რომელიც თბილისში ჩამოვიდა. ამ შეთანხმების შესაბამისად, პურით მომარაგების დახმარება შემ-

დეგნაირად უნდა გამოხატულიყო: ერთდროულად — 40 ვაგონი და ყოველკვირეულად — 20 ვაგონი. ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო საქონელ-გაცვლის პრინციპით.

1919 წლის 2 ოქტომბერს თბილისს ამერიკელთა მორიგი მისია ეწვია. ამჯერად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის საგანგებო დავალებით — გენერალი ჯეიმს ჰარბორდი ოფიციალური ვაშინგტონის დავალებით ამალითურთ მოგზაურობდა კავკასიასა და მცირე აზიაში, რათა რეალურად გასცნობოდა მდგომარეობას და თავისი მთავრობისათვის წარედგინა მოხსენება არსებულისა და მოსალოდნელი პერსპექტივების შესახებ.

3 ოქტომბერს, გენერალი ჰარბორდი და მისი თანმხლები პოლკოვნიკი ჰასკელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ევგენი გეგეჭკორს ეახლნენ და მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ ოფიციალურ საუბრებში.[8]

ნაშრომის ამ მონაკვეთში გენერალ ჰარბორდის სტუმრობის დეტალებს ისევ დავუბრუნდებით. მაგრამ ამჯერად უფრო მთავარს მივაპყროთ ყურადღება და უზოგადესი შტრიხებით წარმოვიდგინოთ იმჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობა. სახელდობრ: პირველი მსოფლიო ომი თავისი დამანგრეველი შედეგებით; ერთდროულად დამხობილი ოთხი დიდი იმპერია: გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთისა — ევროპაში, ოსმალეთისა — აზიაში და თავად უზარმაზარი რუსეთისა — მსოფლიო ომისაგან კიდევ უფრო მსუყე ლუკმის მომლოდინე, ამჯერად, თავადვე დაქცეული და დაქუცმაცებული და, რაც ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა — ომისა და იმპერიის ნანგრევებიდან კვლავ აღმსდგარი დამოუკიდებელი საქართველო — დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გზას შემდგარი, მაგრამ იმჟამინდელი ურთუ-

ლესი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის გამო, ძნელად წარმოსადგენი სასურველი პერსპექტივებით.

პოლიტიკა აისბერგს ჰგავს. ის, რაც ხილულია, ანუ – დაბეჭდილ, გამოქვეყნებულ, დეკლარირებული და ასე შემდეგ, მკვლევარისთვისაც ხელმისაწვდომია და ობიექტური ისტორიის შესაძლო აღდგენისთვისაც, მაგრამ უხილავი ნაწილი მოცულობითაც ყველაზე დიდია და ათეული წლების მანძილზე თვალშეუწვდომელ-ხელმიუწვდომელიც. ეს ალეგორია მხოლოდ იმისათვის მოვიხმე, რომ ასეა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც: როდესაც, ერთის მხრივ, გინდა გაარკვიო და აღწერო ოკეანისგაღმელი ქვეყნის საჭეთმპყრობელთა დამოკიდებულება პატარა, მაგრამ შენი ქვეყნისადმი; ამ დიდებულ საქმეს, სწორედ, ამ ქვეყნის სპეცარქივების დოკუმენტების გაცნობა სჭირდება; და მეორეს მხრივ, უფრო მეტიც, თუ უფრო მთავართან არა, კიდევ ერთ დელიკატურ საკითხთანაც გაქვს საქმე, ანუ იმ საიდუმლო დოკუმენტთან თუ დოკუმენტებთან, რომელშიც ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ვუდრო ვილსონის ავტორობით განსხვეულდა ამერიკელთა თვალსაზრისი მომავალი მსოფლიოს სტრუქტურაზე. ვილსონმა ამ გეგმას თავი მოუყარა ცნობილ „14 პუნქტში“, რომელმაც თურმე გადასანაწილებლად გათვალისწინებულ ტერიტორიებზე დასახლებულ ხალხთა ენით აუწერელი აჟიოტაჟი და იმედი გამოიწვია*.

სხვათა შორის, მე-6 პუნქტი კავკასიას შეეხებოდა, „ალბათ მოგვიხდება, კავკასია განვიხილოთ, როგორც თურქეთის პრობლემის ნაწილი“ – თქმულა დოკუმენტში. ეს თითქოს მაცდუნებელი უნდა ყოფილიყო რუსეთისაგან გამოცალკევებული ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის, რაც ქართულ დიპლომატიას სა-

*. ამ სტრიქონების წერისას, სხვა მასალებთან ერთად, ვეცნობოდი მკვლევარ ალექსი ჩოხელს, რომელიც რამდენსამე ხანს სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და პირადად გაეცნო ბევრ საინტერესო პირველწყაროს. (ნ.კ.)

სასიამოვნო სიურპრიზად უნდა აღექვა კიდეც. მაგრამ საქმე სწორედ ის იყო, რომ ევროპის სახელმწიფოებს, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ჰქონდათ გადანაწილებული არა მარტო გერმანიის კოლონიები, არამედ თურქეთის იმპერიაც. და პრეზიდენტი ვილსონიც იმგვარ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ამის შესახებ არც არაფერი იცოდა.

ასე ერთმანეთისადმი თვალთვალით, 1919 წელს გამარჯვებული სახელმწიფოები შეიკრიბნენ პარიზში, რათა გაერკვიათ ომისშემდგომი მსოფლიოს ბედ-იღბალი. პარიზის (ვერსალის) საზავო კონფერენციას კი უკვე ცნობილი, მაგრამ ჩავთვალოთ, სიურპრიზად შეთავაზებული „მე-4 პუნქტი“ შესთავაზა ახალი უნივერსალური ორგანიზაციის არქიტექტორმა ვუდრო ვილსონმა. ეს ახალი უნივერსალური ორგანიზაცია ამავე საზავო კონფერენციაზე, ვერსალის სარკეებიან დარბაზში დაფუძნებულ-დამტკიცებული ერთია ლიგა გახლდათ.

დავუბრუნდეთ ისევ მთავარ სათქმელს. „მალე ცხადი გახდა, რომ ერთადერთი რეალური ძალა, ვისაც შესწევდა უნარი ინგლისელები შეეცვალა ამიერკავკასიაში, იყო ამერიკის შეერთებული შტატები. მას შემდეგ, როცა გაირკვა, რომ იტალიის ახალი მთავრობა უარს ამბობდა საქართველოს და აზერბაიჯანის მანდატზე, მოისპო ცილობით აღმართული უკანასკნელი ხელისშემშლელი ჯებირები და ამერიკას გზა გაეხსნა საქართველოსაკენ. ფაქტობრივად, ამერიკელები იქცნენ ყველასათვის სასურველ მეურვეებად ამიერკავკასიისათვის და ახლა მოკავშირეები მათ სთავაზობდნენ მზამზარეულ ლუკმას. 5 ივლისს მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად კავკასიაში დანიშნულ იქნა ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელი. დაიდო რა ბინა თბილისში, იგი, შეიძლება ითქვას, აქედან „ბომბავდა“ პარიზს დეპეშებით და ყოველ ხერხს მიმართავდა, რათა როგორმე შეეჩერებინა ინგლისელთა წასვლა რეგიონიდან, ვიდრე მათი შემცვლელი ჯარები არ შემოვიდოდნენ. თავის

მხრივ, ომის შემდგომი კრიზისი აიძულებდა ინგლისს, დაეჩქარებინა ჯარების გაყვანა, თუმც არც ის სურდა, რომ მათ შემდეგ რეგიონში ვაკუუმი დარჩენილიყო".[9]

„თუმცა პრეზიდენტი ვილსონი მანდატის აღების ჭეშმარიტი ენთუზიასტი იყო, მაგრამ ამის განხორციელება არცთუ იოლი საქმე გამოდგა. 1919 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური ინიციატივების წინააღმდეგ ამერიკის კონგრესსა და სენატში ჩამოყალიბდა საკმაოდ სერიოზული ოპოზიცია. როგორც ექსპერტები ვარაუდობდნენ, სამანდატო სომხეთის ასათვისებლად, ამერიკისათვის საკმარისი იქნებოდა 20000-იანი საექსპედიციო კორპუსი. თუმც ამის თაობაზე სხვა მოსაზრებებიც არსებობდა. ბორი, ლაფოლეტი და სხვა სენატორები ვილსონის მოთხოვნებს სენატში ყოველი გამოსვლისას აცამტვერებდნენ... ამ დროს გახდა, თურმე სენატში ყველაზე პოპულარული ასეთი რიტორიკული შეძახილი: „კი მაგრამ, სად ვაგზავნით ჩვენს ბიჭებს?!" და დაიძრა იზოლაციონიზმის არნახული ტალღა, ოპოზიციას სათავეში ედგა ვილსონის დაუძინებელი მტერი ჰენრი ქებოტ ლოჯი. ეს ფრიად ნიჭიერი და, ამასთანავე, უზომოდ ჯიუტი სენატორი რომ არ გამომტყვრალიყო, ვინ იცის, საქართველოს დამოუკიდებლობას რა ბედი სწვეოდა!

ემზადებოდა რა იზოლაციონისტებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის... მან 1919 წელს ახლო აღმოსავლეთში, თურქეთსა და ამიერკავკასიაში მიავლინა ორი სადაზვერვო ექსპედიცია: კინგ-კრეინის კომისია და გენერალ ჰარბორდის სამხედრო მისია.

კინგ-კრეინმა გაზაფხულ-ზაფხულში გამოიკვლიეს მთელი ლევანტი. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული, გაერკვიათ, თუ როგორ მეურვეებს მოისურვებდნენ ახლო აღმოსავლეთის ესა თუ ის ტერიტორიები. თავისი უნდა მივაგოთ კომისიის კეთილსინდისიერებას: კვლევის მასშტაბურობა და მოსახლეო-

ბის სხვადასხვა ფენების გამოკითხვა ხასიათდებოდა შესაშური სკრუპულოზურობით და პირუთვნელობით. შედეგიც სათანადო იყო: „ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანას თავის მეურვედ ამერიკა სურდა“.[10]

ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, როცა ადრე ამ თვალსაზრისით ანიჭებდნენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ერთ-ერთი პირველი კონტაქტი საქართველოს მთავრობის წევრების დელეგაციისა შედგა პარიზში, 1919 წლის 11 ივნისს, პრეზიდენტ ვილსონის უახლოეს მეგობარსა და მრჩეველთან, პოლკოვნიკ ჰაუზთან.

საბოლოოდ ირკვევა, რომ კინგისა და კრეინის მიერ ახლო აღმოსავლეთის გამოკვლევის დროს, მათთან გამოცხადებულა საქართველოს წარმომადგენლობა (1919 წლის 11 აგვისტო) და გამოუთქვამთ აზრი, რომ მათ ესაჭიროებათ ფინანსური და ეკონომიკური დახმარება და იმედოვნებდნენ, რომ დიდი სახელმწიფოები ნებას დართავენ მათ, დარჩნენ რუსეთისაგან გამოცალკევებულები, რადგან მათი წეს-ჩვეულებანი სხვადასხვაა-ო. ცხადია, აქ ნათლად ჩანდა საქართველოს სურვილი, რომ ამერიკის მანდატი საქართველოზეც გავრცელებულიყო (ყოველ შემთხვევაში, თავის მოხსენებაში ასე თვლიდნენ კინგი და კრეინი).

არ შემოიფარგლა რა კინგ-კრეინის ანგარიშით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა თურქეთსა და ამიერკავკასიაში გაგზავნა მისია მხცოვანი გენერლის — ჰარბორდის მეთაურობით. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მერყეობდა პრეზიდენტი — ღირდა თუ არა მანდატის აღება. საქმე ის გახლდათ, „რომ სწორედ მაშინ ამოქმედდა, საბედისწეროდ, ამერიკის ექსპანსიონიზმის ყბადაღებული დოქტრინალური პრინციპი (ის აღმოცენდა ჯერ კიდევ საუკუნის გარიჟრაჟზე ფილიპინების დამორჩილების დროს) — „ყველაფერი ან არაფერი“. ეს პრინციპი სამოქმედოდ მოიმარჯვეს არა მარტო ვილსო-

ნის მომხრეებმა, რომლებიც ესწრაფოდნენ, მიეღოთ მანდატი თურქეთისა და ამიერკავკასიის უზარმაზარ ტერიტორიაზე, არამედ იზოლაციონისტებმაც, რომლებიც ამერიკის უსაზღვრო მადის დემონსტრაციით ცდილობდნენ, გაეღვივებინათ მოკავშირეებში მიძინებული ამერიკანოფობია და ამით მიეღწიათ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელთ უარი ეთქვათ ამერიკელებისათვის მანდატის მიცემაზე. ცხადია, რომ ზემოხსენებული პრინციპის დადებითი ნახევრის განხორციელების შემთხვევაში საქართველო აუცილებლად ექცეოდა ამერიკის მეურვეობის ქვეშ, მაშასადამე, იზოლაციონისტების აქტიურობა ამ საკითხში დამღუპველი იყო საქართველოსათვის.

... ამ დროს კი მართლაც მრავალი იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მთავრობას ძილი გაფრთხობოდა“.[11]

დავუბრუნდეთ ისევ გენერალ ჰარბორდის ექსპედიციის შედეგებს. შემოიარა რა თურქეთი, სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი, ჰარბორდმა ვილსონისადმი წარსადგენად შეადგინა მოხსენება. „მან არ იკისრა პასუხისმგებლობა, გადაეჭრა ამერიკის მიერ მანდატის აღების საკითხი და ამიტომ მიმართა ფრიად მოხერხებულ გამოსავალს. მოხსენებაში ჩამოთვალა ყველა დადებითი და უარყოფითი არგუმენტი მანდატის აღების თაობაზე, სულ ოცდაშვიდი: 14 დადებითი და 13 უარყოფითი. მაგრამ, ვფიქრობ, თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ჰარბორდმა მაინც ვერ დაფარა. როცა მკითხველი ამ გენერლის მემუარებს გაეცნობა, თვითონვე დარწმუნდება მის სკეპტიციზმსა და აკვიატებულ განწყობაში დაენახა საქართველოს ფატალური განწირულობა: აქაოდა იგი რუსეთს ეკუთვნოდა, ადრე თუ გვიან მასვე დარჩებაო...

ვილსონი დიდხანს უმალავდა კონგრესს ორივე ექსპედიციის მოხსენებას. ამ ხნის მანძილზე არ წყდებოდა სენატორთა მოთხოვნა, გაეცნოთ მათთვის

კინგ-კრეინისა და ჰარბორდის მოხსენებათა დასკვნები. ამას მათ მხოლოდ 1920 წელს მიაღწიეს.

1919 წლის შემოდგომაზე იმედგადაწურული ვილსონი შეეცადა, მოეცილებინა სენატის მიერ მისთვის ამოდებული ლაგამი და საბოლოოდ გადაეწყვიტა მანდატის საკითხი. ვილსონის ერთგულ სენატორს ვილიამსს სენატში განსახილველად შეაქვს დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც პრეზიდენტს ეძლეოდა უფლება საკუთარი სურვილის მიხედვით, კონგრესის თანხმობის გარეშე, გამოეყენებინა ამერიკის საექსპედიციო კორპუსი ... და ბოლოს, ვილიამსს შეაქვს ოქტომბერში ცნობილი „რეზოლუცია №106". მისი მიღება გამოიწვევდა სომხეთში დაუყოვნებლივ ამერიკის ჯარის გაგზავნას. და კვლავ დგება საბედისწერო ჟამი ამიერკავკასიისათვის ... და აქაც სრული ფიასკო — რეზოლუცია უარყოფილ იქნა. ვილსონი სასოწარკვეთილია.... მოწინააღმდეგენი გამარჯვებას ზეიმობენ... იზოლაციონიზმი ამაგრებს თავის პოზიციებს...

შემდგომში, 1920 წლის ივნისში, უარყოფითად გადაწყდება სომხეთზე ამერიკის მეურვეობის საკითხიც. დენიკინი განადგურებული იქნება და ამიერკავკასიის საზღვრებს მოადგება ახალი მრისხანე ძალა — წითელი არმია.[12]

ყოველივე ეს ცოტა გვიან მოხდება, მაგრამ ახლა 1919 წლის ღვინობისთვეა და საქართველოში გენერალი ჰარბორდია სტუმრად, ამალითურთ.

ერთი ეპიზოდიც ამასთან დაკავშირებით. კერძოდ:

როგორც ითქვა, ოქტომბრის 2-ს, საღამოს 6 საათზე, ორთაჭალის გზით 5 ავტომობილით თბილისში ჩამოვიდა გენერალი ჰარბორდი. იმდროინდელი პრესა, ამერიკელი სტუმრის ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის ჩათვლით, სკურპულოზურად აღწერს გენერლის ვოიაჟს თბილისში. ალბათ, უცხოელთა მოიმედეობის ტრადიციული სურვილით, თორემ დასაწერ-აღსაწერი პრობლემები საქართველოს პრესას იმ დროს(აც) არ

აკლდა, ალბათ. ოფიციალურ აზრთა გაცვლა-გამოცვლის მცირე დროის შემდგომ, უფრო ხანგრძლივი დრო ვახშამს დაეთმო. ის კი არადა, გაზეთი „სახალხო საქმე“ საკმაოდ ვრცელ წერილს უძღვნის ქართული სტუმარ-მასპინძლობის ამ ეპიზოდს სახელწოდებით — „ბანკეტი ჰარბორდის პატივსაცემად“*. ბანკეტს დაესწრნენ გენერალი ჰორბორდი, პოლკოვნიკი ჰასკელი, მათი ამალა — 50 კაცი, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე — ევგენი გეგეჭკორი, მიწათმოქმედების მინისტრი — ნოე ხომერიკი, ფინანსთა მინისტრი — კონსტანტინე კანდელაკი, განათლების მინისტრის ამხანაგი — ნ. ციცაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი — გენერალი გედევანიშვილი, გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი — ქარცივაძე, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე — ალექსანდრე ლომთათიძე, მისი ამხანაგი — თაყაიშვილი, რკინიგზათა დეპარტამენტის დირექტორი — ჭიჭინაძე, ქალაქის მოურავი, დამფუძნებელი კრების წევრნი და ქართველი მოღვაწენი. ბაღში შესვლისას გენერალ ჰარბორდს ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი სამი ჰეროლდი შეეგება საზეიმო ბუკით.

შემდეგ დაიწყო ვახშამი, რომლის თამადად არჩეულ იქმნა დ. ღამბაშიძე. წარმოითქვა სადღეგრძელოები. პირველად წარმოითქვა პრეზიდენტ ვილსონის სადღეგრძელო, შემდეგ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა, საქართველოს და ამერიკის მხედრობისა და ხალხისა და სხვა. ამერიკელმა გენერალმა თავის სადღეგრძელოში აღნიშნა ქართველი ხალხის ისტორიული რაინდობა და უსურვა კეთილი მომავალი... ვახშამი დილის 4 საათამდე გაგრძელდა და „სტუმრები ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ“. [13]

1919 წლის 16 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნისადმი გაგზავნილ

* სტილი და პერსონაჟთა გვარ-სახელების დასახელება დედნისეულია. (ნ. კ.)

მოხსენებაში გენერალი ჰარბორდი დაწერს: „დასავლეთის თვალსაზრისით ამ სამ მთავრობას არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია, ისინი ნდობით არ სარგებლობენ და, უდავოდ, კორუმპირებულნი არიან. თითოეული მათგანი უკიდურესად დაბნეულ ფინანსურ მდგომარეობაშია. ამ სირთულეებს ემატება რელიგიური სხვაობა, რაც განუწყვეტელი შეხლა-შემოხლის საფრთხეს ქმნის, მათზე საერთო კონტროლი თუ არ დაწესდა. ორს მათ შორის შავ ზღვაზე გასავლელი არ აქვს (მხოლოდ რკინიგზით საქართველოზე გავლით). მათ არ აქვთ ერთიანი ფულადი, აგრეთვე საფოსტო ან საბაჟო სისტემა; არ აქვთ რკინიგზის ერთიანი კონტროლი და მართვის ერთიანი სისტემა. მათ შორის განუწყვეტელი უთანხმოებაა საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებში. აზერბაიჯანში არ არიან მართვის უნარის მქონე სპეციალურად განსწავლული ადამიანები. საქართველოში ბოლშევიზმის მუდმივი საფრთხეა; მთელი სომხეთი ნანგრევებადაა ქცეული და ნაწილობრივ შიმშილობს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ ხალხთაგან თითოეული სიამოვნებით დათანხმდებოდა თავისი სახელმწიფოს გადაცემაზე ნებისმიერი სახელმწიფოს სამანდატოდ“.[14]

გამოვლენილი წინააღმდეგობების გამო ვერც ერთმა დიდმა სახელმწიფომ ვერ მიიღო ამიერკავკასიის მართვის მანდატი. არ შეიძლება დავეთანხმოთ ჰარბორდის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობას ძალაუფლება არ ჰქონდა და ნდობით არ სარგებლობდა. საქართველოში 1919 წლის თებერვალში გაიმართა საყოველთაო არჩევნები მრავალპარტიულ საფუძველზე და ამომრჩევლების უმრავლესობამ ხმა მისცა სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებს, რომლებმაც მთავრობა ჩამოაყალიბეს. სწორედ ამ მთავრობას შეხვდა გენერალი ჰარბორდი.

1918-1919 წლებში ანტანტის სახელმწიფოებმა მაინც არ აღიარეს საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. საქართ-

ველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მხოლოდ „რუსეთის საკითხის“ მდგომარეობამ განსაზღვრა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოს აღიარების საკითხი დაკავშირებულია ამიერკავკასიის დანარჩენი რესპუბლიკების აღიარებასთან, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მთელი რუსეთის საკითხის გადაწყვეტას და, თუმცა ნაკლებად, თურქეთთან საზავო ხელშეკრულების პირობებს.“[15] დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1919 წლის 24 დეკემბრის მემორანდუმში მთავრობას ეძლეოდა რეკომენდაციები „კვლავ თავი შეეკავებინა საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებისაგან მანამ, სანამ არ გაირკვეოდა გენერალ დენიკინის საბოლოო მდგომარეობა.“[16] და აი, დენიკინის განადგურების შემდეგ ანტანტის უმაღლესმა საბჭომ, ამერიკის შეერთებული შტატების გამოკლებით, 1920 წლის 12 იანვარს „დე ფაქტო“ სცნო საქართველოს და აზერბაიჯანის,[17] შემდეგ კი, სომხეთის დამოუკიდებლობა, რომლებიც ანტანტის გეგმის მიხედვით ბუფერის როლს შეასრულებდნენ რუსეთის ფსს რესპუბლიკასა და ანტანტას შორის.

1920 წლის 10 თებერვალს საქართველოს და აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურებმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საფრანგეთში გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკა, საქართველო და აზერბაიჯანი, მოკავშირე სახელმწიფოებმა, ესე იგი ანტანტის უმაღლესი საბჭოს სამმა წევრმა — საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ, აგრეთვე ბელგიამ და იაპონიამ აღიარეს დე ფაქტო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ეს აღიარება დე ფაქტო უდავოდ ოფიციალური და გარკვეული, აქამდე არ ყოფილა დადასტურებული ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა თვალში წარმოადგენს თავისუფლებისა და სამართლიანობის დიადი პრინციპების

განხორციელებას. უკანასკნელ ხანებში ამერიკის მისიები მრავალგზის ეწვივნენ ამ რესპუბლიკებს, მიიღეს ყოველმხრივი ინფორმაცია. . ფედერალური მთავრობისათვის კარგადაა ცნობილი ამიერკავკასიის ხალხთა სურვილი მყარი კავშირი დამყარდეს ამერიკის დიად დემოკრატიასთან. დასკვნაში სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ აღიარა საქართველო და აზერბაიჯანი დე ფაქტო.[18]

§2
აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის ნოტა

მაშ, ვუბრუნდებით ისევ მთავარ განსახილველ საკითხს, ანუ დემოკრატიულ საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის (არ)შემდგარ ურთიერთობებს შტატებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის არცნობის გამო. ხოლო საბაბთა და მიზეზთა ერთობლიობის სიცხადის გარკვევაში რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი დაგვეხმარება, რომელთაგან უპირველესია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის ნოტა, რომელიც 1920 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა და რაიც ქართველი მკითხველისათვის სრულიად ხელმისაწვდომი გახადა მკვლევარმა ვახტანგ ტაბაღუამ,[19]* რამდენიმე არანაკლებ საყურადღებო დოკუმენტთან ერთად.

საკითხის საბაბ-მიზეზთა გარკვევის აუცილებლობას გვკარნახობს აღნიშნულ ნოტაში ჩამოყალიბებული პრინციპები, რომელნიც ფაქტობრივად დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური არსებობის უბრალოდ და ცხადად უარყოფასთან ერთად, შეიცავს, აგრეთვე, კიდევ უფრო მძიმე ტენდენციას, კერძოდ: პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს მისწრაფების კანონიერების უარყოფასაც.

მართალია, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ხშირად შეზღუდული იყო და კიდევ უფრო ხშირად მოსპობილიც ძლიერი მეზობლებისა თუ შორეული იმპერიების მიერ, მაგრამ ეს

---

* საგანგებო აღნიშვნის ღირსია სწორედ ის გარემოებაც, რომ არც ბეინბრიჯ კოლბის ნოტა და არც მასთან უშუალოდ დაკავშირებული .. დოკუმენტური მასალა მკვლევარ ვახტანგ ტაბაღუამდე არც თარგმნილა და არც გამოქვეყნებულა სრულად. თუმცაღა საკითხით დაინტერესებული მკვლევარნი არც მთლად უყურადღებოდ ტოვებდნენ აღნიშნულს, მაგრამ საფუძლიანად არ შეუსწავლიათ იგი. (ნ.კ.).

ხდებოდა მაშინ, შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად, როდესაც თურქეთი ან სპარსეთი ქართველი ხალხის მისწრაფებას მიიჩნევდნენ „უკანონოდ". ცხადია, აქ თავისთავად იგულისხმება თვით ყოფილი რუსეთის იმპერიის აზრიც და კვლავ ვიმეორებთ, უცნაური აქ თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო. „უცნაური" და საცნაური აქ მხოლოდ ის იყო, რომ მართალია ჯერ მხოლოდ მსჯელობის ფორმით, მაგრამ ასეთივე დამოკიდებულება გამოიკვეთა ამჯერად ვაშინგტონის მთავრობის ნოტაშიც. მაგრამ სჯობს, მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

1919 წლის 9 თებერვალს, შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე.[20]

იმავე თებერვალს შეერთებული შტატების უმაღლესი კომისრის პოსტი კონსტანტინოპოლში დაიკავა შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ადმირალმა მარკ ლამბერტ ბრისტოლმა. იმავე წლის ზაფხულს იგი ეწვია ბაქოს, თბილისსა და ბათუმს. ბრისტოლიც საქართველოს და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობის კატეგორიული წინააღმდეგი აღმოჩნდა.[21]

1919 წლის მაისში თბილისში შეერთებული შტატების კონსულის პოსტი დაიკავა ჩარლზ მოზერმა.*

---

* ქართველი მეცნიერი ალექსი ჩოხელი 1989-90 წლებში, ვილსონის ცენტრის მიწვევით, ვაშინგტონის არქივებში მუშაობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდგომ მან ქართველი მკითხველისათვის ჯერ კიდევ ბევრი უცნობი საინტერესო მასალა გამოაქვეყნა. ამჯერად, საკითხის საერთო კონტექსტის აუცილებლობის გამო, მხოლოდ ზოგიერთ ძუნწ დეტალს ვაცნობ მკითხველს ამერიკის საკონსულოს არსებობის შესახებ თბილისში. კერძოდ: გასული საუკუნის დამლევს ამერიკელებმა საკონსულო გახსნეს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პორტში შავ ზღვაზე, ბათუმში. ეს მოითხოვა ამერიკის კაპიტნის ამიერკავკასიის რეგიონში გამოჩენამ, უფრო მეტად კი ამერიკის იმედებმა უახლოეს მომავალში გერმანიის, საფრანგეთისა და მისი სხვა ევროპელი მეტოქეების შეკვეთებით თავისი ადგილი დაეკავებინა ამ რეგიონში.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, საკონსულომ თბილისში გადაინაცვლა. 1919 წლის მაისამდე ამერიკის კონსული საქართველოში გახლდათ ფელიქს უილოუი სმიტი, ცნობილი თავისი ანტიბოლშევიკური განწყობილებებით და საერთოდ, ოქტომბრის გადატრიალების შედეგების ამიერკავკასიაში გავრცელების მოწინააღმდეგე. თუმცაღა იგი ფრიად თავშეკავებულად უყურებდა, აგრეთვე, დამოუკიდებელ საქართველოში უკვე ძალაუფლებამოხვეჭილ ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც.

1920 წლის იანვრის პირველ დღეებში სმიტი ახალმა კონსულმა ჩარლზ მოზერმა შეცვალა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ დროიდან, თუ შეიძლება ითქვას, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაში ეგრეთ წოდებული გამყინვარების პერიოდი დაიწყო, რის მიზეზადაც მოზერი ქართულ დიპლომატიას სდებდა ბრალს. მკვლევარი ალექსი ჩოხელი ერთ ასეთ ეპიზოდს აღწერს თავის ნარკვევში. „... საკონსულო პრეზენტაციის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა უწყების შეფმა ევგენი გეგეჭკორმა ისეთი სიცივე და არაკეთილგანწყობილება გამოამჟღავნა ახალი კონსულის მიმართ, რომ ამან მოზერის კეთილმოსურნე კურსის მკვეთრი გადასხვაფერება გამოიწვია. ამ ავბედითი მიღების შემდეგ ახალმა კონსულმა მინიმუმამდე შეამცირა კონტაქტები საქართველოს ხელისუფლებასთან და ამის შემდეგ საქართველოს მთავრობასა და სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენელთა კონფლიქტში, როგორც წესი, უფრო მანამდე უჭერდა მხარს უცხოელებს". ხანდახან კი თავადვე ცდილობდა მთელი დიპლომატიური კორპუსის საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგოდ დარაზმვას და სხვა მისთანანი, თუმცაღა უცოლშვილო ამერიკელი კონსული თავად ერისთაის ასულზე დაქორწინდა თურმე, და, როგორც იტყვიან, ყველა იმ კეთილი საქმისაგან, რაც მოზერმა ქართველებს გაუკეთა, ყველაზე არსებითი ალბათ ის იყო, რომ ბოლშევიკ აგრესორთაგან ალყაშემორტმული ერისთავის ასულის გაყვანა მოახერხა მისი მრავალრიცხოვანი ნათესავებითურთ.

ვფიქრობ, საკონსულოს ეს არქივი და კონსულთაგან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი მრავალრიცხოვანი რელაცია დიდი ყურადღების და გამორჩეული კვლევის საგანია, რომელსაც, ეიმედოვნებ, მისწვდება ისტორიკოსის ინტერესი.

საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელი დღეების ამსახველი საკონსულო ანგარიში კი ჩარლზ მოზერმა კონსტანტინოპოლიდან (სტამბოლიდან) გაგზავნა თავის ქვეყანას, ვინაიდან სწორედ აქ დაიდო დროებითი ბინა ამერიკის შეერთებული შტატების თბილისის საკონსულომ მას შემდგომ, რაც 1921 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობასთან ერთად გაიქცა აქედან.[22] (ნ.ჯ.)

ეს ის დრო იყო, როდესაც გამოქვეყნდა კიდეც შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის აწ უკვე ცნობილი ნოტა.

ზოგიერთი ცნობილი ფაქტი წანამძღვრის სახით მთავარი სათქმელისათვის. ანუ, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა; 1920 წლის იანვარში ანტანტის უმაღლესმა საბჭომ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო; 1920 წლის მაისში საბჭოთა რუსეთმა ხელი მოაწერა საქართველოსთან ხელშეკრულებას და ცნო დე ფაქტო და დე იურე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ამავე პერიოდში იტალიის მთავრობა შეკითხვით მიმართავს შეერთებული შტატების მთავრობას. შეკითხვის მიზანი იყო არა მხოლოდ იტალიისათვის, არამედ ევროპისათვის ცნობილი გამხდარიყო ვაშინგტონის მთავრობის აზრი საბჭოთა რუსეთის ჯარების შეტევაზე პოლონეთის წინააღმდეგ. 1920 წლის 10 აგვისტოს იტალიის სრულუფლებიან ელჩს ვაშინგტონში რონალდო რიჩის[23] ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბეინბრიჯ კოლბიმ ოფიციალური ნოტა გადასცა, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ლაპარაკი იყო საქართველოზეც.

კერძოდ: „...შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა მოეწონებინა პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ეგრეთ წოდებული რესპუბლიკების — საქართველოს და აზერბაიჯანის ცნობის შესახებ და მისცა ამ თვალსაზრისით ინსტრუქცია თავის წარმომადგენელს სამხრეთ რუსეთში კონტრ-ადმირალ ნიუტონ ა.მაკ-კელის...“[24]

კოლბის ნოტა შეიცავდა საქართველოს სუვერენიტეტისადმი შეერთებული შტატების მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულების პირდაპირ და არაპირდაპირ მიზეზებს. ცხადია, ეს მრავალმხრივ საინტერესოა და ვიდრე მის ანალიზს შევუდგებოდეთ, მკითხველს წარმოვუდგენ საკუთრივ დოკუმენტს. ანუ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის ნოტას წარგზავნილს იტალიის მთავრობისადმი 1920 წლის 10 აგვისტოს.

სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის ნოტა იტალიის მთავრობას 25

ვაშინგტონი, 10 აგვისტო.

თქვენო აღმატებულებავ,

სახელმწიფო დეპარტამენტისათვის თქვენს მიერ გადმოცემული ნოტა, რომელშიც გვამცნობთ, რომ იტალიის მთავრობას კეთილგანწყობით სურდა გაეგო ამერიკის მთავრობის აზრი იმ ამბებზე, რომლებიც გამოიწვია რუსეთის შეტევამ პოლონეთზე, იმსახურებს სასწრაფო პასუხს. ამიტომ თავს ნებას მივცემ, დაუყოვნებლივ წარმოგიდგინოთ ჩემი მთავრობის პოზიცია იმ ვითარების შესახებ, რომელიც შეიქმნა რუსეთის სამხედრო დაწოლისაგან პოლონეთზე, ასევე რუსეთთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხზე, რომლებიც განიხილება უფრო ფართო თვალსაზრისით.

შეერთებული შტატების მთავრობას სწამს პოლონეთის ერთიანი, თავისუფალი და ავტონომიური სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობისა, შეერთებული შტატების მთავრობას და ხალხს გულწრფელად სურს პოლონეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. ჩვენ უარს არ ვიტყვით ამ პოზიციაზე და ამ მთავრობის პოლიტიკა მიმართავს ყველა საშუალებას, რათა გახადოს ეს გადაწყვეტილება ქმედითი. შეერთებული შტატების მთავრობა არ დაუპირისპირდება იმ ღონისძიებებს, რომლებსაც პოლონეთსა და რუსეთს შორის დაზავების მიღწევის მიზნით მიმართავენ სხვადასხვა წრეები; მაგრამ ამჟამად ის არ მიიღებს მონაწილეობას იმ გეგმის შემუშავებაში, რომლის მიზანი იქნება გადააქციოს რუსეთსა და პოლონეთს შორის საზავო მოლაპა-

რაკება საერთო ევროპულ კონფერენციად, რომელიც სრულიად შესაძლებელია დამთავრდეს ორი შედეგით: 1. ბოლშევიკური რეჟიმის ცნობა; 2. რუსეთის საკითხის გადაწყვეტა რუსეთის დაქუცმაცების ბაზაზე დამყარებით.

რუსეთის რევოლუციის პირველი დღიდანვე, 1917 წლის მარტიდან დღემდე, შეერთებული შტატების მთავრობა და ხალხი თვალყურს ადევნებდნენ რუსეთის ამბებს კეთილგანწყობილი ზრუნვით. ჩვენ ღრმა სიმპათიით განვეწყვეთ ძალისხმევისადმი, რომელიც მიისწრაფის გარდაქმნას თავისი ეროვნული ცხოვრება კანონიერი, ხალხის მიერ მოწონებული მმართველობის საფუძველზე. შეერთებული შტატების მთავრობა, გამოხატავდა რა თავის ხალხის გრძნობას, ყოველთვის ცდილობდა, დახმარებოდა რუს ხალხს.

აზრთა ამ ერთობაში იყო ჩაფიქრებული და წარმართული რუსეთთან ამერიკის ურთიერთობა. შეერთებული შტატების მთავრობა იყო პირველი, რომელმაც ცნო რევოლუციის კანონიერება და რუსეთის დროებითი მთავრობა. ცოტა ხნის შემდეგ კი, შეერთებულ შტატებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა საერთო ომში გერმანიის წინააღმდეგ და ამ წამოწყებით შეერთებოდა მოკავშირე სახელმწიფოებს, დაემყარებინა ურთიერთობა მათთან, მათ შორის რუსეთთანაც. რუსეთის მასების დაღლილობა ომის შედეგად კარგად იყო ცნობილი ჩვენი მთავრობისათვის. წინდახედულებამ და ჩვენი მოკავშირეებისადმი ლოიალობის გრძნობამ შეგვაგულიანა, აღმოგვეჩინა მორალური და მატერიალური მხარდაჭერა დროებითი მთავრობისათვის, რომელიც ორი მიზნის განხორციელებისათვის იბრძოდა: ჯერ ერთი, მთელი ენერგიით ომის გაგრძელებისათვის და მეორე, ერის ცხოვრების რეორგანიზაციისა და სახალხო სუვერენიტეტზე დამყარებული სტაბილური მთავრობის შექმნისათვის. ამ მოტივებისაგან დამოუკიდებლად შეერთებული შტატების მთავრობა და ხალხი განწყობილი იყვნენ გულწრფელი მეგობრობით დიდი რუსი ერის მიმართ.

სიმპათიამ, რომელიც გამოიჩინა რუსეთმა ჩვენი ხალხის მიმართ მძიმე განსაცდელისა და უბედურების დროს, ჩვენ აღგვავსო წარუშლელი მადლიერების გრძნობით. ჩვენ გაგზავნეთ რუსეთში ექსპერტთა კომისია რუსეთის რკინიგზის ტრანსპორტის სისტემის აღდგენის, ეკონომიკური ცხოვრების განახლების, რუსი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

ძლიერ ნანობდა რა კრიტიკულ მომენტში რუსეთის გამოსვლას ომიდან და ასევე ბრესტ-ლიტოვსკში დამღუპველ დათმობას, შეერთებულმა შტატებმა საკუთარ თავს გაიგო, რომ რუსი ხალხი არავითარ შემთხვევაში არ იყო პასუხისმგებელი ამ ღალატისათვის. შეერთებული შტატები ინარჩუნებენ შეურყეველ რწმენას რუსი ხალხისადმი, მისი დიდებული მომავლისადმი და იმედოვნებენ, რომ ის გაიმარჯვებს არსებულ ანარქიაზე, ტანჯვასა და სიღატაკეზე. ჩვენ სრულებით არ გვეპარება ეჭვი, რომ ეპოქის უბედურება არის შედეგი რუსეთის მკვეთრ გადასვლაში წინანდელი ისტორიული ფორმიდან ახალზე. შეერთებული შტატები დარწმუნებულია, რომ ერთიანი, თავისუფალი და აღდგენილი რუსეთი კვლავ დაიკავებს მისთვის სათანადო ადგილს მსოფლიოში და სხვა თავისუფალ ერებთან ერთად მაღლა დაიჭერს მშვიდობის, წესრიგისა და სამართლიანობის ემბლემას.

სანამ ეს პერიოდი დადგება, შეერთებულ შტატებს მიაჩნია, რომ პატიოსნება და მეგობრობა მოითხოვს რუსეთის ინტერესების საყოველთაო მფარველობას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, რუსეთისათვის ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, განსაკუთრებით, რაც შეეხება მის სახელმწიფო სუვერენიტეტს, ყოფილი იმპერიის საზღვრებს, ღიად უნდა დარჩეს, დიდი ერისადმი მეგობრული გრძნობის გამო, რომლის მრავალრიცხოვანმა მსხვერპლმა ძლიერი გავლენა მოახდინა ომის კეთილად დამთავრებაზე. სწორედ ამ პრინციპებმა შთააგონეს შეერთებული

შტატების მთავრობა 1919 წლის 15 ოქტომბერს გაეგზავნა თავისი პასუხი ლიტვის ეროვნული საბჭოსათვის და მტკიცე უარი ეთქვა, ეცნო რუსეთისაგან ბალტიის სახელმწიფოების გამოყოფა და დამოუკიდებლობა. ეს აზრია გატარებული 1920 წლის 23 მარტის ნოტაშიც, სადაც შეერთებული შტატების მთავრობამ განაცხადა: რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა საკითხების მოგვარებას, არაეითარი საბოლოო გადაწყვეტილება არ შეიძლება და არ უნდა იქნეს მიღებული რუსეთის თანხმობის გარეშე. ამ პოლიტიკის გატარების თანახმად, შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა, მოეწონებინა პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ეგრეთ წოდებული რესპუბლიკების — საქართველოსა და აზერბაიჯანის ცნობის შესახებ და მისცა ამ თვალსაზრისით ინსტრუქცია თავის წარმომადგენელს სამხრეთ რუსეთში კონტრ-ადმირალ ნიუტონ ა. მაკ-კელის. ბოლოს, ცნო რა სიამოვნებით სომხეთის დამოუკიდებლობა, შეერთებული შტატების მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ ქვეყნის საზღვრების საბოლოო დადგენა არ უნდა მოხდეს რუსეთის თანხმობისა და მასთან თანამშრომლობის გარეშე. რუსეთი დაინტერესებულია ამ საკითხით არა მარტო იმიტომ, რომ ახალი სომხური სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნაწილი ოდესღაც შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, არამედ იმიტომაც, რომ სომხეთმა უდავოდ უნდა უზრუნველყოს თავისთვის რუსეთის მეგობრული მფარველობა, თუ მას სურს დარჩეს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ეს მაგალითები გვიჩვენებენ, თუ როგორი სიმტკიცით ხელმძღვანელობდა შეერთებული შტატების მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში რუსეთთან მეგობრობით. იმ დროს, როდესაც რუსეთი უიმედოდ დარჩა ბრჭყალებში მთავრობისა, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ უხეშ ძალას, ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რაც ამ ქვეყანას კიდევ უფრო დაასუსტებს პოლიტიკური დაქუცმაცების შედეგად.

შეერთებული შტატების მთავრობა სავსებით ეთანხმება მოკავშირე სახელმწიფოებს, შექმნან სტაბილური ვითარება ევროპაში. ის მხარს დაუჭერს ამ მიზნისაკენ მიმართულ ყველა დასაბუთებულ ნაბიჯს. შეერთებული შტატების მთავრობა ამასთანავე არ სთვლის, რომ საბჭოების რეჟიმის ცნობას შეუძლია მიგვიყვანოს ასეთ შედეგამდე და ამის გამო არ იწონებს საბჭოთა რეჟიმთან მოლაპარაკებას დაზავების შესახებ.

დადგენილია უდავოდ, რომ რუსეთის თანამედროვე ხელისუფალნი არ მართავენ ქვეყანას რუსი ხალხის დიდი ნაწილის თანხმობით. თუმცა ორი წელი გავიდა, რაც მათ ხელში ჩაიგდეს სამთავრობო მექანიზმი, პირობა დადეს, დაეცვათ დამფუძნებელი კრება იმ შეთქმულებისაგან, რომელიც თითქოს მას ემუქრებოდა. მათ დღემდე არ ჩაუტარებიათ საერთო-სახალხო არჩევნები. მაშინ, როდესაც საყოველთაო არჩევნებზე დამყარებული სახალხო წარმომადგენლობის შექმნა ახლო იყო განხორციელებასთან, ბოლშევიკებმა, მიუხედავად იმისა, რომ შეადგენდნენ ხალხის უმცირესობას, ძალით და ეშმაკობით დაიპყრეს ხელისუფლება, სამთავრობო მექანიზმი და დღემდე ხელთ უპყრიათ იგი, იყენებენ რა მხეცურ ძალადობას, რათა შეინარჩუნონ საკუთარი ხელისუფლება.

არ გააჩნია რა არავითარი სურვილი რუსეთის ხალხის შინაგან საქმეებში ჩარევისა და თავს მოახვიოს მას მფარველობის ესა თუ ის ფორმა, შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს, რომ რუსები მონახავენ ახლო მომავალში გზას შექმნან თავისუფალი და დამოუკიდებელი მთავრობა. როდესაც ეს დღე მოვა, შეერთებული შტატების მთავრობა გამონახავს პრაქტიკულ ზომებს, რომლებიც შეუძლიათ მიიღონ რუსეთის აღორძინების უზრუნველსაყოფად იმ პირობით, რომ რუსები მხარს არ დაუჭერენ სხვა ერებს, ვინც ძარცვავს და ჩაგრავს პოლონეთს. შეერთებული შტატების მთავრობისათვის

შეუძლებელია ცნოს რუსეთის ახლანდელი მმართველები, როგორც მთავრობა, რომელთანაც შესაძლებელია ჰქონდეს მეგობრული ურთიერთობა. ამ რწმუნებას არა აქვს არავითარი საერთო იმ პოლიტიკური ან სოციალური სტრუქტურის თავისებურებასთან, რომელიც მოესურვება დაამყაროს თავისთან რუსმა ხალხმა. იგი ეყრდნობა სრულებით სხვა ხასიათის ფაქტების სერიას. ამ ფაქტებმა, რომლებიც სადავოდ არავის არ გაუხდია, დაარწმუნეს შეერთებული შტატების მთავრობა, რომ რეჟიმი, რომელიც ამჟამად რუსეთში ბატონობს, ეყრდნობა პატიოსნების, წესიერების და ყველა იმ შეთანხმების პრინციპების უარყოფას, რომლებზედაც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის მთელი სისტემა. ერთი სიტყვით, უარყოფა ყველა პრინციპისა, რომელთა გარეშე შეუძლებელია დაამყარო გულწრფელი და ჰარმონიული ურთიერთობები როგორც ერებს შორის, ასევე ცალკეულ კერძო პირთა შორის. ამ რეჟიმის პასუხისმგებელი ლიდერები ხშირად და აშკარად აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან, მოაწერონ ხელი ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან, სრულებითაც არ სთვლიან რა თავს ვალდებულად ისინი დაიცვან. ეს დამცინავი დამოკიდებულება ვალდებულებებისადმი, რომელსაც თვითონ ისინი ხალისით მოაწერდნენ ხელს, ჰქმნის მათთვის ხელსაყრელ თეორიას მორალური უპასუხისმგებლობისა ხელშეკრულების ვალდებულებებისადმი, რომლებიც ხელმოწერილი იქნება არა ბოლშევიკურ მთავრობასთან.

. ეს არ არის ბოლშევიკებისათვის მარტო უბრალო თეორია, არამედ არის დოქტრინა, რომელსაც ისინი იყენებენ პრაქტიკაში. მთელ რიგ შემთხვევაში პასუხისმგებელი სამთავრობო ორატორები და ოფიციალური აგენტები აცხადებენ, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან, რუსეთში ბოლშევიზმის წარმატება სრულ დამოკიდებულებაში იმყოფება რევოლუციებისაგან, რომლებიც თანმიმდევრობით უნდა მოედოს

ყველა სხვა ცივილიზებულ ერებს, მათ შორის, შეერთებული შტატებსაც. ისინი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გვაგრძნობინებენ, რომ მათ გადაწყვიტეს ისარგებლონ ყველა საშუალებით, მათ შორის, დიპლომატიური წარმომადგენლობითაც იმისათვის, რათა გამოიწვიონ რევოლუციური მოძრაობა სხვა ქვეყნებში.

მართალია, ბოლშევიკებმა ბევრჯერ განაცხადეს, რომ არ ისარგებლებენ პრივილეგიებით და იმუნიტეტით დიპლომატიური წარმომადგენლობის რევოლუციური მიზნებისათვის, მაგრამ მათი განცხადებები ეწინააღმდეგება მათ რწმენას და გარანტია არ შეიძლება განხილულ იქნას სერიოზულად.

გარდა ამისა, შეერთებული შტატების მთავრობა ინფორმირებულია, რომ ბოლშევიკურ მთავრობას აქვს ურთიერთობა მრავალ დაჯგუფებასთან უცხოეთში III ინტერნაციონალის საშუალებით და რომ ამ ორგანიზაციებს აშკარად მხარს უჭერს ბოლშევიკური მთავრობა. ისინი მიზნად ისახავენ ბოლშევიკური რევოლუციის გამოწვევას მთელს მსოფლიოში. ბოლშევიკური ლიდერები თვითონ აცხადებენ, რომ მათი დაპირება სხვა ერების საქმეებში არ ჩარევის შესახებ სრულებით არაა სავალდებულო ამ ორგანიზაციის აგენტებისათვის. არ არსებობს არავითარი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეს აგენტები სარგებლობენ სხვადასხვა ქვეყნებში ბოლშევიკების ყველა დიპლომატიურ წარმომადგენელთა მხარდაჭერით და მფარველობით. ბოლშევიკური მთავრობის დიპლომატია განუხრელად ხდება პროპაგანდის არხი იმ ქვეყნების ინსტიტუტებისა და კანონების წინააღმდეგ, რომლებთანაც რუსეთი იმოფება მშვიდობიან ურთიერთობაში.

მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია ვცნოთ აგენტები მთავრობისა, რომელიც მზადაა შეთქმულება მოაწყოს ჩვენი ინსტიტუტების წინააღმდეგ; არ შეიძლება არსებობდეს ოფიციალური ურთიერთობა ამერიკის მთავრობასა და ასეთ ხელისუფლებას

შორის. არც შეთანხმება მეგობრულ მიღებაზე. რუსეთის დიპლომატიური აგენტები, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, უფრო საშიში აგიტატორები არიან, ვიდრე ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ სრულებით არა აქვთ განზრახული, შეასრულონ ის ვალდებულებები, რომლებსაც ხელი მოაწერეს.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს დავსძინო, თქვენო აღმატებულებავ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა თავის მხრივ კმაყოფილებით მოეკიდება მოკავშირე და გაერთიანებული სახელმწიფოების დეკლარაციას რუსეთის ტერიტორიული მთლიანობისა და ნამდვილი საზღვრების შენარჩუნების შესახებ. მის საზღვრებში უნდა შევიდეს ყოფილი რუსეთის მთელი იმპერია, გარდა ფინეთის, პოლონეთის ეთნიკური ტერიტორიისა და ასევე იმ ტერიტორიებისა, რომლებიც შემდგომში ხელშეკრულებით უნდა შეუერთდეს სომხეთის სახელმწიფოს. ამ ხალხების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ კანონიერია. ყველა ისინი ძალით იყო ანექსირებული რუსეთის მიერ.

მათი განთავისუფლება არავითარი სახით არ ეხება რუსეთის ტერიტორიულ უფლებებს და უკვე სანქციონირებულია ხალხთა საზოგადოებრიევი აზრის მიერ. ასეთ დეკლარაციას მოჰყვებოდა ყველა უცხოური ჯარის გასვლა ამ საზღვრების შინაგანი ტერიტორიიდან. შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, მათ უნდა მოჰყვეს განცხადება, რომ სახელმწიფოები არ მოითხოვენ რუსეთის საზღვრების არავითარ დარღვევას.

მხოლოდ ამგვარად რუსული ბოლშევიზმი შემდგომში ვერ შეძლებს წარმატებით მოუწოდოს თუნდაც რუსული ნაციონალიზმის გრძნობისაკენ და იძულებული იქნება, ანგარიში გაუწიოს გონივრულობას და კეთილ ნებას.

ხელისმოწერა: *ბეინბრიჯ კოლბი.*
რადიო ტელეგრაფი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიმართ განწყობილებათა მრავალგვარი დამოკიდებულება ჩნდება: ჩვეულებრივი მკითხველისა, რომლის განცდა მხოლოდ ემოციას არ სცილდება; მკვლევარისა, რომელიც შესაძლებლობების ფარგლებში არსებულ ყველა პირველწყაროს გაცნობის შემდგომ შეძლებს შედარებით ობიექტური დასკვნის გაკეთებას; პოლიტიკოსისა, რომელიც, ერთის მხრივ, დიდი მსოფლიოს, მაგრამ ერთმანეთთან გადაჯაჭვული, თითქოს გლობალურ სოფელს დამსგავსებულ, ერთიან სხეულში განსხეულებულ, გარემომცველ ამ ანტურაჟთა ერთობლიობაში ეძებოს საერთოც, განმასხვავებელიც, ვიწრო და ლოკალური ინტერესიც, ჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო სწრაფვაც, ზნეობრივიც, დომინანტისაკენ სწრაფვაში უზნეობაც და უამრავი მსგავსი კითხვა-პასუხი. ხოლო მეორეს მხრივ კი შენ, ქართველმა მკვლევარმა, ეძიო შენი ქვეყნის ისტორიული ბედისწერა თუ ბედის ფილოსოფია, საერთოდ.

კითხვა-პასუხთა ამ ერთობლიობაში ქართველი მკვლევარისათვის საქართველოს სწორედ რომ პოლიტიკური ბედის ფილოსოფია იკავებს განსაკუთრებულ ადგილს და იწყებს ზემოხსენებული ნოტის შინაარსის მიხედვით განსაჯოს ამერიკის შეერთებული შტატებისგან საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფის თუ არცნობის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. აქ კი სამაგალითოდ უნდა დასახელდეს მკვლევარ ვახტანგ ტაბაღუას ანალიზი, რომელიც კოლბის ნოტის შინაარსს არ მიჰყვება მხოლოდ და მრავალ უცხოურ წყაროზე დაყრდნობითა და ანალიზით იძლევა საინტერესო დასკვნებს მკითხველთა და მკვლევართათვის ამ მეტად საჭირბოროტო შეკითხვებზე.

ახლა თვალი ამ ანალიზს მივადევნოთ და ეს მიზეზები განვიხილოთ:

I. 1) შეერთებული შტატები არ ცნობს რა ბოლშევიკურ რეჟიმს რუსეთში, ის კეთილგანწყობის გრძნობით ეკიდება რუს ხალხთან ურთიერთობას.

ა) ჯერ ერთი, როგორც ნოტაშია ნათქვამი, ამერიკელ და რუს ხალხს აკავშირებს ძველი მეგობრობა. ნოტაში ვკითხულობთ: „შეერთებული შტატების მთავრობა და ხალხი განწყობილი იყვნენ გულწრფელი მეგობრობით დიდი რუსი ერის მიმართ. სიმპათიამ, რომელიც გამოიჩინა რუსეთმა ჩვენი ხალხის მიმართ მძიმე განსაცდელისა და უბედურების დროს, ჩვენ აღგვავსო წარუშლელი მადლიერების გრძნობით". აქ იგულისხმება, ალბათ, რუსეთის პოზიცია შეერთებული შტატების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს. ინგლისის მეფის ჯორჯ III თხოვნაზე დახმარების შესახებ აჯანყებული კოლონისტების წინააღმდეგ ომში, ეკატერინე II მტკიცე უარი განაცხადა[26] და 1780 წელს რუსეთმა გამოაცხადა შეიარაღებული ნეიტრალიტეტი, რომელსაც შემდგომში შეუერთდნენ დანია, შვეცია, ჰოლანდია, პრუსია, პორტუგალია, ავსტრია და სხვ.[27]

ბ) შეერთებული შტატები გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაება მოკავშირე სახელმწიფოების მხარეზე, რომელთა შორის იყო რუსეთიც. მართალია, რუსეთი გამოვიდა ამ ომიდან, მაგრამ ამ „ღალატში" (როგორც ნოტაშია ნათქვამი) შეერთებული შტატები რუს ხალხს კი არ ადანაშაულებს, არამედ ბოლშევიკურ მთავრობას და ამრიგად, რუს ხალხთან ის გრძნობს თავის მოკავშირულ მოვალეობას. ნოტაში ვკითხულობთ: „....პატიოსნება და მეგობრობა მოითხოვენ რუსეთის ინტერესების საყოველთაო მფარველობას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, რუსეთისათვის ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, განსკუთრებით, რაც შეეხება მის სახელმწიფო სუვერენიტეტს, ყოფილი იმპერიის საზღვრებს, ღიად უნდა დარჩეს მეგობრული გრძნობების გამო, დიდი ერისადმი, რომლის მრავალრიცხოვანმა მსხვერპლმა ძლიერი გავლენა მოახდინა ომის კეთილად დამთავრებაზე".

2) შემდგომ, კვლავ რუს ხალხთან მეგობრული და კეთილგანწყობილი გრძნობით და რუსი ხალხი-

სადმი შეურყეველი რწმენით, რომ ისინი ახლო მომავალში შექმნიან თავისუფალ და დამოუკიდებელ მთავრობას, ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულს, შეერთებული შტატები წინააღმდეგია რუსეთის სახელმწიფოს დაქუცმაცებისა, რაც ა) ერთი მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკურ დასუსტებას, ანარქიას და კიდევ უფრო მეტ სიღატაკეს, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეუწყობს ხელს რუსი ერის აღორძინებას; და ბ) ხელს შეუწყობს ბოლშევიკური მთავრობის გაძლიერებას. ნოტაში ვკითხულობთ: „შეერთებული შტატების მთავრობის აზრით... უნდა გაკეთდეს განცხადება, რომ სახელმწიფოები არ მოითხოვენ რუსეთის საზღვრების არავითარ დარღვევას. მხოლოდ ამგვარად რუსული ბოლშევიზმი შემდგომში ვერ შესძლებს წარმატებით მოუწოდოს თუნდაც რუსულ ნაციონალიზმის გრძნობებისაკენ და იძულებული იქნება, ანგარიში გაუწიოს გონივრულობას და კეთილ ნებას“.

ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოებაც. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს ფინეთის, პოლონეთის ეთნიკური ტერიტორიისა და სომხეთის ტერიტორიის გამოყოფას რუსეთის იმპერიისაგან, შეერთებული შტატების მთავრობა მაინც ფრთხილ პოლიტიკას ატარებს ამ პოზიციასთან დაკავშირებით. პოლონეთის მაგალითზე ეს ასე ჟღერს ნოტაში: „შეერთებული შტატების მთავრობას სწამს პოლონეთ, ის ერთიანი, თავისუფალი და ავტონომიური სახელმწიფოს არსებობისა... მაგრამ ამჟამად ის არ მიიღებს მონაწილეობას იმ გეგმის შემუშავებაში, რომლის მიზანი იქნება გადააქციოს რუსეთსა და პოლონეთს შორის საზავო მოლაპარაკება საერთო ევროპულ კონფერენციად, რომელიც სრულიად შესაძლებელია დამთავრდეს ორი შედეგით: 1) ბოლშევიკური რეჟიმის ცნობა 2) რუსეთის საკითხის გადაწყვეტა რუსეთის დაქუცმაცების ბაზაზე დაყრდნობით“. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ:

გარდა ზემოთ მოტანილი მიზეზებისა, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, შეერთებული შტატების მთავრობასა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის ჯერ არ არის მიღწეული შეთანხმება არც საერთოდ რუსეთის იმპერიის და არც მასში შემავალი ტერიტორიების მომავალ ბედზე.

II. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კატეგორიულად წინააღმდეგია რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების. ამის ერთ-ერთი მიზეზია ბოლშევიკური მთავრობის კავშირი III ინტერნაციონალთან. ნოტაში ნათქვამია: „შეერთებული შტატების მთავრობა ინფორმირებულია, რომ ბოლშევიკურ მთავრობას აქვს ურთიერთობა მრავალ დაჯგუფებებთან უცხოეთში III ინტერნაციონალის საშუალებით და რომ ამ ორგანიზაციებს აშკარად მხარს უჭერს ბოლშევიკური მთავრობა. ისინი მიზნად ისახავენ ბოლშევიკური რევოლუციის გამოწვევას მთელს მსოფლიოში“.

ახლა მოკლედ გადავხედოთ მაშინდელი საქართველოს მთავრობის ურთიერთობას საერთაშორისო სოციალიზმთან. ზურაბ ავალიშვილი თავის წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ წერდა: საერთაშორისო სოციალიზმთან „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ჰქონდა მჭიდრო პირადი კონტაქტები“ და მასზე ამყარებდა დიდ იმედებს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში.[28] ზ. ავალიშვილს თავის წიგნში მოაქვს, აგრეთვე, საქართველოში მოღვაწე შეერთებული შტატების წარმომადგენელთა დასკვნები საქართველოს რესპუბლიკებზე: „სამივე რესპუბლიკების მთავრობები (იგულისხმება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობები) განიხილება როგორც აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი, დასავლური თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოში აღინიშნება „ბოლშევიზმის გავლენა“, „რევოლუციის წითელი დროშა ფრიალებს ნაციონალურის თავზე“; კერძო მესაკუთრეებისათვის მიწების კონფისკაცია — აუნაზღაურებლად...“[29]

ჩვენის აზრით, ეჭვგარეშეა, რომ მაშინდელი საქართველოს მთავრობის კავშირი, საერთოდ, საერთაშორისო სოციალიზმთან და, კერძოდ, III ინტერნაციონალთან, შეიძლებოდა გამხდარიყო საქართველოს დამოუკიდებლობისადმი შეერთებული შტატების მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი ფაქტორი.

კიდევ ერთ საკითხზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ბ. კოლბის ნოტა დათარიღებულია 1920 წლის 10 აგვისტოთი. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება უკვე დადებულია, ე.ი. რუსეთმა ცნო დე იურე საქართველოს სუვერენიტეტი. ნოტაში ვკითხულობთ: „რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა საკითხების მოგვარებას, არავითარი საბოლოო გადაწყვეტილება არ შეიძლება და არ უნდა იქნეს მიღებული რუსეთის თანხმობის გარეშე. ამ პოლიტიკის გატარების თანახმად, შეერთებულმა შტატებმა უარი თქვა, მოეწონებინა პარიზის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება „ეგრეთწოდებული რესპუბლიკების – საქართველოს და აზერბაიჯანის ცნობის შესახებ...“

ცხადია, შეერთებული შტატების მთავრობა არ ცნობს რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას, არც მის მიერ დადებულ ხელშეკრულებას და, აქედან გამომდინარე, მის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებას, არ მიიჩნევს რუსი ხალხის, რუსეთის თანხმობად.

III. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თვლის, რომ რუსეთის „საზღვრებში უნდა შევიდეს ყოფილი რუსეთის მთელი იმპერია, გარდა ფინეთის, პოლონეთის ეთნიკური ტერიტორიისა და ასევე იმ ტერიტორიებისა, რომლებიც შემდგომი ხელშეკრულებით უნდა შეუერთდეს სომხეთის სახელმწიფოს. ამ ხალხების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ კანონიერია. ყველა ისინი ძალით იყვნენ ანექსირებული რუსეთის მიერ“. გამოდის, რომ ქართველები, საქართველო, ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს.

ჩვენ არ ვიცით, შეერთებული შტატების მთავრობა იცნობდა თუ არ გეორგიევსკის ტრაქტატის შინაარსს და როგორი იყო მისი დამოკიდებულება ამ ტრაქტატისადმი, ან როგორ აანალიზებდნენ შეერთებულ შტატებში XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ქართველმა დიპლომატებმა 1917-1920 წლებში ვერ შეძლეს სწორად გაეცნოთ შეერთებული შტატების მთავრობისათვის საქართველოს ისტორიული რეალობა და ის უდავოდ ჩვენი იმდროინდელი დიპლომატიის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.[30]

§3
დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ოფიციალური პროტესტი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის — ბეინბრიჯ კოლბის, უკეთ რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 1920 წლის 10 აგვისტოდ დათარიღებულმა ნოტამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ვერსალის საბჭოს ქვეყნებს შორის და, ცხადზე უცხადესია, დემოკრატიული საქართველოს მთავრობისაგან, რის გამოც 1920 წლის 15 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ ოფიციალური მემორანდუმი აახლა ვერსალის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებს,[31] ზუსტად შემდეგი შინაარსით:

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია.

მემორანდუმი

დედოფლის ჭიშკარი, №32,
ლონდონი, S.W.7.
1920 წლის 15 აგვისტო

წარდგენილი მოკავშირე დიდი სახელმწიფოების მთავრობისადმი, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტის შესახებ.

ამას წინათ, საჯაროდ პრესაში გამოქვეყნებული იყო შეერთებული შტატების ნოტის ტექსტი რუსეთის შესახებ, რომელიც ახლახან გადაეცა იტალიის ელჩს ვაშინგტონში. რამდენადაც ამ პრობლემის ზოგიერთი ასპექტი ძალიან ახლო ეხება საქართველოს პოლიტიკურ მომავალს, ამდენად, ამ რესპუბლიკის დელეგაცია თავის მოვალეობად სთვლის, ხაზგასმით აღინიშნოს საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა ამერიკის ზემოხსენებულ ნოტაში ჩამოყალიბებულ დოქტრინებთან დაკავშირებით.

ეს ახსნა-განმარტება. მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ნოტაში ჩამოყალიბებული პრინციპები, ფაქტობრივად დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური არსებობის უბრალოდ და ცხადად უარყოფასთან ერთად, შეიცავს ასევე პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს მისწრაფების კანონიერების უარყოფასაც. ეს უარყოფა, მოთავსებულია დიპლომატიურ დოკუმენტში, რომელიც გამომდინარეობს ძალიან დიდ სახელმწიფოს მთავრობისაგან, დიდ ზიანს მიაყენებს საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკურ ინტერესებს.

მაგრამ, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ეს დამღუპველი დასკვნები გამომდინარეობენ საკმაოდ ბუნებრივად, რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის დოგმიდან, რომელსაც ეს ნოტა აცხადებს. ეს მთლიანობა ნოტაში გამოხატულია ყოფილი რუსეთის იმპერიის ერთობლიობაში გარდა ფინეთის, საკუთრივ ეთნიკური პოლონეთისა და ტერიტორიებისა, რომლებიც შეთანხმების შედეგად შეიძლება გახდნენ სომხეთის სახელმწიფოს ნაწილი.

სავსებით ცხადია, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობა ძალიან ძლიერად დარღვეულია ყველა გამონაკლისის ჩათვლით, რომლებიც მოიცავენ ისეთ ელემენტებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსეთის იმპერიის მთლიანობისათვის; მაგრამ რა მოტივებს ემყარება თვით ეს შეზღუდული ჩამოთვლა? „ამ ერების (პოლონელი, ფინელი და სომეხი) მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ კანონიერია“ და სხვ. ასეთია ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევა ნოტა, რათა გაამართლოს შეერთებული შტატების გადაწყვეტილება, დაუშვას ეს სამი „დამოუკიდებლობა“, მიუხედავად რუსეთის მთლიანობის პრინციპისა.

საქართველო იცავდა თავის საქმეს საზავო კონფერენციაზე; ის დაიცავს მას ერთა ლიგის წინაშეც, ითხოვს ისევ რა, მისი დამოუკიდებლობის ოფიციალურ ცნობას, რომელიც ორგანიზებული და

ფაქტობრივად უკვე ცნობილია, რაც შეეხება „დამოუკიდებლობისაკენ მისი მისწრაფების კანონიერებას“, საქართველოს არ ესმის, რით განსხვავდება მისი საქმე ანალოგიური შემთხვევებისაგან, როდესაც ლაპარაკია აშკარად გამოხატული ეროვნული პიროვნების ხალხებზე.

საქართველო არ დაელოდა პრეზიდენტი ვილსონის ცნობილი 14 პუნქტის გამოცხადებას, რათა შეექმნა ეროვნული თვითშეგნება და მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ.

მართალია, საქართველოს ისტორიაში მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ხშირად შეზღუდული იყო და ზოგჯერ მოსპობილიც დესპოტური იმპერიების მიერ, რომლებიც იქმნებოდნენ მის მეზობლად. მაშინ ხდებოდა, მაგალითად; როდესაც თურქეთი ან სპარსეთი ქართველი ხალხის მისწრაფებას პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ მიიჩნევდნენ „უკანონოდ“. თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი იყო ყოფილი რუსეთის იმპერიის აზრი და ყოველგვარი გაოცების გარეშე ჩანს, რომ ასეთი მსჯელობა აღდგენილია ვაშინგტონის მთავრობის ნოტაში.

მაგრამ საქმე ის კი არ არის, რათა გადაწყდეს, საქართველოს პოლიტიკური მისწრაფება კანონიერია თუ არა. არა მარტო არსებობს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 1918 წლის 26 მაისიდან, არამედ ის უკვე ცნობილი იქნა, როგორც ასეთი, 1920 წლის იანვარში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ბელგიის, იაპონიის, ხოლო უფრო გვიან, გენერალ დენიკინის მთავრობისა და საბჭოთა მთავრობის მიერ.

ცნეს რა საქართველო ზემოხსენებულმა დიდმა სახელმწიფოებმა, ისინი უდაოდ სთვლიდნენ მომხდარ აქტს რუს ხალხთან მათ სიმპათიებთან შეთავსებულად და არსებული ქაოსიდან გამოსული ახალი, თავისუფალი და დემოკრატიული რუსეთის ინტერესების მიმართ სწორად გაგებულად.

საქართველოს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ეს სახელმწიფოები განაგრძობენ სვლას მათ მიერ არჩეული გზით და არ მისცემენ თავს უფლებას, აღმოჩნდნენ რუსეთის მთლიანობის ყალბი და პირობითი ცნებით გატაცებულნი, რომ ისინი მსხვერპლად არ შესწირავენ ამ უსაფუძვლო დოქტრინას პოლიტიკურ ორგანიზმებს, რომლებიც უკვე არსებობენ იმ ფარგლებში, რასაც წარმოადგენდა რუსეთის იმპერია და რომ ამ სახელმწიფოების და კერძოდ, საქართველოს ოფიციალური და იურიდიული ცნობით, ისინი დაასრულებენ ამბების დროებით მდგომარეობას, რათა ადგილი დაუთმონ მუდმივს.

ამერიკის ნოტის აზრის საწინააღმდეგოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალური ცნობა, არაფრით ხელს არ შეუწყობს რუსეთის „დაქუცმაცებას". რუსეთის ერთიანობა დასამარებულია იმაში, რაც ისტორიული კატასტროფა გახდა; ახლა საქმე მიდის იქითკენ, რომ ხელი შეეწყოს დემოკრატიული რუსეთის აღდგენას. ეს იქნება ძალიან ვრცელი იმპერია, თუ შესაძლებელი გახდება გაერთიანდეს ერთ სახელმწიფოში ყველა ნამდვილად რუსული ტერიტორია. ეს უკვე წარმოადგენს საკმაოდ ძნელ და დიდ ამოცანებს, მაგრამ ცუდი სამსახური და ცუდი რჩევა იქნებოდა მომავალი რუსეთისათვის, თუ შეეცდებიან გააერთიანონ მომავალ ერთიან რუსეთში ხალხები, რომლებსაც ეს არ სურთ, რომლებიც არ არიან რუსები და რომლებმაც დაადასტურეს თვითმმართველობის უნარი.

ამ მხრივ, ქართველი ხალხის სიცოცხლისუნარიანობა და პოლიტიკური ენერგია საკმაოდ დადასტურებულია. კომპეტენტური და მიუკერძოებელი მოსამართლეები, დაუშვებენ რა მრავალრიცხოვან ნაკლს საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზებაში, მიუხედავად ამისა, აღნიშნავენ მათი დაწესებულებების სიმტკიცეს, მთელი ერის მიერ ერთიანი ძალით წესრიგის შექმნას და შენარჩუნებას, მიუხედავად სრული ანარქიისა და დაშლილი თურქეთ-სპარსეთის

მეზობლობისა. რათა მიეღო ეს შედეგები, რომ დაეცვა თავისი სამშობლო შემოსევებისა და ბოლშევიკური ინტრიგებისაგან, ქართველ ხალხს უნდა გამოეჩინა პატრიოტიზმი და თავგანწირულობა, რომლის ქების შესხმა აქ უადგილო იქნებოდა.

ამერიკის ნოტა საქართველოს რესპუბლიკად არცნობამდეც კი მიდის; ამ სახელმწიფოს ის „საქართველოს ეგრეთ წოდებული რესპუბლიკის“ კვალიფიკაციას აძლევს.

საქართველოს მთავრობამ თავისი ხელისუფლება მიიღო დამფუძნებელი კრებიდან, რომელიც ნამდვილად არჩეული იყო მთელი ხალხის საყოველთაო ხმის მიცემით; ყველა საზოგადოებრივი თავისუფლება, სხვათა შორის, პრესის თავისუფლებაც, უზრუნველყოფილია საქართველოში; იუსტიცია, ადგილობრივი თვითმმართველობა და უფლება მიცემული ეროვნული უმცირესობებისადმი, იქ ორგანიზებულია ყველაზე ლიბერალურ საფუძვლებზე. მოკლედ რომ ითქვას, ის ნაკლები, რომლებზეც საყვედურობენ რუსეთში საბჭოთა რეჟიმს, მთელი სიგანით განხორციელებულია საქართველოს დაწესებულებებში.

ყველგან, ორივე სფეროში, მმართველობა და პოლიტიკური სისტემა, გამოყენებული საქართველოში, განიხილება, როგორც რესპუბლიკური.

საქართველო დარწმუნებულია, რომ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც ის დე ფაქტო ცნეს და რომლებიც უკეთ არიან საქმის კურსში, რათა იქონიონ სწორი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საქართველო, არასოდეს არ მიიღებენ მონაწილეობას არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, ქართველი ხალხის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დანგრევაში; რომ ეს სახელმწიფოები არასოდეს არ იხელმძღვანელებენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიული ერთიანობის ძველი მექანიკური თეორიით და რომ ისინი სრულებითაც არ ჩათვლიან აუცილებლად, მომავალი რუსეთის კეთილდღეობისათვის მოსპონ ან ხელი შეუწყონ ახალი რესპუბლიკის

მოსპობას, რომლებიც შეიქმნენ ყოფილი რუსეთის ფარგლებში.[32]

ეს, რაც შეეხებოდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ოფიციალურ მემორანდუმს, თორემ საერთო მღელვარება ამ საკითხის გარშემო დიდხანს არ დამცხრალა საქართველოში არც პოლიტიკურ წრეებში და არც ყოველდღიურ პრესაში.[33]

1920 წლის ზაფხულში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა საგარეო პოლიტიკური ტურნე გამართა ევროპის წამყვან ქვეყნებში. ტურნე იტალიიდან დაიწყო და 1920 წლის 30 აგვისტოს შედგა ევგენი გეგეჭკორისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის გრაფ სფორცას საუბარი. იმავე დღეს, ქართველი მინისტრი მიიღო იტალიის მთავრობის თავმჯდომარემ ჯოლიტიმ.[34]

როგორც მოსალოდნელი იყო, საუბარი შეეხო ორმხრივ ურთიერთობათა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს. სწორედ ამ დღეებში გამოქვეყნდა ევროპის პრესაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ. კოლბის ნოტა და რაც ფორმალურის თვალსაზრისით წარმოადგენდა პასუხს ვაშინგტონში იტალიის ელჩის შეკითხვაზე — პოლონეთის მოვლენების თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისის განსაზღვრას.

იტალიის ზემოაღნიშნულმა მაღალმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ევგენი გეგეჭკორთან საუბარში საზგასმით შენიშნეს, რომ ოფიციალური იტალია არ იზიარებდა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას საქართველოს მიმართ და რომ იტალიის მთავრობამ შეერთებული შტატებს მიუთითა შემდეგი: „მას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას, მითუმეტეს რომ ქართველი ხალხი არ მიეკუთვნება სლავურ რასას და აქვს თავისი ათასწლოვანი კულტურა,

რაც უფლებას აძლევს თავად განაგებდეს თავის თავს.“[35]

იმავე დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი რომის გაზეთ „ტრიბუნა“-ს კორესპონდენტთან საუბარში შემდეგ განცხადებას გააკეთებს:

საქართველო თავისი დამოუკიდებლობის პირველ დღიდან ცდილობდა შეექმნა მეტად მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა დასავლეთის კულტურულ სახელმწიფოებთან. ასეთი ურთიერთობების განვითარება ხდებოდა მით უფრო კეთილგანწყობილი, რომ საქართველოში არიან ევროპის სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლები, ხოლო ევროპაში არიან საქართველოს წარმომადგენლები, რომლებიც ყველა ღონისძიებას მიმართავენ, რათა ევროპას გააცნონ ახალგაზრდა რესპუბლიკა და შექმნან ძალიან ძლიერი კულტურული კავშირები. მაგრამ რესპუბლიკის განვითარება კულტურულ-ეკონომიკურ და ფინანსური თვალსაზრისით, აყენებენ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაჭრას. ამ საკითხზე მიწერ-მოწერა საქართველოს დედაქალაქსა და ევროპის ქვეყნების დედაქალაქებს შორის, მოითხოვს მეტად დიდ დროს და ამიტომ რესპუბლიკის მთავრობამ აუცილებლად ჩათვალა, დაემყარებინა უშუალო ურთიერთობები ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ ხელმძღვანელებთან.

შეეხო რა უშუალოდ საქართველოს ურთიერთობას იტალიასთან, ე. პ. გეგეჭკორმა თქვა: მე ბედნიერი ვარ განვუცხადო რომის პრესის წარმომადგენელს, რომ ქართველი ხალხი განწყობილია იტალიელი ხალხისადმი უდიდესი და გულწრფელი სიმპათიის გრძნობით. მე კარგად ვიცნობ იტალიას, დიდი ხანია მიყვარს ის და აღფრთოვანებული ვარ მით. იტალია იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან და მხარი დაუჭირა მის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ. იტალიაში მე

ვისახავ მიზნად იმას, რაც განუყრელად დაკავშირებულია ჩემს საერთო მიზნებთან, რომლის გადაწყვეტისათვის მე იმედი მაქვს ყველა იმათი მხარდაჭერის, ვინც მეგობრულადაა განწყობილი საქართველოსადმი. არ მიხდება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იტალია მეგობრულადაა განწყობილი საქართველოს რესპუბლიკისადმი, რამდენადაც ეს ერთხელ კიდევ იყო დადასტურებული იტალიის პასუხით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კოლბის ნოტაზე რუსეთის საკითხის შესახებ. ამ ნოტის შესახებ მე შემიძლია ჩემი აზრი ვთქვა სავსებით გარკვეულად. ყოველი ქართველის გულში, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პოლიტიკური რწმენის მიუხედავად, ცნობამ, რომ ოკეანისიქითა დიდმა რესპუბლიკამ, ამასთანავე, არც ისე დიდი ხნის წინ გამოსულმა ხალხების თვითგამორკვევის იდეის მხურვალე დამცველად, თავის ნოტაში ერთი ხელის მოსმით ნულამდე დაყავს ქართველი ხალხის დიდი ისტორიული და ეროვნული უფლება დამოუკიდებლობაზე, გამოიწვია ყველაზე მწარე გრძნობა. მე ვთვლი ჩემს თავს მოვალედ განვაცხადო ყველაზე მხურვალე პროტესტი მტრული და უარყოფითი დამოკიდებულების წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, ამერიკის ნოტაში გამოთქმულ აზრზე. ამასთანავე, მე უნდა ვთქვა, რომ თუ საქართველო სამი წლის განმავლობაში დგას, როგორც სალი კლდე ანარქიის ტალღებს შორის, რომელიც არის აღმოსავლეთში, მედგრად იცავს თავის ხალხს და თავის თავისუფლებას ყოველგვარი დამანგრეველი საშიშროებისაგან, ამით ის დავალებულია მხოლოდ თავის თავისაგან, თავისი დემოკრატიის ძალებისაგან. ბატონ კოლბის შეუძლია ჩვენ არ დაგვიჯეროს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მან უნდა დაუჯეროს შეერთებული შტატების წარმომადგენლებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოში და არც ისე დიდი ხანია იქ დაამთავრეს მუშაობა. მე

შემიძლია სრულიად გარკვეულად განვაცხადო, რომ ჩვენი რესპუბლიკა მეამბოხე რესპუბლიკა არაა, როგორც ის მოხსენებულია ნოტაში, საქართველოს დამოუკიდებლობა არის იურიდიული და უდავო, ნამდვილი ფაქტი. თუ რომელიმე სახელმწიფო ნებისმიერი თვალსაზრისით ისურვებს დღეს ამას ანგარიში არ გაუწიოს, ისინი ამას ანგარიშს გაუწევენ ხვალ, ვინაიდან ასეთია ხალხის სურვილი, პატარა, მაგრამ სულისკვეთებით დიდი ხალხისა. ამერიკის ნოტა ცნობს პოლონეთის, ფინეთის და სომხეთის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ, იმიტომ რომ ეს ქვეყნები იყვნენ ძალით შეერთებული რუსეთთან, მაგრამ უარყოფს ამ უფლებას ჩვენთვის, იმ მიზეზით, რომ 120 წლის წინ საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, რომ ვიდავოთ ამა თუ იმ ერის თვითგამორკვევაზე, მაგრამ მე უფლებას ვაძლევ ჩემს თავს ვიკითხო: იშრომა ბატონმა კოლბიმ, რომ გაცნობოდა იმ პირობებს, რომლებითაც საქართველო შეუერთდა რუსეთს? მას რომ ეშრომა ამისათვის, იგი გაიგებდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების დროს ხელმოწერილ იქნა ორმხრივი ხელშეკრულება — შეთანხმება სახელმწიფოსი სახელმწიფოსთან. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს რუსეთის განსაზღვრულ ვალდებულებებს. ამასთანავე, პირველ რიგში იდგა საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესახებ და მისი ტერიტორიის დაცვა საგარეო საშიშროებისაგან. პირველი ამ პირობებიდან დიდი ხნის წინ იქნა დარღვეული რუსეთის მიერ. სამი წლის რუსეთის ბოლშევიზაციამ დაარღვია რუსეთის უკანასკნელი ვალდებულება ქართველი ხალხის მიმართ: მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მძვინვარებდა მსოფლიო ომი, რუსეთის ჯარმა დატოვა ამიერკავკასიის ფრონტი, ხოლო საბჭოთა დიპლომატიამ ბრესტის ზავის თანახმად თურქებს გადასცა ბათუმი, თუმცა ბათუმის ოლქი ყოველთვის იყო საქართველოს

ტერიტორიის ნაწილი. ჩვენ არ გვქონდა შემთხვევა და შესაძლებლობა, აღგვედგინა თანამედროვეობის მახსოვრობაში ძველი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და ქართველ ხალხს არ დარჩა სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ კვლავ დაეწყო ზრუნვა თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზებისათვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებული შტატები, გაიგებენ რა ამ აქტების შესახებ, ცნობენ ჩვენ უფლებას დამოუკიდებლობაზე, როგორც ის ცნო რუსეთის მთავრობამ და როგორც ცნობს მას ერთა ლიგა. ჩვენ გავიღეთ არა მცირე, მძიმე მსხვერპლი დემოკრატიული საწყისების დამტკიცებისათვის ამიერ-კავკასიაში საერთაშორისო უთანხმოებათა გადასაჭრელად და ამიტომ ვთვლით იდეას, რომელიც საფუძვლად უდევს ერთა ლიგის შექმნას, ჩვენი დროის საერთაშორისო პოლიტიკის უდიდეს იდეად.

ბოლოს ე.პ. გეგეჭკორმა კორესპონდენტის კითხვაზე, ერთა ლიგა თავის უახლოეს საერთო კრებაზე განიხილავს თუ არა საქართველოს საკითხს, უპასუხა:

– მე ეჭვი არ მეპარება საქართველოს საკითხის დადებითად გადაჭრაში, ვინაიდან ერთა ლიგა არის დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია დაამყაროს უფლებებზე და სამართლიანობაზე დამყარებული ურთიერთკავშირი ხალხებს შორის. უარყო უდავო უფლება ჩვენი პატარა ხალხის თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე და მშვიდობაზე, ეს იქნებოდა ძალადობის მოხდენა ხალხებზე და სამართლებრივი ნორმების უდიდესი დარღვევა. მე არ შემიძლია დავუშვა ამის შესაძლებლობა ერთა ლიგის მხრიდან, ვინაიდან ეს იქნებოდა ის, რომ არ გვჯეროდეს იმის განხორციელება და მტკიცება, რისი სამსახურისათვის მოწოდებულია ერთა ლიგა.[36]

ვუბრუნდებით ისევ ბ. კოლბის ნოტას და ამჯერად, მხოლოდ იმის აღნიშვნა შეგვიძლია, რომ ოფიციალური ვაშინგტონის ამგვარმა დამოკიდებულებამ, საბედნიეროდ, ხელი არ შეუშალა საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივ და იურიდიულ საერთაშორისო აღიარებას, მაგრამ აღნიშვნის ღირსია ერთიც: მოგვიანებით, ბოლშევიკური რუსეთის შეიარაღებული აგრესია და მთელი კავკასიის ოკუპაცია-ანექსია დაგმობილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ და კონგრესმა და მთავრობამ ამ მთლიანად მხარი დაუჭირა კავკასიის რესპუბლიკების ხალხებს. ზემოთქმულის დასტურად შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილებაც კი მიიღო:

ამერიკის შეერთებული შტატების სენატი და პალატა, რომლებიც კონგრესში შეიკრიბნენ, ადგენენ: „განისაზღვროს კანონით ნებადართული თანხა საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნასთან დაკავშირებით, როგორც კი პრეზიდენტი მიზანშეწონილად ჩათვლის ასეთ დანიშვნას“.[37]

ბილი მოუწოდებდა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლებს, გაესწორებინათ თავიანთი წინამორბედების შეცდომები და დაედასტურებინათ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის ხელშეუვალი უფლება.[38]

***

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, თუნდაც, მცირე ხნის არსებობის მანძილზე საინტერესოდ გამოიკვეთა კონტინენტური და არაკონტინენტური ევროპისა და ოკეანისგაღმელი დიდი სახელმწიფოს ფარული და ღია ინტერესები. კერძოდ: მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების დროს ვისი გავლენის სფერო იქნებოდა კავკასიის რეგიონი ზოგადად და საქართველოც მათ შორის. ანუ მაშინდელი პოლიტიკური კატეგორიებით რომ ვიმსჯელოთ, რომელი პროტექტორატის მანდატის მფლობელობაში მოექცეოდა ჩვენი ქვეყანა?! და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან საქართველოს განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობა ანუ, ევროპა-აზიის გზაკვანძზე მისი ისტორიული ყოფნა, მუ-

დამ ჟამს უმძიმეს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას უქმნიდა მას.

ნაშრომის ამ მოსაკვეთში, ცხადია, ზოგად შტრიხებში, მაგრამ მაინც გამოიკვეთა ოფიციალური ვაშინგტონის, უკეთ რომ ვთქვათ, პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ფარული პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით კავკასიაში და საგანგებოდ საქართველოშიც წარმოგზავნილ ექსპედიციათა და ექსპედიტორთა შეხედულებები და დასკვნები, მაგრამ საქართველოს თვით ამ უმძიმეს პირობებშიც კი (1921 წლის ზუსტად 10 თებერვალი) არ დაჰკლებია კეთილისმყოფელნიც, კეთილისმსურველნიც და უბრალოდ გამამხნევებელნიც და საქართველო-ამერიკის ამ მოსაკვეთსაც იმედიანი ნოტით ვასრულებ, რისი საშუალებაც იმჟამად თბილისში მყოფმა ხავად ერთმა ამერიკელმა მომცა, უკეთ რომ ვთქვა, სტენფორდის უნივერსიტეტის (კალიფორნია) პროფესორმა ჰოლდერმა, რომელმაც თავისი უნივერსიტეტის დავალებით გამოიკვლია, თურმე ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოთა სახელმწიფოებრივ-ეკონომიკური ფორმები.

„მ-რ ჰოლდერი იყო ფინეთში, პოლონეთს, ესტონიასა და ლიტვიაში, საღაც შეჰკრიფა, სხვათა შორის, ძვირფასი მასალა, რაც კი შეეხება ამ ქვეყნების განვითარების ისტორიას და რუსეთიდან მათი ჩამოშორების საქმეს. ამავე მიზნით პროფესორი ჰოლდერი ეწვია საქართველოს, სადაც მთავრობის ფართე თანამოქმედებით, იგი გაეცნო საქართველოს რესპუბლიკის აღმოცენების ისტორიას, მის პოლიტიკურ სტრუქტურას, სახელმწიფოებრივ აპარატს და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას.

პროფ. ჰოლდერმა საქართველოს იურიდიულად აღიარების გამო შემდეგი განუცხადა თბილისის ერთერთი გაზეთის თანამშრომელს:

„ამერიკა, რომელიც მწვავედ დაინტერესებულია ახლო აღმოსავლეთით და კერძოდ, საქართველოთი,

სამწუხაროდ, ნაკლებ იცნობს პატარა, ენერგიით სავსე და აყვავებულ ქვეყანას. დღემდის ამერიკის ერი მხოლოდ „ქველმოქმედებით“ გამოდიოდა იმ ერების დასახმარებლად, რომელნიც სასტიკად დაზარალდნენ ომიანობის დროს. მაგრამ უეჭველია, რომ ამერიკა ზერელედ არ უცქერის ისტორიულ ბედიღბალს იმ ერისას, რომელმაც რუსეთის განაპირა პროვინცია აყვავებულ კუთხედ გადააქცია. მე დარწმუნებული ვარ — განაცხადა ჰოლდერმა, რომ ახლო მომავალში ამერიკა გადასწყვეტს საერთაშორისო პოლიტიკის ძირეულ საკითხებს და გამოსთქვამს თავის ნებას, საქართველოს შესვლისათვის კულტურულ ერთა ოჯახში. პირადად ჩემი აზრი ამგვარია, რომ საქართველოს მომავალი დამოკიდებულია თავისთავადურ პოლიტიკურ აღმშენებლობაზე.

ერთი ერის დაქვეშევრდომება მეორისადმი, უსათუოდ გამოიწვევს მეორის, მცირე ერის დაღუპვას, როგორც ეკონომიკურად, ისე ნაციონალურად.

და მარტო მედგარი დაცვა ნაციის მიერ თავის პოლიტიკურ უფლებების, არის გარანტია მის კეთილისტორიული მომავლის. გაეცანი რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის ბრძოლას უკანასკნელ წლებში, ვიხილე რა ერთობლივი, ჭეშმარიტი დემოკრატიული ნება ქართველი ხალხისა იმპერიალისტურ ზრახვათა ასალაგმავად, მე მიველ დასკვნამდე, რომ საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური გარემოება არის არა შემთხვევითი ეპიზოდი ახალი მსოფლიო ისტორიის, არამედ არის მისი აუცილებელი ისტორიული უფლება, რომლის წარსამართავადაც ომიანობამ შეჰქმნა მინიმუმი სასურველ პირობებისა.

ეს ჭეშმარიტი ჩემი შეხედულება, დაფუძნებულია არა მარტო პირად შთაბეჭდილებაზე, როგორც უცხოელის, არამედ დამყარებულია ისტორიულ ფაქტებზე და საბუთებზე.

ამერიკაში დაბრუნებისას, მე ვეცდები ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში გავახმაურო კავკასიის ამ პატარა კულტურულ ერის სახელი, რომლის პოლიტიკური სიმწიფე და სახელმწიფოებრივი მაჯისცემა იცნო დასავლეთ ევროპამ.

ხვალ მივემგზავრები კონსტანტინეპოლით ამერიკაში და გთხოვთ, გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ ჩემი ნამდვილი გრძნობანი პატივისცემისა და სიყვარულისა ქართველ ერისადმი, იმ ძვირფას მასალის გამო, რომლითაც მე აღმჭურვა, და იმ თანამოქმედებისათვის, რომელიც აღმომიჩინა ჩემს მუშაობაში".[39]

***

თუმცაღა, ყოველივე ზემოთქმული სიტყვიერი თანაგრძნობა აღმოჩნდა მხოლოდ, რადგან ორი წლის შემდეგ, საგანგებო მანდატით აღჭურვილი, შტატებს მივლინებული ზურაბ ავალიშვილი საბოლოოდ ხელჩაქნეული დაბრუნდება ოკეანის გაღმიდან და ევროპაში შეუერთდება ნამთავრობალ ქართველობას.

თავი მეოთხე
ერთა ლიგა და საქართველო

§1
ბჭობა დამფუძნებელ კრებაზე

უახლესი ისტორიის საერთაშორისო ურთიერთობების ფოლიანტებში საინტერესოდ იკვეთება საკითხი ერთა ლიგისა და საქართველოს შესახებ.

რამდენიმე საყურადღებო დეტალი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ისტორიიდან, ანუ როდის და რა მიზნით შეიქმნა ერთა ლიგა?!

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა წამოაყენა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც მოწოდებული იქნებოდა, განემტკიცებინა საზელმწიფოებს შორის მშვიდობა, დაემყარებინა მათ ურთიერთობაში კეთილმეგობრული დამოკიდებულება და ყველა დავა-კონფლიქტი გადაჭრილიყო მოლაპარაკებათა გზით. იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა და, იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტ ვილსონს იდეასთან ერთად შემუშავებული ჰქონდა ორგანიზაციის ჩამოყალიბების კონკრეტული პროგრამული თეზისები, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა შექმნეს ერთა ლიგის პროექტის შემმუშავებელი ჯგუფები. ომის დამთავრებამ კიდევ უფრო დააჩქარა ამ მიმართულებით მუშაობა. ერთგვარი პოლიტიკური კატალიზატორის როლი უდავოდ შეასრულა კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ, კერძოდ, რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, მისი მოსალოდნელი უმძიმესი შედეგებით. ამის თაობაზე, სხვათა შორის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი იმთავითვე ხაზგასმით და არაორაზროვნად აღნიშნავ-

და კიდეც თავის 1919 წლის 25 მარტის ცნობილ მემორანდუმში: „თუ ჩვენ გვინდა ევროპას შევთავაზოთ სხვა არჩევანი ბოლშევიზმის ნაცვლად, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ერთა ლიგა იმ სახელმწიფოების და ერების დასაცავად, რომლებიც მზად არიან განავითარონ კეთილმეგობრული ურთიერთობა თავის მეზობლებთან. ამავე დროს, ლიგა მუქარა უნდა იყოს მათთვის, რომლებიც დაარღვევენ თავისი მეზობლების უფლებებს, გნებავთ ეს იყვნენ დასავლელი იმპერიალისტები, გნებავთ ბოლშევიკური იმპერიალისტები...“[1]

1919-1920 წლებში პარიზში (ვერსალში) მიმდინარეობდა სამშვიდობო კონფერენცია. სწორედ ამ დროს, 1919 წლის 28 აპრილს, ვერსალის სასახლის იმ სარკეებიან დარბაზში, სადაც 48 წლის წინათ გამოცხადდა გერმანიის იმპერიის შექმნა, საბოლოოდ დამტკიცდა ერთა ლიგის წესდებაც. სხვათა შორის, კონფერენციის გახსნისას ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა პუანკარემ და მოითხოვა სანქციები სამხედრო დამნაშავეთა მიმართ და გარანტიები ახალი აგრესიის წინააღმდეგ. მანვე შეახსენა კონფერენციის მონაწილეებს, რომ ამავე დარბაზში თავის დროზე გამოცხადდა გერმანიის იმპერია, რომელმაც ორი ფრანგული პროვინცია მიიტაცაო და სხვა.

ასე რომ, 1919 წლის 28 აპრილს პარიზის კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთა ლიგის დაფუძნების შესახებ და დაამტკიცეს მისი წესდება.[2]

ერთა ლიგის წესდება შედგებოდა პრეამბულისა და 26 მუხლისაგან, სადაც აღიარებულ იქნა საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების უზრუნველყოფა. ცხადია, წესდება ითვალისწინებდა, აგრეთვე, ახალ სახელმწიფოთა მიღების უცილობელ წინა პირობებს და პროცედურებს, ხოლო წევრ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობებს.

თავდაპირველად ერთა ლიგის წევრები გახდნენ: დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია და სხვა, სულ 44 სახელმწიფო. აქვე გადაწყდა ერთა ლიგის პირველი სესიის შეკრების დრო და ადგილი, კერძოდ, 1920 წლის 15 ნოემბერი, შვეიცარია, ქალაქი ჟენევა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1919 წლის 28 აპრილს მიღებული ერთა ლიგის წესდება ძალაში მხოლოდ 1920 წლის 10 იანვარს შევიდა, მას შემდეგ, რაც მისი რატიფიცირება მოახდინეს ლიგის წევრმა სახელმწიფოებმა.

ახლად შექმნილმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ასევე ახლად შექმნილ ერთა ლიგის კარსაც მიუკაკუნა. როგორც შემდგომ გაირკვევა არცთუ მთლად წარმატებულად, მაგრამ ყოველის მხრიდან აგრესიული მუქარა-თავდასხმების მომლოდინე დამოუკიდებელ საქართველოს საჭეთმპყრობელთ ყოველივე უნდა ეღონათ, რათა საერთაშორისო კაცობრიობისათვის გაეცნოთ თავისუფალი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და პოლიტიკურ-დემოკრატიული მისწრაფებანი, რომლის საწყისი შორეული წარსულიდან მოდიოდა და რომელმაც გაიარა, როგორც აყვავება და ძლიერება, ისე დაცემა და დაშლა. ძაფი კი გაწყდა საქარ-თველოში რუსეთის ბატონობის დამყარების შედეგად, მაგრამ ახლა დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო სთხოვდა დიდ სახელმწიფოებს, ეცნოთ ეს დამოუკიდებლობა და ხელი შეეწყოთ მისი სუვერენიტეტის და სახელმწიფოებრივი განმტკიცებისათვის.

როგორც უკვე ითქვა, პარიზში — ვერსალის სასახლეში ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა ანტანტის ქვეყნების სამშვიდობო კონფერენცია — დამარცხებულ ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულებების შესამუშავებლად და კონფერენციის ჩარჩოებშივე ერთა ლიგის წესდების შემუშავება, შეთანხმება, დამტკიცების პროცედურაც. ამჯერად, სწორედ ამ უკანასკნელს მივაპყრობ ყურადღებას სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ საზავო კონფერენციაზე წარგ-

ზავნილი ქართველი დელეგატები იმთავითვე დაინტერესდნენ ამ ფაქტით და წესდების ზოგიერთი განსაკუთრებული მუხლის შინაარსით. კერძოდ: როცა მიმდინარეობდა წესდების 22-ე მუხლის განხილვა, ანუ, როცა უნდა გადაწყვეტილიყო მანდატების (მეურვეობის ანუ ხელდების) საკითხი.

22-ე მუხლის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: ომის გამო სახელმწიფოთა გამგებლობისაგან გამოსულ კოლონიებსა და ტერიტორიებს, რომლებიც დასახლებულნი არიან ისეთი ხალხებით, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა, მოწინავე ცივილიზებულმა, ძლიერმა ქვეყნებმა უნდა გაუწიონ დახმარება და მზრუნველობა მეურვეობის (ხელმძღვანელობის) სახით. მანდატის ხასიათი შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. გათვალისწინებული იქნებოდა ხალხის განვითარება, გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკური მდგომარეობა. არაოფიციალურად, შეიძლებოდა ზოგიერთი ხალხისათვის მიენიჭებინათ კარგი ადმინისტრაციული უფლებები (კოლონიური „შავი“ მანდატები), ზოგიერთისათვის კი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და კულტურული არსებობა („თეთრი“ მანდატები).

ქართული დელეგაციის აზრი ორად გაიყო. ზურაბ ავალიშვილის შეხედულებით, საქართველოში, რომელმაც დაამტკიცა პოლიტიკური თვითმმართველობის უნარი უფრო კარგად, ვიდრე სხვა ქვეყნებმა, მანდატი შეასრულებს თავის ნამდვილ დანიშნულებას, სანამ ახალი სახელმწიფო მოღონიერდებოდეს, შედარებით ძლიერი და განვითარებული სახელმწიფო ერთა ლიგის გადაწყვეტილებით მას დაეხმარება, მეურვეობას გაუწევს.

ირაკლი წერეთლის პოზიციით, „ჩვენ დამოუკიდებლობის თვალსაზრისზე ვდგავართ. ქართველი ხალხი უკვე შეეჩვია ამ აზრს და ამიტომ ნუ დავაბნევთ მას მანდატებით ან პროტექტორატებით. მთავარია, მოვითხოვოთ დამოუკიდებლობის ცნობა და შემდეგ ავწონ-დავწონოთ...“

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული ჰქონდა მანდატი აეღო სომხეთზე (დახმარება 25 მლნ. დოლარით), ამიტომ საქართველოს დელეგაციამ დაასკვნა: თუ ამერიკამ მიიღო მანდატი სომხეთზე, მაშინ შესაძლებელია იგი თავადვე იკისრებდა ზოგიერთ ვალდებულებას საქართველოს მიმართაც. ეს იქნებოდა დიპლომატიური მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება, დანარჩენს საქართველო თვითონ მოუვლიდა.

სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა.

1920 წლის იანვარში კი საქართველოს სამთავრობო დელეგაციამ მიაღწია თავის ერთ-ერთ ძირითად მიზანს — ანტანტის სახელმწიფოებმა და სხვებმაც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ოფიციალურად აღიარეს დე-ფაქტო. ამ პოლიტიკურ აქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვინაიდან შეიქმნა წინა პირობა საქართველოს ეთხოვა შუამდგომლობა ერთა ლიგაში სრულუფლებიან წევრად მიღებისათვის.[3]

მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას:

1919 წლის 21 მაისს საქართველოს მთავრობის სახელით კარლო ჩხეიძემ წერილით მიმართა ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს და ერთა ლიგის საერთო კრებას. წერილში ნათქვამი იყო: „საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას პატივი აქვს, ქართველი ერისა და მისი მთავრობის სახელით, სთხოვოს საქართველოს მიღება ერთა საზოგადოებაში 1919 წლის 28 აპრილის წესდების მუხლების თანახმად.“[4]

16 ივნისს ერთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა საქართველოს დელეგაციას აცნობა, რომ ეს საკითხი ეხება ერთა ლიგის კრებას.

1920 წლის 1 სექტემბერს კარლო ჩხეიძემ განმეორებით, სპეციალური მემორანდუმით მიმართა ერთა ლიგას და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით კიდევ ერთხელ სთხოვა საქართვე-

ლოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მიღება ერთა ლიგის წევრად.

ამ მემორანდუმს თან ერთვოდა „ახსნა-განმარტებითი ბარათი, წარმოდგენილი ერთა ლიგაში“ იმავე დელეგაციის მიერ.

სახელდობრ: „მოხსენებითი ბარათი, წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის მიერ, პარიზის საზავო კონფერენციაზე“,[5] სადაც საფუძვლიანად ჩამოყალიბებული იყო შემდეგი საკითხები: I. „საქართველოს ისტორიული წარსული“; II. „საქართველო რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ“; III. „საქართველო და მსოფლიო ომი“; IV. „ამიერკავკასიის რესპუბლიკა და საქართველო“; V. „საქართველოს რესპუბლიკა“; VI. „საქართველოს მოთხოვნები“.

და ბოლოს: „დამატება 1919 წლის 14 მარტს საზავო კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებითი ბარათისადმი — „საქართველოს საზღვრები“;[6] ა) ამ საზღვრების აღწერა და ბ) ახსნა-განმარტებები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტები საქართველოს შესახებ, განსახილველად გადაეცა ერთა ლიგის მე-5 კომისიას, რომელმაც განიხილა ერთა ლიგაში საქართველოს წევრად მიღების საკითხი და თავისი დასკვნა ლიგის კრებას გადასცა. კომისიის დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს თხოვნა განხილულ იქნა კეთილგანწყობით, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებისათვის ეს საკითხი გადაეცა ერთა ლიგის კრებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ამის შემდგომაც ხშირად მოუხდება ერთა ლიგის სხვადასხვა სტრუქტურებისადმი პეტიციების, მემორანდუმების, თხოვნების გაგზავნა და ხანგრძლივი ლოდინიც, მაგრამ ყოველივე ამას ითხოვდა ერთადერთი და აუცილებელი გარემოება, ანუ საერთაშორისო გარანტია დამოუკიდებელი ქვეყნის ხელშეუხებლობისა და შემდგომი განვითარებისათვის. ამგვარ გარანტიას (ყოველ შემთხვევაში სიტყვიერად მაინც) იძლეოდა ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლი,

რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო: „ლიგის წევრები თავის თავს მოვალედ ხდიან პატივით მოეპყრან და დაიცვან ყოველივე გარეშე თავდასხმისაგან ლიგის წევრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუ ადგილი ექნა თავდასხმას, მუქარას ან თავდასხმის საშიშროებას, ლიგის საბჭო ღებულობს ზომებს, რათა თავისი მოვალეობა სისრულეში მოიყვანოს.“[7]

ამ უმნიშვნელოვანეს მიზეზთა გამო 1920 წლის სექტემბერში დასავლეთ ევროპაში ისევ მიემგზავრება საქართველოს სამთავრობო დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის თავკაცობით.[8]

მანვე მოამზადა მემორანდუმი, რომელიც უნდა გადაეცა ერთა ლიგის პირველი სესიისათვის ჟენევაში. ფრანგულმა ჟურნალმა „ტანი“ ოპერატიულად დაბეჭდა საქართველოს მთავრობის დელეგაციის წევრთა — ევგენი გეგეჭკორისა და ზურაბ ავალიშვილის სახით, ერთა ლიგის კონფერენციისადმი წარდგენილი მემორანდუმის ძირითადი ნაწილი და ამჯერად, მკითხველს სწორედ ამ დოკუმენტს ვთავაზობთ:

„დადგა რა დასავლეთ დემოკრატიის დროშის ქვეშ — ამბობს მემორანდუმის საბოლოო ნაწილი, — საქართველოს ხალხი ბუნებრივად, განსაკუთრებული სიმპატიით ეპყრობა ისეთ პოლიტიკურ სისტემის შექმნის იდეას, რომელიც არის პირდაპირი შედეგი ომისა და რომელიც ამავე დროს არის საშუალება, რათა მომავალში აიცილოს კაცობრიობამ თავიდან ომის წარმოშობა. ერთა ლიგა, რომელიც ასეთ სისტემას შეიცავს, წარმოადგენს საუცხოო მიღწევას თავის ნაყოფიერებით, რათა კაცობრიობამ მიაღწიოს მომავალში სრულ კავშირს. აღძრავს რა შუამდგომლობას ერთა ლიგაში მიღების შესახებ, საქართველო სრულიად არ ხელმძღვანელობს სურვილით, მიიღოს აქედან რაიმე უპირატესობა პოლიტიკური, ან სხვა რაიმე ხასიათისა, საქართველოს სურს მხოლოდ, იცნოს განათლებულმა ერებმა ის დიადი მუშაობა, რომელიც მიმართულია თავისუფლების და

დემოკრატიული წყობილების დამყარებისაკენ. გარდა ამისა საქართველოს მხურვალე და გულწრფელი სურვილი არის მიიღოს თავიდანვე მონაწილეობა ლიგის საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ.

საქართველოს სურს მიიღოს თავის თავზე, რამდენადაც ეს მას შეუძლია ნაწილი ამ მუშაობისა. საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა იძლევა ისეთ პირობებს, რომ მის ხალხს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო საზავო პოლიტიკაში, რომლის განმახორციელებელ ორგანოთ ხალხთა ლიგა ითვლება. ლიგა მით უმეტეს მეტ ძალას მიიღებს, რაც უფრო გულწრფელათ და აქტიურად შემოიერთებს იმ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომელთაც შეუძლიათ მოახდინონ გავლენა სხვა და სხვა ქვეყნებში საზოგადოებრივ აზრზე და უხელმძღვანელონ მას.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგის ავტორიტეტის იმ ქვეყნებში განმტკიცებას, რომლებსაც ან თავიანთი გეოგრაფიულ მდგომარეობით ან პოლიტიკურ პირობებით შეუძლიათ გახდნენ სხვა და სხვა გართულების კერად, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია მოახდინოს გავლენა და გავრცელდეს ევროპის პოლიტიკურ მთლიან ცხოვრებაში. არ იქნება გადამეტება მტკიცებაში, რომ ასეთ პირობებში იმყოფება სწორეთ კავკასიის ყელი. პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკათა სიმტკიცე (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) არის აუცილებელი პირობა ახალ ოსმალეთის და სპარსეთის თავისუფალ განვითარებისა, ვინაიდან ამ გზით აღნიშნული სახელმწიფოები განთავისუფლებული იქნებიან გარეშე მტრების შესევის მუდმივ მუქარისაგან. კავკასიის ყელის სახელმწიფოთა სიმტკიცე საჭიროა იმიტომაც, რომ აზიის წინა ნაწილი არ გახდეს მსხვერპლი მეტოქეობისა და ჯიბრისა.

ამიერკავკასიის მიზანი საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორც ეს გამორკვეული არის, იმ გავლენათა და ბატონობის სფეროების ჩამოშორებაა, რომლებშიაც არის ტენდენცია კონფლიქტის გამოწვევისაკენ მიმართული. ამ მხრით ამიერკავკასიის სახელმწიფოთა გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველო არის ამიერკავკასიის ერთი უმთავრესი ნაწილი, ნათელი გახდება, რომ საქართველოს მიღება ერთა ლიგაში გაუადვილებს მას (ერთა ლიგას) ამიერკავკასიის პოლიტიკის წარმოებას და ამავე დროს ასწევს თვით ლიგის ავტორიტეტს ამიერკავკასიაში, სადაც ამ ავტორიტეტის დამტკიცებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება.

არსებობს კიდევ მეორე შეხედულება ამ პრობლემაზე, რომლის ძალით საკითხი ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შესახებ და აგრეთვე საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ ხდება საერთაშორისო საკითხად: ეს არის მიმოსვლის იმ ფორმების მნიშვნელობა, რომლებიც მიდიან საქართველოზე სპარსეთში, სომხეთში და შუა აზიაში. ცოტაა ისეთი სავაჭრო გზები, რომლებსაც ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც არის გზა, რომელიც მიდის ამიერ-კავკასიით და აერთებს დასავლეთს ახლო მდებარე და შუა აზიის სხვა და სხვა ქვეყნებთან.

ამ გზის საერთაშორისო ხასიათის დასაცავად და მის გამოსაყენებლად საუკეთესო გარანტია იქნება ის დახმარება, რომელსაც ერთა ლიგა მისცემდა ამიერ-კავკასიის ქვეყნებს. საქართველოს ერთა ლიგაში შესვლა კი ამ მიზანს მეტად გააღვივებდა. მეორე მხრით, როგორც ეს ჩვენ შეგვიძლიან გავითვალისწინოთ, ერთა ლიგის მთავარი მიზანი იქნება მოწყობა და გაუმჯობესება გზებისა სხვა და სხვა ერებს შორის. ამიერ-კავკასიის ქვეყნები და, კერძოდ საქართველო, უცხოელთა ბატონობიდან განთავისუფლებუ-

ლი, გამოადგება ლიგას დასაყრდნობ საფუძველათ აღმოსავლეთში.

კავკასიის საკითხის ასეთი საბოლოო გადაწყვეტა, რომელიც ეთანაბრება ერთა ლიგის მოქმედების საფუძვლათ დადებულ პრინციპებს, გაადვილებული იქნება მეტად საქართველოს ერთა ლიგაში მიღებით, იმ საქართველოსი, რომლის მდგომარეობა და წინანდელი როლი უზრუნველყოფს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გარდა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებისა, საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ თვით პრინციპები, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ საერთაშორისო ცხოვრება სოლიდარობისაკენ მიმართული, მოითხოვენ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ძველი ერის მიღებას, რომელიც ოდესღაც იყო ქრისტიანობის ავანგარდი აღმოსავლეთში, და რომელიც დღეს ითვლება დემოკრატიის ავანგარდათ. უნდა იქნეს მიღებული ის ერი, რომელიც მიისწრაფის თავისუფალი შრომისაკენ თავის სახლში, რომელიც არის მისი კანონიერი და უდავო მემკვიდრეობა.“*9

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის და ქართული დელეგაციის სხვა წევრების მიმართ დიდ ინტერესს გამოხატავდა იმდროინდელი ევროპული პრესა. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საუბარს პარიზის პრესის წარმომადგენლებთან. პრესკონფერენციის ერთადერთი თემა გახლდათ ერთა ლიგაში საქართველოს შესვლის შესაძლებლობების საკითხი.

ერთა ლიგის პირველსავე სხდომებზე, განაცხადა ე. გეგეჭკორმა, ნათელი შეიქმნა, რომ მიუხედავად აზრთა სხვა და სხვაობისა, ლიგაში შემავალ სხვა და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები ერთდებოდნენ ერთ რამეში: ერთა ლიგის ძალა უნდა გამოიხატებოდეს მის უნივერსალობაში, ე.ი. იმაში უნ-

* სტილი დაცულია (ნ.კ.)

და შევიდეს ყველა სახელმწიფო დიდი და მცირე, ძლიერი და სუსტი. ამასთანავე ერთად-ერთ კრიტერიუმად ამა თუ იმ სახელმწიფოს ერთა ლიგაში ჩარიცხვისა უნდა არსებობდეს ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის სახელმწიფო და შეუძლია თუ არა მას აღასრულოს თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი. მე შეძლება მქონდა გამერკვია სხვა და სხვა ქვეყნის დელეგატთა დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკისადმი. არც ერთ მათგანს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს ნამდვილ სახელმწიფოს და რომ მას სათავეში ჰყავს პასუხისმგებელი მთავრობა, ხალხის მიერ ამორჩეული და რომელსაც შეუძლია თავს იდვას საერთაშორისო ხასიათის ვალდებულებანი. ჩვენ გვაქვს ათასი წლების ისტორია. ძველმა კულტურამ შეძლება მისცა ჩვენ ხალხს, რომ მას საშინელ განსაცდელის დროს შეენარჩუნებინა თავისი არსებობა. დარღვევის ქაოსში განემტკიცებინა თავისი თავისუფლების და სახელმწიფოებრივ წყობილების საფუძვლები. აი უკვე სამი წელია რაც ჩვენ ვმუშაობთ და მთელ ჩვენს ძალღონეს ვანდომებთ ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას და ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეს. ეს შრომა ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ ამ გზაზე ბევრი რამ არის უკვე გაკეთებული. ჩვენ შევძელით დაგვემყარებინა ჩვენს ქვეყანაში ძლიერი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის აპარატი; განვამტკიცეთ წესრიგი და ხალხს მივეცით თავისუფლება და მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა. ჩვენ მეგობრული დამოკიდებულება დავამყარეთ ყველა ჩვენ მეზობელთან და მათთან დავდეთ შეთანხმებანი საკითხთა შესახებ.

ჩვენ შევსძელით აგრეთვე ის, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა დე-ფაქტო იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, დავიკავეთ ეკონომიკური დამოკიდებულება ევროპის კულტურულ ქვეყნებთან და სავაჭრო წრეების ნდობა მოვიპოვეთ.

ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, რომლებიც მოწმენი იყვნენ ადგილობრივ ჩვენი მუშაობისა, კარგად იციან, თუ რა მნიშვნელოვანი და საპატიო მისია აწევს საქართველოს წესრიგისა, თავისუფლებისა და უფლებათა დაცვის საქმეში აზიის ალაყაფის კარებთან. მართალია, არსებობენ ერთა ლიგაში საქართველოს მიღების მოწინააღმდეგენი, მაგრამ საქართველოს ერთა ლიგაში მიუღებლობა, ნიშნავს ხალხის თავისუფალ თვით გამორკვევის პრინციპის უარყოფას. მე არა მსურს მოვიყვანო ის მოტივები, რომ საქართველოს ცნობა საჭიროა ევროპის სახელმწიფოებისათვის. საქართველო უნდა ჩაირიცხოს ერთა ლიგაში არა პოლიტიკური ანგარიშების მიხედვით. საქართველოსათვის ეს არის უფლების საკითხი. ჩვენი უფლებაა დავიკავოთ ჩვენი ადგილი ყველა კულტურულ ხალხის კავშირში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ცივილიზაციისა და მშვიდობიანობის დაცვა და ამ უფლებამ არავითარი ეჭვი არ უნდა გამოიწვიოს.[10]

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს დელეგაციის წევრები ინტენსიურ პირად შეხვედრებს მართავდნენ და კონსულტაციებს ეწეოდნენ ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, რათა მიეღწიათ ერთსულოვან თუ არა, რეალური მხარდაჭერისთვის მაინც. ასე მაგალითად, ნოემბრის 5-ს (1920 წ.) ევგენი გეგეჭკორმა ინახულა საფრანგეთის დელეგატი ერთა ლიგაში — ვივიანი და გააცნო რა მას საქართველოს მდგომარეობა, სთხოვა, აღმოეჩინა დახმარება საქართველოს რესპუბლიკისათვის მის კანონიერ სურვილში, ერთა ლიგაში მიღების შესახებ. როგორც მიღებულია ხოლმე, ვივიანი დიდის ყურადღებით მოეპყრო ქართველი საგარეო უწყების ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ მოსაზრებებს და დაჰპირდა მას, რომ ერთა ლიგის მომავალ უახლოეს სხდომაზე იგი, ანუ ვივიანი თავის თავზე მიიღებს დაცვას და საქართველოს

შუამდგომლობის დასაბუთებას ერთა ლიგაში დაშვების შესახებ.[11]

ცხადია, ამ დაპირებას საქართველოს რესპუბლიკისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ერთა ლიგის წესდების თანახმად გადამწყვეტი ხმის უფლებით მხოლოდ წევრი სახელმწიფოები იყვნენ აღჭურვილნი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ფრანგ ვივიანთან მოლაპარაკების საუბარს დაესწრო საქართველოს დიდი მეგობარი პიერ რენოდელი, რომელმაც უზარმაზარი სამსახური გასწია საქართველოს უფლებრივი დაცვისათვის სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა მაღალი ტრიბუნებიდან.

და ისევ შეხვედრები. ისევ მოსალოდნელი მხარდაჭერის სურვილით. ისევ იმედებით. ამჯერად კიდევ ერთი შეხვედრა ნოემბრის 8-ს (1920 წ.) ევგენი გეგეჭკორისა ერთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან ლეონ ბურჟუასთან. საუბარი საათ-ნახევარი გაგრძელდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს დაწვრილებით გააცნო საქართველოს მდგომარეობა და ის მოტივები, რომლითაც ქართველი ხალხი ასაბუთებს თავის უდავო უფლებას დამოუკიდებლობასა და ერთა ლიგაში მონაწილეობის მიღებაზე.[12]

და ისევ ნაცნობი სცენა. ლეონ ბურჟუაც ჰპირდება გეგეჭკორს თავის დახმარებას, რომ საქართველოს საკითხი სასურველად გადაწყდებაო და ა.შ. ნაცნობი, მაგრამ არა ყალბი ამ სცენაშიც კი ერთი პერსონი იყო კიდევ. ისევ ის საქართველოს დიდი მეგობარი — პიერ რენოდელი.

და მაშინ, როდესაც ევროპას საგანგებოდ წარგზავნილი მთავრობის დელეგაცია ერთა ლიგის წევრის სტატუსის მისაღწევად იღვწოდა, თბილისში, დამფუძნებელ კრებაში ზუსტად შემდეგი შინაარსის სჯა-ბაასი მიდიოდა დეპუტატთა და ფრაქციათა შო-

რის, რომელსაც მხოლოდ მცირე ირონიის ფონზე თუ გაეცნობა მკითხველი.

მაშ, ტფილისი 1920 წლის ნოემბრის 9. დამფუძნებელი კრების სხდომა. თავმჯდომარეობს ალექსანდრე ლომთათიძე.

კრება ისმენს პრეზიდიუმში შემოსულ დეპუტატ ნ. ნიკოლაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი თავს ანებებს დამფუძნებელ კრების წევრობას მისი სხვა თანამდებობაზე დანიშვნის გამო. მის ალაგს საარჩევნო კანონის ძალით დაიკავებს შემდეგი კანდიდატი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციისა — ბ. შალ. ამირეჯიბი.

საგარეო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს დეპუტატი აკ. ჩხენკელი იმ წინადადების შესახებ, რომელიც დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმშია შემოტანილი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ და რომელიც შეეხება 15 ნოემბერისათვის ჟენევაში მოწვეულ ხალხთა ლიგის კონგრესზე საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის გაგზავნას. წინადადების აზრი იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს დელეგატები დაესწრონ 15 ნოემბერს ხალხთა ლიგის პირველ სხდომაზე და შუამდგომლობა აღძრან საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში წევრად მიღების შესახებ. წინადადების გარჩევის დროს საგარეო კომისიის სხდომას დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი — კ. საბახტარაშვილი, რომელმაც გააცნო კომისიას, რომ მთავრობას ამ მხრივ უკვე გადაუდგამს შესაფერი ნაბიჯები. ადრევე იმავე საკითხის შესახებ ხალხთა ლიგის სეკრეტარიატის წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა ჩვენი რესპუბლიკის პარიზის საზავო დელეგაციას. აღნიშნული ინფორმაციის მოსმენის შემდეგ საგარეო კომისიამ გადასწყვიტა მოხსნას შემოტანილი წინადადება. ხოლო თავის მხრივ კომისია იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ავალებს მთავრობას ენერგიულად განაგრძოს დაწყებული მუშაობა, რათა საქარ-

თველო მიღებულ იქნას ერთა ლიგაში, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. საბახტარაშვილი აცნობს კრებას, თუ რა ზომები მიიღო მთავრობამ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. ამ საქმის შესახებ პირველად შუამდგომლობა აღძრა ერთა ლიგის სეკრეტარიატის წინაშე რესპუბლიკის პარიზის საზავო დელეგაციამ. ამის შედეგად მთავრობამ 30 სექტემბერს სეკრეტარიატისაგან მიიღო პირველი წერილი, სადაც იგი ითხოვდა მასალებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. მთავრობამ ამის საპასუხოდ გადაგზავნა საჭირო დოკუმენტები, რის შემდეგ მან მიიღო სეკრეტარიატისაგან მეორე წერილი 20 ოქტომბერს. ამ წერილში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია ყრილობამ მოისურვოს სახელმწიფოს წარმომადგენლის მოსმენა; ამიტომ საჭიროა გაგზავნოს წარმომადგენელი, ან დაეკალოს წარმომადგენლობა საზღვარგარეთ მყოფ დელეგაციის რომელიმე წევრს. ამის შემდეგ იმ დღესვე ევროპაში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრს — ევგ. გეგეჭკორს გაეგზავნა დეპეშა, რომლითაც მას ევალება საქართველოს წარმომადგენლობა ხალხთა ლიგის პირველ ყრილობაზე; მასვე ფოსტით გადაეგზავნა სათანადო მანდატი. ყველაფერი ეს ეცნობა ხალხთა ლიგის სეკრეტარიატს და ეთხოვა, რათა საქართველო იქნეს დაშვებული წევრად ხალხთა ლიგაში, ორატორი ფიქრობს, რომ საქართველომ მთელი თავისი მოქმედებით უკვე დაიმსახურა ხალხთა ლიგის წევრობის უფლება და იმედს გამოსთქვამს, რომ მისი მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებული იქნება.

ხალხთა ლიგაში შესვლის წინააღმდეგ ილაშქრებს დეპუტატი ლ. შენგელაია (ს.-რევ). იგი ამბობს: ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებას დიდ სახელმწიფოების მიერ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს მით უმეტეს ჩვენზე ითქმის, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო პატარაა და მას

მარტო არსებობა არ შეუძლიან. მაგრამ სხვაა საკითხი ლიგაში შესვლის შესახებ. რას წარმოადგენს ის ოჯახი, სადაც ჩვენ ვაპირებთ შესვლას? ეს ფრიად სერიოზული კითხვაა და მისი ერთი ხელის მოსმით გადაჭრა, როგორც მას ბატონი ჩხენკელი სჩადის, არ შეიძლება. პირველ ყოვლისა შემადგენლობა ამ ორგანიზაციისა ისეთია, რომ ჩვენთვის არ იქნებოდა სასარგებლო მასში შევსულიყავით. მიზნების მხრივ საერთოდ მისი შინაარსი გამოურკვეველია თვით დამაარსებელთათვისაც; ხოლო რამდენადაც გამორკვეულია მისი მიზნები, — ამის მიხედვით ჩვენ არ უნდა შევიდეთ ამ ოჯახში. მასში უმთავრესად წევრებად შედიან გამარჯვებული სახელმწიფოები; არსებითად ეს ორგანიზაცია არის ახალ ფორმით მოვლინებული კაპიტალისტურ ჩაგვრისა და მონობის ორგანიზაცია. მას, თითქოს, კარგი მიზნები აქვს დასახული, მაგ. საყოველთაო განიარაღება და სხვ. მაგრამ, ორატორის აზრით, ეს მხოლოდ თვალთმაქცობაა, ვინაიდან შეუძლებელია შეიარაღებისა და ომის მოსპობა მანამდე, სანამ კაპიტალისტური წესი, კერძო საკუთრება არსებობს. ლიგა რომ ჩაგვრა-მონობის ორგანიზაციაა, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ მასში არ შედის გერმანია, როგორც დამარცხებული სახელმწიფო.

ეხება რა ლიგის წესდებას, ორატორი ამბობს, რომ ლიგის ყველა დადგენილება სავალდებულო იქნება ყველა წევრებისათვისო. ამიტომ მას დაუშვებლად და ავანტიურადაც მიაჩნია საქართველოს შეყვანა ლიგაში, ვინაიდან ამით იგი გახდება პასუხისმგებელი ყველა დადგენილებისა. ამიტომ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს იგი სთვლის არა კანონიერად და მოითხოვს, რომ ეს საკითხი თუ მაინც და მაინც დასმული იქნება, იგი გადასწვიტოს თვით ხალხმა რეფერენდუმის ან სხვა სახით. დასასრულ ორატორი აცხადებს, რომ მისი ფრაქცია წინააღმდეგია ლიგაში შესვლისა და იმ ხარჯებისა, რომელსაც დელეგატების გაგზავნა გამოიწვევს.[13]

დამფუძნებელმა კრებამ მცირე შესვენების შემდგომ განაახლა დებატები და სიტყვა გადასცა ეროვნულ-დემოკრატ გიორგი გვაზავას.

ვაგრძელებთ დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ჩანაწერს:

გიორგი გვაზავა – იცავს იმ აზრს, რომ საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში შესვლა და აღნიშნავს, რომ დღეს ყველანი სცდილობენ და მათ შორის გერმანიაც სცდილობს, რომ მოახერხოს ერთა ლიგაში შესვლა. საქართველოსათვისაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ერთა ლიგაში წევრად შესვლა, რადგან იგი განამტკიცებს ჩვენი ერის ტერიტორიალურ მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ყველა წევრები ამ ორგანიზაციისა თანასწორი უფლებით სარგებლობენ და ეს იქნება გარანტია იმისა, რომ ჩვენი ინტერესები მისი საშუალებით უზრუნველვყოთ.

ბრიგოლ რცხილაძე – (სოციალისტ-ფედერალისტი) – ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ის საკითხი, რომელიც დღეს ჩვენი განსახილველი საგანი არის, შეიძლება გავსინჯოთ სხვა და სხვა თვალსაზრისით. ჩვენის აზრით სწორი იქნება თუ ამ საკითხს გავსინჯავთ საერთაშორისო უფლების პოლიტიკური თვალსაზრისით და კერძოდ საქართველოს პოლიტიკის თვალსაზრისით. უნდა მოგახსენოთ, რომ საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით ერთა ლიგა წარმოადგენს განგრძობას იმ მეცადინეობისა, რომლის ნაყოფი იყო ჰააგის კონფერენცია. სახელმწიფოთა ურთიერთობა მეტად რთული საგანია. მრავალი, უდიდესი საკითხები, რომლებიც იწვევენ სახელმწიფოთა ურთიერთობაში უთანხმოებას, იმდენად ღრმად ეხებიან თვითოეულ სახელმწიფოთა ინტერესებს, რომ მათი გადაწყვეტა გარეშე შეიარაღებულ კონფლიქტისა დღეს არ ხერხდება. მაგრამ გარდა ასეთ ღრმა მნიშვნელოვან საკითხისა, მათ ურთიერთობაში ყოველთვის მოიპოვება ისეთი, როგორც თვით სახელმწიფოთა წარმომადგენლები

ამბობენ, ე.წ. არსებით მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესახებ ხერხდება სახელმწიფოთა შორის სხვა და სხვა მშვიდობიანობით შეთანხმების მიღწევა და ამ შეთანხმების ნიადაგზე ვითარდება იდეა საერთაშორისო უფლებისა. მართალია, თვით ავტორები ნაციათა ლიგის იდეის იმ შეხედულებისა იყვნენ, ისე უყურებდნენ საკითხს, ვითომც მათ აღმოეჩინათ ისეთი დაწესებულების შექმნის საჭიროება, რომელიც მოსპობს საერთაშორისო კონფლიქტებს და შესაძლებელს გახდის მომავალში საერთაშორისო ურთიერთობის სხვა, დღევანდელისაგან განსხვავებულ საფუძველზე დამყარებას. ამ შეცდომის მიუხედავად, ნაციათა ლიგას თავისი დადებითი მნიშვნელობაც აქვს. რა თქმა უნდა არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ხალხთა ლიგა შეიცავს მრავალ შინაგან წინააღმდეგობებს, და ეს წინააღმდეგობები ჩნდება თვით ამ ლიგის ორგანიზაციაში. თავისთავად ცხადია წინააღმდეგობა არის, როდესაც სახელმწიფოს როგორც სუვერენულ ორგანიზაციას რაიმე ვალდებულებას აკისრებს სხვა ორგანიზაცია. ასეთი ვალდებულების დაკისრება სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის მიმართ, ყოვლად შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, თუ საიდან გამომდინარეობს ეს ვალდებულება. ეს ხალხთა ლიგა კი გულისხმობს, რომ იმ სახელმწიფოს, რომელიც ამ ორგანიზაციაში შევა, დაეკისრება რაღაც ვალდებულება. ეს კი წინააღმდეგობაა. ამ წინააღმდეგობის ორგანიზაციული ეფექტი არის ის, რომ ნაციათა ლიგა წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც პრეტენზია აქვს მთელი ქვეყნის საქმეების მოწყობისა. მაგრამ არავითარი მნიშვნელობა და რეალური ძალა კი არ აქვს. იგი დამყარებული არის მხოლოდ იმაზე, რომ თუ ვინმე დაიწყებს საქმეს, მის დასრულებას მოინდომებს. არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ნაციათა ლიგის იდეა წამოყენებულ იქმნა გამარჯვებულ ანტანტის მიერ. სწორედ იმიტომ, რომ ეს

ორგანიზაცია გამოეყენებინა როგორც ერთადერთი საშუალება საერთაშორისო ურთიერთობის დასამყარებლად თავისი ინტერესების მიხედვით. დეტალურად რომ შეისწავლოთ ამ ლიგის წესდების მუხლები, თქვენ ნახავთ, რომ ეს ხალხთა ლიგა იქით არის მიმართული, რომ დაიცვას ის უფლებრივი რეჟიმი, რომლის განმტკიცებას გამარჯვებული ანტანტა სცდილობს. თავის თავად ცხადია, როდესაც ნაციათა ლიგის წევრებად შეიქმნებიან არა მარტო გამარჯვებულ ანტანტის წევრები, არამედ სხვებიც, ისინი თავის ტენდენციას შეიტანენ ამ ლიგაში, რომ მისი მიზნების შინაგანი გარდაქმნა, შეცვლა, მომავალში შესაძლებელი გახდეს.

ჩვენთვის, საქართველოსათვის, ამ საკითხს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად იმას, რომ ხალხთა ლიგაში შესვლა ამასთან ერთად იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის ცნობა ანტანტის მიერ. ხალხთა ლიგა არის ლიგა სახელმწიფოების: თუ არ სახელმწიფოს, სხვას არ მიიღებენ. ჩვენ ვცდილობთ, რომ გვიცნონ როგორც სახელმწიფო, პარიზში, ლონდონში და ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება. ამიტომ, თავის თავათ ცხადია, რომ არ შეგვიძლიან ზურგი შევაქციოთ იმ ორგანიზაციას, სადაც დიდი სახელმწიფოები არიან წარმოდგენილნი და სადაც შეიძლება გადაწყვეტილ იქნას პრინციპიალური საკითხი ჩვენი უფლებრივ ცნობის შესახებ სხვა და სხვა სახელმწიფოების მიერ. ეს არის, ასე ვთქვათ, ქართული პოლიტიკის თვალსაზრისის ფხიზელი ინტერესი — რომ მიღებული ვიყოთ ხალხთა ლიგაში, თავის თავად ცხადია, თუ ჩვენი შესვლა მოხდა იქ, ჩვენ დავიკავებთ, როგორც სხვები ისეთ პოზიციას, რომელიც ყოველ კერძო შემთხვევაში, შეეფერება საქართველოს რეალურ პოლიტიკურ ინტერესებს. ჩვენ იქ ერთნაირი ხმა არ გვექნება, როგორც ზოგიერთ რომანტიკოსს ჰგონია. ჩვენ ნაციათა ლიგის წევრები ვიქნებით, მაგრამ სხვებთან ერთნა-

ირი ხმა არ გვექნება, ინგლისის სიტყვას უფრო მეტი გასავალი და სიმძიმე ექნება, ვიდრე ჩვენ და სხვა სახელმწიფოების სიტყვას.

(*გ. გეაზავა*: გარდაწყვეტაში?) ასე ფორმალურად არ სდგას საკითხი, რომ მარტო გადაწვეტილებაში იყოს საქმე. ეს არის აგრეთვე ხმის ამოღებაშიაც: მაინც და მაინც თქვენ ვერც კი აღძრავთ ისეთ საკითხს, რომელიც თქვენ ინტერესს შეადგენს, მაგრამ რომლის წინააღმდეგი იქნება სხვა სახელმწიფო.

(*გ. გეაზავა*: ეგ რომელ მუხლში სწერია?)

ასეთი რამ მუხლში არ იწერება. ეს არის პოლიტიკა, ეს არის არსებობა და რეალობა. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ იქ არასოდეს ისეთი ხმა და მნიშვნელობა არ გვექნება, როგორც დიდ სახელმწიფოებს, მაგრამ საგანს ფხიზლად უნდა შევხედოთ. ჩვენ არ უნდა ვიქონიოთ ისეთი პრეტენზიები, რომლებიც ჩვენ ძალ-ღონეს არ შეეფერება. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ: ამ ერთა ლიგაში ყველაფერი არ ეთანხმება უმაღლეს თანასწორობის პრინციპებს და სოციალიზმს, მაგრამ მარტო ამისათვის ზურგის შექცევა მიმაჩნია ისეთ მოქცევათ, რომელიც ანგარიშს არ უწევს ჩვენი ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ ინტერესებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხს საქართველოს პოლიტიკურ ინტერესების თვალსაზრისით უნდა შევხედოთ. ჩვენ რეალურ, იურიდიულ ცნობას მივაღწიოთ. რასაკვირველია, არ უნდა დავემსგავსოთ ზოგიერთ პოლიტიკურ მათხოვრებს, რომლებიც დადიან და იძახიან: გვიცანითო! მაგრამ ჩვენი ღირსების დაცვასთან ერთად, ჩვენ შემთხვევა არ უნდა გავუშვათ, რომ ჩვენი ხმა ესმოდეთ, რომ გაიგონ ჩვენი ქვეყნის მისწრაფებანი და ნამდვილი სურვილები. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, იმ მოხსენებიდან, რომელიც თქვენ მოისმინეთ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგისაგან, მე მგონია ისეთი შთაბეჭდილება მიიღეთ, რომ ჩვენ მთავრობას არც ჩვენი ღირსება დაუმდაბლებია და არც შემთხვევა გაუშ-

ვია, რომ სადაც საჭირო იყო ხმა ამოეყოთ, რომ გვინდა ვიყოთ სრულ უფლებოვანი სახელმწიფოს წევრი ასეთ სახელმწიფოთა კავშირისა. ამიტომ ეს მოქმედება მთავრობისა მოსაწონი არის და სურვილი უნდა გამოვთქვათ, რომ მან მომავალშიაც განაგრძოს მუშაობა, რომ ჩვენ შევიდეთ ხალხთა ლიგაში და გვიცნონ იურიდიულად.

ბერჯანაძე (სოციალისტ-დემოკრატი) — აცნობებს კრებას იმ ინფორმაციას, რომელიც შეეხება ერთა ლიგაში შესვლისათვის მუშაობას.

ა.ჰ. ჩხენკელი (მომხსენებელი) — უპასუხებს ლ. შენგელაიას და აღნიშნავს საჭიროებას ერთა ლიგაში შესვლისა. ამის შემდეგ მიღებულ იქმნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შემდეგი რეზოლუცია:

„დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ და ავალებს მთავრობას, მომავალშიაც განაგრძოს ამ მხრივ სათანადო მუშაობა, რათა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიღებულ იქნეს სრულუფლებიან წევრად ხალხთა ლიგაში".[14]

ფორმულა მიღებულ იქნა ერთხმად სოც-რევოლუციონერთა ფრაქციის ხმების წინააღმდეგ.

ასე დასრულდა ბჭობა დამფუძნებელ კრებაზე ფრაქციათა და პარტიათა შორის — საქართველოს ერთა ლიგაში შესვლა-არშესვლის შესახებ. და ზემოაღნიშნული ფორმულა, ანუ საბოლოო დადებითი გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად, სოც-რევოლუციონერთა ფრაქციის ხმების წინააღმდეგ.

§2
ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პირველი მსოფლიო ომის ნანგრევებში ძალუმად გამოკრთა იდეა ახალი უნივერსალური ორგანიზაციის დაარსების შესახებ, რომელსაც დევიზის ნაცვლად, შეიძლება, ამგვარი ეპიგრაფი წავუმძღვაროთ: — „ძალადობამ არასოდეს არ უნდა გაიმარჯვოს უფლებაზე". საყოველთაო მშვიდობიანობისა და უშიშროების განმტკიცების უზრუნველსაყოფად მიმართული, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დაცვის და საერთაშორისო სამართლის პრიმატის საფუძვლებზე დაარსებული ეს საერთაშორისო ორგანიზაცია რეალურად რამდენად შეძლებდა ერთა ლიგის წესდებაში ჩაფიქრებულ და განსხეულებულ სურვილთა ერთობლიობის რეალიზაციას, ეს ჯერ კიდევ მკაცრ ისტორიას უნდა გამოეცადა, მაგრამ ეს შემდეგ მოხდება. ამჯერად კი იყო მხოლოდ იმედი და იმდენად განუსაზღვრელი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც კი დაარსდა ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია. ეს იყო ზუსტად 1919 წლის 7 დეკემბერს. მანამდე კი გაზეთი „სახალხო საქმე" ასეთ განცხადებას აუწყებს ქართველობას დეკემბრის 5-ს:

„კვირას, დეკემბრის 7-ს, სასახლეში გაიმართება ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების კრება. ერთა ლიგის საზოგადოება არსებობს უკვე ლონდონში და იქ საქართველოს თავის წარმომადგენლები ჰყავს, როგორც იქიდან მოსულ დეპეშით ვიცით, ამ თვის შუას თუ დამლევს ბრიუსელში გაიმართება ლიგის საზოგადოებათა მესამე კონფერენცია და საქართველოს საზოგადოებამაც უნდა თავისი წარმომადგენელი გაჰგზავნოს.

თავის დროზე ერთა ლიგის პრინციპებმა ძლიერ დიდი თანაგრძნობა და აღფრთოვანება გამოიწვია. პრეზიდენტ ვილსონის მიერ გადასროლილი ლოზუნგი ერების მეგობრობის და სოლიდარობისა,

რასაკვირველია, არსებითად ახალი არ ყოფილა. მთელი მეცხრამეტე საუკუნე, განსაკუთრებით ევროპის ცხოვრებაში, დახასიათდება ორი მნიშვნელოვანი მოძრაობით: სოციალური და ნაციონალურით. დაჩაგრული ერები იბრძოდნენ თავისუფლებისათვის და სოციალურ თანასწორობისათვის. ასეთი იყო ბრძოლა ავსტრიაში, რუსეთში და სხვაგან. ჩეხია თავგანწირვით იბრძოდა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, სამად გაგლეჯილი პოლონეთი ჰლამობდა გაერთიანებას, უკრაინა, ფინლანდია, საქართველო და სხ. სცდილობდნენ მოეშორებინათ მძიმე უღელი რუსიფიკატორებისა და ბოლოს მიზანსაც მიაღწიეს. რევოლუციამ როგორც ავსტრიაში, ისე რუსეთში ერები გაანთავისუფლა. დღეს დამოუკიდებელია საქართველოც, მაგრამ თავისუფლების მოპოვებაზე არა ნაკლებ ძნელია მისი შენარჩუნება, მისი დაცვა, და მცირე ერების დამოუკიდებლობა ყოველთვის საფრთხეში იქნება, თუ ძალაში დარჩა, ძველი იმპერიალისტური პრინციპები მტაცებლებისა და მცირე ერების დაჯაბნისა. ამიტომ ერთა ლიგა, რომელიც ნამდვილად დარაჯად უნდა ედგას უფლებას და არავის მისცეს ნება ვისიმე დაჩაგვრისა, დიდი მნიშვნელობის ფაქტია. ერთა ლიგის საზოგადოების მიზანს უნდა შეადგენდეს ის, რომ მისი იდეა იქადაგოს და ხელი შეუწყოს მის პოპულარობას, ჩვენ ვიცით, რომ ვილსონის მიერ გადასროლილი ლოზუნგი მერე მივიწყებულ იქმნა და უმთავრესი აზრი ხალხთა ლიგისა თითქმის მიიჩქმალა. რასაკვირველია, ასეთი დიდი საქმე, როგორიც არის ერთა ნამდვილი სოლიდარობა, მარტო კერძო საზოგადოების მიერ ვერ მოხერხდება, მაგრამ, რამდენადაც იგი საზოგადოებრივ აზრზე გავლენას მოახდენს, რამდენადაც იგი ლიგის იდეის ერთგული დამცველი იქნება და იბრძოლებს კიდევაც მისთვის — იმდენად სანატრელი სოლიდარობა და ერთა ნორმალური ურთიერთობის დამყარება მოგვიახლოვდება.

ამიტომ ქართველ საზოგადოებას მოუწოდებთ დაესწროს ამ საზოგადოების კრებას და მიაწვდინოს ხმა იმ კონფერენციას, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ამ თვეს ბრიუსელში უნდა მოხდეს. საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ ოფიციალურად არ დადასტურებულა. ყოველი მნიშვნელოვანი ხმა ჩვენს შესახებ და ჩვენს სასარგებლოდ, თუ კი იგი ევროპაში გაისმის, ფრიად საგულისხმო და ყურადსაღებია. ამიტომ ჩვენ გულთბილად უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს და შევიტანოთ ჩვენი წვლილი საერთო საქმეში, შევიტანოთ ჩვენი აზრი და ერთნაირი გამოცდილება ერთა თავისუფლების და სოლიდარობისათვის ბრძოლის საქმეში".[15]

და გაიმართა იმედისმომცემი წინასწარ გაცხადებული ეს კრებაც, ანუ „კვირას, დეკემბრის 7-ს სასახლეში გაიმართა ხალხთა ლიგის საქართველოს საზოგადოების წევრთა კრება, რომელსაც, მრავალრიცხოვან დაინტერესებულ პირთა გარდა, დაესწრნენ დამფუძნებელი კრების წევრნი, პრესის წარმომადგენელნი და საზოგადო მოღვაწენი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი. მომხსენებლად გამოვიდა ვახტანგ ღამბაშიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ისტორია და მიზნები ხალხთა ლიგისა, რომლის სრულუფლებიან წევრად ამიერიდან ხდება ხალხთა ლიგის საქართველოს საზოგადოება.

კრებას გააცნეს ბრიუსელიდან მოსული დეპეშა ხალხთა ლიგის პრეზიდენტისა, რომელიც ესალმება საქართველოს საზოგადოებას და აცნობებს, რომ მას დაეთმო ადგილი ხალხთა ლიგის ბრიუსელის კონფერენციაზე... კრებამ აირჩია გამგეობა. გამგეობის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე, ვიცე-პრეზიდენტად ვახ. ღამბაშიძე, გამგეობის წევრებად: გ. ლასხიშვილი, რ. არსენიძე, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა და გრ. ვეშაპელი".[16]

საქართველოს ხალხთა ლიგის ახლად დაარსებული საზოგადოება იმავდროულად ორ დეპეშას გზავნის ბრიუსელს, რომელთაგან პირველის ადრესატი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო მისიით წარგზავნილი კარლო ჩხეიძე და ზურაბ ავალიშვილია.

საქართველოს ხალხთა ლიგის საზოგადოების დეპეშა
ნ. ჩხეიძეს და ზ. ავალიშვილს

ნიკოლოზ სიმონის ძე ჩხეიძეს
და
ზურაბ დავითის ძე ავალიშვილს.

ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოებამ აგირჩიათ თქვენ თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებად ერთა ლიგის ბრიუსელის მესამე კონფერენციაზე და ამ დეპეშის სახით გიგზავნით საამისო მანდატს.

ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე ლომთათიძე.[17]

მეორე დეპეშა კი ერთა ლიგის მესამე კონფერენციის თავმჯდომარეს და ერთა ლიგის ინგლისის საზოგადოების თავმჯდომარეს აუწყებდათ შემდეგს:

„ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოება მხურვალე სალამს უძღვნის ერთა ლიგის მესამე კონფერენციას ბრიუსელში და გამოთქვამს გულწრფელ სურვილს, რომ მისი მუშაობა დაგვირგვინებულ იქმნას იმ დიდი აზრების სრული გამარჯვებით, რომლებიც საფუძვლად უძევს ერთა ლიგის საზოგადოებას.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თავისუფალი სახელმწიფო საქართველო დიდი ტანჯვის შედეგად კვლავ აღდგა და დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახით შემოდის, როგორც ახალი წევრი ხალხთა საერთაშორისო ოჯახში. ქართველი ხალხი იმედოვნებს, რომ ის დიდი მსხვერპლი, რომელიც

მან მიიტანა კაცობრიობისა და კულტურის საკურთხეველზე, თავისი ისტორიული დასაბამიდან დღევანდელი საშინელი ომის დასრულებამდე და მისი გადალახვის ისტორიული უფლება ჯეროვნად დაფასდება საერთაშორისო სამართლიანობის წინაშე.

საქართველოს საზოგადოება ნიშნავს თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად ერთა ლიგის მესამე კონფერენციაზე ნ. ჩხეიძესა და ზ. ავალიშვილს.

ერთა ლიგის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ლომთათიძე. მდივანი — საყვარელიძე.[18]

იმდროინდელი პერიოდული პრესის ფურცლებზე, როდესაც ზემოაღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის მასალებს ვეცნობოდი, საინტერესოდ სწორედ ის ასპექტი იკვეთებოდა, რომ „ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციის“ მუშაობა ნამდვილად არ იყო ფორმალური მხოლოდ და იგი პერიოდულად და ორგანიზებულად ასრულებდა იმ ძირითად ფუნქციას, რასაც ერთა ლიგის დანიშნულების პროპაგანდა ერქვა საქართველოს საიმედოდ, ალბათ.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებული ლექციები მაშინდელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მიერ. 1920 წლის გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, მაგალითად ასეთი ნუსხაც კი შემოგვინახა მომხსენებლებისა და თემებისა:

1. აკაკი ჩხენკელი — „ერთა ლიგის მნიშვნელობა“.

2. ვარლამ ჩერქეზიშვილი — „ისტორია და განხილვა ლიგის მოქმედებისა“.

3. პავლე საყვარელიძე — „მუშათა საკითხი და ერთა ლიგა“.

4. ვახტანგ ღამბაშიძე — „ერთა ლიგის ქართული საზოგადოება“.

5. გიორგი გვაზავა — „საერთაშორისო უფლება და ერთა ლიგა“.

ნ. ბენია ჩხიკვიშვილი — „ხალხთა ლიგის ისტორია და საერთო მიმოხილვა“ და სხვა.[19]

და ბოლოს, ერთა ლიგის ქართული საზოგადოების ისტორიის თხრობა კიდევ რამდენიმე ისტორიული დეტალით უნდა შეევსოთ, რომელიც გამომკრთალ იმედს აძლიერებდა მხოლოდ და, რაც მთავარია, ქართულ საკითხს ახმიანებდა მსოფლიოს ყველაზე მაღალი ტრიბუნებიდან.

1920 წლის 12-16 ოქტომბერს მილანში დაინიშნა საერთაშორისო ერთა ლიგის ასოციაციების მეოთხე კონგრესი. ცხადია, კონგრესს თავისი ქართველი მომხსენებელი უნდა ჰყოლოდა, რის გამოც ერთა ლიგის ქართული საზოგადოების თავმჯდომარემ საგანგებო თავყრილობა მოიწვია და კრების სახელით ერთა ლიგის მეოთხე კონფერენციის თავმჯდომარეს მისასალმებელ ტელეგრამასთან ერთად აუწყა, რომ საქართველოს მეოთხე კონფერენციაზე წარმოადგენს მ. ჯაყელი.[20]

თავად ჯაყელის სახელზე კი, იმავდროულად, შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაიგზავნა:

„ერთა ლიგის მეოთხე კონფერენციაზე ერთა ლიგის ქართულ საზოგადოების წარმომადგენელად ინიშნებით თქვენ. გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. ჩვენი კონსტიტუციის დემოკრატიული პრინციპები ასეთია: სწორუფლებიანობა ერთა და სქესის, ნეიტრალობის პრინციპი, ყველა სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა, რვა საათის სამუშაო დღე, უფასო სამოქალაქო აღზრდა 14 წლამდე, ქალების მონაწილეობა დამფუძნებელ კრებაში ისევე, როგორც მუნიციპალურ და სასამართლოს დაწესებულებებში. ათას კოოპერატივამდე და მრავალი სხვა საზოგადოებრივი კულტურული დაწესებულებანი მზათ არიან შეუერთდენ ერთა ლიგას, მაგრამ ჯერჯერობით ხელს უშლის მათ მრავალი მიზეზი. მიუხედავად ამისა, მთელი ორგანიზაციული მუშაობა მალე დასრულდება. გთხოვთ

გადასცეთ კონფერენციას ჩვენი მხრით სალამი და სურვილი ნაყოფიერ მუშაობისა.“[21]

მაშ, ვის უნდა წარმოედგინა ერთა ლიგის მსოფლიო ასოციაციების მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე საქართველო, ანუ ვის მისცა ალექსანდრე ლომთათიძემ საქართველოს მანდატი?! ამის შესახებ კი 12 ივნისს ერთა ლიგის საქართველოს ასოციაციის სხდომას გაანდო შემდეგი, რომ „ლონდონში არსებობს ერთა ლიგის ასოციაციების კავშირი და ლონდონში მყოფ ქართველებს დაუარსებიათ იქ ქართული განყოფილება“. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა მიხეილ ჯაყელი, ყოფილი რუსეთის იმპერიის გენერალური კონსული ლივერპულში, ფრიად განათლებული პიროვნება, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ფართო პროპაგანდა გაეწია ინგლისში საქართველოს სასარგებლოდ.[22]

ამჯერად ვეცნობით მიხეილ ჯაყელის გამოსვლის ტექსტს სრულად, საკითხის მრავალმნიშვნელოვნების გამო. ქართველმა ჯაყელმა კონგრესს მოხსენება ფრანგული ტექსტით წარუდგინა.[23]

თავად მიხეილ ჯაყელის ეს გამოსვლა კი იტალიის პოლიგრაფისტთა საზოგადოებას დაუსტამბავს 1920 წელს რომში.

„საქართველოს ერთა ლიგის ასოციაციამ მომანდო მე გამოვსულიყავი უმაღლესი ასამბლეის წინაშე და გადმომეცა ქართველი ხალხის იმედი იმ კეთილშობილური პრინციპების განხორციელებისა, რომელსაც ეფუძნება ერთა ლიგა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, 3 მილიონი მცხოვრებით, რომელიც ჯერ კიდევ ორნახევარი წლის უკან იყო აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი, მაგრამ ქართველი ხალხის წარსული მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის, მდიდარს ნათელი მოვლენებით უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში და შუა საუკუნეებში. ამ პატარა ხალხის ისტორიაში ძირითადი აზრი ყოველ-

თვის იყო ოდინდელი ბრძოლა სიცოცხლისათვის და თავისუფლებისათვის.

ისტორიულმა ბედმა ქართველ ხალხს არგუნა ნაყოფიერი მიწები შავი ზღვის აუზში, კავკასიის ყელთან, რომელიც ყოფს შავ ზღვას კასპიის ზღვისაგან და აერთიანებს ევროპას აზიასთან.

საქართველო მდებარეობს მსოფლიო გზების მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე და ეს იყო მიზეზი, ათასწლეულების მანძილზე განუწყვეტელი შემოსევებისა ყოველი მხრიდან მის მიწაზე.

ზოგიერთი დამპყრობლისათვის საქართველო იყო მაცდუნებელი ნადავლი, ზოგიერთისთვის კი ეს აყვავებული ქვეყანა იყო გზა თავისი შორეული მიზნების მისაღწევად.

ერთი მეორის მიყოლებით ატყდებოდა თავს საქართველოს გამანადგურებელი დარტყმები და ხალხის მთელი ძალა და ენერგია იხარჯებოდა ქვეყნის დასაცავად, მტრის მიერ დანგრეული კერის აღსადგენად.

ამ უთანასწორო ბრძოლებში ხალხს ძალა ეფიტებოდა და ოდესღაც აყვავებული ცივილიზაცია დაცემის გზით მიდიოდა.

უთვალავი ომებით გამოწვეულმა უდიდესმა ზარალმა დაასუსტა საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია.

XII საუკუნე ჯერ კიდევ მოწმე იყო საქართველოს სრული აყვავებისა. ეს იყო თამარ მეფის მეფობისა და დიდი პოეტის შოთა რუსთაველის დრო, მაგრამ შემდგომმა საუკუნეებმა საქართველოს სამეფოებს დაშლა მოუტანა.

საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან დახმარებასა და მხარდაჭერას ეძებდა, მაგრამ ეს იმედები გაუცრუვდა. XV საუკუნის შუა ხანაში დაეცა ოსმანური თურქეთის მიერ დაპყრობილი კონსტანტინეპოლი. საქართველოს არ ჰქონდა კავშირი ქრისტიანულ დასავლეთთან და ქართველი ხალხი

დარჩა სრულიად მარტო აზიური ბარბაროსობითა და რელიგიური ფანატიზმით გარშემორტყმული.

ქართველმა მეფეებმა რუსეთს მიმართეს დახმარებისათვის, რათა თავისი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან ეხსნათ.

ეს ცდები 1783 წელს დაგვირგვინდა იმპერატორ ეკატერინე II და ქართველი მეფის ერეკლე II შორის ტრაქტატის ხელმოწერით, მაგრამ 18 წლის შემდეგ რუსეთის სამეფომ უხეშად დაარღვია ეს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მის ქვეშევრდომობაში მყოფი ამ პატარა ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას და საქართველო რუსეთის იმპერიას შეუერთა.

ამ ვერაგულმა აქტმა თითქმის 120 წლით შეწყვიტა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობა.

იმყოფებოდა რა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ქართველი ხალხი ყოველთვის იყო ლოიალური რუსეთის მიმართ. იგი ისე იბრძოდა სხვა ჩაგრულ ხალხთან ერთად, ცარიზმის წინააღმდეგ, თავისი თავისუფლებისათვის, რომ ყოველთვის ერიდებოდა მეზობლებისათვის ზიანის მიმყენებელ საქციელს. ამ პოლიტიკას ანხორციელებდნენ ქართველები მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის დროსაც, მაგრამ შემდგომ საქართველოსა და რუსეთის ისტორიული გზები გაიყარა. ჩრდილოეთში ძალაუფლებას სათავეში ჩაუდგნენ დაჯგუფებები, რომელთა ტაქტიკა და მეთოდები ერთსულოვნად იყო დაგმობილი ქართველი ხალხის მიერ. ეს დაჯგუფებები დიქტატურისა და ძალმომრეობის გზით წავიდნენ, რამაც ქვეყანა ჩააყენა სამოქალაქო ომით გამოწვეულ ყოველნაირ უბედურებაში, დაიწყო რა მოლაპარაკება თურქეთის იმპერიალისტებთან და გაუხსნა მათ გზა ამიერკავკასიისაკენ ბრესტ-ლიტვის მშვიდობიანი ზავის საშუალებით. ასე დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება ქართველმა ხალხმა, რომელიც იძულებული იყო მხოლოდ თავისი იმედით ყოფილიყო.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა კრებამ ერთხმად გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ აქტით საქართველოს ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა.

იმ დროიდან, ხალხი მთელ თავის ძალას ახმარდა მის მიერ შექმნილი ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს კონსოლიდაციას. თუმცა მის განკარგულებაში ცოტა დრო იყო — შემდეგზე უკვე შეიძლება მსჯელობა.

დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც არჩეული იყო საყოველთაო კენჭისყრით, 20 წლის ასაკის ზევით მოქალაქეების მიერ, შეიმუშავა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ამ კონსტიტუციამ დაამყარა ყველაზე დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, ყველა პარტია შესაბამისად პროპორციულად იყო წარმოდგენილი პარლამენტში. მთავრობა მთლიანად ექვემდებარებოდა პარლამენტს, პარლამენტი კი ხალხს, რომელიც რეფერენდუმის მეშვეობით გამოხატავდა თავის ნებას.

მმართველობა დეცენტრალიზებულია, დემოკრატიული არჩევნების ხარჯზე არჩეული საბჭოების სრულუფლებიანობის გაფართოების გზით.

თანამდებობის პირებსა და შემსრულებლებს აგრეთვე მოსახლეობა ირჩევს. ქალაქებში, რაიონებში და სოფლებში ყველა ეკონომიკური და სხვა პრობლემები წყდება „თვითმმართველობის“ პრინციპით.

რესპუბლიკის ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე, ეკლესია მთლიანად გამოყოფილია სახელმწიფოსგან, მთლიანად დაცულია მუშათა კლასის ინტერესები, უთანხმოება მუშებსა და მეპატრონეებს შორის დემოკრატიული სასამართლოთი წყდება. მიწები, რომლებიც ოდესღაც მსხვილ მიწათმფლობელებს ეკუთვნოდათ, სამართლიანად განაწილდა მიწათმოქმედებს შორის, მწარმოებლები ერთიანდებიან პროფკავშირებში იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება.

დიდ განვითარებას მიაღწია სამომხმარებლო კოოპერაციამ. სახელმწიფომ გაშალა უდიდესი მუშაობა, კერძოდ: სარკინიგზო გზების, ამოსაშრობი და სარწყავი არხების, გზატკეცილების, ხიდების, ვიადუკების მშენებლობა და ა.შ.

ასეთია უკვე მიღწეული ძირითადი შედეგები ქართული დემოკრატიის მიერ ორგანიზებულ სახელმწიფოში.

უდიდესი ბედნიერებაა საქართველოსათვის ის ერთსულოვნება, რომელიც ხალხში სუფევს. გლეხების, მუშებისა და ინტელიგენციის უდიდესი უმრავლესობა შეადგენენ ერთ პარტიას, ეს არის სოციალ-დემოკრატების მმართველი პარტია, რომელიც 102 მანდატს ითვლის დამფუძნებელ კრებაში, 130 წევრის საერთო რაოდენობით. ამ პარტიის მიზანია, სისტემატიური განვითარების გზით, შექმნას უფრო სრულყოფილი სოციალისტური სახელმწიფო ხალხის ყველა მატერიალური და სულიერი ძალებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციით.

ასეთმა შინაურმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. სახელმწიფო, ყველა მხრიდან გარშემორტყმული ანარქიით, სამოქალაქო ომით, ხოცვა-ჟლეტით, ბოლშევიზმით, დაუზიანებელი გადარჩა. დამანგრეველმა გრიგალმა ვერ შეაღწია მის საზღვრებში. საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრობლემები წყდება იმავე დემოკრატიული პრინციპებით, რომელიც მის შიდა პოლიტიკას უდევს საფუძვლად. უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან, გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა მეზობლებთან, ნეიტრალიტეტი საერთაშორისო კონფლიქტების მიმართ, ყველა საერთაშორისო დავის გადაწყვეტა მხარეების ან არბიტრაჟის გზით და ამავე დროს მყარი გადაწყვეტილება — ყოველთვის, სისხლის ბოლო წვეთამდე დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყოველგვარი აგრესიისაგან.

მე ჩემს მოვალეობად ვთვლი განვუცხადო ამ მაღალ საკრებულოს, რომ ქართველი ხალხი უკიდუ-

რესად შეშფოთებულია თავისი დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნის მომავლით. ჯერ კიდევ არ არის გადალახული საშიშროებანი, რომელიც გარს არტყია საქართველოს, მთელი თავისი დიდი ხნის ისტორიის მანძილზე. ქვეყანა, რომელიც მდებარეობს მსოფლიო გზების გზაჯვარედინზე, უხვად დაჯილდოებული ბუნებით, ქვეყანა, რომელმაც შეინარჩუნა წესრიგი, თავისუფლება და შეფარდებითი სიუხვე, არ შეუძლია იგრძნოს თავი უსაფრთხოებაში, როცა მის გარშემო ანარქია ზეიმობს. მე მხოლოდ ერთ ფაქტს დაგისახელებთ: თავისი არსებობის ორწლინახევრის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკამ 10-ჯერ განიცადა თავდასხმა. ამ პატარა დროის მონაკვეთში ქართველი ხალხი, რომელსაც მშვიდობის მეტი სხვა არაფერი სურს, 10-ჯერ გახდა იძულებული იარაღი აეღო ხელში და დაეცვა თავისი საზღვრები.

აუცილებელია ავაღორძინოთ ქართველი ხალხის ის სულიერი იდეები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მთელი თავისი წარსული ისტორიის მანძილზე და რომლებიც საფუძვლად უდევს ერთა ლიგას. ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, რა არის საერთაშორისო ურთიერთობის უხეში ძალა და მზადაა რა ბოლომდე დაიცვას თავისი სიცოცხლე და თავისი თავისუფლება, მას სწადია, მთელი საერთაშორისო ცხოვრების განახლება. ისეთი წესრიგის დამყარება, რომლის დროსაც მისი უფლებები, ისევე როგორც სხვა ხალხების უფლებები, დაცული იქნება არა ხიშტებით, არამედ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრით.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ყველა დიდმა სახელმწიფომ აღიარა დე ფაქტოდ.

ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია, რომლის სახელითაც მე მაქვს პატივი მივმართო უმაღლეს საბჭოს და აგრეთვე მთელი ქართველი ხალხი, სთხოვს ერთა ლიგას, საბოლოოდ დაამტკიცოს ეს აღიარება. ერთა ლიგამ უნდა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკა თავის შემადგენლობაში

და გაუწიოს მორალური მხარდაჭერა, რისი უფლებაც ამ რესპუბლიკას უდავოდ აქვს. ვიმედოვნებ, რომ უმაღლესი საბჭო დაუყოვნებლივ, აღიმაღლებს თავის გაელენიან ხმას ჩვენი სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად.“

თანამედროვეთა გადმოცემით ჯაყელი დიდი პატივით მიიღეს კონგრესზე. კიდევ მეტი, კენჭის ყრის დროს იგი გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობდა. „ერთა ლიგის საქართველოს ასოციაცია, რომლის სახელითაც მაქვს პატივი მივმართო მსოფლიო ასოციაციის უმაღლეს საბჭოს ... სთხოვს მიიღოს საქართველოს რესპუბლიკა თავის შემადგენლობაში და გაუწიოს მორალური მხარდაჭერა, რის უფლებაც ამ რესპუბლიკას უდავოდ აქვს“... ამ სიტყვებით დაასრულა რა თავისი გამოსვლა ქართველმა ჯაყელმა, კონგრესის თავმჯდომარის რუფინის წინადადებით საქართველოს ასოციაცია ერთხმად იქმნა მიღებული ერთა ლიგის მსოფლიო ასოციაციის წევრად.

რა მოხდება შემდგომ?!

ანუ საქართველო გახდება თუ არა ერთა ლიგის წევრი ქვეყანა?!

ახლა ამ ისტორიის მსვლელობას მივყვეთ.

§3
დემოკრატიული საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა

და მანამ და ვიდრე დამფუძნებელი კრების სხდომაზე თავშეყრილი პარტიები და ფრაქციები სჯიდნენ ერთა ლიგაში საქართველოს შესვლა-არშესვლის საკითხს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ერთა ლიგის საბჭოს მდივნისაგან უკვე ოფიციალური წერილი ჰქონდა მიღებული, რომლითაც იგი იტყობინებოდა, რომ ნოემბრის 15-ს ჟენევაში დანიშნულია ერთა ლიგის პირველი საზოგადო კრება, სადაც აღძრული და გარჩეული იქნება საქართველოს რესპუბლიკის ლიგის წევრად მიღების საკითხი. „შესაძლოა – სწერდა საბჭოს მდივანი, – კრებამ მოისურვოს თქვენი საკითხის შესახებ სიტყვიერი განმარტების მოსმენა, ამისათვის საჭიროა დანიშნოთ თქვენი წარმომადგენელი".[24]

მთავრობამ ასეთ წარმომადგენლად დანიშნა იმჟამად ევროპაში მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, რომელსაც იმ დღესვე ანუ, სექტემბრის 20-ს ეცნობა დეპეშით ეს და ფოსტით გაეგზავნა სათანადო მანდატი.

დადგა ეს 1920 წლის 15 ნოემბერიც. ჟენევაში მუშაობა დაიწყო ერთა ლიგის პირველმა სესიამ. სესიის წესრიგის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, უძირითადესი საკითხი შეეხებოდა რიგ სახელმწიფოთა გაერთიანებას ლიგაში, რომელიც დაევალა მე-5 განსაკუთრებულ კომისიას 36 წევრის შემადგენლობით. კომისიას თავმჯდომარეობდა ჩილელი დელეგატი ანტონიო ჰონელუსი. კომისიის სხდომაზე დელეგატმა ვივიანმა შემდეგი წინადადება შეიტანა: არც ერთი სახელმწიფოს მიღება არ შეიძლება ერთა ლიგაში, თუ ის არ აკმაყოფილებს ოთხ მოთხოვნილებას, სახელდობრ: 1. სახელმწიფომ უნდა აღასრულოს ყველა ინტერნაციონალური ვალდებულება, რომელიც მას მიუღია თავის თავზე; 2. ამ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს პასუხისმგებელი მთავრობა, რო-

მელიც ხალხის ვალდებულებებს მიიღებს თავის თავზე; 3. ეს სახელმწიფო ისე უნდა იყოს განწესრიგებული, რომ ერთა ლიგა დარწმუნებული უნდა იყოს მის მიერ მიღებულ ვალდებულებების აღსრულებაში; 4. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საზღვრები და ამ საზღვრებში მისი მცხოვრებლები ერთს ეროვნებას წარმოადგენდნენ.

თათბირის შემდეგ კომისიამ, რომელშიც შედიოდა ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი, ერთხმად მიიღო ვივიანის წინადადება.[25]

როგორც ვხედავთ, ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა გაწევრიანების მოთხოვნები საკმაოდ მკაცრი იყო. რა ბედი ეწია ამ მხრივ საქართველოს?!

როგორც საისტორიო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ერთა ლიგის სამდივნომ მოამზადა მასალები საქართველოს მიღების საკითხის განსახილველად და დაბეჭდა შუამდგომლობის ტექსტი რამდენიმე ენაზე.

ვეყრდნობით რა მრავალ საისტორიო პირველწყაროს და გამოკვლევას, მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს საკითხის განხილვის ისტორიის ზოგიერთ დეტალს. კერძოდ: ზემოხსენებული მე-5 კომისია დაყოფილი იყო კიდევ სამ ქვეკომისიად.

საქართველოს საკითხი უნდა განეხილა აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან და კოსტა-რიკასთან ერთად მე-3 ქვეკომისიას (თავმჯდომარე — ცნობილი მკვლევარი და ჰუმანისტი ფრიტიოფ ნანსენი — ნორვეგია, წევრები: პროფესორი იოანესკუ — რუმინეთი; მილენი — ავსტრია; პალასიოსი — ესპანეთი, პოლიტისი — საბერძნეთი; სპალაიკოვიჩი — სერბია და ტსან-ტსაიფუ — ჩინეთი).

ქვეკომისიის ამოცანა იყო შეესწავლა ყ ქვეყნის კანდიდატურა შემდეგი საკითხების მიხედვით:

ა) სწორადაა თუ არა წარმოდგენილი შუამდგომლობა ლიგაში მიღებისათვის;

ბ) აღიარებულია თუ არა შუამდგომლობის წარმომდგენი ქვეყანა დე ფაქტოდ ან დე იურედ და რომელი სახელმწიფოების მიერ;

გ) ჰყავს თუ არა ქვეყანას მტკიცე მთავრობა და აქვს თუ არა გარკვეული საზღვრები, როგორია მისი ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა;

დ) თავისუფალია თუ არა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა;

ე) რა პოზიცია აქვს თავისი აქტებისა და დეკლარაციების თანახმად;

1) საერთაშორისო ვალდებულებათა მიმართ;

2) ლიგის დადგენილებაზე შეიარაღების საკითხის გამო;

როგორც ამ განხილვის მომსწრე — ზ. ავალიშვილი წერს, „25 ნოემბერს მე და თავადმა ა. სუმბათაშვილმა (საქართველოს ელჩი შვეიცარიაში) მივეცით ამ ქვეკომისიას განმარტებები. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის წარმომადგენელმა პოლიტისმა ბრალი დასდო საქართველოს უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომთა უფლებების დარღვევაში, ეს ბრალდება უკუგდებულ იქნა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონია. საბოლოოდ, ქვეკომისიის დადგენილებით, საქართველო აკმაყოფილებდა ზემოხსენებულ ყველა მოთხოვნას და იგი დაშვებულ იქნა მე-5 განსაკუთრებული კომისიის სხდომაზე 2 დეკემბერს. ფრიტიოფ ნანსენმა, რომელიც ამ დროისათვის უდიდესი პოპულარობით, სარგებლობდა (იგი იყო ერთა ლიგის ნორვეგიის ასოციაციის თავმჯდომარე, ამასთანავე, ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხში), მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ქვეკომისიის დადგენილების დასამტკიცებლად მე-5 განსაკუთრებული კომისიის სხდომის პროცესის დროს, მაგრამ მისმა სიტყვამ ვერ გამოიღო დადებითი შედეგი. ფიშერის (დიდი ბრიტანეთი) წინადადებით დადგინდა, რომ საქართველოს საკითხი გავიდოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის შემადგენლობიდან გამოსულ სხვა სახელმ-

წიფოებთან ერთად. ამიტომ ამჯერად პირველ ქვეკომისიას დაევალა, რათა ჩამოეყალიბებინა ფორმულა საქართველოსა და ბალტიისპირეთის სამი ქვეყნისათვის, რაც ძირითადად იმით უნდა გამოხატულიყო, რომ ამ ქვეყნებს გადასწეოდათ ლიგაში მიღების ვადა, მაგრამ ამავე დროს შეეძლოთ აქტიური თანამშრომლობა მასთან.[26]

საბოლოოდ, მე-5 განსაკუთრებულმა კომისიამ ასეთი დადგენილება მიიღო.

„კომისია რეკომენდაციას აძლევს ერთა ლიგის ასამბლეას შეატყობინოს საქართველოს მთავრობას, რომ:

ა) მისი შუამდგომლობა განხილულ იქნა თანაგრძნობით, მაგრამ მდგომარეობა კრებას ნებას არ აძლევს გამოიტანოს საბოლოო დადგენილება;

ბ) რომ ერთა ლიგის მომდევნო სესიამდე (1921 წლის სექტემბრამდე) ამ სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის საერთო მნიშვნელობის ტექნიკურ ორგანიზაციებში“ (ეს ორგანიზაციები იყვნენ ფინანსური, ეკონომიკური, საერთაშორისო სანიტარიის და ჰიგიენის, საერთაშორისო მიმოსვლისა და ტრანზიტის, შრომის საერთაშორისო ბიურო).

საკითხი საქართველოს და ბალტიის სახელმწიფოების მიღების შესახებ საბოლოოდ გაარჩიეს 16 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე. იმავე დილის სხდომაზე სომხეთი არ მიიღეს წევრად (გავიხსენოთ, რომ სომხეთი ჯერ კიდევ 2 დეკემბერს გასაბჭოდა). რაც შეეხება საქართველოს და ბალტიის ქვეყნების მიღებას, კამათი ძალზე ცხარედ წარიმართა. ეს რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, სჯობს, გადავხედოთ დელეგატების გამოსვლების სტენოგრაფიულ ჩანაწერებს:[27]

ᲞᲝᲚᲔᲠᲔᲕᲡᲙᲘ (პოლონეთი) — „ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს — ჩვენს დღევანდელ მტრებს და იმედი მაქვს — სახვალიო მეგობრებს (დელეგატი გულისხმობს პოლონეთთან ამ ქვეყნების სამხედრო კონფლიქტს), ახალგაზრდა უკრაინას მრავალრიცხოვან მაცხოვრებლებით, უძლეველ საქართველოს, ახალგაზრ-

და აზერბაიჯანს, მრავალტანჯულ სომხეთს პსურთ ხალხთა ლიგაში შესვლა. პოლონეთი სულითა და გულით იმათ მხარეზეა, ვინც იტანჯება, იბრძვის, იმედს არ პკარგავს და იმ საკითხზე, რომელიც ეხლა ჩვენს წინა დგას, მას პსურს დაუყოვნებლივ მისცეს დადებითი პასუხი.

მაგრამ მაღლიერი პოლონეთის გული ეკუთვნის აგრეთვე და პირველ ყოვლისა იმათ, ვინც ასე დიდსულოვნად აღმოუჩინა მას დახმარება და შემწეობა, პოლონეთს კარგად ესმის, თუ ვის უნდა უმადლოდეს ის თავის დამოუკიდებლობას და ხელ-შეუხებლობას, მან იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ დაუკრავს ამ ერების ხალხთა ლიგაში მიღების ჟამს. პოლონეთს სურს თქვას „ჰო“, ე.ი. მას არ შეუძლია ხმა წინააღმდეგ მისცეს. ამიტომ, ბატონებო, მე თავს ვიკავებ ხმის მიცემისაგან და გამოვსთქვამ ამასთანავე გულწრფელ სურვილს, რათა ჩემი ქვეყნის კეთილმსურველებმა (ინგლის-საფრანგეთმა) უახლოეს დროში შესაძლებლად სცნონ ამ პატარა ხალხთა თავისუფლების საბოლოოდ გამოცხადება.“

ᲒᲠᲐᲪᲘᲔᲚᲘ (სპარსეთი) — „მე დიდი მადლობა უნდა გამოვუცხადო იმ ჩემს პატივცემულ კოლეგებს, რომლებიც რუსეთის იმპერიისაგან ჩამოშორებულ სახელმწიფოთა მხარეზე დადგნენ, მაგრამ წინააღმდეგ პოლონეთის წარმომადგენელისა, მე არ შემიძლია ჩემი ხმა არ მივცე მცირე ერთა მიღების სასარგებლოდ...

დღეს დილით ჩვენ დავაკმაყოფილეთ ფინლანდიის შუამდგომლობა, რით აიხსნება სხვაგვარი დამოკიდებულება საქართველოსა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან?

დილით კრებამ განიხილა სომხეთის მდგომარეობაც. მე მინდა აღვნიშნო, რომ სომხეთის მდგომარეობა მკვიდრი არ არის, სინამდვილეში სომხეთის რესპუბლიკა აღარ არსებობს, აი, რატომ იყო სპარსე-

თი იძულებული, თავი შეეკავებინა სომხეთთან კენჭისყრის დროს.

ასეთი არაა საქართველოს მდგომარეობა, ეს ორგანიზაციულად მოწყობილი ქვეყანაა, მტკიცე მთავრობით, ჯარით — რომელმაც შესძლო ქვეყნის დაცვა მტრებისაგან, რომლებიც მას რამოდენიმე წლის განმავლობაში თავს ესხმოდნენ. მე ვიყავი საქართველოში 1919 წელს, ეს კულტურული ქვეყანაა და მე მას კარგად ვიცნობ. ჩემი აზრით, საქართველოს აქვს ერთა ლიგაში წევრად ყოფნის უფლება...“

ვანსერი (იტალია) — „...ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ, რაც უფრო მეტ რიცხვს სახელმწიფოებისას შეიყვანს ერთა ლიგა თავის ფარგლებში მით უფრო კარგად შესძლებს ის თავისი მისიის შესრულებას, ხალხთა შორის სოლიდარობისა და თანამშრომლობის დამყარებას... ამის გამო იტალია უერთდება ბატონ რესტრეპოს წინადადებას — დაუყოვნებლივ იქნენ დაშვებულნი ხალხთა ლიგაში ბალტიის სახელმწიფოები და საქართველო“.

საქართველოს მიღებას მხარი დაუჭირა აგრეთვე პორტუგალიის დელეგატმა შაგასმა, რუმინელმა იონესკუმ კი პოლონეთის მხარე დაიჭირა, ვივიანმა აღნიშნა, რომ ლიგას მეტად გაუძნელდება ახალი წევრების ტერიტორია, მე-10 მუხლის თანახმად, თავდასხმისაგან უზრუნველყოს. ბრანტინგსაც (შვეცია) იგივე სიძნელეები ჰქონდა მხედველობაში, თუმცა მან დიდი თანაგრძნობით მოიხსენია ბალტიის ქვეყნები. ამის შემდეგ, რობერტ სესილის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ფრიტიოფ ნანსენის (ნორვეგია) წინადადებით საქართველოს მიღების საკითხი ცალკე გამოიყო.

როგორც ცნობილია, ლიტვა-ლატვია-ესტონეთი — არ ყოფილან მიღებულნი (მომხრე 5 ქვეყანა, წინააღმდეგ — 24), ამის შემდეგ საქართველოს საკითხზე ისევ გამოვიდა ნანსენი, ინგლისურად. იგი ძლიერ იცავდა მის მიღებას. ნანსენს მხარი დაუჭირა რობერტ სესილმაც, რომელმაც განაცხადა: „მე ვთხოვ

კრების დელეგატებს... გაუგზავნონ ამ პატარა გულად სახელმწიფოს მატერიალური დახმარება...“ შემდეგ ფიშერმა ისევ მოითხოვა სიტყვა: — „რასაც ნანსენი და სესილი ამტკიცებს, ეს სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვა გარედან თავდასხმისაგან რჩება სიძნელედ...“

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ საქართველოს მიღების საკითხმა ერთა ლიგაში დიდი პერიპეტიები გამოიწვია. თვითმხილველის თქმით, მთელი დარბაზი გაფაციცებული ადევნებდა ამ კამათს თვალს და დელეგატებს სულგანაბული უსმენდნენ. მიღებას ხმას აძლევდა 24 სახელმწიფო, არჩევისათვის საჭირო იყო 16 ხმა.

საქართველოს სასარგებლოდ ხმა მისცეს სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ; წინააღმდეგ: ავსტრალიამ, კანადამ, კუბამ, დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, ზელანდიამ, ნიდერლანდებმა, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ (მკითხველი ალბათ შენიშნავს, რომ წინააღმდეგი ქვეყნების უმრავლესობა ინგლისის დომინიონი სახელმწიფოებია და მეტროპოლიის წინააღმდეგ, ცხადია, ვერ წავიდოდნენ); თავი შეიკავეს: ბელგიამ, პოლონეთმა, შვეციამ, რუმინეთმა.

მაშასადამე, 1920 წლის 16 დეკემბრის ერთა ლიგის სხდომის ამ დაძაბული დისკუსიისაგან დასკვნა შეიძლება შემდეგგვარად ჩამოყალიბდეს:

ერთა ლიგაში საქართველოს წევრად მიღების საკითხს მხარი დაუჭირეს ნორვეგიის წარმომადგენელმა — ფრ. ნანსენმა; სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა — რობერტ სესილმა; აგრეთვე იტალიამ და სპარსეთმა. მაგრამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელი შეუშალა ინგლისის პოზიციამ. მიზეზად ლიგის წესდების მე-5 და მე-10 მუხლების გათვალისწინებით. სხვათა შორის, ფრანგთაგან ზემოხსენებული აზრი მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილმა ვივიანმა განაცხადა, ინგლისელთაგან აღ-

ნიშნულისა გამო ფიშერმა გამოიდო თავი, ხოლო შვედმა ბრანტინგმა, როგორც იტყვიან, მიხვეულ-მოხვეულად განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ მას დავალებული აქვს პროფესიულ კავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალისაგან მოითხოვოს საქართველოს მიღება, მას ესმის ვივიანის არგუმენტი და ამიტომ მას უერთდება და ითხოვს ამ საკითხის საბოლოო გადაჭრა გადაიდოს შემდგომი სხდომისათვის, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, არც იქით და არც აქეთ. ინგლისელი ფიშერი კი ენერგიულად ამტკიცებდა, რომ ერთა ლიგა ჯერ ახალგაზრდა ორგანიზაციაა და თავიდანვე არ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა, ამა თუ იმ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაზეო. და კენჭისყრის წინ ისევ ნანსენი იტყვის პატიოსან სიტყვას: ჩვენ ვასუსტებთ ერთა ლიგის ძალას და მისდამი ნდობას, როცა მას ვაკლებთ ისეთი ერის თანამშრომლობას, როგორიც ქართველი ერია.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი კენჭისყრის შედეგებს. ერთა ლიგის კრებას ესწრებოდა მხოლოდ 24 სახელმწიფოს წარმომადგენელი.

ერთა ლიგის წევრად საქართველოს მიღებას ხმა მისცა 10 სახელმწიფომ (მათ შორის: იტალიამ, სამხრეთ აფრიკის კავშირმა, ნორვეგიამ, შვეიცარიამ). ათმა თავი შეიკავა (მათ შორის: პოლონეთმა).

აქვე იხილებოდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების — ლიტვა, ლატვია და ესტონეთის მიღების საკითხი. 24-დან მათ მიღებას ხმა მისცა მხოლოდ ხუთმა სახელმწიფომ. შემდგომში — 1921 წელს ისინი მიიღეს ერთა ლიგის წევრებად, მაგრამ საქართველო მაშინ უკვე ოკუპირებული იყო ბოლშევიკური რუსეთის მიერ.

***

ამის შემდგომაც, ალბათ, ორჯერ-სამჯერ მოუხდება ერთა ლიგას საქართველოს საკითხით „შეწუხება“. სახელდობრ მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლტოლვილმა მთავრობამ მიმართა ევროპის სახელმწიფოებს მოხსენებით საქართველოში წითელი ჯარების შემოსევისა და ბოლშევიკური რუსეთისაგან ქვეყნის ომით დაპყრობის შესახებ. საქართველოს საელჩომ პარიზში ერთა ლიგის მთავარ მდივანს ერიკ დრუმონს წერილობით სთხოვა, რათა მას ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სხდომაზე საქართველოს რუსთა მიერ ოკუპაციის საკითხი განსახილველად წარედგინა.

1921 წლის ივნისის 13-ს საქართველოს საელჩო პარიზში ერთა ლიგის საბჭოს სწერს: — მას შემდეგ, რაც ერიკ დრუმონმა წარადგინა საბჭოთა რუსეთის საქართველოში შემოსევის შესახებ საბუთები, ერთა ლიგისათვის უცნობი აღარ არის, რომ სრულიად უმიზეზოდ და ომის გამოუცხადებლად, საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, განაგრძობენ მის ოკუპაციას და კომუნიზმის სახელით მისი მოსახლეობა ბარბაროსულ წესებს დაუმორჩილეს... საბჭოთა რუსეთის უმსგავსო თავდასხმას, რომლის მსხვერპლი ეს ერი გახდა, სხვა გამართლება არ აქვს, თუ არ სამართალი უფრო ძლიერისა. ეს ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს მოსკოვის მთავრობის აღმაშფოთებელ იმპერიალიზმს და იმას, თუ რა ფასი აქვს ამ მთავრობის მიერ აღებულ პატიოსნების მოვალეობას-ო.[28]

თავის უკანასკნელ, ჟენევაში გამართულ ყრილობაზე ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა კავშირმა, ამ მოვლენით აღელვებულმა, შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა: — აღშფოთებული იმ უბედური მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება საქართველოს დემოკრატიულად მოწყობილი ერი, რომელსაც შეესია უცხო ჯარი და მის მკვიდრთა სურვილის წინააღმდეგ დაიკავა მისი მიწა-წყალი, და რომელმაც ამგვა-

რად დაჰკარგა თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლებანი, ყრილობა გამოთქვამს მთელ თავის გულისწყრომას და მტკიცედ მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოსა და საზოგადო ყრილობისაგან, საშუალება იხმარონ, რათა ხალხთა უფლების პრინციპი — თავიანთი ბედის პატრონი თვითონვე იყვნენ — გავრცელებული იქმნას საქართველოზეო.

საქართველოს კანონიერი მთავრობა იმედოვნებს, რომ ერთა ლიგის საბჭო, საერთაშორისო სამართლის წმინდა პრინციპთა ერთგული, თავისი ავტორიტეტით აღჭურვილ ხმას აღიმაღლებს მომავალ სხდომაზე ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ-ო.[29]

1921 წლის აგვისტოს 29-ს, ერთა ლიგის ყრილობის დროს, ჟენევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, თავის მხრივ, მიმართავს ერთა ლიგას და სთხოვს მას, სხვათა შორის — იმ პრინციპის სახელით, რომლითაც არის გამსჭვალული ამ საზოგადოების ხელშეკრულება, საქართველოს მთავრობას პატივი აქვს თხოვოს ერთა ლიგის საზოგადო ყრილობას, რომელიც ამჟამად ჟენევაშია შეკრებილი, გამოიტანოს პროტესტი და განკიცხვის დადგენილება ბოლშევიკური შემოსევისა და წითელი ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ-ო.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წევრთა დაახლოებით ერთი და იმავე შინაარსის თხოვნა-მემორანდუმები დაუღალავად და რეგულარულად გრძელდებოდა. ამჯერად, ანუ 1922 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ელჩმა აკაკი ჩხენკელმა ისევ მიმართა ერთა ლიგას და მოუწოდა მას განეხილა ქართული საკითხი; იგი, სხვათა შორის, სწერდა:

...უეჭველია, რუსული ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველმა ერმა მრავალი თანაგრძნობა მიიღო განათლებული კაცობრიობისაგან. სხვათა სახელმწიფოთა მთავრობებმა არა ერთხელ გამოუჩინეს მას თავიანთი ზნეობრივი დახმარება. პარლამენტებში წარმოთქმული სიტყვები, ადრესები

და რეზოლუციები მიღებული სხვადასხვა ქალაქთა თვითმართველობათაგან, პოლიტიკური პარტიებისაგან, სინდიკატებისა და მრავალნაირი საზოგადოებისაგან, დიდი და ძლიერი ნუგეში იყო მისთვის. მაგრამ რა მძლავრი ზარის ხმად გაისმოდა ერთა ლიგის ხმა, ამ ერთა შორის დიდის სამსჯავროსი!... საქართველოს ეროვნული მთავრობა იმედოვნებს, რომ ერთა ლიგა საერთაშორისო სამართლის მცველი, ამოიღებს ხმას ბოლშევიკური შესაზარი აქტების წინააღმდეგ და გამონახავს ქართველი ერის წამებათა მოსასპობ საშუალებებს-ო.[30]

ეს საპროტესტო წინადადება კი საქართველოს დიდმა მეგობარმა დე ბრიუკერმა წამოაყენა ერთა ლიგის წინაშე 1922 წლის სექტემბერში მის მიერვე შედგენილი პროექტით, რომელშიც კერძოდ ნათქვამი იყო: „ერთა ლიგის საზოგადო ყრილობამ, აღშფოთებული იმ უსაშველო მდგომარეობით, რომელშიდაც იმყოფება დღეს საქართველო, მტერ-შემოსეული და მის მკვიდრთა სურვილის წინააღმდეგ დაპყრობილი, მოუწოდებს ლიგის საბჭოს, ყურადღებით ადევნოს თვალი ქვეყნის ამ კუთხის ამბებს, რათა ისარგებლოს ყოველივე შემთხვევით, რომელიც კი მიეცემა, ამ ქვეყნისათვის ნორმალური მდგომარეობის დასაბრუნებლად“-ო.

როგორც ირაკლი წერეთელი იხსენებს, ამ რეზოლუციის პროექტსაც ხანგრძლივი კამათი გამოუწვევია[31], ანუ „წესისამებრ“ გადასცემია მეექვსე კომისიას და აქაც დე ბრიუკერს მოუხდა მისი დაცვა: — საქართველოს საკითხი არ ეკუთვნის საკითხთა იმ რიცხვს, რომელთა განზე გადადება ადვილად შესაძლებელია... ის დასმულია და მუდამ დაისმება-ო.

და ხანგრძლივი კამათის შემდეგ, აზრთა შეხლა-შემოხლის, აწონ-დაწონვის და სხვა ამდაგვარი შინაარსით, რომელშიც, სხვათა შორის, მონაწილეობა მიუღიათ ინგლისის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, ფინლანდიისა და შვეიცარიის წარმომადგენლებს, მეექვსე, ანუ პოლიტიკურ კომისიას ერთხმად გადაუწ-

ყვეტია და მიუღია დე ბრიუკერის ზემოთ მოტანილი წინადადება შემდეგი სახით:

„ერთა ლიგის საზოგადო ყრილობამ, ითვალისწინებს რა საქართველოს მდგომარეობას, მოუწოდებს (ერთა ლიგის) საბჭოს ყურადღებით თვალი ადევნოს ქვეყნის ამ კუთხის ამბებს, რათა ყოველი შემთხვევით ისარგებლოს, რომელიც კი მიეცემა და დაეხმაროს მშვიდობიანი და საერთაშორისო სამართლის შესაფერის საშუალებით ეს ქვეყანა ნორმალურ მდგომარეობაში დააბრუნოს“.

ერთა ლიგის საზოგადო ყრილობაზე ამ გადაწყვეტილების დამცველად ისევ ბელგიის წარმომადგენელი დე ბრიუკერი გამოვიდა. მისი შესანიშნავი სიტყვის შემდეგ ერთა ლიგის მესამე ყრილობამ ერთხმად მიიღო ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება.[32]

და ბოლოს, კიდევ ერთხელ, 1924 წელს „შეწუხდება“ ლიგა. ამჯერად მე-5 სესიის სხდომაზე კვლავ საქართველოს საკითხის გამო. განმასხვავებელი აქ მხოლოდ ერთი დეტალია. სესიას ნოე ჟორდანია და ირაკლი წერეთელი ესწრებიან. დანარჩენი იმავე სცენარით მეორდება, სახელდობრ: რასაკვირველია ცხარე დისკუსია-კამათი. ქართველთა ინტერესების მხარდასაჭერად აქტიურობენ ინგლისელი ლეიბორისტები, ფრანგი და ბელგიელი სოციალისტები: რამზეი მაკდონალდი, ჟან-პოლ ბონკური და დე ბრიუკერი. რამზეი მაკდონალდი მთელის ენერგიით უმტკიცებდა ლიგას, რომ საბჭოთა რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება და ძალის გამოყენებით დაიპყრო საქართველო. არა მარტო ლიგა, არამედ ალბათ ნახევარი მსოფლიო ინტერესდებოდა: მაშ, რატომ ცნო რამზეი მაკდონალდმა, ანუ დიდმა ბრიტანეთმა საბჭოთა კავშირი დე-იურედ?! მაკდონალდს ამ შეკითხვის დასმა არც დასჭირვებია, რადგან მაშინაც, როცა ამ დოკუმენტს იღებდა და ახლაც, როცა დემოკრატიული საქართველოს უფლებებს იცავდა, შესანიშნავად იცოდა, რაც გააკეთა. ანუ რომ ეს ცნობა

(სსრკ-ს დე იურედ აღიარება) ვრცელდებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომლებმაც ნებაყოფლობით აღიარეს საბჭოთა ხელისუფლება. ასე რომ, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა და საქართველოს დიდმა მეგობარმა რამზეი მაკდონალდმა დემოკრატიულ საქართველოს სამართლებრივი და დიპლომატიური რეზერვი დაუტოვა, იმ საქართველოს, რომელიც ოკუპაციის პირველი დღიდანვე არ შეგუებია დამპყრობელს და ახლაც, ანუ იმ წუთებში, როდესაც ერთა ლიგა ხანგრძლივი დისკუსიის ფონზე იხილავდა საკითხს, მიეღო თუ არა რაიმე დოკუმენტი ზემოხსენებულთან დაკავშირებით, საქართველოში განმანთავისუფლებელი ბრძოლის ზღვა სისხლი იქცეოდა და, მიუხედავად ყველაფრისა, ერთა ლიგამ დიდი შეხლა-შემოხლა და შეშფოთება-აღშფოთების ფონზე კვლავ გაიმეორა 1922 წლის რეზოლუცია.[34]

თავი მეხუთე

დემოკრატიული საქართველოს საერთაშორისო აღიარება

§1
საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება დე ფაქტო

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო დე-ფაქტო აღიარება, როგორც ვიცით, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც ხდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივი და იურიდიული აღიარების და დაცვის ქართულ-ევროპული ურთიერთობების უაღრესად საინტერესო საკითხის გასარკვევად, ქართულმა ისტორიოგრაფიამ, სხვა უმნიშვნელოვანეს წყაროებთან ერთად, შემოგვინახა კიდევ ერთი ღირებული დოკუმენტი, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ჰარვარდის ბიბლიოთეკის ფონდშია დაცული — ავტორობით ირაკლი წერეთლისა. და ყველაზე საინტერესო სწორედ ის გახლავთ, რომ ირაკლი წერეთელმა, ამ საყოველთაოდ ცნობილმა პოლიტიკოსმა, რომელმაც თავის მხრივ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას, შემოგვინახა სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც სრულიადაც არ გახლავთ მისი პიროვნული განცდებისა და განწყობილებების სფეროდან მხოლოდ. იგი სხვადასხვა რაკურსით, გაწეული მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნით, რეალურად განიხილავს ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო წრეს, იძლევა უაღრესად საინტერესო და საჭირო ფაქტობრივ ისტორიულ მასალას.

„დაპყრობამდის, პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი საკითხისა იყო საქართველოს რესპუბლიკის ფაქტობრივი ცნობა“ — მოგვიანებით დაწერს ირაკლი წერეთელი.[1] „ქართველ საზოგადოებაში, და კერძოდ ჩვენს პარტიაშიც, თავიდან შემცდარი წარმოდგენა იყო გავრცელებული ევროპის დამოკიდებულებაზე ჩვენს საკითხთან. ეგონათ, რომ

ევროპა ცხოველი ინტერესით მოეკიდებოდა საქართველოს ბედს და რომ მთავარი სახელმწიფოები — ინგლისი, საფრანგეთი არ დააყოვნებდნენ ჩვენს ცნობას... მაგრამ, როცა ომის გათავების შემდეგ (ლაპარაკია I მსოფლიო ომზე), საქართველოს დელეგაცია ევროპაში ჩამოვიდა, მას სულ სხვა განწყობილება დახვდა, არა თუ სერიოზული ყურადღების მოპყრობა, უბრალო დალაპარაკებაც კი რომელიმე დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთან მეტად გაძნელებული გამოდგა...

ყველას ახსოვს, რომ... (დროებითი ზავის) პირველ დღეებში საქართველოში მოვიდა ლონდონიდან ცნობა — ინგლისი სიმპათიურად უყურებს დამოუკიდებელ საქართველოს და მას მხარს დაუჭერსო.

დელეგაციამ, რასაკვირველია, გაიხსენა ეს დაპირება და მიმართა ინგლისის წარმომადგენლებს და შესძლო ამ საგანზე მოლაპარაკება ინგლისის ერთ-ერთ მოხელესთან მალუტთან, რომელიც აღმოსავლეთის საქმეების განყოფილებას განაგებდა. როდესაც მას დელეგაციამ ინგლისის დაპირება გაახსენა, მალუტმა განაცხადა, ეს იყო წინეთ, მაგრამ მას აქეთ ჩვენ საქართველოზე გული გაგვიცივდა კავკასიაში მყოფი ჩვენი ჯარის უფროსების მოხსენებების გამო. ეს ჯარის უფროსები იყვნენ დენიკინთან დაახლოებული ინგლისელი ღენერლები, რომლებიც დენიკინთან კავშირს თავზე გვასვევდნენ.

მალუტს ელაპარაკა ავალიშვილი... და ყოველი ღონე იხმარა, რომ ინგლისელები დაერწმუნებინა ჩვენი ცნობის საჭიროებაში. მალუტმა ივალა გადაეცა ნალაპარაკევი მინისტრისათვის. და აი, დელეგაციამ მას შემდეგ საგარეო მინისტრის ... ასეთი ოფიციალური პასუხი მიიღო: ინგლისს ომის შემდეგ იმდენი, სხვა უფრო მნიშვნელოვანი, საქმე აქვს მოსაწესრიგებელი, რომ საქართველომ პროტექტორატიც რომ ითხოვოს, ინგლისი ამაზე უარს განაცხადებსო.“[2]

ჩვენში იმ დროს პროტექტორატზე არავინ ფიქრობდა და არც ავალიშვილს მიუცია ეს წინადადება, მან მხოლოდ ცნობის საკითხში ითხოვა დახმარება.

„...ერთად ერთი ყურადღება, რომელიც ინგლისის მთავრობის წრეებმა ამ დროს ჩვენდამი გამოიჩინეს, იყო ის,

რომ ჩვენს დელეგაციას გამოუგზავნეს პროფესორი სიმონსონი, რომელიც რუსეთის საქმეების სპეციალისტად ითვლებოდა, და ის ინგლისის მთავრობის სახელით ერთ აზრს უქადაგებდა დელეგაციას: დაეხმარეთ დენიკინს, შეუთანხმდით მას. დაპირდით, რომ ფედერაციული ნაწილი იქნებით მისგან აღდგენილი რუსეთისა და მაშინ ინგლისიც დაგეხმარებათო.

მთელი თვეების განმავლობაში ცდილობდა ჩვენი დელეგაცია საქართველოს ცნობის საკითხი დაეყენებინა, მაგრამ ყოველი მისი ცდა, რომ მოლაპარაკების საშუალება ეშოვა ან ინგლისთან ან საფრანგეთთან, უნაყოფოდ რჩებოდა. ეს მდგომარეობა არ შეცვლილა ლორდ კერზონის ინგლისის საგარეო მინისტრად გახდომით და უორდროპის კავკასიაში კომისრად დანიშვნით. თუმცა კერზონის ინტერესი კავშირის საკითხისადმი და უორდროპის სიმპათია საქართველოსადმი ცნობილი იყო. პირიქით, სწორედ ამ დროს გააკეთა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისის პარლამენტში განცხადება, სადაც კავკასიის სახელმწიფოების ცნობაზე და მათთან ნორმალური კავშირის დაჭერაზე უარყოფით ლაპარაკობდა და დასძენდა — აქ ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არის, ვიდრე ბალტიის სახელმწიფოებშიო.

... და თითო ოროლა ინდივიდუალური ხმა, ამ წრეებში ნაპოვნი უმნიშვნელო დარჩებოდა, რომ საქართველოს საკითხზე ისეთი საზოგადოებრივი ძალა არ ალაპარაკებულიყო, როგორიც არის სოციალისტური ინტერნაციონალი.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტებსაც ათასი სხვა, უფრო დიდი და მათთვის საჭირბოროტო საკითხები თავს ეხვიათ, მათ გვერდი არ აუარეს ჩვენი, შორეული პატარა ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ისინი გაეცვნენ ჩვენს მდგომარეობას და დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ხალხის მისწრაფება შეთანხმებულია საერთაშორისო დემოკრატიის ძირითად მოთხოვნილებებთან. მათ თავის მორალურ მოვალეობად დაინახეს მხარი დაეჭირათ ქართველი ხალხისთვის, რომელიც უძნელეს პირობებში, სამოქალაქო ომის ქარცეცხლით გარშემორტყმული...

დემოკრატიული რესპუბლიკის აშენებას, დენიკინისა და საბჭოთა ჯარების მუქარისაგან მის გადარჩენას ცდილობდა...

როდესაც დენიკინი ანტანტას სახელმწიფოებიდან მიღებული იარაღით საქართველოს წინააღმდეგ მოიწევდა, ჩვენ მივმართეთ ინგლისელ და ფრანგ ამხანაგებს და მათმა გამოქომაგებამ საშუალება მოგვცა გაგვერღვია ის უყურადღებობის ზღუდე, რომლის გარღვევა ჩვენთვის ასე ძნელი აღმოჩნდა.

ჩვენი პირველი შეხვედრა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პიშონთან მოხდა ალბერ ტომას შუამდგომლობით და თანდასწრებით."[3]

ამასვე იუწყებოდა თბილისში სამთავრობო პრესა, როდესაც აქვეყნებდა საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებულ ოფიციალურ ცნობას პარიზის საზავო კონფერენციაზე მივლინებულ საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციისაგან: „საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარემ ნ. ს. ჩხეიძემ ინახულა პარიზის კონფერენციის წევრი, საფრანგეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი პიშონი და გააცნო მას იმ მოთხოვნილებათა შინაარსი, რომელსაც წარუდგენს საქართველოს დელეგაცია საზავო კონფერენციას.

ბ-ნმა პიშონმა განუცხადა ჩხეიძეს, რომ საქართველოს საკითხი სავსებით ცხადია და ის „არავითარ სიძნელეს არ ხედავს ამ საკითხის კეთილად გადაწყვეტადაგვირგვინებაში."[4] და როგორც ირაკლი წერეთელი იგონებს, ალბერ ტომამ მოუწყო ეს ოფიციალური მიღება ჩვენს დელეგაციას, იმ პატარა ერების დელეგაციებთან ერთად, რომელნიც მხარს უჭერდნენ ჩვენს პროტესტს დენიკინის საქართველოზე თავდასხმის წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკება კი ინგლისელი ამხანაგების დახმარებით მივიღეთ.[5] სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისის კავშირით გათამამებული დენიკინი საქართველოს ბლოკადას უცხადებდა, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხით კიდევ ერთმა დაინტერესებულმა უცხოელმა, დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტიის ლიდერმა, ყოფილმა მინისტრმა, გვარად ჰენდერ-

სონმა დემოკრატიული საქართველოს საზავო კონფერენციაზე მივლინებულ სამთავრობო დელეგაციას ინგლისის მთავრობის ერთი უგავლენიანესი წევრი — ბონარ-ლოუ გააცნო. ჰენდერსონის რეკომენდაცია სრულიად საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ბონარ-ლოუს დიდი ყურადღებით მოესმინა ქართველთა პროტესტი დენიკინის წინააღმდეგ და ბუნებრივია, პროტესტთან ერთად, მათი მოთხოვნილებებიც. ბონარ-ლოუმ აღუთქვა ქართველთა დელეგაციას, რომ უახლოეს ხანებში ამაე საგანზე ლოიდ ჯორჯთან მოაწყობდა საგანგებო მოლაპარაკებას. რამდენიმე დღის შემდეგ მოლაპარაკება მართლაც შედგა, მაგრამ არა ლოიდ ჯორჯთან, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრთან ლორდ კერზონთან, რომელიც ევროპის ბურჟუაზიულ დიპლომატიურ წრეებში გამოირჩეოდა, როგორც ყველაზე უფრო ღრმა მცოდნე აღმოსავლეთისა და კერძოდ, კავკასიის საქმეებისა.

როგორ მიუდგა საქართველოს საკითხს თავად ლორდი კერზონი?!

„კარგად მესმის, რომ შინაურ სახელმწიფოებრივ მოწყობას ქართველი ხალხი შესძლებსო... მაგრამ თქვენი დამოუკიდებლობის ცნობისათვის, რომელსაც ჩვენ თანაგრძნობით ვუყურებთ, ეს საკმარისი არ არის. თქვენი არსებობის საკითხი დამოკიდებულია თქვენს განწყობილებაზე მეზობლებთან — კავკასიის ხალხებთან და რუსეთთან...“ ის თვლიდა, რომ საქართველოს არსებობა არ შეეძლო, თუ ის რუსეთს არ შეუთანხმდებოდა და მისგან ცნობას არ მიიღებდა... გვირჩევდა, კერძოდ, საქართველოში მოსახლე რუსებთან საუკეთესო დამოკიდებულების დაჭერას... რუსეთთან მტრული დამოკიდებულება თუ გექნათ, — ამბობდა ის, — ინგლისი არა თუ თქვენს დახმარებას ვერ იკისრებს, არამედ ცნობასაც ვერ მოგცემთო, ვინაიდან ჩვენთვის კომპრომეტაცია იქნება ისეთ პირობებში ცნობა ახალ სახელმწიფოსი, თუ მას მომავლის პირი არ ექნებაო. ამით ასაბუთებდა ის მისი სამინისტროსგან პარლამენტში გამოთქმულ სკეპტიკურ შეხედულებას ჩვენს შესახებ. ამით ხსნიდა თავის ყოყმანს ჩვენი ცნობის საკითხში... ამ მოლაპარაკების დროს კერზონმა აღგვითქვა საქართველოს მის-

წრაფებების ანგარიშის გაწევა. სულ რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ბოლშევიკებმა დენიკინი დაამარცხეს და საქართველოს უახლოვდებოდნენ, კერზონმა აიღო ინიციატივა უმაღლეს საბჭოში საქართველოს ფაქტიური ცნობისა და ის კიდევაც მიღებული იქნა... და თან ცხადად გვაგრძნობინა — რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ვერც ჯარების დატოვებას კავკასიაში, ვერც თქვენს ხელის შეწყობას იარაღის და სურსათის მხრით... აქ ასეთივე სიცხადით ... გამოსჭვიოდა კერზონის ძირითადი რწმენა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ: რომ მისი არსებობის პირველი პირობა არის შეგნება, რომ ევროპა მას დარაჯად არ დაუდგება, შეგნება იმისი, მომავლისთვის მეზობლებთან, კერძოდ, რუსეთთან შეთანხმებას და კეთილგანწყობილებას აქვს გადაშწყვეტი მნიშვნელობა... კერზონი თავისი მსოფლმხედველობით ძალიან შორს იდგა სოციალიზმისაგან და ხალხთა ძმობის თეორიის ქადაგებისგან, მით უფრო საგულისხმოა, რომ რეალისტური პოლიტიკის მოსაზრებით ის გვირჩევდა მთელი ჩვენი პოლიტიკის დამყარებას რუსეთთან და კავკასიის ხალხებთან შეთანხმებაზე, ურომლისოდაც მას საქართველოს დამოუკიდებლობა არ სწამდა.

ევროპის პოლიტიკური ძარღვების საუკეთესო მცოდნე, ის გვაფრთხილებდა, გადაჭარბებული იმედებისგან ევროპის დახმარებაზე, რადგან იცოდა, რამდენად გულგრილად უყურებდა შორეული კავკასიის ხალხების ბედს მთელი ევროპის და, კერძოდ, ინგლისის ბურჟუაზია; რამდენად სწორი იყო ეს გაფრთხილება, მალე ეს ინგლისის მთავრობის ნაბიჯებმა დაგვანახა — ბოლშევიკებთან კომერციული შეთანხმების დადების დროს 1920 წელს. ლოიდ ჯორჯის მთავრობამ მათ ადვილად დაუთმო კავკასიის საკითხში და ინგლისის „დაუინტერესებლობა" გამოაცხადა, რაც ნიშნავდა ბოლშევიკებისათვის ხელის გახსნას ჩვენს დასაპყრობად."[6]

ასე იყო თუ ისე, საქართველოს ვინმე ურჩევდა თუ გააფრთხილებდა, მისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობა კარნახობდა მას, სავსებით სწორადაც, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას — საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლებრივი გზით და სწორედ ეს

საკითხი იძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო აღიარებისათვის.

და 1920 წლის 7 მაისს გაფორმდა ცნობილი ხელშეკრულება დამოუკიდებელ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ამით ბოლშევიკურმა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო და დე იურე და ხელშეკრულების განსაკუთრებული მუხლებით უარი თქვა რუსეთის ყველა უფლებაზე საქართველოს მიმართ იმ პოლიტიკური პირობის ხაზგასმითაც, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებში. ამას, ბუნებრივია, მოჰყვა დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება და ელჩების გაცვლა ორ ქვეყანას შორის. იმავე წლის 14 ნოემბერს კი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის ხელი მოეწერა კიდევ ერთ ხელშეკრულებას — „სატრანზიტო და სავაჭრო ურთიერთობების“ შესახებ.

ეს ურთიერთობები ევროპის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. სწორედ ამ ვითარების გამო, 1920 წლის დეკემბერს, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს — გიორგი ჩიჩერინს საგანგებო ოფიციალური წერილით მიმართავს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — ლორდი კერზონი. რაზეც მას ჩიჩერინი ტელეგრამით შემდეგი შინაარსის პასუხს ატყობინებს: „რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ანტანტას ეს არ გაუკეთებია.* რუსეთის მთელი პოლიტიკა ხორციელდება პატარა ერების თვითგამორკვევის სასარგებლოდ და არავითარი საკითხი არ დასმულა საქართველოს მიმართ, გარდა ბათუმისა, რომლის ძალით დაპყრობა არ უნდა მოხდეს. საბჭოთა რუსეთს არ დაუწყია და არც დაიწყებს სამხედრო მოქმედებას საქართველოს წინააღმდეგ ბათუმის ოკუპაციის ან სხვა მხრივ.“[7]

ასეთი იყო ბოლშევიკური რუსეთის საერთაშორისო დაპირება საქართველოს მიმართ 1920 წლის 3 დეკემბერს. ანუ შეიარაღებული აგრესიის დაწყებამდე თითქმის ორიოდე თვით ადრე.

* ჩიჩერინი წერს ვერსალის საბჭოს ქვეყნების მხრივ ამ დროისათვის მხოლოდ ფაქტობრივ აღიარებაზე. (ნ.ჯ.)

ამბობენ, ისტორიას ბოროტი ან დაუნდობელი მეხსიერება აქვსო. მაშინ(აც) ამ მეხსიერების სიღრმეებიდან ამოტივტივდა 1783 წლის ტრაქტატი მისი უფლებრივი ხასიათით, ანუ რუსეთსა და საქართველოს შორის 137 წლის წინათ დადებული ხელშეკრულება — არა მარტო პროტექტორატის, არამედ მეგობრობისა და კავშირის შესახებაც, შედეგით — ანექსირებული საქართველო.

ახლა „მეგობრულ ხელშეკრულებას კავშირისა და მფარველობის შესახებ“ ცელის ახალი, რომლის ორმხრივად შეთანხმებულ და ხელმოწერილ პირველ მუხლში სიტყვასიტყვით წერია: „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებული იმ უფლებიდან გამომდინარე, რომ ყველა ხალხებს გააჩნიათ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება იმ სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდეც კი, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან, — რუსეთი უსიტყვოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნია რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ.“

ხელშეკრულების მეორე მუხლი კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვრავს რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსადმი. კერძოდ: „ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი იღებს ვალდებულებას, — უარი თქვას საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.“[8]

ასე და ამგვარად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა დე-ფაქტო და დე-იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ახალი შინაარსი შესძინა დემოკრატიული საქართველოსა და საბჭოთა სოციალისტური რუსეთის რესპუბლიკების ურთიერთობას, მაგრამ უკანასკნელმა ხელშეკრულებამაც წინამორბედის ბედი გაიზიარა და დასრულდა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული სამხედრო აგრესიით, ოკუპაციით და ფაქტობრივი ანექსიით.

მანამდე კი, დემოკრატიული საქართველო კიდევ ერთ დიდ და მორიგ აღიარებას ისევ მიიღებს ევროპიდან, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. დავუბრუნდეთ ისევ მთავარ სათქმელს, ანუ საქართველოს ფაქტობრივი აღიარების ისტორიულ ფაქტს.

და ვიდრე თხრობას გავაგრძელებთ, ახლა იმ ქვეყნების ჩამონათვალს ვთავაზობ მკითხველს, საერთაშორისო დე ფაქტო რომ აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

მაშ:	თურქეთი	1918 წლის 3 ივნისი
	არგენტინა	1919 წლის 15 სექტემბერი
	იტალია	1920 წლის 12 იანვარი
	საფრანგეთი	1920 წლის 12 იანვარი
	დიდი ბრიტანეთი	1920 წლის 12 იანვარი
	იაპონია	1920 წლის 7 თებერვალი
	ბელგია	1920 წლის 26 აგვისტო
	საბჭოთა რუსეთი	1920 წლის 7 მაისი
	გერმანია	1918 წლის 10 ივნისი
	ავსტრია	1918 წლის 18 ივნისი
	ჩეხოსლოვაკია	1920 წლის 8 აპრილი
	პოლონეთი	1921 წლის 28 იანვარი[9]

და ვიდრე ზემოხსენებულთან დაკავშირებით, ზოგიერთ დოკუმენტურ მასალასაც გავეცნობით, დავიწყოთ იმ ფაქტით, რომ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე ფაქტო დასტური მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, თურქეთი გახლდათ და ეს ზუსტად 1918 წლის 3 ივნისს მოხდა, ანუ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში. თურქეთი სწორედ ის ქვეყანაა, რომელმაც ურიდიულადაც ერთ-ერთმა პირველმა აღიარა დამოუკიდებელი საქართველო.

შემდგომი გერმანია იყო – 1918 წლის 10 ივნისი – დე ფაქტო; 1920 წლის 24 სექტემბერი – დე იურე.

შემდგომი-მეთქი ვამბობ და ამ სიტყვას მხოლოდ ქრონოლოგიის დაცვის აუცილებლობით თუ გამოიყენებს ისტორიკოსი, თორემ გერმანია ის ერთადერთი ქვეყანა იყო,

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის მომწიფებას 1914 წლიდან რომ შეუერთდა სამშობლოდან გადახვეწილ ქართველ პატრიოტთა „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ჯგუფთან ერთად. ანუ მაშინ, როდესაც თვით საქართველოში ყველაზე ეროვნული პოლიტიკური ძალებიც კი (ცხადია, მკაცრი რეალობის გათვალისწინებით), ყველაზე მისაღებ ფორმად ავტონომიას რომ აღიარებდნენ რუსეთის ფარგლებში.

მაგრამ ეს სხვა თემაა. ამჯერად კი მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას და გთავაზობთ უკვე დაპირებულ რამდენიმე დოკუმენტს ზემოხსენებულთან დაკავშირებით. კერძოდ:

არგენტინის რესპუბლიკის დელეგაცია
№1668
1919 წლის 22 სექტემბერი.

ბატონო დიპლომატიურო წარმომადგენელო,

ვეყრდნობით რა 1918 წლის 25 ოქტომბრის № 276 ნოტას, რომლითაც მისმა აღმატებულებამ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ა. ჩხენკელმა მიმართა ამ დელეგაციას, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ არგენტინის მთავრობამ 15 სექტემბრის დეკრეტით ცნო საქართველოს ახალი სახელმწიფო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი. გთხოვთ რა ტელეგრაფით მიღებული ეს ცნობა შეატყობინოთ თქვენს მთავრობას, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ჩემი უმდაბლესი პატივისცემა.

(ხელისმოწერა)

საქართველოს რესპუბლიკის ბატონ
დიპლომატიურ წარმომადგენელს. ბერლინი.[10]

საზავო კონფერენცია. გენერალური სამდივნო.
კე დ'ორსე
პარიზი, 1920 წლის 7 თებერვალი

საზავო კონფერენციის გენერალურ სამდივნოს აქვს პატივი აცნობოს საქართველოს დელეგაციის ბატონ თავმჯდომარეს, რომ იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა, რომ ის უერთდება გადაწყვეტილებას, რომლითაც ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებმა ცნეს საქართველოს მთავრობა დე ფაქტო.

საქართველოს დელეგაციის
ბატონ თავმჯდომარეს.[11]

მეტად სასწრაფო
№13
(თარგმანი)
თბილისი, 1920 წლის 12 იანვარი.

თქვენო აღმატებულებავ,

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ლორდმა კერზონმა დამავალა გაცნობოთ, რომ მან გუშინ აიღო თავისთავზე ინიციატივა, რომ მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს და შესთავაზოს ცნონ დე ფაქტო საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობები.

ეს წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობების თანხმობით.

ზედმეტია ითქვას, თუ რა დიდი კმაყოფილებით ვუერთდები ამას, რომელიც უპირატესობას აძლევს საქართველოს მთავრობას.

რაც შეეხება ჩვენს მეგობრებს სომხებს, მათი ცნობის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული თურქეთთან მომავალ საზავო ხელშეკრულებასთან.

(ხელისმოწერა): *ვუორდროპი*

მის აღმატებულებას ბატონ ე. გეგეჭკორს,
საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.[12]

თბილისი, 1920 წლის 18 იანვარი.

ბატონო მინისტრო,

მაქვს პატივი გადმოგცეთ ქვემოთ დართული ასლი ტელეგრამისა, რომელიც ამ დილით მივიღე ჩემი მთავრობისაგან.

ამ შემთხვევის გამო, გთხოვთ, კეთილინებოთ მიიღოთ ჩემი თბილი მოლოცვა.

მიიღეთ, ბატონო მინისტრო, მტკიცე რწმენა თქვენდამი ჩემი ღრმა პატივისცემისა.

(ხელისმოწერა): *ე. დე ნონანკური*
ამიერკავკასიაში საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი

ბატონ ე. პ. გეგეჭკორს
საგარეო საქმეთა მინისტრს.

დეპეშა, მიღებულია პარიზიდან,
1920 წლის 18 იანვარი

მოკავშირე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ ათ იანვარს გადაწყვიტა სცნოს საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობები დე ფაქტო.[13]

თბილისი, 1918 წლის 19 იანვარი

თქვენო აღმატებულებავ,

მივიღე იტალიის სამეფო მთავრობისაგან რადიოტელეგრამა, რომელშიც მატყობინებენ, რომ უმაღლესი საბჭოს სხდომამ მიმდინარე თვის 11-ში გადაწყვიტა, რომ მოკავშირეთა მთავარი სახელმწიფოები და

მათთან ასოცირებულნი, კოლექტიურად სცნობენ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს დე ფაქტო.

მე დიდად ბედნიერი ვარ, გადმოგცემთ რა უმაღლესი საბჭოს ამ გადაწყვეტილებას მისი მიღებისთანავე, რომ მაქვს საშუალება განვაახლო თქვენს მიმართ ჩემი გულითადი მილოცვის გამოხატვა და ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს რესპუბლიკის მომავლისადმი.

მიიღეთ თქვენო აღმატებულებავ, მტკიცე რწმენა თქვენდამი ჩემი მაღალი პატივისცემისა.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი,
ამიერკავკასიაში იტალიის სამხედრო მისიის უფროსი.

(ხელისმოწერა): *გაბა*

მის აღმატებულებას ბატონ. ე. გეგეჭკორს
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.[14]

სამხრეთ რუსეთის არმიების გენერალისიმუსის მთავარი წარმომადგენელი ამიერკავკასიაში მოკავშირეთა საერთო სარდლობასთან.

თბილისი, 1920 წლის 11 თებერვალი
№8

ბატონო ევგენი პეტრეს ძევ,

მე ბედნიერი ვარ თქვენ გაცნობოთ ამით, რომ სამხრეთ რუსეთის ჯარების გენერალისიმუსმა, გენერალმა დენიკინმა სცნო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობების ფაქტიურად არსებობა.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით განვაახლო თქვენდამი, ბატონო, ჩემი საუკეთესო პატივისცემისა და ერთგული გრძნობების მტკიცე რწმენა.

(ხელისმოწერა): *პოლკოვნიკი დიენი*

ბატონ ე. პ. გეგეჭკორს,
საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს[15]

საგარეო საქმეთა მინისტრი
სამმართველო
№ 9328
ბრიუსელი, 1920 წლის 26 აგვისტო

ბატონო თავმჯდომარევ,

მიმდინარე თვის 22 ივლისის თქვენი წერილით № 2554, თქვენ კეთილი ინებეთ ჩემთვის გეცნობებინათ, რომ საქართველოს დელეგაცია სთხოვს ბელგიის მთავრობას, სცნოს დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჩემთვის ცნობილი არაა, რომ ვერსალის ხელშეკრულების ხელმომწერმა რომელიმე დიდმა სახელმწიფომ, დღემდე ოფიციალურად ურთიერთობა დაამყარა საქართველოს მთავრობასთან.

მაგრამ მეფის მთავრობა იქნება დიდად ბედნიერი, დაამყაროს ფაქტიური ურთიერთობა საქართველოს მთავრობასთან ან მის დელეგაციასთან, რათა უზრუნველჰყონ ბელგიისა და საქართველოს ურთიერთ ინტერესების დაცვა და განავითარონ ეკონომიკური ურთიერთობები ორივე ქვეყანას შორის.

ბელგიის მთავრობა სწავლობს ფორმებს, რომლითაც შეძლებს მისი წარმომადგენლობა საქართველოში, ბელგიის ეკონომიკური ინტერესებისათვის მოქმედებას.

მიიღეთ, ბატონო თავმჯდომარევ, ჩემი უღრმესი პატივისცემის მტკიცე რწმენა.

(ხელისმოწერა):

ბატონ ნ. ჩხეიძეს,
საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარეს
პარიზი.[16]

ყოველგვარი მრავალსიტყვაობის გარეშე, აღნიშნული ფაქტი ისტორიული და ეპოქალური მნიშვნელობისა იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. იმდროინდელი ქართული პრესა თავის განწყობილებებს ყოველდღიურად გადმოსცემდა და უნახავდა მატიანეს. ცხადია, ყოველივე ეს ფრიად ღირებული და საინტერესოა, მაგრამ იმდენად უხვი და ტევადი, რომ შორს წაგვიყვანდა ამაზე თხრობა, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთა იმჟამინდელი განწყობილებანი და შეფასებანი, უდავოდ, ასაღწერი და გადმოსაცემია. საამისოდ კი დიდ სამსახურს გაგვიწევს ერთი ისტორიული დოკუმენტი, კერძოდ: საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის სტენოგრაფიული ანგარიში.

მაშ, 1920 წლის 14 იანვარი. ამ დღეს თბილისში გაიხსნა დამფუძნებელი კრების საგანგებო საზეიმო სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე.

საკითხის განსაკუთრებულობის გამო სხდომის ზოგიერთ დეტალსაც მივაქცევ ყურადღებას. მაგალითად იმას, რომ სხდომა იწყება ნაშუადღევის 1 საათსა და 30 წუთზე, რომ დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული და ასე შემდგომ.

დამფუძნებელი კრების ამ სხდომაზე მთავრობა მთელი შემადგენლობით მოვიდა. აქვე იყვნენ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლები: დიდი ბრიტანეთის, ამერიკის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, პოლონეთის, ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მთიულეთისა და სხვა. განსაკუთრებული ადგილი დაუთმეს ბატონ ოლივერ უორდროპს და თითქოს დამფუძნებელი სხდომის ამ საგანგებო საზეიმო სხდომას ქუჩიდან ფონად ედებოდა ეროვნული სიმღერების და მანიფესტაციის ხმაური.

პირველი სიტყვა აიღო მთავრობის თავმჯდომარემ.

ნოე ჟორდანია (მთავრობის თავმჯდომარე).[17]

„მოქალაქენო! ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ თქვენ, მოულოცო საქართველოს ხალხს საერთაშორისო ოჯახში გაშლილი დროშით შესვლა და იქ ევროპის ხალხთა

გვერდით საკუთარი ადგილის დაჭერა; ამიერიდან ქართველი ერი მიღებულია დიდი ერების მიერ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროდ, უშუამავლოდ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალღონეს... საქართველო დღეს აღადგინა დემოკრატიის თანხმობამ... ასეთია, ბატონებო, ახალი საქართველო. და ის წარსდგა ევროპის წინაშე მსჯავრის მისაღებად. წარვსდექით არა მოწყალებისათვის, არამედ უფლებისათვის (ხანგრძლივი ტაში). და მათ გვკითხეს – რა მოგაქვთ? ჩვენ ვუპასუხეთ: მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა, ბუნებით მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა. მოგვაქვს უაღრესი დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული შემოქმედება და მოვითხოვთ შესაფერ ადგილს აზიის გზის ყურეში. ჩვენ არ ვართ სამანდატო, საოპეკუნო ხალხი, ჩვენ ვართ ჩვენი თავის მანდატორი, ჩვენი ოპეკუნი, თავისი თავის ბატონი (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები). და ეს ჩვენ დავასაბუთეთ არა სიტყვით, არა კეთილი სურვილებით, არამედ საქმით, სახელმწიფოს შეუწყვეტელი შენებით.

და ეს ჩვენი სიტყვა და საქმე, პირველ ყოვლისა, იწამა ევროპის მუშათა დემოკრატიამ და ლიუცერნში გამოგვაცხადა დამოუკიდებელ საქართველოთ (ტაში). და ეხლა, რამოდენიმე თვის შემდეგ, ეს იწამა მმართველმა კლასებმაც და ის დაადასტურა პარიზის კონფერენციამ. შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ევროპის ხალხთა შორის არ მომხდარა ისეთი შეთანხმება, როგორიც მოხდა საქართველოს შესახებ.

იქ, ლიუცერნში, თავი მოიყარა მუშებმა, აქ, პარიზში, თავი მოიყარა სახელმწიფოებმა. ჩვენს შესახებ ერთი ენით ალაპარაკდა ყველა კლასი, ყველა პარტია, ერები.

აქ არის დიდი ბრიტანია – სამშობლო კულტურისა, დიდი წარმოების და თავისუფალი მმართველობისა.

აქ არის საფრანგეთი – სამშობლო დიდი რევოლუციისა და პირველი მოციქული ადამიანის უფლებებისა.

აქ არის შეერთებული შტატები – სამშობლო დიადი დემოკრატიისა და პოლიტიკური შემოქმედებისა.

აქ არის მშვენიერი იტალია — ეს ცოცხალი ხიდი ძველი და ახალი ცივილიზაციისა, ისეთი ცხელი მზით და მკვირცხლი ხალხით, როგორც ჩვენი მზე და ჩვენი ხალხია. აი ამათ ჩვენი გაწვდილი ხელი მეგობრულად ჩამოგვართვეს და ახლად შობილი სახელმწიფოს მიმრქმელის როლი იტვირთეს.

ბატონებო! გვაქვს საფუძველი სიამაყისა! მოხდა იშვიათი ამბავი, მთელმა ევროპამ, განურჩევლად პარტიისა და კლასისა, ერთხმად გვითხრა: კეთილი იყოს შენი დაბადება, კეთილი იყოს შენი მობრძანება. და ჩვენ გვმართებს ეს ერთსულოვანი კურთხევა გავამართლოთ საქმით — გავხდეთ ნამდვილი ევროპიელი...

ჩვენს ირგვლივ ხდება და მოხდება დიადი ამბები; ჩვენ გვმართებს დიდი სიმაგრე, დიდი დაფიქრება, რომ ერთხელ არჩეული გზიდან არ გადაგვაცდინონ. თქვენ იცით, რომ ჩვენ საომარი კავშირი შემოგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა — ჩვენ გადაჭრით უარი ვუთხარით...

რას ნიშნავს ეს კავშირი? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კავშირი გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი გაწყვეტილი და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ, სადაც ისინი ახალ მოკავშირეებს ეძებენ.

დასავლეთი თუ აღმოსავლეთი — აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს. და თუ ბოლშევიკები აღმოსავლეთს ებღაუჭებიან, ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა კავშირზე და ცნობაზე.

როგორც ხედავთ, საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარნენ: ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი აზიისაკენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან — იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვსთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს (ხანგრძლივი ტაში)...

ჩვენ, ბატონებო, გვეზიდებიან ბარბაროსობისაკენ. არა, ჩვენ იქით ვერ წავალთ, თუნდაც ეს მეტათ მარცხნით იყოს წასასვლელი. პირიქით, ჩვენ უნდა შევსძახოთ საბჭოთა რუსეთს — დაბრუნდით უკან, ევროპისაკენ, შეითვისეთ დემოკრატია, გახდით ევროპიელი ერი...

საუკუნეობრივი მისწრაფებანი ქართველი ერისა, ევროპაში გზა გაეკაფა, გაედო ხიდი ურყეველი, ეს დღეს შესრულებული არის...

თქვენის ნებართვით, მე სალამს ვუძღვნი მოკავშირეთა უზენაეს ორგანოს და დიდ ბრიტანეთს და მის ხალხს, რომლის ინიციატივით აღძრულია ეს საკითხი და რომლის მხურვალე დახმარებით საქართველოს ერს ეღირსა დღევანდელი დღე (მხურვალე ტაში).

დეპუტატები ფეხზე დგებიან და ოვაციებს უმართავენ ინგლისის წარმომადგენელს ბ. უორდროპს.

ჩვენი სალამი ამერიკის ხალხს, ამერიკის დემოკრატიას, ამერიკის სახელმწიფოს, რომლის დახმარება, თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო და რომელიც ამ საკითხში ერთად იყო დიდ ბრიტანეთთან (ტაში და ოვაციები).

სალამი, მოქალაქენო, საფრანგეთს და მის ხალხს (ტაში და ოვაციები), სალამი და გამარჯვება თავის მისწრაფებაში იტალიის თავისუფალ ხალხს (ტაში და ოვაციები). სალამი საბერძნეთის ხალხს და მის დემოკრატიას (ტაში და ოვაციები).

სალამი იაპონიას, ამ ევროპის ცივილიზაციის თავდადებულ გამტარებელს აზიის ქვეყნებში (ტაში და ოვაციები).

სალამი ყველა იმ სახელმწიფოს, რომელთა გადაჭრილი ხმა ჯერ არ მოგვსვლია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ არ დაყოვნდება მათი დასტური საქართველოს დამოუკიდებლობაზე (მხურვალე ტაში).

მხურვალე სალამი და მილოცვა აზერბეიჯანის დემოკრატიას (ტაში და ოვაციები).

ჩვენი გულითადი სალამი სომხეთის მრავალტანჯულ ხალხს (ტაში და ოვაციები). ჩვენ აღსავსენი ვართ იმედებით, რომ სომხეთის რესპუბლიკა დღეს თუ არა ხვალ გადაიქცევა ბუდეთ იმ ზეიმისა და სიხარულისა, რომელსაც განიცდის დღეს საქართველოს ერი (ტაში).

ჩვენი სალამი და გამარჯვება მთიელთა ხალხს, რომელიც დღეს თავისუფლებისათვის სისხლს ღვრის (მხურვალე ტაში და ოვაციები).

გაუმარჯოს, მოქალაქენო, თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს ევროპის თავისუფალ ხალხთა თავისუფალ ოჯახს!

გაუმარჯოს ჩვენს დღესასწაულს!

გაუმარჯოს 12 იანვარს (მხურვალე ტაში და ოვაციები)![18]

ცხადია, დამფუძნებელი კრების ამ სხდომაზე, წესისამებრ, ყველა ფრაქციის წარმომადგენელი გამოვიდა. ამჯერად, მხოლოდ ზოგიერთი მათგანის გამოსვლას მივაპყროთ ყურადღება. ცხადია (შემოკლებული ვარიანტით), ესეც ისტორიისათვის და იმისთვისაც ალბათ, ტრადიციულ შეკითხვაზე პასუხი (დღემდე რომ გრძელდება), როგორია საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციაო, ისტორიის სამანებიდან რომ არ დავიწყოთ კვლევა, ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედშიც ხაზგასმით და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ითქვა და არა მხოლოდ ქართველთა გასაგონად. მაშ, გავყვეთ დამფუძნებელი კრების ამ საგანგებო საზეიმო სხდომის მსვლელობას და სხდომის თავმჯდომარის დასტურით, ამჯერად აკაკი ჩხენკელს მოვუსმინოთ.

აკაკი ჩხენკელი (ს.-დ.)[19] – თავისუფალი საქართველოს თავისუფალნო მოქალაქენო! ვდგევარ რა ამ თავისუფალ ტრიბუნაზე და ბედნიერი იმით, რომ შემთხვევა მეძლევა პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს, დამოუკიდებელი ქართველი ერის ნების ყოფის გამომხატველის, დამფუძნებელი კრების წინაშე სიტყვა წარმოვსთქვა, — მე, ს.-დ. ფრაქციის სახელით, უერთდები იმ სალამს, რომელიც იყო წარმოთქმული თქვენ მიერ, როგორც მოკავშირეთა, ისე მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოთა მიმართ.

მაგრამ სალამი, ჩვენი თაყვანის ცემა, დიდება ეკუთვნის ყველაზე წინ თვით ქართველ ერს, საქართველოს ხალხს, რომელმაც თავის სასიქადულო საქმიანობით, გმირობით, ოქროს ასოებით აღბეჭდა დღევანდელი ფურცელი მისი ისტორიისა. ჩვენ, ბატონებო, ვამაყობთ ჩვენი ერით, მისი დემოკრატიით, მისი მშრომელი მასით, რომელმაც თავის მაჯით, თავის გონებით გამოჭედა ის, რა-

საც დღეს ვდღესასწაულობთ – საქართველოს სახელმწიფო, მისი უზენაესობა, მისი მომავალი!

... რა თქმა უნდა, ჩვენ ვარჩევთ, რა არის ფაქტიური და რა არის ფორმალური ცნობა... მაგრამ როდესაც ამას ვამბობთ, არ უნდა იფიქროთ, თითქოს მე არ ვაფასებდე ფაქტიურ ცნობას... მე ვფიქრობ, დამფუძნებელი კრება, ქართველი ერი, საქართველოს ხალხი შეასრულებს თავის მოვალეობას საერთაშორისო ოჯახში, სადაც მან უკვე შესდგა ფეხი. მოგეხსენებათ, ასეთ შემთხვევაში საჭიროა მთავრობამ ღირსეულად შეასრულოს საერთაშორისო უფლების მიხედვით ის კანონი, ის ადათი, რომელიც არსებობს საერთაშორისო ცხოვრებაში. ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ დღეს ახალი მომენტი დგება, დღეს შეიძლება ჩვენ შევიქნეთ ბედნიერი და შევიდეთ არა ჩვეულებრივ საერთაშორისო ოჯახში, არამედ ხალხთა ლიგაში, რომელიც უკვე მიღებულია, რომლის იდეა დიდი ხანია ჰქონდა კაცობრიობას თავის იდეალად გამოსახული, რომელსაც ეტრფოდა საერთაშორისო დემოკრატია... ამ იდეამ ხორცი და სისხლი შეისხა ატლანტის იქითა მხარეს. ეს იდეა პრაქტიკულად დასვა ამერიკამ. დღეს კი ეს განზრახვა, როგორც კანონი, სისრულეში მოდის. სამაგალითო მომენტი იყო, სამაგალითო შემთხვევა იყო, როცა ჩვენ გავიგეთ ერთსა და იმავე დროს ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა და საერთაშორისო ზავის ძალაში შესვლა... მე ვამბობ, რომ ზავი ძალაში შევიდა, არის კი ეს ზავი ჩვენთვის? მთელმა ევროპამ სთქვა, რომ ომი გათავდაო, ხელშეკრულება გაკეთდა, ზავი დამყარდა და ძალაში შევიდა. ჩვენ ეტყობილობთ, გუშინ წავიკითხე ორი ნოტა, ერთი ეკუთვნის საბჭოთა მთავრობის კომისარ ჩიჩერინს, მეორე კი ჩვენს გარეშე საქმეთა მინისტრს. როცა წავიკითხავთ ამ ნოტებს, ეჭვი გვებადება: დადგა თუ არა ჩვენთვის ეს ზავი? ავიცილეთ თუ არა თავიდან ის საშინელება, რომელმაც ბოლო მოუღო მთელი ევროპის კულტურას, რომელმაც გადაგვჩეხა ღრმა ორმოში? დადგა თუ არა ჩვენთვის ეს ზავი? მე არ შევუდგები იმის გარჩევას, თუ რა ითქვა და რა ეპასუხა. მაგრამ, როცა ჩვენი საგარეო მინისტრი ამბობს, რომ ჩვენ არ ვერჩით არავის, მაგრამ არც ნებას მივსცემთ

ჩვენს ტერიტორიაზე შემოსელისას, როცა ის ამბობს, რომ ჩვენ მეგობრობა და კეთილგანწყობილება გვინდა ყველასთანო და არაუითარი ომიც არ გვქონია საბჭოთა მთავრობასთანო, ჩვენ წარმომადგენელიც კი გვყავდა იქო, რასაკვირველია, ის ამბობს სრულ ჭეშმარიტებას და ემყარება ჩვენს ისტორიულ დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთ მთავარ მუხლს, სადაც არის ლაპარაკი ჩვენს ნეიტრალობაზე.

ბოლშევიზმი იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს, უახლოვდება აზიას და შორდება ევროპის მაღალ კულტურას... მაშასადამე, ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხი გვესმის ასე, ამგვარად, რომ ამ საკითხის შესახებ რყევა, ლაპარაკი, კამათი შეუძლებელია. არის პარტიები, არის სოციალური ბრძოლა, ხშირად დიდად სასტიკი, დიდად მწვავე, მაგრამ ყოველ ერს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას უკვე აქვს სახელმწიფო, ის წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზმს, მაშინ არის ერთი რამ, რომლის შესახებ დავა არ შეიძლება: ეს არის სახელმწიფოს არსებობა, ერის არსებობა. იქ არ არის მარცხენა, მარჯვენა, ცენტრი. ის ერთია, გამომხატველი ერის სულისკვეთებისა, მისი აღორძინებისა, გამომჭედი მისი მომავლისა...

ამიერკავკასიაში და საქართველოში ისკვნება ერთგვარი კვანძი ევროპასა და აზიას შორის. თქვენ იცით, რომ საქართველო გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ყოველმხრივად არის ყელი ამიერ-კავკასიაში... ევროპა მიხვდა ამიერ-კავკასიის მნიშვნელობას. ევროპას ესმის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მნიშვნელობა. ამიერ-კავკასია უნდა დარჩეს დამოუკიდებლად, თუ მომავალში მშვიდობიანობა უნდა სუფევდეს აზიას და ევროპის გზით. რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ეს როლი ამიერ-კავკასიაში საქართველოსი ესმის დიდ ბრიტანეთს და მის ხალხს და, რა თქმა უნდა, ამაზე, როგორც ამ სხდომაზე, ისე შემდეგშიაც გვექნება ლაპარაკი. მე ახლა მსურს მხოლოდ ის წერტილები, საიდანაც უნდა გამოვიდეთ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს. ჩვენ და დიდ ბრიტანეთს შორის ასეთი დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის საკითხი

დაუკავშირდა საერთაშორისო საკითხს, დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს და ამიერ-კავკასიის საკითხი საერთაშორისო საკითხად იქცა...[20]

სხდომის თავმჯდომარის დასტურით სიტყვა აიღო გიორგი გვაზავამ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ[21] (ნაც.-დემ.). ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ამ დღეს — ბედნიერნი ვართ საზოგადოდ ყველანი ჩვენ, რომ ამ დიად დღეს მოვესწარით. ეს არის განხორციელება მრავალ მოდგმათა ოცნებისა. მრავალი მოდგმა ჩვენი წინაპრებისა ოცნებობდნენ, ტიროდნენ ამაზედ ჩუმად, მაგრამ ვერ მიაღწიეს, ვერ მოესწრნენ ამ დღეს და ბოლოს სამარეში თან წაიღეს თავის გულის ტკივილები.

დადგა საზეიმო დღე! ეს დღე და მისი მნიშვნელობა რომ უფრო მკაფიოდ გავიგოთ, აუცილებლად საჭიროა გადავავლოთ თვალი საქართველოს ისტორიას, მოკლედ უნდა წარმოვიდგინოთ მისი ისტორიული ცხოვრება და მისი შარა-გზა, მაშინ დავინახავთ იმ დიად გარდატეხის უაღრეს მნიშვნელობას, რომელიც მოხდა და რომელიც ასე ძლიერად მოქმედებს ჩვენზე...

ბატონებო! საქართველო, როგორც ერი, დიდი ხანია, რაც დაიბადა. ორი ათას წლის განმავლობაში სცხოვრობდა, როგორც ეროვნული ორგანიზმი. ბ. მთავრობის თავმჯდომარემ მშვენივრად წარმოსთქვა: „ჩვენ მოგვაქვს 2 ათასი წლის ეროვნული კულტურა"-ო. ეს კულტურა დაიბადა სხვა პირობებში. მაშინ საქართველოს ისტორიული გზა დაკავშირებული იყო იმ ცენტრთან, სადაც ენთო ცივილიზაცია და კულტურა — ეს იყო ათენა, რომი და ბიზანტია. ამ ხნის განმავლობაში იბადებოდა და იჭედებოდა ქართველი ერის სული. მეთოთხმეტე საუკუნეში ეს გზა, საუბედუროდ, გადაგვიჭრეს — ბიზანტია დაეცა და საქართველო მოემწყვდა ერთი მცირე აზიის კუნჭულში. მხოლოდ აქედან იწყება მისი დამარცხება. იგი მაინც იბრძოდა. მან თავის მკლავით, გონებრივი გამჭრიახობით გამოთალა სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, მაგრამ დადგა ისეთი ჟამი, როდესაც სრულიად მომწყვდეული საქართვე-

ლო იძულებული გახდა, გადაეხარა სხვა მხრისაკენ — მას შარა-გზა არ ჰქონდა ევროპისაკენ...

საქართველო სამუდამოდ მოწყდა რუსეთს — არაბუნებრივ კავშირს და ამით იწყება ახალი პირობები თავისუფალ განვითარებისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამის შემდეგ იგივე ევროპა, დიდი ბრიტანია განსაკუთრებით მოგვაქცევს დიდ ყურადღებას. მართალია, ჩვენ თავისუფალნი ვართ, ჩვენ დამოუკიდებლობა ორი წლის წინედ გამოვაცხადეთ — გამოვსთქვით ნებისყოფა მთელის ერისა და დღეს მივიღეთ ამის დასტური, მაგრამ მაინც ჯერ სუსტნი ვართ, ჩვენ გვაკლია ცოდნა, ტეხნიკა, კაპიტალი და ბევრი სხვა რამ, რომ მშვენიერი ქვეყანა მართლა ავაყვავოთ. ამ მხრივ, მე იმედს გამოვსთქვამ, რომ იგივე სახელმწიფოები, რომელთაც იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, ხელს გამოგვიწვდიან. ჩვენ გვყავს სახელოვანი ჯარი და გვარდია, მაგრამ მაინც საჭირო არის მისი უკეთესად დაყენება, უფრო გამაგრება. მართალია, დღევანდელი საზეიმო განწყობა ქმნის ერთნაირ სულიერ განწყობილებას იმათში, ყველა მათგანი დღეს უფრო გმირია და თავდადებული, მაგრამ მის მოსაწყობად მაინც ბევრი რამ გვჭირია და დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ბრიტანია ამაში ჩვენ დაგვეხმარება. ჩვენ მდიდარნი ვართ, გვაქვს მრავალი მარგანეცი, ოქრო, ქვა-ნახშირი და სხვა, მაგრამ ეს სიმდიდრე მიწაში არის დამარხული. საჭიროა ერთნაირი ძალა, კაპიტალი, რომელიც ამოიღებს მიწიდან ამ სიმდიდრეს და მოგვცემს საშუალებას, უფრო გავამშვენიეროთ ჩვენი რესპუბლიკა. მაგრამ ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ შინაურ მდგომარეობას. ის აქტი, რომელიც მოხდა, თავდაპირველად არის უფლებრივი ხასიათისა... ეს ცნობა ნიშნავს, რომ საქართველო იმდენად მომწიფდა, რომ მას აქვს შეგნება უფლებისა. ჩვენ იძულებული ვიქნებით, არამც თუ საერთაშორისო განწყობილებაში ვიდგეთ უფლებრივ ნიადაგზე, არამედ მის შინაურ განწყობილებაში უნდა ვეცადოთ უფრო მეტის წესიერების და კანონიერების დამყარებას... ეს ცნობა დიდ შთაბეჭდილებას და გარდატეხას მოახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაში და დაგვაახლოებს ევროპის ხალხთან. ნუ დაგვავიწყდება, რომ შემდეგი საფეხური არის ხალხთა ლიგაში შესვლა... მართალია, ამ

ცნობაში, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ცოტა ბუნდოვნად არის წარმოდგენილი აზრი, აქ ლაპარაკია ფაქტიურ ცნობაზე... ამაშია დიდი აზრი და შინაარსი. ისტორია გვასწავლის, რომ მაშინ, როდესაც ერი ცნობილია, როგორც საერთაშორისო პირობა, აუცილებლად საჭიროა გამორკვევა მისი საზღვრებისა და განწყობილებისა უწინდელ სახელმწიფოსთან, რომელთანაც ის იყო დაკავშირებული. ამ გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს და ფაქტიური ცნობა, მე მგონია, იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილი არ არის საქართველოს საზღვრები. მართლაც, არ ვიცით, რა ბედი მოელის ბათუმს, ბათუმის მხარეს, განაპირა კუთხეებს, ლაზისტანს, ისპირს, თორთუმს და სხვა ნაწილებს, რომელნიც ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს და მის განუყრელ ნაწილს შეადგენს. დაჩქარებითი გადაწყვეტა ამ საზღვრებისა ადვილი არ არის და ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ცნობილი ვართ მხოლოდ ფაქტიურად. იურიდიულ ცნობას მოგვიტანს ამ საზღვრების გამორკვევა და დარწმუნებული ვართ, რომ მთელი საქართველო, ისტორიული საქართველო, წინანდელ ისტორიულ საზღვრებში აღდგენილი იქნება. თუ წინად, წარსულში, გარშემორტყმული მტრებით, საქართველოს შეეძლო თავისი საზღვრების დაცვა, თავის დროშის დაცვა, თუ ეს შეეძლო ერთ პირს, ერთ წოდებას, მე დარწმუნებული ვარ, დღეს, როდესაც ეს დროშა გადავიდა დემოკრატიის ხელში, ეს დროშა იფრიალებს და არ დაეცემა. იშლება საბედნიერო პერსპექტივა. მომავალში ამ ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ერებიც ამიერ-კავკასიისა და ჩრდილო-კავკასიისა. მაშინ ეს დროშა, რასაკვირველია, უფრო გამაგრებული იქნება და დარწმუნებული ვარ, ყველა ეს ერები შეიგნებენ, რომ ეროვნება, რომ თვითეული მათგანი არის უკვდავი ღმერთი, რომ ერთს მეორის მოკვლა არ შეუძლია. ეს ერები არიან უკვდავი ღმერთები და ამ შეგნებიდან აღმოცენდება ის კავშირი, რომელიც საჭირო არის მთელი კავკასიისათვის. ამიტომ ვამბობთ, გაუმარჯოს დღევანდელ დღეს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და უკვდავ ღმერთებს კავკასიისას, საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთს და ჩრდილო კავკასიას! (ტაში, ყველა სკამებზე).[22]

და კვლავ სიტყვა ნაციონალისტისა. გიორგი გვაზავას შემდგომ, ტრადიციულად, სიტყვას იღებს გრიგოლ ვეშაპელი.

ბრ. ვეშაპელი[23] (ნაციონალისტი). დამფუძნებელი კრების წევრნო! ნაციონალისტთა სახელით მოულოცავ ქართველ ერს მისი დამოუკიდებლობის ცნობას ევროპის სახელმწიფოთა მიერ.

ჩვენ ყოველთვის გვჯეროდა, რომ ის გზა, რომელსაც საქართველო დაადგა 26 მაისს, იყო გზა რეალური, შესაფერი ერის შინაურ ძალთა განვითარებისა, — აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობისა; გვჯეროდა, რომ ეს გზა მიგვიყვანდა, ერთის მხრივ, ეროვნულ სახელმწიფოს შიგნით ჩამოსხმისაკენ და, მეორეს მხრივ, გარეშე საერთაშორისო ძალთა მიერ ცნობისაკენ. ეს ასეც მოხდა; ჩვენ გვიცნეს ევროპის გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოში.

ეს ცნობა არის ფაქტიური, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენზე უფრო ძლიერი, ახალი სახელმწიფოები უცვნიათ გაცილებით ზოგჯერ უფრო გვიან, ვიდრე გვიცნეს ჩვენ. ასეთი იყო შვეიცარია, რომელიც ფაქტიურად კონგრესების უცნობლად არსებობდა 14-17 საუკუნემდე. ასე იყო რამდენიმე 10 წ. განმავლობაში ეხლანდელი დიდი ამერიკა, მაგრამ თუ შედარებით ჩვენი ცნობა, თუნდაც ფაქტიური, მოხდა ასე დროზე, ეს აიხსნება, ერთის მხრივ, ჩვენი ერის სახელმწიფოებრივი ტრადიციით და, მეორეს მხრივ, დღევანდელი საერთაშორისო მომენტით.

ბ-ბო, ნურასოდეს ნუ დაგვავიწყდება, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენ სახელმწიფო საკითხზე, რომ ამ საკითხზე, მართალია, სხვა ძველი ფორმით, მაგრამ მსჯელობდნენ ჩვენი წინაპრებიც ამ ასი წლის წინად; მათი სახელმწიფოებრივი მუშაობა შეწყდა ამ დედა-ქალაქში ასი წლის წინად დაახლოებით და ასი წელი, როგორც დაამტკიცა ისტორიამ, არ არის სიძველე ერისათვის, რომლის შემდეგ მას არ შეეძლოს, თავისი უფლება, საკუთარი ტერიტორია და სუვერენობა მოჰკითხოს მსოფლიოს. ეს დაამტკიცა პოლონეთმა და ეს დაამტკიცა ეხლა საქართველომ, რომელმაც დაახლოებით პოლონეთთან ერთად დაჰკარგა

თავისუფლება და დაახლოებით იმდენივე მანძილზე, ასი წლის მანძილზე შესძლო ამ დამოუკიდებლობის აღდგენა.

ბ-ბო! მეორე ჩვენი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტიური ცნობა საქართველოს თავისუფლებისა პარიზის კონფერენციის მიერ არის საერთაშორისო მომენტი. ეს საერთაშორისო მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ დღეს არის ბრძოლა რუსეთისა ევროპასთან. შეიძლება ჩვენ დავარქვათ ამ ბრძოლას სოციალური სახელი, მაგრამ მას აქვს ნამდვილი ნაციონალური ხასიათი. ეს არის ბრძოლა რუსის ხალხისა იმ ზღვებისათვის, რომლისთვისაც იკლავდა თავს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რუსეთი და რომლისთვისაც დღესაც არ აყენებს ის იმ ახალ სახელმწიფოებს, რომელთაც გამოაცხადეს თავისი დამოუკიდებლობა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში. და ჩვენი სიკეთე ის არის, რომ რუსეთის დღევანდელი იმპერიალიზმი, იქნება ეს წითელი, შავი თუ ყვითელი, რუსეთის იმპერიალიზმი ეწინააღმდეგება ევროპის მეტოქე ძალების ინტერესებს, რუსეთის ინტერესი დაუპირდაპირდა ევროპის ინტერესებს და გადაჭრით წინააღმდეგია ისეთი ძალებისა, როგორიც არის დღეს აზიაში ბრიტანეთის იმპერია. ამან გამოიწვია ის, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, ბრიტანეთის, კერზონი არის ინიციატორი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხის დაყენებისა...

ბ-ბო! საკმარისია ერთი წუთით მაინც წარმოვიდგინოთ, რომელიმე რუსულის ძალის დამკვიდრება საქართველოში, სულ ერთია, იქნება ეს მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრალური, დემოკრატიული, ბოლშევიკური თუ დენიკინური, წარმოვიდგინოთ, რას მოასწავებს საქართველოში კიდევ გაბატონება რუსებისა, კიდევ ჩვენი დამონება. საკმარისია მხოლოდ ერთი წუთი წარმოვიდგინოთ ეს, რომ ჩვენ არავითარ ზომების მიღებას არ დავერიდოთ იმისთვის, რომ რუსეთის ახალი იმპერია, რამდენადაც ის მოიწევს ჩვენსკენ, იმდენად მეტ გადაულახავ ძლიერ კედელს გრძნობდეს კავკასიონის ქედში, რომელიც არის ბუნებრივი საზღვარი ჩვენი და ბუნებრივი სახელმწიფო ტერიტორია ჩვენი ისტორიული მეგობრისა, მთიულეთის ხალხისა.

აქამდის ჩვენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში განმარტოებული ვიყავით ევროპის სახელმწიფოთა მიერ, განსაკუთრებით ამ დიდი საერთაშორისო ომის დასრულების შემდეგ. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რესპუბლიკის ინტერესებისა და საზღვრების დაცვა, ჩრდილოეთით მოწოლილ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იმავე დროს არის ბრძოლა ევროპის ინტერესებისათვის აზიაში. და მომავალში იმედი უნდა გვქონდეს, ამ ბრძოლაში არ ვიქნებით განმარტოებული. ევროპის ეკონომიური დახმარება საქართველოსადმი, მისცემს ჩვენს ხალხს საშუალებას, ნაკლების სიმძიმით ატაროს ის უღელი, რომელიც მან იკისრა, როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა...[24]

სხდომაზე, სომეხთა დაშნაკციუტუნის ორგანიზაციის სახელით, მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ტერ-სტეფანიანმა.

თავმჯდომარემ წაიკითხა აგრეთვე მისალმების დეპეშები სხვადასხვა ქვეყნებიდან და ქალაქებიდან და ტრადიციული შეძახილების, ოვაციების და ეროვნული ჰიმნის მელოდიის ფონზე მიიწურა კიდევ ერთი პოლიტიკური დღესასწაული ქართველთა და საქართველოსი საერთოდ.

დამფუძნებელი კრების ეს მასალა ისტორიის გასაცოცხლებლად არ მოგვიყვანია მხოლოდ. რასაკვირველია, არც ჩვენი ერის მატიანის გასახსენებლად, წარამარა, უხვსიტყვაობით რომ ისხენებდნენ ერთნაირად ნაციონალისტნიც და სოციალისტნიც. არც მხოლოდ იმის ხაზგასასმელად, როგორი მადლიერნი ვართ ქართველნი უცხოეთისა და, საერთოდ, ქედმოდრეკილნი ყოველივე უცხოს წინაშე. მკვლევარი და დაკვირვებული მკითხველი აქ სტრიქონებშიც და სტრიქონებს მიღმაც უფრო სხვას ამოიკითხავს, ვფიქრობ. სახელდობრ იმასაც, თუ როგორ ორატორობენ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი გმირულ წარსულზე და იმჟამინდელ, ძირითადად, ზოგადკაცობრიულზე. ამ დღეს სიტყვები რომ დაეხარჯათ, გასაგებია, მაგრამ ასე ენერგიულად საქმით ნამდვილად არ მოუწმენდიათ ოფლი ქვეყნის შიდა სახელმწიფოებრივი განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის. და ასე სუსტნი, და ისევ პარტიულად შემდურებულნი ზეიმობდ-

ნენ საქართველოს ფაქტობრივ აღიარებას. სულ ცოტა ხანში იზეიმებენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულ აღიარებასაც, და მაინც ლამის უბრძოლველად, დიდი წინააღმდეგობების გარეშე, ბოლშევიკურ რუსეთს „დაუთმობენ“ აღიარებასაც, ტერიტორიასაც და თავისუფლებასაც. ეს დღეები კი ახლოვდებოდა და, მართალია, სხდომაზე გამომსვლელი ყველა ორატორი ნაციონალისტ ვეშაპელის ჩათვლით, დიდ ხოტბას ასხამდა ევროპას, გამორჩევით კი დიდ ბრიტანიას (როგორც მას ეძახდნენ), როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ინიციატორს და, ასე განსაჯეთ, მოდარაჯესაც კი. მაგრამ ისტორია სავსეა ირონიით და პარადოქსებით, პარადოქსებით და ირონიით. და იქნებ იმ დროს, როდესაც საქართველოს ხელშეუხებლობის მოდარაჯე ინგლისზე რიტორობდნენ ქართველნი, ინგლისის მმართველნი უკვე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ერთ-ერთ წითელ სახალხო კომისართან (კრასინთან), ხოლო სულ მალე სავაჭრო ხელშეკრულებასაც კი გააფორმებენ საბჭოთა რუსეთთან, რომლის ერთერთ მუხლში პოლიტიკური შინაარსის ასეთ ფრაზასაც ჩაწერენ: ინგლისი არადაინტერესებულ პირად აცხადებს თავს კავკასიაშიო. რას ნიშნავდა ეს ფორმულირება, კარგად იცოდა ინგლისმაც და კიდევ უფრო ჩინებულად, საბჭოთა რუსეთმა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ საქართველოში.

რაც შემდგომ დატრიალდება საქართველოში, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ განვაგრძოთ საუბარი, მაგრამ მანამდე, როგორც უკვე გაუწყებდით, ერთ დიდ აღიარებას კიდევ მიიღებს საქართველო ევროპიდან.

§2

დემოკრატიული საქართველოს დე იურე აღიარება

ნაშრომის წინა ნაკვეთში აკი კიდევაც ვამბობდით, ისტორია ირონიით და პარადოქსებით არისო სავსე. ამას თუ მესამე კომპონენტს, ცინიზმსაც დავუმატებთ, მაშინ ყველაფერი სწორად იქნება ნათქვამი იმდენად, რამდენადაც ამგვარი და სწორედ ამგვარი ერთობლიობებით იყო სავსე საქართველოს უახლესი ისტორიისათვის 1921 წელი. უფრო კონკრეტულად:

1921 წელი – მოხდება საქართველოს საერთაშორისო დე-იურე აღიარება;

1921 წელი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საომარ პირობებში, მაგრამ მაინც ასრულებს დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის აუცილებელ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ-სამართლებრივ და იდეოლოგიურ აქტს, ანუ იღებს კონსტიტუციას.

და იგივე 1921 წელი. თებერვალ-მარტი. რუსეთ-საქართველოს ომი. ბოლშევიკური რუსეთის შეიარაღებული აგრესიის გზით დემოკრატიული ხელისუფლების დამხობა და საქართველოს ოკუპაცია-ანექსია.

და ყოველივე ეს ჩამონათვალი აღიარებაც და ტრაგედიაც ხდება არა მარტო ერთსა და იმავე წელს, არამედ ზედმიწევნით: იანვარში, თებერვალში და მარტში. დაარქვით ახლა ყოველივე ამას რასაც საკუთრივ მიუსადაგებთ – გნებავთ, პარადოქსი, გნებავთ, ირონია, გნებავთ, ცინიზმი. მე კი ამას ყველაფერთან ერთად საქართველოს ისტორიის ბედისწერას დავარქმევდი.

„ეს პარადოქსია ისტორიული, მაგრამ ჩვენი ისტორიაც უცნაურობითაა ხომ დაგრეხილი.“

ამჯერად კი, დაპირებისამებრ, ჯერ საქართველოს საერთაშორისო დე იურე აღიარების ცნობა უნდა მიიღოს დემოკრატიულმა მთავრობამ, რასაკვირველია, ჰიმნების, სკანდირებების და ზეიმების ფონზე.

ეგ. გეგეჭკორის დეპეშა.[25]

(საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება)

ამჟამად ევროპაში მყოფმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა რადიო დეპეშით აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ 27 იანვარს უმაღლესმა საბჭომ იურიდიულად (დე იურე) სცნო საქართველოს რესპუბლიკა.

უფრო დაწვრილებით: რა პირობებში მოხდა საქართველოს ცნობა?! ამ ფაქტის შესახებ 1921 წლის 2 თებერვლის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

„თანახმად პარიზიდან მიღებული ცნობისა, საკითხი საქართველოს იურიდიულად ცნობის შესახებ, ერთა ლიგის საერთო ყრილობის დახურვის შემდეგ, დეკემბერში, პირველად ანტანტის სახელმწიფოს წინაშე ოფიციალურად საფრანგეთმა აღძრა. ინგლისმა და იტალიამ ამის საპასუხოდ შემოიტანეს წინადადება საკითხის გადადების შესახებ. ეს წინადადება შეერთებულმა შტატებმა უარყვეს. შემდეგ, თანახმად ევროპაში მყოფ საქართველოს წარმომადგენლის წინადადებისა, იანვრის დასაწყისში საფრანგეთმა კვლავ აღძრა ეს საკითხი და დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირეთა მთავრობებიდან განეხილათ იგი, თუმცა არსებულ მომენტს ამისათვის მეტად არახელსაყრელად სთვლიდა. იტალია და შემდეგ ინგლისი დასთანხმდნენ დაესვათ აღნიშნული საკითხი გადასაწყვეტად პარიზის მომავალ კონფერენციაზე. საკითხი საქართველოს აღიარების შესახებ პირველად განიხილეს იანვრის 24-ს. საკითხი განხილულ იქმნა მოკავშირეთა სახელმწიფოების პრემიერ მინისტრების თათბირზე. საქართველოს აღიარება გადაწყდა იანვრის 26-ს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა, რომელიც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში განაგრძობდა მოქმედებას ამ მიმართულებით, დაუყოვნებლივ წარადგინა ოფიციალური განცხადება საქართველოს აღიარების შესახებ.“[26]

და გადაწყვეტილების ოფიციალურმა დასტურმაც არ დააყოვნა:

„პარიზი, 1921 წლის 27 იანვარი.

მის აღმატებულებას ბატონ ე. გეგეჭკორს,
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.

ბატონო მინისტრო,

მას შემდეგ, რაც გავეცანი გადაწყვეტილებას, რომლითაც უმაღლესმა საბჭომ 26 იანვარს გადაწყვიტა ეცნო დე იურე საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც კი ეს ქვეყანა ამის სურვილს აშკარად გამოხატავდა, თქვენ კეთილი ინებეთ და 27 იანვარს, საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის ოფიციალური თხოვნით მომმართეთ მოკავშირე სახელმწიფოების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე ცნობის შესახებ.

მე დაუყოვნებლივ გავაცანი თქვენი წერილი კონფერენციას. კონფერენციამ ერთხმად გადაწყვიტა, ეცნო დე იურე საქართველოს მთავრობა.

მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან, რომ ამით ერთხელ კიდევ დაგვიდასტურონ სიმპათია, რომლითაც ისინი თვალყურს ადევნებდნენ დამოუკიდებლობისაკენ ქართველი ხალხის მისწრაფებას და აღტაცებას გამოხატავენ, რომელსაც აღძრავს მათში საქართველოს მიერ უკვე შესრულებული ღვაწლი.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო მინისტრო, თქვენდამი ჩემი მაღალი პატივისცემის რწმუნება.

(ხელისმოწერა): *ბრიანი*[27]

რასაკვირველია, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ და საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე აღიარებამ დააჩქარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო დე იურე აღიარება. აი, ნუსხა იმ სახელმწიფოთა, რომელთაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად აღიარეს და ცნეს:

თურქეთი		1918	წელი
საბჭოთა რუსეთი	7 მაისი	1920	წელი
გერმანია	24 სექტემბერი	1920	წელი
შვეიცარია		1920	წელი
ბელგია	27 იანვარი	1921	წელი
საფრანგეთი	27 იანვარი	1921	წელი
ინგლისი	27 იანვარი	1921	წელი
იტალია	27 იანვარი	1921	წელი
იაპონია	27 იანვარი	1921	წელი
ავსტრია	17 თებერვალი	1921	წელი
რუმინეთი	18 თებერვალი	1921	წელი
ლუქსემბურგი	23 თებერვალი	1922	წელი
ჰაიტი	9 მარტი	1921	წელი
ლიბერია	28 მარტი	1921	წელი
მექსიკა	14 აპრილი	1921	წელი
პანამა	26 აგვისტო	1921	წელი
სიამი	20 ნოემბერი	1921	წელი

მაშ, 1918-1921 წლების მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო და დე იურე 25-მდე სახელმწიფომ ცნო.

საქართველოს ამ დიდი საერთაშორისო აღიარების გამომძახილისა და პოლიტიკურ წრეებში მაშინდელი განწყობილებების გამომხატველ ერთ-ერთ საინტერესო დოკუმენტს გვაწვდის პროფესორი ილია ტაბაღუა ვიტორიო ჩერუტის ავტორობით.

ვიტორიო ჩერუტი.
საქართველოს დამოუკიდებლობის
ცნობა დე იურე.[28*]

---

* ამ უნიკალური დოკუმენტის მოწოდებისათვის და მის მიერ, გამოცემამდე, გაცნობისა და სარგებლობისათვის უღრმეს მადლობას ვწირავ ბატონ პროფესორ ილია ტაბაღუას (ნ.კ.)

საქართველო. იტალიის დელეგაციის რეზიდენცია № 201/22... საიდუმლო საქართველოს ცნობა დე იურე

თბილისი, 1921 წლის 10 თებერვალი. წერილი რეგისტრირებულია: საგარეო საქმეთა სამინისტრო.

№ 1893 8.
1921 წლის 1 მარტი

მის აღმატებულებას საგარეო საქმეთა მინისტრს

ბატონო მინისტრო,

ვიმოწმებ რა ამ საკითხზე ტელეგრაფით მიღებულ ცნობას, გადმოცემულს თქვენი აღმატებულების მიერ, მაქვს პატივი დაგიდასტუროთ, რომ სამეფო ფლოტის რადიო სატელეგრაფო სადგურის შემწეობით, პირველად, 30 იანვარს მივიღე ცნობა საქართველოს დე იურე ცნობის შესახებ, თავისი მთავრობისადმი ბატონ გეგეჭკორის მიერ ღია ტელეგრაფის საშუალებით გადაცემული. მე ის გადმომცეს კონსტანტინოპოლიდან. მე გადავწყვიტე, რათა გადამეცა პირადად საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისათვის, რომლის წინაშე გამოვხატე მხურვალე კმაყოფილება თქვენი აღმატებულებისა და სამეფო მთავრობისაგან, რომელიც თვითონ ათანხმებდა მთელს თავის მხარდაჭერას ცნობის საკითხში და ასევე გადავეცი მეტად გულწრფელი მოლოცვა იტალიის მთავრობისა და იტალიელი ხალხისა.

ბატონი ჟორდანია ძლიერ აღფრთოვანებული იყო ამ სასიხარულო ცნობით, რომელიც ასე მოულოდნელად მოვიდა მასთან. მან მიმიწვია, რათა დავსწრებოდი დიპლომატიური ტრიბუნიდან ამის შესახებ გაკეთებულ განცხადებას და მაშინვე გადაცემოდა ის დამფუძნებელ კრებას. მთავრობის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ ყველა დიდმა სახელმწიფომ ნამდვილად ცნო საქართველო და ამაში განსაკუთრებით გამოყო იტალიისა და მისი საგარეო საქმეთა მინისტრის განსაკუთრებული დამსახურება. დამფუძნებელმა კრებამ ზეიმით გასწია დიპლომატიური

ტრიბუნისაკენ და მოუწყო მხურვალე ოვაცია იტალიის წარმომადგენელს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა მაშინვე, მთავრობის მეთაურის შემდეგ, ასევე მოაგონა დამსწრეებს სიმპათიის მრავალმხრივი გამოხატვა, რომელთაც იჩენდა იტალია საქართველოს მიმართ და გამოთქვა ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა ჩვენი ქვეყნისადმი.

ამრიგად, დამფუძნებელი კრების სხდომა შეწყდა ეროვნული დღესასწაულის გამო და ერთი საათის განმავლობაში თბილისში გაისმოდა ადრინდელი სამოქალაქო და სამხედრო მსვლელობების მუსიკა, რომლებიც მიემართებოდნენ დედაქალაქის ქუჩებში, ქება-დიდებას ასხამდნენ საქართველოს, იტალიას და ასევე (თუმცა ნაკლებად) საფრანგეთსა და ინგლისს.

ამან, და ეს ბუნებრივია, შელახა საფრანგეთის უმაღლესი კომისრის, ბატონ შევალიეს გრძნობა, რომელიც საქართველოს სატელეგრაფო სააგენტომ მეორე დღეს მიიწვია, გამოეთქვა თავისი აზრი ამ ამბების შესახებ. მან უპასუხა, რომ მას არ აღმოუჩინეს ნდობა და ამიტომ უარს ამბობს, გააკეთოს რაიმე განცხადება თავაზიანობის გამოხატვით.

ინგლისის უმაღლესი კომისარი შემოიფარგლა იმით, რომ განაცხადა, რომ მან არაფერი იცის, მაგრამ თუ ცნობა მოხდა, ის ამას მიესალმება.

იმავე დღეს მე მომივიდა ტელეგრამა, რომელშიც თქვენმა აღმატებულებამ გამოხატა კმაყოფილება, რომ მაცნობეს იმის შესახებ, რომ მისმა უდიდებულესობამ — მეფემ გასცა ბრძანება, რათა ჩემთვის გამოეგზავნათ სრულუფლებიანი მინისტრის რწმუნებულების სიგელი. მისიის დონეზე წარმომადგენლობის ამ პოსტზე ასე სწრაფად ჩემი დანიშვნის გამოცხადებამ, რომელიც გაკეთდა სამეფო მთავრობის სახელით, საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს მთავრობაზე და საზოგადოებრიობაზე. მან კიდევ უფრო განამტკიცა დიდი სიმპათიები იტალიისადმი.

ამან მაინც ხელი ვერ შეუშალა ჩემს ფრანგ კოლეგას, დარწმუნებულიყო და წარმოედგინა ცნობა თავისი

მთავრობისაგან საქართველოს ცნობის შესახებ, მაგრამ მაინც გამოთქვა ეჭვი ამის შესახებ, თუმცა ერთდროულად მან მოათავსა მთავრობის გაზეთში ტელეგრამა შედგენილი ამის შესახებ, მაგრამ მიუთითა, რომ ეს მოვიდა კონსტანტინოპოლიდან და საქართველოს ცნობის საკითხში დამსახურება მთლიანად მიეწერებოდა საფრანგეთს, რომელსაც თითქოს მოუხდა გადაელახა არა მცირე წინააღმდეგობა სხვა მოკავშირეების მიმართ. ამ ცნობის წყაროს, საფრანგეთის მინისტრის ტელეგრამას, არ მოჰყოლია მხიარული კომენტარები.

ბატონი შევალიე იმდენად განაგრძობდა ეჭვიანობას, რომ მიმდინარე თვის 7-ში, საქართველოს ოფიციალური ცნობიდან 9 დღის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მიერ მოწყობილი დიპლომატიური ბანკეტის წინ, მოვიდა ჩემთან და მკითხა, სწორია თუ არა ჩემი რწმენა და ხომ არაა რაიმე გაუგებრობა და მთხოვა მეცნობებინა მისთვის ამ ცნობის მიღების ზუსტი თარიღი.

ბუნებრივია, ამან ხელი არ შეუშალა იმას, რაც მან თავის სიტყვაში განაცხადა ბანკეტის დამთავრებისას, სადაც საფრანგეთი გამოდიოდა რა როგორც უფროსი და, რომელიც მოახდენდა კავკასიის ახალი რესპუბლიკის ნათლობას და მთელი ყურადღებით შემოეფარგვლებოდა მას.

მაგრამ მქუხარე და საზეიმო ტაშმა რომ იგრიალა, იყო პასუხი იტალიის წარმომადგენლის სიტყვების მიმართ და უჩვენა, თუ რომელ წარმომადგენელს უხდიდა საქართველო მადლობას მთავარი დამსახურებისათვის მის „დე იურე“ ცნობაში.

ამას დავძენ, რომ დამფუძნებელი კრების მრავალრიცხოვან წევრს, ჟურნალისტებს, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებსაც ეკავათ ხალხით გაჭედილი მაგიდა, რომლის ცენტრშიც იჯდნენ მთავრობის წევრები და უცხოელი სტუმრები, დაჟინებით სურდათ შეესვათ, უცხოელი დიპლომატებიდან, მხოლოდ ერთის სადღეგრძელო — იტალიის სრულუფლებიანი მინისტრის სადღეგრძელო, რომელიც მათ მიიწვიეს, ბანკეტის დამთავრების შემდეგ, დაეკავებინა ადგილი მათ მაგიდაზე და კვლავ გამოხატეს მის მიმართ მხურვალე სიმპათია, რომელიც მათ აღუძრა

იტალიის სამეფო მთავრობის ღრმა მეგობრობამ და პატივისცემამ საქართველოსადმი.

გარდა დიპლომატიური ბანკეტისა, ასევე მოეწყო სადღესასწაულო საღამო ოპერის შენობაში და მიღება მთავრობის სასახლეში. შემდეგ მოეწყო ჯარის ნაწილების და ეროვნული გვარდიის დათვალიერება, რომ არაფერი ვთქვათ იმ ზეიმებზე, რომლებიც ჩაატარეს სხვადასხვა კავშირებმა, მუშათა კორპორაციებმა, სკოლებმა და სხვებმა.

მაშინ, როდესაც ბანკეტზე იტალიის წარმომადგენელი დასვეს მე-4 ადგილზე, ღებულობდნენ რა მხედველობაში მის ჩამოსვლას თბილისში, მთავრობის სასახლეში, ფოტოსურათების გადაღების დროს და ფიცარნაგებ ტრიბუნის წინ ჯარებისა და მოქალაქეთა გავლისას, მთავრობის თავმჯდომარემ მიმიწვია, რათა მის მარჯვნივ დამეკავებინა ადგილი.

მიიღეთ სიამოვნებით, ბატონო მინისტრო, ჩემი რწმუნება თქვენდამი ულრმესი პატივისცემისა.

ე. ჩერუტი.

ცხადია, მოლოცვების ნუსხა ამით არ დასრულებულა. პირველსავე დღეებში თბილისში მყოფმა საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა — შევალიემ საქართველოს მთავრობას მიულოცა და საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით გულწრფელი წარმატებები უსურვა საერთაშორისო ოჯახის აწ უკვე სრულუფლებოვან წევრს — დამოუკიდებელ საქართველოს.[29] მილოცვებს უერთდებოდა ყოველდღიური პრესა, გაზეთები: „ერთობა", „სახალხო საქმე", „ბორბა", „გრუზია", „სლოვო" და სხვანი.[30] მათ შორის აღნიშვნის ღირსია უცხოური გაზეთებიც. სამაგალითოდ, გაზეთი „ბოსფორი" საქართველოს შესახებ წერდა: „საზავო კონფერენციამ საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად ერთხმად იცნო. მათთვის, ვინც იცნობს ამიერ-კავკასიის საქმეებს, ეს ცნობა იყო მხოლოდ დროის საკითხი. ერთი წლის წინათ დასთანხმდნენ მოკავშირენი პრინციპიალურად საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე. სამი წლის უკან გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკამ თავისი დამოუკი-

დებლობა და მთელი ამ ხნის განმავლობაში, მას არ შეუწყვეტია ბრძოლა თავის თავისუფლებისათვის და ყველა დაარწმუნა, რომ მას შესწევს ძალა დამოუკიდებლათ გაუძღვეს თავის თავს. საქართველოს რესპუბლიკამ უცხოელთა დაუხმარებლად გადალახა ის საშიშროებანი, რომელიც მის დამოუკიდებლობას ემუქრებოდნენ. მიუხედავად მეზობლებისა და ბალშევიკების მუქარისა, საქართველომ თავისი ჯარის გმირობით, ხალხის ერთსულოვნებით და თავისი დიპლომატების ბრძნული მოქმედებით შესძლო აეშორებინა თავიდან დაბრკოლებანი, აღედგინა შინაური წესიერება და გაძღოლოდა თავის თავს თავისივე ძალებით. დამოუკიდებელი საქართველო ამაში უმთავრესად უნდა უმადლოდეს თავისი ქვეყნის ოთხ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს: ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, აკაკი ჩხენკელს და ევგენი გეგეჭკორს.“[31]

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს 6 თებერვალს სასახლეში ეახლნენ და დამოუკიდებელი საქართველოს იურიდიულად ცნობა მიულოცეს შემდეგ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა:

„დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა — სტკოსმა;

საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა — შევალიემ.

საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა — პოლკოვნიკმა კორბეილმა;

გერმანიის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელმა — რაუშერმა;

იტალიის ელჩმა — ჩერუტიმ;

იტალიის კონსულმა — ფრანზონიმ;

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა — შეინმანმა;

ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელმა — ელვერგმა;

ოსმალეთის დიდი ნაციონალური ყრილობის წარმომადგენელმა — ქიაზიმ ბეიმ;

პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენელმა — ოსტროვსკიმ;

ნიდერლანდიის ვიცე-კონსულმა — ფონ ალენ შტეინმა;
ნორვეგიის კონსულმა — სონდლომ;
ესპანეთის ვიცე-კონსულმა — ბარსეგიანმა;
საბერძნეთის წარმომადგენელმა — სკეფერისმა;
ფინლანდიის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა — პოლკოვნიკმა ბერკვისტმა;
ჩეხოსლოვაკიის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელმა — სვატოშმა;
სპარსეთის გენერალურმა კონსულმა — მოდა-ზეტ დოვლემ;
აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა — ნაჯაფოვმა;
სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა — შაერდოვმა;
სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა — კაცენსმა;
ესტონეთის კონსულმა — პაულმა;
ლატვიის კონსულმა — დაილიდემ;
ასურეთის საბჭოს წარმომადგენელმა — (სამწუხაროდ, გვარი მითითებული არ არის).“[32]

და, ამ დღესთან დაკავშირებით, იმართება დიდი დღესასწაულები, არა მარტო საკუთრივ დედაქალაქში, რომლის ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა თბილისის მოურავს — ბენია ჩხიკვიშვილს, არამედ მთელს საქართველოში.

და ხანგრძლივად მიმდინარეობდა ბანკეტები, ენაწყლიანობდნენ ორატორები და თებერვლის პირველი დეკადა იყო ახლა.

სულ რამდენიმე დღეში თუ საათში კი საბედისწერო ომი დაიწყება საქართველოში.

საბედისწერო არა მხოლოდ მსხვერპლთა რაოდენობით, არამედ ეპოქალურად საბედისწერო ომი.

საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ეროვნულ თავისუფლებას წარიტაცებს ამჯერად ბოლშევიკური რუსეთი და, საუბედუროდ, როგორც ყოველთვის, ქართველთა ხელშეწყობითაც მოხდება ეს დანაშაული.

თავისუფლებასთან ერთად წარიტაცებენ ქართულ მიწებს და გულუხვად გააბოძებენ მარჯვნივ თუ მარცხნივ.

ქრისტიან მართლმადიდებელ ერს დაუნგრევენ და დაულეწავენ ეკლესია-მონასტრებს და მათებრ შეურყვნიან რწმენას.

და საუკუნის უამრავ დანაშაულს ჩაიდენენ.

და ასე, საქართველოს ათეული წლებით ჩამოაშორებენ ევროპასაც და საერთოდ ამოაგდებენ კაცობრიობის ცივილიზებული განვითარების ისტორიის მსვლელობიდან.

და 1921 წლის 11 თებერვლიდან დაიწყება ქართველთა ეს მორიგი უბედურება.

თავი მეექვსე

დაპყრობილი საქართველო და ევროპა

§1

ბოლშევიკური რუსეთის შეიარაღებული აგრესია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა

საქართველოს უახლესი ისტორიის ეს ყველაზე მძიმე პერიოდი (რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი), ყოველგვარი შესავლის გარეშე უნდა დავიწყოთ.

ამბობენ, ისტორიას ბოროტი მეხსიერება აქვსო. მეხსიერებას, ხსოვნას, ისტორიას, ანუ მატიანეს — სწორედ რომ ომები, ძალადობები და ამისდამაგვარნი აბოროტებენ და ასეთად უნახავენ კიდეც მომავალ თაობებს. ასეთად დარჩება ქართულ მატიანეს 1921 წლის 11 თებერვალი, როდესაც ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიამ გადმოლახა საქართველოს საზღვრები სომხეთის მხრიდან. მსვლელობა და ისტორია ამ ომისა ცალკე, ამოუწურავი და უზარმაზარი თემაა — სავსე სისხლით, ორპირობით, ფარისეველობით, ქართველთა ღალატით, პირტიტველა იუნკრების ჟლეტით, მასობრივი დაპატიმრებებით, ეკლესია-მონასტრების ნგრევით, „ხალხის მტრების" განადგურებით, ერის საუკეთესო ინტელიგენციის რეპრესია-გადასახლებებით, უცხოტომელთა გაბატონებით, ყოველგვარი ქართულის დევნით, სისუსტით, ამბოხებებით, აჯანყებებით და კვლავ სისხლით.

ვფიქრობ, უმჯობესია, მთავარი სათქმელისათვის მშრალი ფაქტებით გავუყვეთ ამ სისხლიან ისტორიას.

მაშ, რუსეთმა (ამჯერად ბოლშევიკურმა) ტრადიციულად და კიდევ ერთხელ დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულება. და დაარღვია იგი ყველაზე მაქსიმალისტური გამოხატულებით, ანუ შეიარაღებული აგრესიის გზით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობით, ქვეყნის მთელი ტერიტორიის ოკუპაციით და ანექსიით.

ახლა ფაქტებს მოვუხმოთ:

რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი თბილისში — შეინმანი არწმუნებდა საქართველოს მთავრობას, რომ რუსეთმა არაფერი იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და იგი სომხეთის მიერ იყო მოწყობილი. ამასთანავე, დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლის — შავერდოვის არანაკლებ მტკიცე განცხადება იმის თაობაზედ, რომ სომხეთი სრულიად უცხოა ამ თავდასხმაში და იგი მზად იყო, ყველა სადავო საკითხი გადაეწყვიტა მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებით.

15 თებერვალს შეინმანმა ბაქოდან მიიღო დაშიფრული ტელეგრამა: „გადაწყდა რუბიკონს გადასვლა. იმოქმედეთ ამ გადაწყვეტილებასთან შეთანხმებით“. იმავე დღეს მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა, გაძლიერებული კავალერიის შენაერთებით, შემოუტია საქართველოს აზერბაიჯანის მხრიდან.

16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ მიმართა მოსკოვს, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ ლ. კარახანმა უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე. შემდგომ დღეებში მან განმეორებით მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები: „რას მოითხოვთ ჩვენგან ... შეიძლება უსისხლოდ შეეთანხმდეთ!!“ — ნათქვამია მიმართვის ტექსტში. ეს დეპეშაც უპასუხოდ დარჩა. რის შემდეგაც უკვე ნოტა გაუგზავნეს ლენინს და ტროცკის — ამ, აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შესაწყვეტად. ამის საპასუხოდ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ: ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გავლით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჭის მიმართულებით. ამგვარად, საქართველოს ყოველის მხრიდან შემოუტიეს ჯერ მე-11, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიებმა, აგრეთვე, ბუდიონისა და ჟლობას კავალერიის ნაწილებმა.*

* ამ მოვლენების ამსახველი ყველა დოკუმენტური მასალა აღებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დოკუმენტების კრებულიდან: კ. ინასარიძე. „პატარა „ოქროს ხანა“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-21“, 1984, მიუნხენი. (ნ.კ.)

და საქართველო, უკვე მერამდენედ, ჩაება უთანასწორო ომში.

1921 წლის 21 თებერვალს, დილის 10 საათზე, საბჭოთა რუსეთისაგან თავსმოხვეული ომის ურთულეს პირობებში, დამფუძნებელმა კრებამ, არჩეულმა — პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით, ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის ძირითადი პრინციპები ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში იყო ჩამოყალიბებული. დამფუძნებელი კრების იმავე 21 თებერვლის სხდომამ გამოიტანა დადგენილება სამშობლოს უარმყოფელების შესახებ. 25 თებერვალს კი თბილისში შემოვიდა რუსეთის საოკუპაციო წითელი ჯარი, რომელსაც „წინ მოუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში თეთრ ცხენზე მჯდომი ერთი ქართველი კომისართაგანი. მას გვერდით უხილავად მოჰყვებოდა გაძვალტყავებულ ჯახრიკაზე ძონძებში გახვეული ჩონჩხი და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი.“[1]

ქართულმა ჯარმა ბრძოლით დაიხია რიონის მარცხენა ნაპირზე იმ პირობით, რომ ბათუმი დაცული ყოფილიყო, როგორც სამხედრო ბაზა. მდგომარეობა დაიძაბა და გაუარესდა, როცა თურქებიც შემოიჭრნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში. თავის მოგონებაში „ჩემი წარსული“ ნოე ჟორდანია წერს: „ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგვიგრძნობდა. ეჭვს მიბადებდა მხოლოდ ერთი — ოსმალეთის ელჩი კია ზიმ ბეი. ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგო.“[2]

მიუხედავად ამისა, ანგორის მთავრობამ გამოიჩინა მუხანათობა (ცხადია, რუსეთის აშკარა წაქეზებითა და მისთვის საქართველოს სასურველი ტერიტორიის გადაცემის დაპირებით) და 22 თებერვალს ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს მთავრობას, რითაც მოითხოვდა არდაგანისა და ართვინის გადაცემას.

საქართველოს სამხედრო მდგომარეობა დღითი დღე რთულდებოდა. ხუთი მხრიდან გარშემორტყმული რესპუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული და თურქეთის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა კიდეც მისი წინააღმდეგობის დასასრული.

არდაგან-ართვინის დაკავების შემდეგ, ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის უკვე აღარ არსებობდა სადავო საკითხები და, თავის მხრივ, ერთგვარი დახმარებაც კი შესთავაზა ბათუმსა და მის პროვინციაში რუსეთის საოკუპაციო ჯარის არდაშვების მიზნით. მაგრამ ბათუმში შესვლისთანავე თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა — მოხდეს ბათუმისა და მთელი მისი პროვინციის ანექსია-ო და შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები. ამასთანავე, ულტიმატუმით მოითხოვეს ქართული ჯარის განიარაღებაც.

ამ დღიდან საქართველოს ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა და უკვე არ გააჩნდა წარმატების არავითარი შანსი, განწირული იყო დასაღუპად, რამაც საბჭოთა რუსეთის ჯარებს გზა გაუხსნა ბათუმისა და საქართველოს მთელი ტერიტორიის საოკუპაციოდ.

1921 წლის 16 მარტს დამფუძნებელმა კრებამ გამართა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დაავალა, დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

1921 წლის 17 მარტს, ისე, რომ ხეირიანად არც კი შეუტყვია ომის შედეგები, დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ბათუმიდან რამდენიმე იტალიური გემით ლტოლვილობის გზას დაადგა და საბოლოოდ ემიგრაციაში, პარიზში, დაიდო ბინა.

„გვეგონა და ვფიქრობდით: თუ ევროპა და ამერიკა ჩვენზედ მომხდარი ძალადობის, მოტყუილების და უსამართლობის ნამდვილ სურათს დაინახავდა ... მყისვე დაიძროდა ... სახსნელად ლეგიონები წამოვიდოდნენ.“[3] — მოგვიანებით დაწერს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი პაპავა. მაგრამ ევროპამ აქა-იქ გამოიტანა

რეზოლუციები, ერთა ლიგამაც თითქოს ხმა ამოიღო და ეს ხმა მხოლოდ მეგობრობისა და ლამაზი სიტყვების იქით არ წასულა.

ყოველივე ამაზე ცოტა ქვემოთ და უფრო დაწვრილებით.

ასე, ქართველი ხალხის ნებისა და სურვილის გარეშე, შეიარაღებული აგრესიის გზით დამყარდა რევკომების ხელისუფლება, და როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, საქართველო ისევ რუსული უღლისა და ჩექმის ქვეშ მოექცა...

§2

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია – საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დამცველი

დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ იმავე 1921 წლის 27 მარტს კარლო ჩხეიძესთან, ევგენი გეგეჭკორთან და ნოე რამიშვილთან ერთად, ევროპის სოციალისტურ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს აცნობა საქართველოსა და მის საკუთარ თავზე დატეხილი ამბავი – რუსეთის შემოჭრა და საქართველოს დაპყრობა. „ჩვენ ველით თქვენგან, რომ დაგმობთ ჩვენი ქვეყნის შემავიწროვებელთ და ღირსეულად დააფასებთ იმათ პირმოთნეობას, ვინც ხიშტებით სარგებლობს სოციალისტური იდეების გასაქრობად და ვინც იმავე ხიშტებით საკუთარ იდეებს ავრცელებს. აღიმაღლეთ ხმა, ამხანაგებო, და მოსთხოვეთ მოსკოვის მთავრობას, რომ:

ა) გაიყვანონ მათ საქართველოდან თავისი ჯარები.

ბ) მისცენ საქართველოს ხალხს საშვალება თავისი ბედი თვითონვე განაგოს და თავისუფლათ მოაწყოს თავისი სახელმწიფო!“[4]

და დაიწყო დემოკრატიული საქართველოს ლტოლვილი მთავრობის წევრთა უაღრესად მძიმე მოღვაწეობა: ჩადიოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში, გამოდიოდნენ ხალხმრავალ მიტინგებზე, სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე და დოკუმენტურად აზუსტებდნენ – რა მოხდა სინამდვილეში საქართველოში: რევოლუცია, აჯანყება-გადატრიალება, თუ ომი. ვინ და რისთვის ომობდა... მეტადრე ეს უაღრესად საჭირო იყო, სწორედ იმ ყალბი ინფორმაციების გასაქარწყლებლად, საქართველოს ოკუპაციის პირველსავე დღეებში რადიოთი რომ ამცნო მოსკოვმა ევროპას: „საქართველოში მუშათა და გლეხთა აჯანყება და სოციალისტური რევოლუცია მოხდა“, ან კიდევ, „ამიერკავკასიაში მეზობელი ერები ერთმანეთს დაერივნენ და მოსკოვის მთავრობა არაფერ შუაშია“[5] და სხვა.

მოგეხსენებათ, დემოკრატიული საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ძალას სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ და ამიტომაც (და არა მხოლოდ) საბჭოთა რუსეთის

მიერ დაპყრობილი საქართველოს უფლებების დაცვის კამპანია უწინარესად ევროპის მუშათა კლასმა და სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა წამოიწყეს.

სახელდობრ: ბოლშევიკური რუსეთის იმპერიალისტური აქტის საწინააღმდეგო რეზოლუციები გამოიტანეს: ინგლისის ტრედიუნიონების და მუშათა პარტიის შეერთებულმა საერთო კომიტეტმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთამ, საფრანგეთის, ბელგიის, ესპანეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, დანიის, ბალტიის ქვეყნების, სამხრეთ სლავიანთა, იტალიის, ავსტრიის და პოლონეთის სოციალისტებმა, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბორდოს სექციამ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის საზღვარგარეთულმა ორგანიზაციამ, მეორე ინტერნაციონალის ეგზეკუტივმა და სხვა.[6] კერძოდ: 1921 წლის 14 ივნისს ბრიუსელში, მუშათა სასახლეში გაიმართა ბელგიის მუშათა პოლიტიკური პარტიებისა და პროფესიული კავშირების საგანგებო სხდომა, სადაც კავშირების 600 000 წევრის სახელით გამოსული ორატორები აცხადებდნენ, რომ „ბელგიის მუშები საქართველოს საკითხს გაიხდიან თავის საკუთარ საქმედ და მთელი თავისი ძალ-ღონით იმოქმედებენ მის დასახმარებლად.“[7]

1921 წლის 22 ივნისს ქალაქ ბრაიტონში გაიხსნა ინგლისის მუშათა პარტიის წლიური კონგრესი, რომელმაც ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ეს კონგრესი უცხადებს რა ქართველ ხალხს თავის თანაგრძნობას, გამოთქვამს რწმენას, რომ მას უნდა მიეცეს საშუალება სამხედრო ძალდატანების გარეშე, თავისუფლად აირჩიოს ფორმა მმართველობისა, რომელიც მას სასურველად მიაჩნია..“[8]

5 ივლისს მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატებმა მოაწყვეს მრავალრიცხოვანი კრება, ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში გერმანელი მუშები მოითხოვდნენ რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს დატოვებას და იქ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენას.[9]

22 ნოემბერს გაიმართა II ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც ერთხმად მიიღო ჰიუსმანსის რეზოლუცია:

„...საქართველოს ტერიტორია დაპყრობილ იქნა მოსკოვის ჯარების მიერ და მოსკოვის მთავრობას დანიშნული ჰყავს საქართველოში ხალხისათვის უცხო ხელისუფლება, რომლისადმი მცხოვრებლები მტრულად არიან განწყობილნი; რომ მსოფლიო პროლეტარიატის თვალში მოსკოვის მთავრობაა ერთადერთი პასუხისმგებელი საქართველოს რესპუბლიკის დანგრევისა და იქ გამეფებული ტერორის რეჟიმისათვის...

ამიტომ, აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ დაჟინებით მოითხოვს:

— რუსეთის მთავრობამ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან და ამით შესაძლებლობა მისცეს ქართველ ხალხს თვით გახდეს თავისი ბედის პატრონი.“[10]

1921 წლის 3 მაისს ნოე ჟორდანიამ საქართველოს ამბებზე მოხსენება გააკეთა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რაც დასრულდა ფრანგი სოციალისტების საპროტესტო მანიფესტის გამოქვეყნებით საქართველოს დაპყრობის გამო. იმავე 1921 წლის 13 ივნისს კი ჟორდანია ასეთივე „საჩივრებით“ ბრიუსელში წარუდგა ბელგიის სოციალისტურ და პროფკავშირულ საკრებულოს; აქაც ძალიან დაანუგეშეს ქართველი თანაპარტიელი ვანდერველდემ და დე ბრიუკერმა: ნუ გეშინია, ხომ ხედავ — მტრის დაპყრობამ ბელგია ვერ მოჰკლა და მაშასადამე, ვერც საქართველოს მოჰკლავს-ო.“[11]

ბელგიიდან ინგლისს ჩავიდა ჟორდანია და იქაური მუშათა პარტიისა და ტრედიუნიონების თავკაცებს შეხვდა; იმათაც მიუსამძიმრეს, მათ კონგრესზეც დაასწრეს და საგანგებო სიტყვით თავისი მომხსენებელიც გამოიყვანეს — სნოუდენი, „ამხ. ქალი“, რომელმაც საქართველოს მდგომარეობა დაახასიათა და რეზოლუციის პროექტი წარმოადგინა: შეიქმნას სოციალისტებისა და კომუნისტების შერეული კომისია, რომელიც შეისწავლის საქართველოს მდგომარეობას და ქართველ ხალხს საშუალებას მისცემს, თვითონ აირჩიოს თავისი სასურველი ხელისუფლება... ისევ იყო რეზოლუციების ერთხმად მიღება, აპლოდისმენტები...[12] და მეტი არაფერი.

მერე, 6-9 ივნისს ჟენევაში გაიმართა კონგრესი, რომელსაც საქართველოს ამბები წარუდგინეს კონსტანტინე საბახტარაშვილმა და სვიმონ მდივანმა. აქაც „კონგრესი დიდი სიმპატიით მოეპყრო საქართველოს საკითხს და დასვა ის თავის დღის წესრიგში.“[13] მომხსენებლად ლედი გლადსტონი გამოვიდა – ესეც ძალიან საინტერესო „ამხანაგი ქალი“; მის შემდგომ – ფრანგი ისტორიკოსი, პროფესორი ოლარი; ბოლოს ისევ ინგლისელი ტომას შოუ. იყო ტაშის გრიალი, ისევ რეზოლუცია, რომელიც, როგორც სხვა ყველა მანამდელი და მერმინდელი მსგავსი „რეზოლუციები“ თუ „მემორანდუმები“, მხოლოდ ისტორიის უძირო უფსკრულში უნდა ჩაშვებულიყო.

ასეთივე „საისტორიო“ სამძიმრებსა და რეზოლუციებს მიიღებენ სამშობლოდაკარგული პოლიტიკური მოკალმასენი პოლონეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, დანიაში და ასე შემდეგ, მხოლოდ და მხოლოდ საისტორიო უფსკრულისათვის და სხვა არაფერი.

§3
დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად

მთელმა წელმა ასე ჩაიარა. წლის მიწურულს კი — 1921 წლის 25 დეკემბერს — ნოე ჟორდანიამ თავის თანალტოლვილ თანამთავრობელთა თათბირი მოიწვია და ნათათბირევის შედეგების მიხედვით წერილიც დაწერა — წერილი, მიწერილი ქართველებისადმი, თანაც არა საქართველოში დარჩენილების მიმართ, არამედ მისებრ სამშობლო დატოვებულებისადმი, სახელდობრ კონსტანტინოპოლში, იმავე სტამბულში მყოფი ნოე ხომერიკისა და ვალიკო ჯუღელისადმი.

„მე აქ, პარიზში, მთავრობა მოვიწვიეო — და წერს პირდაპირ (სტილს ვიცავ. ნ.კ.) ხომერიკს და ჯუღელს კონსტანტინოპოლში: — მთავრობის თათბირზე მიღებული იქნა წინადადება მოწვეულ იქნას რაც შეიძლება დაჩქარებით საქართველოს კონფერენცია.

კონფერენციის შემადგენლობა:

კონფერენციაზე მოწვეულნი უნდა იქნან ყველა ქართული პარტიები, რომელნიც დგანან საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე. და ამ მიზნით აწარმოებენ შეძლებისამებრ დღეს ბრძოლას ბოლშევიკურ ოკუპაციასთან. ასეთებია: ს.დ., ფედერალისტები, ნაც-დემ-ები, სხიველები და ს.რ. ჯგუფი, ლორთქიფანიძის მეთაურობით. რიცხვს წარმომადგენლობისას არა აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა, ვინაიდან წინადადებები იქნება მიღებული შეთანხმებით ანდა პარტიათა უმრავლესობით. გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ წარმოდგენილთ შეეძლოთ პარტიის სახელით მიიღონ გადაწყვეტილება და მერე ცხოვრებაში გატარება.

კონფერენციის რაოდენობა დიდი იქნება თუ პატარა დამოკიდებულია იმაზე, თუ სად იქნება ის — სასურველია ის მოხდეს საქ-ოს საზღვრებთან ახლოს, მაშინ დამსწრეთა რიცხვის გაზრდა საჭიროა და აუცილებელი. თუ ის კონსტანტინოპოლში დარჩა — ამ შემთხვევაში პატა (ალბათ, პატარა, ნ.კ.) პარტიებს თითო წარმომადგენელი, დიდებს ორ-

ორი. საერთოდ რიცხვი თქვენ თვითონ გაანაწილეთ, შემდეგ ძვირად არ დაგვიჯდეს. ვინაიდან იმავ დროს უნდა მოახდინოთ სამხედრო თათბირიც, კარგი იქნება პარტიის დელეგატი იყვეს იმავე დროს სამხედრო ორგანიზაციის დელეგატიც...

საგანი კონფერენციისა:

1. მთავრობის მოხსენება.

2. დელეგატთა მოხსენება.

3. ერთი ეროვნული ფრონტის შექმნა.

4. ბრძოლის წესების გადასინჯვა და ახალი ტაქტიკის გამომუშავება.

5. სამხედრო ცენტრის შექმნა.

6. დიპლომატიური და საზ. მუშაობა ევროპაში.

ადგილი კონფერენციისა, როგორც ვთქვი, რაც ახლოს იქნება საქართველოსთან, მით უკეთესია. კონსტანტინოპოლს სჯობს ტრაპიზონი, ტრაპიზონს ართვინი ან ხოფა. ეს თქვენზეა დამოკიდებული — სად, როგორ მოხერხდება.

დრო კონფერენციისა:

ახლა უკვე მივადექით იმ დროს, როცა ჩვენი კითხვა უნდა გადაწყდეს დიპლომატობით. ამიტომ ჩვენი კონფერენცია რაც ადრე იქნება, მით უკეთესია, დაახლოებით არა უგვიანეს იანვრის გასულისა. ახლავე აფრინეთ კაცი საქოში ამ მიზნით. კონფერენციამ უნდა მოგვცეს ახალი იარაღი აქ საერთაშორისო მასშტაბითაც ჩვენი საქ-ოს უკეთ დასაცავად. ერთადერთ იარაღათ თვით საქ-ოში მოძრაობის დაწყება — რა სახით და როგორ — კონფერენციის საქმე იქნება.

მთელი ეს საქმე კონფერენციის მოწვევა და მუშაობა უნდა მოხდეს სრულიად კონსპირაციულად.

ამხ. სალამით ნ. ჟორდანია.

იმ შემთხვევაში თუ სხვ პარტიებმა არ მოისურვეს კონფერენცია, მაშინ ჩვენი პარტიის მაინც უნდა შედგეს და წარმოდგენილ დელეგატთა რიცხვი გაფართოვდეს.

ნ. ჟორდანია."[14]

და როცა ამას საქართველოს ლტოლვილი საჭეთმპყრობელი ძისი გაქცევიდან წლის თავზე წერდა, თვითონ საქარ-

თველოში, ანუ „საქ-ოში“, (ჟორდანიას ფორმულირებით) აჯანყება უკვე ნახევარი წლის დაწყებული იყო და დაიწყო იგი სვანეთში. მსვლელობა ამ გმირული ისტორიისა ცალკე განვიხილოთ.

ახლა ისევ პარიზს გადავინაცვლოთ, სადაც ამ მომხდარის გამო ჟორდანიამ მორიგი ეპისტოლეთი მიმართა მეორე და ვენის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთა მდივნებს — ადლერსა და მაკდონალდს და ასეთი დეპეშა გაუგზავნა:

„გასულ ზაფხულს, დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში, სვანეთში მცხოვრებლებმა გარეკეს რევკომები და დაამყარეს დემოკრატიული მმართველობა. სექტემბერში აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი რუსის ჯარები დამარცხებულ იქნენ და სვანებმა მას შემდეგ შეინარჩუნეს თავისუფლება. ნოემბერში აჯანყებულებმა გაუგზავნეს ბოლშევიკურ მთავრობას თბილისში დელეგაცია, რომლის პირითაც მოითხოვდნენ საოკუპაციო ჯარების ევაკუაციას და ქართველი ხალხისათვის მთავრობის თავისუფლად არჩევის უფლების აღდგენას. ბოლშევიკებმა უკუაგდეს ეს მოთხოვნილებები. მაშინ სვანებმა გაამაგრეს თავიანთი საზღვრები და დაუკეტეს გზა ბოლშევიკებს. მარტში რუსის ჯარებმა დაიწყეს შეტევა სვანეთის წინააღმდეგ ოთხი მიმართულებით: ორი მიმართულებით ჩრდილოეთიდან (რუსეთის მხრით) და სამხრეთიდან (ქუთაისის მხრით).

ომი გრძელდება ხან ერთის და ხან მეორე მხარის წარმატებით. აჯანყება ფართოვდება, ედება აგრეთვე მეზობელ რაიონებს, რაჭას და ლეჩხუმს. აჯანყებულებმა, პარლამენტიორების პირით, განაახლეს მოთხოვნილება საქართველოს ოკუპაციის მოხსნის შესახებ და წინადადება მისცეს მტერს ტყვეების გაცვლის შესახებ, — აღუთქვეს თითოეულ აჯანყებულში სამი რუსის ჯარისკაცის მიცემა. ოკუპანტები უარს ამბობენ ყოველივე მოლაპარაკებაზე. აგროვებენ ჯარებს დასავლეთ საქართველოში და აორკეცებენ რეპრესიებს მშვიდობიან მცხოვრებლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით გურიის მხარეში. ხალხის აღელვება უკიდურეს წერტილს აღწევს და ეს ბადებს საერთო კატასტროფის საშიშროებას. გთხოვთ საჩქაროდ მიიღოთ ზომები სისხლისღვრის შესაჩე-

რებლად, მოუწოდოთ მოსკოვს დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამხედრო მოქმედება, ჩამოაგდოს დროებითი ზავი და მიიღოს სამივე ინტერნაციონალების შუამავლობა კონფლიქტის სალიკვიდაციოდ. გთხოვთ დაუყოვნებლივ დააყენოთ ეს კითხვა ცხრათა კომისიაში.

ნოე ჟორდანია."[15]

მეორე ინტერნაციონალის კომიტეტმაც ჟორდანიას ამ მიმართვის მიღებისთანავე დეპეშით გადასცა მოსკოვს კატეგორიული მოთხოვნა, შეწყვეტილიყო შეტევები ქართველ ინსურგენტებზე მანამ, სანამ საქართველო-რუსეთს შორის ამტყდარ ამ ამბებზე თავის გადამწყვეტ სიტყვას არ იტყოდა სამივე ინტერნაციონალის კომისია – 9 კაცის შემადგენლობით.[16]

იმავე ხანებში ნოე ჟორდანიამ ადამიანის უფლებათა ლიგის პრეზიდენტსაც გაუგზავნა წერილი:

„ბატონო პრეზიდენტო!

როცა საქართველოს ტერიტორიას საბჭოთა ჯარები შემოესია – ადამიანის უფლებათა ლიგამ დაუყოვნებლივ აღიმაღლა ხმა ამ აქტის გამო მოსკოვის დამპყრობელთა წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ; როცა შემდეგ საქართველოს ხალხი, თავდამსხმელთა უღელქვეშ მოქცეული, მწარეთ გმინავდა მისი სიმძიმისაგან, ლიგის ბიულეტენის ფურცლებზე ჩვენ არაერთხელ ამოგვიკითხავს მჭერმეტყველური სიტყვები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ლიგას სრულიადაც არ აქვს სურვილი გულგრილი მაყურებელი იყოს იმის, თუ როგორ აღრჩობს პატარა ერს დიდი მეზობელი.

და მე დარწმუნებული ვარ, რომ ლიგა, როგორც გამომხატველი საფრანგეთის დემოკრატიის მისწრაფების, უარს არ იტყვის მხარი დაუჭიროს პატარა საქართველოს ხალხს სწორეთ მაშინ, როცა მისი საკითხი შედის გადაჭრის ფაზაში. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ახლო მომავალში იკრიბება საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც უნდა გაარკვიოს ქვეყნებს შორის კომერციულ ურთიერთობის განახლებისა და ევროპის ეკონომიურათ აღდგენის საკითხი.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რომლის ჯარებს დაკავებული აქვს დღეს საქართველო, მოწვეულ იქნა ამ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად და უმაღლესმა საბჭომ, კანნაში შეკრებილმა, გარკვეულად შემოხაზა პირობები ამ მთავრობის ოფიციალურათ ცნობის.

მე-6 მუხლი ამ პირობისა უთითებს რუსეთის „მოვალეობაზე თავი შეიკავოს მეზობელ სახელმწიფოების მიმართ ყოველივე აგრესიული ნაბიჯისაგან.“

გამოუცნობელი იქნება ეს პირობა საქართველოს მიმართ?

აიძულებენ ჩვენი ქვეყნის დამპყრობთ გაიყვანონ საქართველოდან თავისი ჯარები და ისევ საშუალება მისცენ ჩვენს ხალხს თვით განაგოს თავისი ბედი?

აი ეს არის საკითხი, საერთაშორისო შეგნების, რადგან მხოლოდ ხალხთა შეგნებას შეუძლია გადასჭრას, დასაშვებია თუ არა განათლებული კაცობრიობისთვის იარაღით ხელში შელახვა ადამიანის და ერის უფლებებისა!

თქვენ გეცოდინებათ დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსი. ხალხის დამოუკიდებლობა ფაქტიურათ მოსპობილია, დამფუძნებელი კრება და ადგილობრივი თვითმმართველობანი გარეკილია, პოლიტიკური თავისუფლება გაუქმებულია, სატუსაღოები კი სავსეა — საუკეთესო მოქალაქეებით, განსაკუთრებით სოციალისტებით; მუშები და გლეხები კატორღულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნული, ეკონომიური ცხოვრება მოშლილია. ერთი სიტყვით, აი ასეთია საშინელება ბარბაროსული დესპოტიზმისა და შიმშილობისა ჩვენს ქვეყანაში. აი ასეთია შედეგი რუსეთის ოკუპაციისა საქართველოში.

და ეს ტანჯვა რომელსაც განიცდის ჩვენი ხალხი შემოსეულ ოკუპანტებისაგან, განა შეიძლება საერთაშორისო ურთიერთობების დროს უყურადღებოდ იქნეს დატოვებული იმათგან, ვინც მოწადინებულია უფლების საფუძველზე დაამყაროს საერთაშორისო ურთიერთობა.

ჩვენ გვინდა, ჩვენ ვთხოულობთ, რომ საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანა წამოყენებულ იქნეს ევროპის მთავრობების მიერ, როგორც წინასწარი პირობა მოსკოვის მთავრობის ცნობისა. და ჩვენ გთხოვთ, ბ-ნო პრეზიდენტო,

რომ ადამიანის უფლებათა ლიგის მთელი ავტორიტეტი და მორალური ძალა მოახმაროთ საქართველოს სამართლიანი მოთხოვნილების დაცვას.

მიიღეთ ბ-ნო პრეზიდენტო ჩემი უღრმესი პატივისცემა.

ნ. ჟორდანია."[17]

ამ საჩივარსაც პასუხად სხვა არაფერი მოჰყოლია, ფარატინა „ხმის ამაღლების" გარდა.

იმხანად გენუაში მყოფმა ჩიჩერინმა კი, ჩვეული რუსული ჟესტით, ანუ სირცხვილის სრული გამორიცხვით კატეგორიულად უარყო საქართველოში მიმდინარე რეალური მოვლენები, — რომ თითქოს იქ, არც სვანეთში, და არც სხვაგან მთელს საქართველოში არ მომხდარა არავითარი შეტაკება, არ დაქცეულა სისხლის არც ერთი წვეთი, არ არსებობს არავითარი ძალმომრეობა, არის მხოლოდ „ძმობა, ერთობა, თავისუფლება" და სხვ.

ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება, მართალია, ჩიჩერინისამებრ დიდხანს ჯიუტად უარყოფდა ომის გზით საქართველოს დაპყრობის ფაქტს, მაგრამ, უთუოდ საინტერესოა, რომ ეს საკითხი ბოლშევიკთა შორის პირველად სავაროდ აღიარა კარლ რადეკმა 1922 წლის აპრილში — სამი ინტერნაციონალის (მეორე, ორნახევარი და მესამე) ბერლინის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე: როდესაც ემილ ვანდერველდემ და რამზეი მაკდონალდმა ბოლშევიკებისაგან ოფიციალურად მოითხოვეს საქართველოს გათავისუფლება, რადეკმა დაუფარავად განაცხადა, რომ მათ დაარღვიეს საზავო ხელშეკრულება საქართველოსთან და ამ ქვეყანას ომის საშუალებით დაეპატრონენ, რადგან საბჭოთა რუსეთს ნავთობი სჭირდებაო და სხვა...

საერთაშორისო დემოკრატიის იმავე მოთხოვნაზე კი ლევ ტროცკიმ, იმავე პერიოდში, სიტყვასიტყვით ასე უპასუხა: „ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავტოვოთ საქართველო, მაგრამ თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ იგი, მაშინ, სანამ დავტოვებთ მას, ისე გავივჭახუნებთ კარს, რომ საქართველოდან არაფერი, ერთი აგურიც კი აღარ დარჩება."[18]

საისტორიო წყაროები გვაუწყებენ, რომ 1922 წლის მარტის ბოლოს საქართველოში ჩამოსულა ავსტრიის

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს „არბაიტერ ცაიტუნგ"-ის რედაქტორი იულიუს ბრაუნტალი, რომელსაც ამსტერდამის პროფესიული ინტერნაციონალის ბიურომ დააკალა ევროპელი მუშების ფულით ნაყიდი წამლები გადაეცა ქართველი ხალხისათვის. ამ დავალების შესრულების შემდეგ ბრაუნტალი რამდენიმე კვირა დარჩა საქართველოში, უკან დაბრუნებისთანავე ზემოხსენებულ გაზეთში მოათავსა სერიალი წერილებისა, რომელშიც დაუფარავად ამხელდა ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკების ბოროტმოქმედებას და მათ ანტიხალხურ ბუნებას. მოგვიანებით ეს წერილები ცალკე წიგნად გამოიცა.[19]

და ერთიც. თუმცაღა, ქრონოლოგიურად წინ ვუსწრებთ საკითხს, მაგრამ რადგან მთავარ თემას, ვფიქრობ, კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდით ისევ ვავსებ, ასეთ ისტორიულ ფაქტსაც ვაუწყებ მკითხველს:

ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს დაპყრობის საკითხის ზნეობრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები მთელი სიგრძე-სიგანით განიხილეს პარიზში, ე.წ. „მერაბიშვილის საქმის" სასამართლო პროცესზე (ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის გრ. ვეშაპელის მკვლელობის (1926 წ.) თაობაზე, რომლის შინაარსზეც, ცხადია, ამჯერად ყურადღებას არ ვამახვილებთ). თანამედროვეთა თქმით, პროცესი სამი დღის განმავლობაში იპყრობდა მთელი ქვეყნის ყურადღებას და, დემოკრატიული სასამართლოს ნიადაგზე, წარმოადგენდა ნამდვილ დუელს, მოსკოვსა და განთავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს შორის. მოსკოვის ქომაგი, ვექილი ტორესი აცხადებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფიქციაა, მოგონილი ხელისუფლების მოტრფიალე პოლიტიკოსების მიერ, რომ ბოლშევიკების მიერ წარმოებული დაპყრობითი ომი მოგონილი ოკუპაციაა, ხოლო 1924 წლის აჯანყება — მენშევიკთა ჩხირკედელაობა და სხვა. ბოლშევიკების ინტერესების დასაცავად თავგამოდებული ტორესის ყალბ არგუმენტაციას დაუპირისპირდნენ მებრძოლი საქართველოს წარმომადგენლები, რომლებმაც დაწვრილებით გააცნეს მსაჯულთ ქვეყნის ბედი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. მაგრამ საზოგადოებრივი აზრის სწორ, ობიექტურ ორიენტირებაში

დიდი როლი შეასრულა პროცესზე ორი მოწმე-დეპუტატის გამოსვლამ. ესენი იყვნენ: ბორდოს ქალაქის თავი ადრიენ მარკე და საფრანგეთის ცნობილი პარლამენტარი და დიდი ტრიბუნი პიერ რენოდელი.

— ბატონო ვექილო! ტალანტმა და ხელობამ კაცს არ უნდა ააღებინოს ხელი სინდისზე, — მიმართა პიერ რენოდელმა ტორესს და ორივე ორატორი დამსწრეთა და საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელთა ყურადღებას მიაპყრობდნენ, უწინარესად, ბოლშევიზმის, როგორც კაცობრიობისათვის საშიშ მიმდინარეობაზე, რომელმაც ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში მოკლა დემოკრატია და ხიშტებით გარეკა დამფუძნებელი კრება; დაწვრილებით მოუთხრობდნენ მსმენელთ მსოფლიო დემოკრატიული ძალების მიერ ოფიციალურად აღიარებულ საქართველოს დამოუკიდებლობასა და იმ ძალმომრეობაზე, რომელიც დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის მიმართ განახორციელა საბჭოთა რუსეთმა...[20]

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დემოკრატიული საქართველოს ემიგრირებული მთავრობა დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის გადაჭრას თავდაპირველად მხოლოდ დემოკრატიული გზით, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმებით ფიქრობდა. მისსავე მოთხოვნის საფუძველზე, მსოფლიო დემოკრატიული ინსტიტუტები ბოლშევიკებისაგან მოითხოვდნენ შემდგარიყო საერთაშორისო კომისია, კომუნისტების წარმომადგენლობის ჩათვლით, რომელიც გაემგზავრებოდა საქართველოში და მოაწყობდა რეფერენდუმს, ქართველი ხალხის ნამდვილი ნება-სურვილის გამოსახატავად, რის თაობაზეც 1921 წლის 13 სექტემბერს ოფიციალური წერილით მიმართეს მოსკოვს.

სარეფერენდუმო კომისიის მოწყობაზე კატეგორიული უარით უპასუხა საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებამ.

დემოკრატიული ინსტიტუტების, დემოკრატიული საქართველოს მთავრობის ბრძოლის პერიპეტიები საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად ჯერ კიდევ წინ იყო.

§4

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უფლებრივი დაცვის ზრუნვისათვის ერთ-ერთი უპირველესი მუშაობა ქართულმა დიპლომატიურმა სამსახურმა გასწია.

ჯერ კიდევ საქართველოში ეროვნული მთავრობის მოღვაწეობის დროს, რესპუბლიკის დიპლომატიური მუშაობა განისაზღვრა როგორც ერთიანი სამსახური, რომელსაც სათავეში უნდა სდგომოდა ერთი პირი, სახელდობრ, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში (აკაკი ჩხენკელი). ამიტომაც, უკანასკნელს მიეცა რწმუნების სიგელი არა მხოლოდ პარიზისათვის, არამედ ლონდონისა და რომისათვის; მასვე ევალებოდა დიპლომატიური მუშაობის ხელმძღვანელობა ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც.

საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში ჩავიდა 1921 წლის 13 თებერვალს, როდესაც საბჭოთა რუსეთის თავდასხმა საქართველოზე დაწყებული იყო, ხოლო რწმუნების სიგელი საფრანგეთის პრეზიდენტს წარედგინა 25 თებერვალს.[21]

მაშ, 1921 წლის 25 თებერვალს, იმ დღეს, როდესაც ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარი თბილისში შედიოდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი პარიზში – აკაკი ჩხენკელი ოფიციალური მხლებლებითურთ ელისეს სასახლისაკენ მიემართებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის – მილიერანისადმი რწმუნებათა სიგელის გადასაცემად.

„მილიერანმა ძალიან კარგად იცოდა ეს ჩვენი უბედურება და სწორედ ჩვენ მიგვიღო, რომ ამით ერთგვარი პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დაპყრობის გამო...“ მოიგონებს შემდგომ ამას ს. ასათიანი.

მახსოვს ბ-ნი ფუკიერის (ელჩების წარმდგენი, პროტოკოლის შეფი, რა თქმა უნდა, მინისტრის ხარისხით) მოსვლა ჩვენს ბინაზე (44 ავენიუ ვიქტორ ჰიუგო).

მთელი ქუჩა გაკავებული იყო. ჩავსხედით ორ საგანგებო ეტლში; პირველში საქართველოს ელჩი აკაკი ჩხენკელი და თვითონ ფუკიერი; მეორეში — ბ-ნი მიხეილ სუმბათაშვილი და მე; გაგვატარეს ელისეს მინდვრების პროსპექტი; რა თქმა უნდა, ეს ვეებერთელა პროსპექტიც გაკავებული იყო. ჩვენ ეტლებს აქეთ-იქით მთელი ესკადრონი მოყვებოდა.

რამდენადაც ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო...

ასეთი დიდი ამბით საფრანგეთის პრეზიდენტთან მიყვანილი ქვეყნის წარმომადგენლობა არაფერს და არავის არ წარმოადგენდა.

ჩვენ შეგვიყვანეს დიდ დარბაზში; ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა პრეზიდენტი მილიერანიც, რომელსაც წინ უძღვოდა ფუკიერ; აღნიშნულ ადგილას ჩვენ წინ (ყველაფერი ეს პროტოკოლით არის განსაზღვრული) პრეზიდენტი გაჩერდა; ჩვენ ყველამ თავი მოვიხარეთ; პრეზიდენტმაც; ჩვენმა ელჩმა აკაკი ჩხენკელმა ამოიღო ჯიბიდან დაწერილი სიტყვა. მისი წაკითხვის შემდეგ პრეზიდენტმა უპასუხა იმავე ფორმით (ცხადია, ელჩის სიტყვის შინაარსი პრეზიდენტმა წინასწარ იცოდა. ეს ასე ხდება ყოველთვის; იმპროვიზაციას ადგილი არა აქვს) და პასუხის შემდეგ ყველას ხელი ჩამოგვართვა. რამოდენიმე სიტყვის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გამოგვემშვიდობა და ჩვენ იმავე ფორმით მიგვიყვანეს საელჩოს ბინაზე..."[22]

რამდენადაც ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო.

ვინაიდან ეროვნული მთავრობა პარიზში იმყოფებოდა, ელჩს საშუალება ჰქონდა სიტყვიერად ეძლია მისთვის ანგარიში გადადგმული ნაბიჯების შესახებ, მიეღო მისგან საჭირო დირექტივები და სხვა. ელჩი აკეთებდა მოხსენებას მთავრობისა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის თითოეულ სხდომაზე ინფორმაციის სახით. ის სწერდა სისტემატიურად საქმეების მსვლელობის შესახებ საქართველოს წარმომადგენელს სტამბულში, რომელსაც ევალებოდა

მიღებული ამბები საქართველოში გადაეგზავნა ვისთვისაც ჯერ არს.[23]

საუბედუროდ, ისტორიულმა ბედისწერამ დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოებსა და წარმომადგენლობას არ არგუნა პროფესიული ხვედრის აღსრულება, ანუ დამოუკიდებელი ქვეყნის ინტერესების გაცვლა უცხოეთში — ნორმალური მუშაობა მათი ქვეყნის სხვა ქვეყნებთან დასაახლოებლად. საუბედუროდ, მათ უხდებოდათ უმთავრესად საპროტესტო ნოტებისა და მემუარების გადაცემა უცხოეთის მთავრობებისათვის, სადაც ისინი ამხელდნენ მტრის ვერაგულ თავდასხმას, სამშობლოს აწიოკებას, გაძარცვას, მისი ერთგული შვილების წამებას. საელჩონი და წარმომადგენლობანი ცდილობდნენ, არაფერი გამოპარვოდათ ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლიდან. თითოეული ეპიზოდი ამ ბრძოლისა გამოხმაურებას პოულობდა მათ წერილობით და სიტყვიერ ნაბიჯებში. ხშირად ადვილი არ იყო ეს, რადგან მოწყვეტილნი სამშობლოს, ისინი თავის დროზე ვერ იგებდნენ ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა.

საელჩონი და წარმომადგენელნი არ უშვებდნენ არც ერთ მოხდენილ შემთხვევას, აღეძრათ საქართველოს საკითხი მთელის თავის სიგრძე-სიგანით მთავრობათა, პარლამენტებისა თუ საერთაშორისო კონფერენციების წინაშე.

გარდა დიპლომატიური მუშაობისა, საელჩონი და წარმომადგენლობანი ეწეოდნენ სხვადასხვა საქმიანობას; როგორიცაა: ქართველ ლტოლვილთა მოვლა-პატრონობა, ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის მზრუნველობა, ქართული კითხვის გაშუქება საზოგადოების წრეებში და სხვ. ისინი საკონსულოს როლსაც ასრულებდნენ, აძლევდნენ ვიზა-პასპორტებს ერთიდან მეორე სახელმწიფოში გადასასვლელად და სხვა.[24]

დავუბრუნდეთ ისევ მთავარ სათქმელს.

პარიზში ოფიციალური აკრედიტაციის შემდგომ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი (შეიძლება თამამად ითქვას — ევროპაში) გაემგზავრა ლონდონს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პრობლემებთან დაკავშირებული პირველი კონფერენციის გამო (1921 წლის თებერვალ-

მარტი), ელჩი მხოლოდ 17 მარტს მიიღო ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა – ლორდმა კერზონმა.

თუმცა, მხოლოდ ლონდონის კონფერენცია არ იყო ხელშემშლელი პირობა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ოფიციალური მიღებისა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების გამო ინგლისის ხელისუფლების დამოკიდებულების განსაზღვრისათვის. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ერთი დღით ადრე, 1921 წლის 16 მარტს, ლონდონში ხელმოწერილ იქნა ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის მიღწევისათვის ზრუნვა ლოიდ ჯორჯის მთავრობამ ჯერ კიდევ 1920 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ხელშეკრულებაში კი, გარდა წმინდა კომერციული შინაარსის პუნქტებისა, იყო განსაკუთრებული მუხლი, რომლის ძალითაც ინგლისი თავს დაუინტერესებელ პირად აცხადებდა კავკასიის საქმეებში.[25] ეს კი, ბოლშევიკური რუსეთისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარანტი იყო კავკასიაში თავისი ექსპანსიური პოლიტიკის თამამი განხორციელებისათვის.

ამრიგად, როდესაც საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ჩავიდა ევროპაში, მსოფლიო დიდ პოლიტიკაში უკვე აშკარად იკვეთებოდა ახალი ორიენტაციის საკითხები და ლოიდ ჯორჯის მთავრობა, რომელიც ამჟამად ენერგიულად იყო დაინტერესებული რუსეთის საკითხით, მეტად გულგრილად უყურებდა საქართველოს პრობლემას, რაც მომდევნო პრაქტიკული საქმეებით დაადასტურა კიდეც. კერძოდ, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში მალევე გააუქმეს საქართველოს და კავკასიის განყოფილება, რის გამოც საქართველოს საელჩოს შემდგომ კავშირი ჰქონდა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტთან, მაგრამ მალე ესეც ჩრდილოეთის, ანუ რუსეთის დეპარტამენტს შეუერთეს, რის „წყალობითაც“ ინგლისის ოფიციალურ წრეებში ვრცელდებოდა საქართველოს ეროვნული მთავრობის საწინააღმდეგო აზრი.

საქართველოს საელჩოს აკრედიტაცია რომში მხოლოდ 1921 წლის აპრილში მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ იტალია, რომელიც იმთავითვე დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, ამჟა-

მად ინგლისის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. და მართალია ლონდონსა და რომში იმხანად გაიხსნა საქართველოს საელჩოები, მაგრამ იმდენად შეკვეცილი უფლებებით, რომ სრულუფლებიანი ელჩიც კი არ იყო შეტანილი ამ ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის სიებში. აკრედიტაციის ყველა მიღებული წესის შესრულება და ელჩის დიპლომატიური კორპუსის ნამდვილ წევრად ჩარიცხვა მხოლოდ პარიზში მოხერხდა.

რაც შეეხება ბერლინს, აქ პარიზზე ადრე გაიხსნა საქართველოს საელჩო, მაგრამ, ვინაიდან თბილისიდან იმთავითვე არ გაგზავნილა სათანადო რწმუნების ოფიციალური სიგელი, მას ჯერ კიდევ 1919 წელს აქ დატოვებული წარმომადგენელი განაგებდა, ფორმალური აკრედიტაციის შეუსრულებლად.[26]

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა არსებობდა, აგრეთვე, სტამბულში, ხოლო არაოფიციალური წარმომადგენლობა ჟენევაში (ერთა ლიგა) და ვარშავაში.

1921 წლის შემოდგომაზე კი, სრულუფლებიანი ელჩის მანდატით, ამერიკის შეერთებულ შტატებს გაიგზავნა ზურაბ ავალიშვილი სამგვარი დავალებით: — დიპლომატიურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-პროპაგანდისტული და პრაქტიკულ-ეკონომიკური მიმართულებებით.[27] მაგრამ, „...მეშინია, რომ ყველა ეს ნაბიჯები დაგვიანებულია. ეს უნდა მომხდარიყო ორი წლის წინათ.“[28] — ლტოლვილ მთავრობას 1922 წლის იანვარში ასეთ წერილს მისწერს გულგატეხილი და ხელჩაქნეული ზურაბ ავალიშვილი.

„საქართველოს მთავრობის და საქართველოს ლეგაციის მემორანდუმებმა და თხოვნებმა, ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო კონგრესისა და მრავალ სხვა საზოგადოებათა რეზოლუციებმა საქართველოსთვის ამ უბედურ, 1921 წელს ვერ დააძვრევინეს ენა ერთა ლიგას — მან ყრუდ ჩაუარა ისეთ აღმაშფოთებელ მოვლენას, როგორიც იყო საერთაშორისო ხელშეკრულების აშკარა და უმიზეზო დარღვევა და დიდის ერისაგან პატარა ერის ცინიკურის ძალმომრეობით მოსპობა.“[29] — ამ სიტყვებს კიდევ უფრო ხელჩაქნეული დაწერს მოგვიანებით ივანე ზურაბიშვილი.

და მაინც, რამ გამოიწვია ასეთი გულგრილობა, მართალია, ომისა და ქარტეხილებისაგან დაღლილი და დანგრეული, დაშლილი და დაქუცმაცებული, მაგრამ ახალი სამშვიდობო და თითქოს უნივერსალური იმედებით სავსე ევროპისა, ანუ როგორი იყო იმჟამინდელი საერთაშორისო პირობები?!

სავარაუდოა, რომ სხვა პოლიტიკურ შიდადინებებთან ერთად, ყოველივე ეს ძირითადად განაპირობა იმჟამინდელმა ურთულესმა საერთაშორისო ვითარებამ, რომელიც საქართველოს პრობლემისათვის ფრიად არახელსაყრელი იყო. და, რაც, ზოგადად, შემდეგში გამოიხატებოდა: უკანასკნელი დიდი ომის შედეგები ევროპის ეკონომიკური ცხოვრებისათვის იმდენად გამანადგურებელი აღმოჩნდა, რომ მისი აღდგენა-განახლების საკითხი თითოეული ქვეყნის დაუყოვნებლივ ზრუნვის საგანს შეადგენდა; აქედან გამომდინარე კი, წინა პლანზე წამოიწია რეპარაციის საკითხმა, რომელმაც, თანამედროვეთა აღნიშვნით, დაჩრდილა არამცთუ ქართული, არამედ გაცილებით უფრო დიდი საკითხები ევროპაში; უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის მუშაობის წარმატებას ხელს უშლიდა, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის უაღრესად გამწვავებული პრობლემა, რის გამოც იმართებოდა განუწყვეტელი საერთაშორისო თათბირები და კონფერენციები, მაგრამ ევროპისათვის სასურველი ზავი, ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ მიუღწეველი რჩებოდა; მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ანგორა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა მოსკოვს და მათი ერთმანეთისაგან გათიშვა ევროპელთა თვალში მეტად საეჭვო ხდებოდა; და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის სამი-ოთხი წლის ბატონობისა და ქვეყნის შიგნით დაპირისპირებულ ძალთა დათრგუნვის შემდეგ ევროპამ დაასკვნა, რომ ამ რეჟიმის დამხობა თვით რუს ხალხს ახლო მომავალში არ შეეძლო. ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა, რამდენადმე შეგუებოდა შექმნილ მდგომარეობას და საერთო ვითარების სტაბილიზაციისა და, საკუთრივ, ცალკეული ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, იწყებდა მასთან დაახლოების სრულუფლებიან პოლიტიკას.

საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი პარიზში, ლონდონსა და რომში – აკაკი ჩხენკელი ასეთ განმარტებას მისცემს გაზეთ „თავისუფალ საქართველოს“ კორესპონდენტთან საუბარისას:

„საქართველოს საკითხი საერთაშორისო საკითხია, და ის ვერ გახდება... რუსეთის შინაურ საკითხად; ეს არა მარტო იმიტომ, რომ ასე აზროვნებენ ამა თუ იმ ქვეყნის ოფიციალური წრეები, არამედ იმიტომ, რომ თვით საერთაშორისო კონიუნქტურა, თვით საქმეთა მსვლელობა მოითხოვს ამას... თუნდაც ჩვენი დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა, სხვა რომ არა იყოს რა, ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ ამ წრეებმა... მე მესმის ის მოუთმენლობა, რომელსაც შეუპყრია ქართველი ერი მისი საკითხის საერთაშორისო ოფიციალურ კონფერენციაზე დაუსმელობის გამო... მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს საკითხი ერთად ერთი არაა, ის არ არის ერთი უმთავრესთაგანიც, რომელიც იპყრობს დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას... რუსეთის საკითხიც არ ყოფილა ჯერ მთელი სიგრძე-სიგანით დასმული საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე. რუსეთის მდგომარეობაშია ახლო აღმოსავლეთის საკითხიც... რომელიც, უეჭველია, საზავო მოლაპარაკებით დამთავრდება ახლო მომავალში... და მაშინ თავის თავად დაისმება ჩვენი საკითხიც, – ვინაიდან შეუძლებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა ახლო აღმოსავლეთში, თუ კავკასიის რესპუბლიკათა საქმეები მოუწესრიგებელი იქნა.“30

კავკასიის პრობლემა, ამ დროისათვის, მართლაც საყურადღებოდ რჩებოდა საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც, უცილობლივ, განპირობებული იყო მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით. არსებული და მოსალოდნელი პერსპექტივები ევროპისათვის აშკარად არასახარბიელო იყო. და ქართულ დიპლომატიასაც სჯეროდა, რომ ევროპა სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულებით წარმართავდა აქტიურ პოლიტიკას.

და ამ მიმართულებით, საერთო მიზანდასახულობის – რუსეთის უღლის გადასაგდებად ბრძოლის ერთიანი ბლოკის შესაქმნელად თავიდანვე უწარმოებიათ მუშაობა ემიგრაციაში

გახიზნულ კავკასიურ ეროენულ მთავრობებს. სახელდობრ, 1921 წლის 8 მაისს პარიზში, აზერბაიჯანელ ემიგრანტთა შტაბ-ბინაში, თავი მოუყრიათ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებს.

ესწრებოდნენ:

1. საქართველოსგან — ე. გეგეჭკორი, ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარაშვილი და მ. სუმბატოვი (მიხეილ სუმბათაშვილი. ნ.კ.);

2. აზერბაიჯანისაგან — ა. შეიხ-ულ-ისლამოვი, მ. მაგერამოვი და ალ. თოფჩიბაშევი;

3. სომხეთისაგან — ა. აგარონიანი, ა. ხატისიანი და ნ. ბეკზადიანი;

4. ჩრდილო-კავკასიისაგან — ა. ჩერმოევი.

სხდომას თავმჯდომარეობდა მასპინძელთაგან — ა. თოფჩიბაშევი.

ეს იყო წინასწარი თათბირი, საერთო გზების დასახვა, მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური გააზრებებით. ხოლო საბოლოოდ შეთანხმდნენ და შეთანხმებასაც ხელი მოაწერეს იმავე წლის 10 ივნისს.[31]

კავკასიელმა მოკავშირეებმა თავისი ახლად მიღებული ხელშეკრულება მაშინვე გაუგზავნეს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბრიანს. თანაც იქვე, ცალკე მოხსენებითი ბარათით საფრანგეთის წინამძღოლს აღუწერდნენ მისი ქვეყნისთვის დამაინტერესებელ მომგებიანობას და სარფიანობას კავკასიაში, მის გეოგრაფიულ მდებარეობას აზია-ევროპის გზაკვანძზე, მის ბუნებრივ სიმდიდრეებს. იქვე ეწერა: „თანხლებულ მოხსენებით ბარათში აღნიშნული ქვეყნის რესურსების ექსპლუატაციისათვის უცხოური კაპიტალით, ცოდნითა და გამოცდილებით დახმარება არა მარტო ზეგავლენას მოახდენს კავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებაზე, არამედ იმის საშუალებასაც მისცემს კავკასიის მოკავშირე რესპუბლიკებს, რომ მათ შეასრულონ ის ვალდებულებანი, რომლებიც მათ ყოფილი რუსეთის იმპერიის ვალების გაყოფისას შეხვდებათ.“[32]

ბრიანი კავკასიელთა წარდგინებით ძალიანაც დაინტერესებულა და მინისტრ ლუშერისათვის დაუვალებია, მოლაპარაკებოდა მოხსენებითი ბარათის ავტორებს და, 1921

წლის 7 ნოემბერს ფრანგი მინისტრი კიდევაც შეხვდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებს.

ქართველთა მხრიდან წარდგენილი ყოფილა აკაკი ჩხენკელი, რომელსაც ლუშერისათვის უთქვამს:

„ჩვენ დიდად მადლიერი ვართ იმ ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენი განცხადებისათვის და უწინარეს ყოვლისა თქვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ თუმცა ჩვენი ქვეყნები ბოლშევიკთა და ქემალისტთა ძალების მიერ ოკუპირებულნი არიან, არავითარ შემთხვევაში ბოლშევიკური მთავრობის ბატონობა მოსახლეობის სიმპათიებს კი არა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხიშტების ტლანქ ძალას ემყარება. ეჭვი არ არის, რომ უკეთუ საფრანგეთის მხრივ ჩვენი ხალხებისადმი დახმარება და კეთილმოსურნე დამოკიდებულება იქნა, ეროვნული მთავრობები კვლავ სათავეში ჩაუდგებიან თავიანთ ხალხებს. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ხალხები და მმართველობის ფორმები ღრმად დემოკრატიულია და ამოცანადაც გონივრულ დემოკრატიას და სოციალიზმს ისახავენ; მაგრამ კერძო საკუთრების პრინციპს, უცხოელთა უფლებებს პატივს სცემენ და თანახმანი არიან ცნონ რუსეთის ვალების ის ნაწილი, რომლებიც კავკასიის რესპუბლიკებს ეკისრებათ და მათი წილხვდომილი სხვა საერთაშორისო ვალდებულებანი.“[33]

ჩხენკელის ამ განცხადების პასუხად ლუშერმა პირდაპირ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება:

„ჩვენს წინაშეა საკითხთა სამი ჯგუფი: 1). რა სახის დახმარებას მოელიან საფრანგეთისაგან კავკასიის ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენლები კანონიერი და ხალხისათვის სასურველი ხელისუფლების დამყარების საქმეში — ფულისა, იარაღისა და აღჭურვილობათა მხრივ; 2). რით შეუძლია საფრანგეთს დაეხმაროს კავკასიის რესპუბლიკებს ბოლშევიკებისგან მათი განთავისუფლების პირველ ხანებში კულტურულ-სამრეწველო აღორძინებისათვის, მეტადრე ისეთი ღონისძიებებისათვის, როგორიცაა გზები, ოთხივე რესპუბლიკისათვის ერთნაირი სამონეტო სისტემის საემისიო ბანკი, ნავთობგამტარები და ბუნებრივი სიმდიდრის

დაუყოვნებლივი ექსპლუატაცია; ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ საფრანგეთს დახმარება შეუძლია უმთავრესად მასალით, იარაღითა და ნაწილობრივ ფულით, ოღონდ ვფიქრობთ 1 000 000 ფრანკით, მეტით არა; და 3). რა კომპენსაცია და რა ფასეულობანი შეუძლიათ კავკასიის რესპუბლიკებს მოგვცენ ვალუტითა და ნედლი მასალით, მინერალებისა და საერთოდ სხვა პროდუქტების სახით იმ დახმარებისათვის, რომელსაც საფრანგეთი გაუწევს კავკასიის რესპუბლიკებს.“[34]

ასე რომ, — ფრანგმა მინისტრმა საკითხი დასვა ფრიად ნათლად, საქმიანად და არა წყალწყალა ფორმალური აღთქმებით, ყალბი თავგამოდებით და სხვა მისთანათი.

კავკასიელმა წარმომადგენლებმაც ლუშერს მაშინვე პირობა მისცეს, დაუყოვნებლივ შექმნიდნენ საგანგებო, სპეციალურ კომისიებს, რომელთა საშუალებით დეტალურად დაამუშავებდნენ და დააზუსტებდნენ — სად, როგორ და როდის — რა და რამდენი იქნებოდა საჭირო, და ამის მიხედვით წარუდგენდნენ ყოველ თხოვნას და შუამდგომლობას.

მართლაც და, კავკასიელებმა ორ დღეში — 1921 წლის 9 ნოემბერს — საგანგებო თათბირზე ხელახლა იმსჯელეს და ყველა ასპექტით განსაზღვრებისა, გათვლისა და დამტკიცებისათვის შექმნეს ოთხი კომისია: სამხედრო, საფინანსო-ეკონომიკური, ნავთობმრეწველობის და გზათა კომისია.

ცალკეულად ყველა ამ კომისიაში, ბუნებრივად, შედიოდნენ ოთხივე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ყველას დაასწრო სამხედრო კომისიამ, რომელიც 16 ნოემბერს წარსდგა მოხსენებით რესპუბლიკების საერთო წარმომადგენლობითი თათბირის წინაშე.

და აქ, ამ თათბირზე, დაწვრილებით განიხილეს და გააანალიზეს მოსალოდნელი კავკასიური ომის ყველა ასპექტი — საომარი აპარატისა და საჯარისო ფორმირებათა ორგანიზაციული საკითხები, საბიუჯეტო მხარეები, საბჭოთა ოკუპაციის უკუსაგდები ყოველი საშუალება, განსაზღვრეს, აჯანყების სამეთაურო კადრი, არანაკლებ 2700 კაცით, რომელიც კავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიაზე უნდა

დაეკომპლექტებინათ არალეგალურად და კადრი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აჯანყებულთა მრავალათასიან არმიად უნდა გადაქცეულიყო. იქვე გადაწყდა იარაღის შეძენისა და კავკასიაში ფარულად გაგზავნის საქმე და, კიდევ სხვა, ომთან დაკავშირებული ზედმეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები.[35]

თათბირმა იქვე გადაწყვიტა, რომ კავკასიურ სამხედრო საქმეთა შტაბის მთავარი სამყოფელი — რეზიდენცია უნდა ყოფილიყო პარიზში, ხოლო საერთო ხელმძღვანელობის ბირთვი — მოქმედების თეატრთან, ე.ი. კავკასიასთან რაც შეიძლება ახლოს.

დასასრულ, ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენელმა, ჩერმოევმა ასე მიმართა თათბირის შემადგენლობას: სამხედრო კომისიის მუშაობა უმკაცრეს საიდუმლოებას გვავალებს, მით უფრო ჩვენს პირობებში, რადგან თუ ყველაფერი გამჟღავნდა, ჩვენს ხალხებს თავს დაატყდებათ საშინელი რეპრესიები და, ამას გარდა, მესამე მხარესაც, ანუ ჩვენი დახმარების მოსურნეებსაც დიდი უსიამოვნება შეხვდებათ; ამიტომ სამხედრო კომისიას მოვუწოდებ, მიღებული იქნას ყოველი ზომა აბსოლუტური საიდუმლოს დასაცავად.

ასეთად წარმოგვიდგება ზოგადად, მაშინ დაბადებული, თუ საისტორიო მკვდრეთით აღმდგარი „კავკასიური სახლის“ ლანდი თეითონ კავკასიიდან შორს, დასავლეთში.

დამატებით, — ისევ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ბრიანის რჩევით, კავკასიელმა მოკავშირეებმა ურთიერთობა გააბეს კავკასიით დაინტერესებულ ფრანგ ფინანსისტებთან, კაპიტალისტებთან, ბანკირებთან და სხვა კერძო მწარმოებლებთან.

იდეა — იდეად.

სურვილი — სურვილად.

მაგრამ მოვლენები, სამწუხაროდ, სხვაგვარად განვითარდა.

§5
საერთაშორისო კონფერენციები და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი

და გაიმართა ყველასთვის იმედისმომცემი საერთაშორისო კონფერენციებიც.

თავდაპირველად, 1922 წლის 6-13 იანვარს, საფრანგეთის ქალაქ კანში შეიყარნენ ანტანტის უმაღლესი საბჭოს წევრი ქვეყნები, სადაც ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკური და ფინანსური საკითხებისადმი მიძღვნილ გენუის მომავალი კონფერენციის გამართვის შესახებ იმსჯელეს.

კონფერენციის ყურადღება რამდენიმეგზის მიიპყრო საქართველოს საკითხმა. კერძოდ: ევროპული თათბირის დაწყების წინ, 5 იანვარს, კავკასიის ერების სახელით, ანტანტის უმაღლეს საბჭოს საგანგებო ნოტით მიმართეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა (ნოტას შესაბამისად ხელს აწერდნენ: ჩხენკელი, აგარონიანი, თოფჩიბაშევი, ჩერმოევი), რომლებიც მოითხოვდნენ კავკასიის რესპუბლიკების ეროვნული მთავრობების დაშვებას გენუის კონფერენციაზე და სთავაზობდნენ ამ ქვეყნების ფართო მონაწილეობას ევროპის ეკონომიკური აღდგენის საქმეში იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ძალისხმევით აღდგენილი იქნებოდა ამ ქვეყნების სამართლიანი უფლებები.

6 იანვარს კი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა მთავრობამ წარუდგინა უმაღლეს საბჭოს ნოტა, რითაც მათი ყურადღება მიაპყრო საქართველოში არსებულ რეალურ პოლიტიკურ ვითარებას და მოითხოვა, რომ მომავალ კონფერენციაზე, საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გარკვევის დროს, იმ პირობებს შორის, რომელსაც წარუდგენდნენ საბჭოთა მთავრობას საერთაშორისო საქმეებში მისდამი ლოიალობის უზრუნველსაყოფად, დაურთონ, აგრეთვე, ერთი მუხლი, კერძოდ — ოფიციალური მოსკოვის ვალდებულება — გაიყვანოს თავისი ჯარი საქართველოდან და ამით აღუდგინოს ქართველ ერს თავისი სამართლებრივი უფლება.

ნოტაში, რომელსაც ხელს აწერს ნოე ჟორდანია, გამოთქმულია ღრმა რწმენა იმისა, რომ საქართველოს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება, რადგან „მის სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მარტო უფლება ქართველი ერის, რომელიც ასე მხეცურად გასთელეს ფეხქვეშ ბოლშევიკებმა, არა მარტო პრინციპები საერთაშორისო სამართლისა, არამედ, აგრეთვე, თვით ინტერესები საყოველთაო მშვიდობიანობისა, რომელიც არ შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს მანამ, სანამ დიდ იმპერიალისტურ მეზობელს შესაძლებლობა ექნება პატარა მშვიდობიანი სახელმწიფო იარაღით დაიპყროს და ამის გამო განათლებული სახელმწიფოებისგან ერთსულოვან პროტესტს არ მიიღებს.“[36]

ამავე კონფერენციის ეკონომიკურ კომისიას გადაეცა საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის ნოტა – საქართველოს აღდგენის განსაკუთრებული პირობების შესახებ.

შედეგი: კანის ევროპულმა თათბირმა მიიღო რეზოლუცია – „გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო პირობების შესახებ“, რომლის მე-6 მუხლი განსაზღვრავს, რომ „ეს სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ხელი აიღონ თავიანთი მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიული ნაბიჯების გადადგმაზე.“[37] ეს წინა პირობა, საქართველოსთვის საშური და მისაღები, ქაღალდზე დარჩა. ამით არაფერი შეიცვალა. იმავე ევროპული თათბირის მოთავეებმა ბევრი იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ საქართველო გენუის კონფერენციაზე არ მოეწვიათ იმის მიზეზით, რომ იგი აზიაში მდებარეობსო, ხოლო მომავალი დიდი კონფერენცია მხოლოდ ევროპული სახელმწიფოების (იაპონიისა და აშშ-ის მონაწილეობით) ურთიერთობებს განიხილავდა.

ცოტა მოგვიანებით ევროპის ყველაენოვან გაზეთში დაიბეჭდება რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის – გიორგი ჩიჩერინის ნოტა, რომელშიც, სხვათა შორის, აღინიშნება ცნობა იმის თაობაზეც, რომ რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატთა

შორის, გენუის კონფერენციაზე დასასწრებად ჩარიცხულია ბუდუ მდივანი.

მაშასადამე, ევროპის დიდი ქვეყნების საჭეთმპყრობელებმა უკან წაიღეს ნათათბირევიც და გადაწყვეტილებაც, რის გამოც ახლა პარიზში შეიყარა „ყველა ქართველი". შეკრების მთელი მსვლელობა და შინაარსი მეორე დღესვე დაისტამბა ფრანგულ ჟურნალ „ტანში", ხოლო ამ ინფორმაციის ქართული ვარიანტი — იქვე, პარიზში გამომავალ გაზეთ „თავისუფალ საქართველოში".

ქართველთა ამ საპროტესტო შეკრებას თავმჯდომარეობდა ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი.

კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება, რომ:

„1. გენუის კონფერენციის მიზანი — ზავი და ეკონომიკური აღდგენა ევროპისა, აუცილებლად მოითხოვს კავკასიის ერთა ნაციონალური უფლებების აღდგენას.

2. საქართველო, რომელიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და დღეს იურიდიულად არის ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, უნდა დაშვებულ იქნას გენუის კონფერენციაზე.

3. საბჭოთა კომისრები საქართველოში, რომელთაც მეთაურობს და თავმჯდომარეობს ბუდუ მდივანი, წარმოადგენს მხოლოდ კომუნისტურ ორგანიზაციას, რომელიც შემოვიდა საქართველოში რუსეთის საბჭოთა ჯარებთან ერთად და დღემდე განაგებს ქართველ ხალხს უცხო საოკუპაციო ჯარების საშუალებით.

ქართველი ხალხი იბრძვის ბოლშევიკების წინააღმდეგ, რასაც ამოწმებს შემდეგი გარემოებები: რომ ე.წ. საბჭოთა არჩევნებს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა (ს-დ, ს-ფ, შეერთებული ნაც. დემ.) საერთო ბოიკოტი გამოუცხადეს, მუშებმა გაფიცვებით უპასუხეს, სახალხო აჯანყებით სვანეთში და ა. შ.

4. ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად ამ კონფერენციაზე შეიძლება იყოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, დამფუძნებელი კრების მიერ არჩეული ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას

თავმჯდომარეობით, რომელიც ამჟამად იმყოფება პარიზში და სადაც საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების შეთანხმებით ხელმძღვანელობს ქვეყნის განთავისუფლების პოლიტიკას, რომელიც საშუალებას მისცემს საქართველოს მიაღწიოს თავის ისტორიულ მიზანს.“[38]

პუანკარეს კაბინეტი იმთავითვე მტრულად შეხვდა გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის მთავრობის მოწვევის საკითხს, მაგრამ, ვინაიდან ამის თაობაზე ჯერ კიდევ ბრიანის კაბინეტის დროს შეთანხმდნენ, იძულებული გახდა, დელეგაცია გაეგზავნა გენუას.

მანამდე კი, 1922 წლის 1 აპრილს, საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა საგანგებო სიტყვა წარმოთქვა პარლამენტში, რომლის ერთი ნაწილი შეეხო კავკასიის რესპუბლიკებს და, კონკრეტულად, საქართველოს. იგი აღნიშნავდა, რომ არ ცნობს რუსეთის ძალმომრეობას ამ ქვეყანაზე. „თავისთავად ცხადია, რომ, რადგან იურიდიულად ცნობილ საქართველოს არ მიეცა შესაძლებლობა გენუის კონფერენციაზე დასწრებისა, ჩვენ უფრო მეტი საბუთი გვაქვს ჩავთვალოთ, და ეს ჩვენ მტკიცედ განვაცხადეთ, რომ რუსეთს არა აქვს უფლება თვით იყოს წარმომადგენელი გენუის კონფერენციაზე იმ სახელმწიფოებისა... რომელთაც ის იპყრობს ძალმომრეობის საშუალებით“[39] — განაცხადა რაიმონ პუანკარემ, რასაც პარლამენტართა უმრავლესობის მხარდაჭერა მოჰყვა.

აქვე დავსძენთ, რომ საფრანგეთის მთავრობა განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას იჩენდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობისადმი და საქართველოს საკითხისადმი, საერთოდ.

ისტორიკოსმა არ შეიძლება დაივიწყოს საფრანგეთის პარლამენტის 1922 წლის 22 აპრილის სხდომა, როდესაც რადიკალ-სოციალისტური პარტიის მეთაურმა, ბატონმა ერიომ, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს პუანკარეს მიმართა: — ის გარკვეული საკითხი, რომელსაც მე ვარდგენ, შემდეგი არის: საქართველოს სუვერენიტეტი თვით რუსეთმა იცნო იმ ხელშეკრულებით, რომელიც არავითარ ეჭვს არ იწვევს. მე ვთხოვ ბატონ მთავრობის თავმჯდომარეს, კეთილ ინებოს და განაცხადოს, რომ მისი მთავრობა

კვლავინდებურად კეთილგანწყობილია ამ დამოუკიდებლობისადმი, საფრანგეთის სახელით ამისი თქმა, იმ საფრანგეთისა, რომელსაც ღვაწლი მიუძღვის პოლონეთისა და ჩეხეთის დამოუკიდებლობათა დამკვიდრებაში, ჩვენ ნებას მოგვცემს ნუგეში ვცეთ ამ უბედურ ჩაგრულ ერსო.

საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარის, პუანკარეს პასუხიც გარკვეული იყო:

პატივცემულმა ბატონმა ერიომ მხოლოდ ის გამოთქვა, რაც თვით მთავრობას ჰქონდა აზრად და რაც უკვე მრავალჯერ სმენია ჩვენგან საქართველოს სახელმწიფოს. საფრანგეთის მთავრობა სცნობს საქართველოს მთავრობას. ამ მთავრობას ჰყავს მისი საკუთარი წარმომადგენელი პარიზში და ეს წარმომადგენელი კე-დორსე-ში მისვლა-მიღების უფლებით არის აღჭურვილიო.[40]

ჯერ კიდევ ახლო აღმოსავლეთის პრობლემებთან დაკავშირებულ სამშვიდობო კამპანიის დაწყებისას (1921 წლის თებერვალ-მარტი) გამოიკვეთა საფრანგეთის პოლიტიკის ახალი ორიენტაცია ანგორის მთავრობისადმი, რასაც მოჰყვა ამ ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ოფიციალური სამთავრობო მოლაპარაკებანი პარიზში. ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკების დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა — არისტიდ ბრიანმა წამოჭრა საქართველოს საკითხიც, რასაც მოჰყვა ანგორის საგარეო საქმეთა მინისტრის — ბექირ სამი ბეის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ ოსმალეთი არ აცხადებს პრეტენზიას ბათუმზე, ბათუმის მხარესა და ართვინზე და ის მხოლოდ არტაანს თელის ოსმალეთის კუთვნილებად, მაგრამ, როგორც თავადვე აღნიშნა, ამ საკითხისათვის ანგორის მთავრობა გამონახავდა რაიმე „მოდუსს“ ორივე მხარის დასაკმაყოფილებლად,[41] რასაც მოჰყვა ბრიანის ოფიციალური წერილობითი მოთხოვნა „არტაანის მოდუსის“ შემუშავების შესახებ. ბრიანის მიერვე დაარსდა შერეული კომისია, რომელიც საგანგებოდ ეცნობოდა კავკასიის რესპუბლიკების ვითარებას, მათ საჭიროებებს და იმუშავებდა გეგმებს დასახმარებლად.

მაგრამ, ისევ ის — მაგრამ.

უფრო მოგვიანებით პუანკარეს კაბინეტი, მისი წინა-

მორბედისამებრ და მისებრაც, ენერგიულად ცდილობს ლოზანას საზავო კონფერენციაზე დაუშვან დემოკრატიული საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და დაჟინებით მოსთხოვს ინგლისსა და იტალიას ამის თაობაზე, მაგრამ შეთანხმებას ვერც ახლა მიაღწევს, თუმცა ამ კონფერენციაზე არც საბჭოთა რუსეთის მიერ ხელდასმული მთავრობა იქნება წარმოდგენილი.

1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე იტალიაში, გენუაში შეიკრიბება ევროპის 29 სახელმწიფო, დიდი ბრიტანეთის ხუთი დომინიონისა და, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. გენუის კონფერენცია იყო პირველი სერიოზული ცდა საერთო ევროპული პრობლემების მოსაწესრიგებლად. მის ინიციატორს ლოიდ ჯორჯს მიზნად ჰქონდა დასახული არა მარტო რუსეთის შეყვანა, ასე ვთქვათ, ევროპის ოჯახში, არამედ საერთო მშვიდობიანობის უზრუნველყოფაც. ამისთვის მზად იყო თვით რეპარაციის საკითხიც გადაესინჯა, რისთვისაც განიზრახა გერმანიის მოწვევაც, მაგრამ, როგორც იტყვიან, იმედები .გაუცუდდა. საფრანგეთის ახალი კაბინეტი პუანკარეს მეთაურობით სასტიკი წინააღმდეგი იყო ვერსალის ზავის გადასინჯვისა, ის ალმაცერად უყურებდა რუსეთთან მოლაპარაკების გამართვასაც. თავის მხრივ, არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისურვა ოფიციალურად მონაწილეობა კონფერენციაზე. და ევროპელთა დიდი თავყრილობა, ხანგრძლივი მუშაობისა და მრავალი რეზოლუციების მიუხედავად, შედეგიანად ვერ დასრულდა. გენუის კონფერენციამ რუსეთის საკითხს მოანდომა სამუშაო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი და გაიყო ორ ბანაკად: ერთის მხრივ — „ინგლისი და მომხრეები“ და, მეორეს მხრივ, — „საფრანგეთი და მომხრეები.“

საქართველო და კავკასიის სხვა რესპუბლიკები არ მიუწვევიათ გენუაში, მაგრამ მათი ბუნებრივი სიმდიდრენი, განსაკუთრებით ნავთობი, დიდ როლს თამაშობდა კონფერენციაზე.[42]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩიჩერინი დიდის ენერგიით ცდილობდა საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა გასაბჭოებული რესპუბლიკების წარმომადგენელთა

დაშვებას, მაგრამ ვერას გახდა. სამანდატო კომისიამ უარყო მისი სურვილიც და პრეტენზიაც იმ მოტივით, რომ კანის კონფერენციის გადაწყვეტილებით, საქართველო არ მიიწვიეს გენუაში. უფრო მეტიც, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის დელეგატები საზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რუსეთს არა აქვს უფლება, იკისროს საქართველოს წარმომადგენლობა, მაგრამ ინგლისის დელეგატთა ერთსულოვნების შესანარჩუნებლად იძულებულნი შეიქნენ, დასჯერებოდნენ მას. კომისიის აზრი შემდგომ დაადასტურა კონფერენციამაც.[43]

გენუაში ერთგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სვანეთის ავკანყებამ. თუმცა ჩიჩერინმა უარყო ყოველივე, მაგრამ დელეგატები უკვე დოკუმენტურად გაეცნენ რუსეთის საოკუპაციო ჯარების ბრძანებათა ასლებს სვანეთის მოძრაობის ჩასახშობად, საქართველოდან მოსულ, პარტიების მიერ ხელმოწერილ მიმართვას და კათოლიკოს-პატრიარქის წერილს, რამაც (განსაკუთრებით უკანასკნელმა), დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციაზე...

და ერთიც. გენუის კონფერენციის მსვლელობის დროს, 1922 წლის 16 აპრილს, ქალაქ რაპალოში (იტალია) საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გ. ჩიჩერინისა და რაიხსმინისტრის ვ. რათენაუს ხელმოწერით, დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დაუყოვნებლივ აღდგენას, სავაჭრო ურთიერთობათა გაცხოველებას და, რაც უაღრესად საყურადღებოა — ურთიერთპრეტენზიებზე უარის თქმას.

გამოიყენა რა ეს დიპლომატიური გამარჯვება, შემდგომ ამისა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ გერმანიის მთავრობისაგან მოითხოვა რაპალოს ხელშეკრულების გავრცელება რუსეთის „მოკავშირე" საბჭოთა რესპუბლიკებზე. რაც, ცხადია, თავისთავად ნიშნავდა გერმანიის მიერ საქართველოს ეროვნული მთავრობის ცნობის უკანვე წაღებას.

როგორც საარქივო დოკუმენტები იუწყებიან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძალისხმევით, მთავრობის სოციალ-დემოკრატი წევრები და თვით პრეზი-

დენტიც ექვსი თვის მანძილზე ეწინააღმდეგებოდნენ ამ წინადადებას,[44] მაგრამ ბოლოს იძულებულნი გახდნენ, დაეთმოთ და 1922 წლის 5 ნოემბერს ბერლინში დაიდო მეორე ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რაპალოს ხელშეკრულება რუსეთის „მოკავშირე" რესპუბლიკებზე და, მათ შორის, საქართველოზეც გავრცელდა. უკანასკნელის ნაცვლად ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთის ელჩმა გერმანიაში.[45]

ამ საკითხთან დაკავშირებით დემოკრატიული საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის მემუარში „დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წ.წ."— აღნიშნულია, რომ ეს ხელშეკრულება არ უარყოფდა ფორმალურად საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამასთანავე, უკანვე მიჰქონდა მის მიერ ეროვნული მთავრობის აღიარება, რის საფუძველზეც, ცოტა მოგვიანებით, დემოკრატიული საქართველოს საელჩო ბერლინში თავისთავად გაუქმდა კიდეც.

მაშასადამე, შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ (მსოფლიო ომში დამარცხების სასტიკმა შედეგებმა) ერთბაშად შეცვალა გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსი და რუსეთთან დაახლოება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სასიცოცხლო საკითხად აქცია, რაც ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით დაგვირგვინდა კიდეც.

ამით კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილმა გერმანიამ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ცნო ევროპაში საქართველოს დამოუკიდებლობა და გაგზავნა თბილისს თავისი სრულუფლებიანი ელჩი, ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყო საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ტენდენციებს საქართველოში...

საისტორიო წყაროებსა და სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, განწყობილებათა ერთი გამოკვეთილი ტენდენცია უნდა აღინიშნოს. კერძოდ: საუბარია იმ გადაჭარბებულ ოპტიმისტურ შეხედულებებსა და შეფასებებზე, რომლებიც გავრცელდა ზემოხსენებული კონფე-

რენციებისა გამო ემიგრირებული მთავრობის წევრთა შორის.

მოგვიანებით, ამ ფაქტს ასე შეაფასებს ირაკლი წერეთელი: „მე კარგად ვიცი, რომ იმ ძნელ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, თვითეული, თუნდაც ფრთხილი, საერთაშორისო ხსენება ჩვენი საქმისა, ყველა ჩვენთვის საგულისხმო უნდა იყოს და ჩვენი წარმომადგენლების მიერ მიღწეული შედეგების გადაჭარბებული დაფასება ფსიხოლოგიურად გასაგები არის, მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რაც უფრო ძნელ პირობებშია ჩვენი ხალხი, მით უფრო საშიშია მასში შემცდარი წარმოდგენის შექმნა...“[46]

ცხადია, ამგვარ შეფასებებში იგულისხმებოდა ლოზანას კონფერენციაც და მისი „შედეგები“ საქართველოსათვის.

ორიოდე სიტყვა ამ კონფერენციის შესახებაც.

